



# ჩვენს მწერობა


გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

20 მარტი 2015

№ 6 (240)

ნანა კუცია ემზარ კვიციანიშვილზე  
 თამარ კახიაშვილი ოთარ ჩხეიძეზე  
 ელგუჯა თავბერიძის ახალი წიგნები  
 „26 ივნისის საიდუმლოდან“ „მედეამდე“  
 ელჩინ ეფენდიევის „ავტოვარია პარიზში“  
 დიმიტრი ყიფიანი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ  
 იოსებ ჭუმბურიძე კულტურასა და უკულტურობაზე  
 გურამ ბათიაშვილის „მონოლოგები სიყვარულზე“  
 გურამ ბენაშვილის ლიტერატურული ვიტრაჟები  
 ნათელა არველაძე ვახტანგ ჭაბუკიანზე  
 ინტერვიუ თინა მგალობლიშვილთან  
 ნინო ჯაველიძე ეთნონიმზე: აფხაზი  
 საუბარი ვახტანგ დავითაიასთან



# შინაარსი

რედაქტორის გვირგვინი	2	„26 ივნისის საიდუმლოდან“... „მედაამდე“?!
		(ლია წერილი როზა დედგარიანს)
ელვარა და ლომფარი	3	ჯორჯ კარლინი ნუთიპი, როცა ერთად ხართ
წარსული მოგაგონებთ	4	თამაზ ჯოლოგუა დიმიტრი ყიფიანი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ
უსხოთის სხოვრებიდან	5	ალინა ქადაგიშვილი-ოქროპირიძე ჟან რუო — ავტოპორტრეტის ხელოვნება
უბის წიგნაკიდან	8	იოსებ ჭუმბურიძე ორი ანა, ორი საღამო, მათი კულტურა და ჩვენი უკულტურობა
მსარკის-ინტერვიუ	9	თინა მგალობლიშვილი „მუდმივი ქმედება“ (მომზადდა მიხეილ ანთაძემ)
ღრმადუბრება	10	გურამ ბათიაშვილი მონოლოგები სიყვარულზე
პოეზია	22	ჯუანშერ ტიკარაძე პროვინციული მანიაკი და სხვა ლექსები
ესაიასიკა	26	როსტომ ჩხეიძე კორნიშელი განდებილი და გაყინული ტვის საიდუმლო (შეხმინება თემურ გაბუნის მონოგრაფიასთან „ჯერომ სელინჯერი — ნამდვილი ბრძოლა“)
ღიალოგი	34	„ბარემო რასაც კარანახოვს, იმ სტილის მიმდევარა ვარ“ (თამაზ დოგრაშვილს ესაუბრება ვახტანგ დავითაია)
ქიპა	38	ნინო ჯაველიძე „სად აფხაზი და სად აფსუა?!“
რეპორტაჟი	44	ელენე ამალბელი „ყველა ამკრძალავის ჯინაჟა...“ (ელგუჯა თავბერიძის ორი ახალი წიგნი)
სილუატი	49	გურამ ბენაშვილი ლიტერატურული ვიტრაჟები (ტერენტი გრანელი, ლადო ასათიანი)
მარადი ხელოვნება	54	ნათელა არველაძე ბუნების ნაბიჯი, ერის რჩეული (ვახტანგ ჭაბუკიანი)
კრიტიკა	57	ნანა კუცია იპანკლადი (ემზარ კვიციანიშვილის „სამსახეობა თამაზ ჩხენკელისა“)
ახალი წიგნები	61	ვახტანგ ბახტაძე მო იენის „ღვინის ქვეყანა“: გენიალური მორალიტი
ახალგაზრდობა, ან კი თქვენი	62	თამარ კახნიაშვილი ოთარ ჩხეიძის შესანდობარი (ერთი რკალი ნოველების ციკლიდან „ჩემი სოფლის ეტიუდები“)
უსხოური ნოველა	64	ელჩინ ეფენდიევი ავტოპორტრეტი პარიზში
ამ მთისა და იმ ბარისა	71	ამბავნი შტირლიცისანი



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 2015 წლის 3 აპრილს

დაარსებულია  
ომეგა ჯგუფის მიერ  
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი  
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში  
**ომაგა თავი**

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,  
თბილისი საქართველო  
ტელ: 00 995 32 53 12 77  
ფაქსი: 00 995 32 53 08 33  
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge  
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დევანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: ჟან რუო

ჩრდილის ტბა, ტაო-კლარჯეთი  
ანა გელაშვილის ფოტოგრაფიები

# „26 ივნისის საიდუმლოდან“... „მედაამდე“?!

(ლია ნარილი როზა დავდარიანს)

ქალბატონო როზა, იმდენ რაიმეზე გვაქვს ერთნაირი შეხედულება, არ გამიკვირდებოდა, თქვენც რომ გაგეზიარებინათ ჩემი პიესის „26 ივნისის საიდუმლო“ სიუჟეტური მდინარეა თუ მხატვრული კონცეფცია, მაგრამ... ამჯერად ასე არ მოხდა.

ის კი არა... აღმოფთვებულხართ კიდეც, თუმც ეს ხელს არ გიშლით, ეთიკის დაცვით გამოხატოთ თქვენი გულისწყრომა მცირე სტატიაში „ვერიბიდეს სინდრომი“ („ჩვენი მწერლობა“, 2014, 26 დეკემბერი), რომელიც უშუალოდ გამოუწვევია გორის უნივერსიტეტის მაგისტრანტის ანი ცაციაშვილის რეპორტაჟს. მის სათაურს — „ყველაზე დამაჯერებლად ეს ვერსია გვეჩვენება“ („ჩვენი მწერლობა“, 2014, 19 სექტემბერი) — მოიხსენიებთ „მევირალად“, თვითონ რეპორტაჟს კი ასე აფასებთ: ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბაო...

ახალგაზრდა ქალი აქ ყველაზე ნაკლებადაა „დამნაშავე“, რადგანაც მან მხოლოდ მიუკერძოებლად წარმოსახა ის განწყობილება, რაც სუფევდა გორის უნივერსიტეტის ოთარ ჩხეიძის კაბინეტში, სადაც თქვენმა მონა-მორჩილმა ისაუბრა ივანე მაჩაბლის გაუჩინარების ვერსიებზე და წარმოადგინა საკუთარი თვალსაზრისი, პიესის ფორმაცად გარდასახული, რის შემდგომაც გაიმართა მრავალმხრივ საგულისხმო და შინაარსიანი დისკუსია, რომელშიც — გარდა სტუდენტებისა და მაგისტრანტებისა — მონაწილეობდნენ პროფესორ-მასწავლებლებიც (არანაკლები დისკუსია მოჰყვა ამ თემის განხილვას ქუთაისშიც, აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე).

ანი ცაციაშვილის რეპორტაჟი, შედგენილი საერთო ვითარებისა და განწყობილების გათვალისწინებით, მარჯვედ წარმოსახავს იმდღევანდელ სურათს და ახალგაზრდა ქალის წარმატებულ გამოსვლად უნდა ვაღიაროთ პრესის ფურცლებზე. და თუ რაიმე შეიძლება ინვესტავს თქვენს გულისწყრომას, მხოლოდდამხოლოდ ჩემი პიესა და იქ წარმოდგენილი სრულიად ახალი ვერსია, რომ:

ივანე მაჩაბელი შეიქნა არა რაიმე სხვა გარემოებათა, არამედ უშუალოდ ოჯახური დრამის მსხვერპლი.

არადა, აუცილებელი იყო ამ ვერსიის შემოსვლა სამეცნიერო-სალიტერატურო მიმოქცევაში.

აბა, როდემდე შეიძლება ეტირალა იმ აბსურდულ მოსაზრებებსა თუ უგვან ჭორებს, თითქოს მაჩაბელი დუხაბორებს გაპყლოვდეს მალულად კუნძულ მალტაზე ანდა ილია ჭავჭავაძის მომხრეებს მოელოთ მისთვის ბოლო... ნყალში უნებურად გადავარდნის ვერსია შესაძლოა საბოლოოდამ დამკვიდრებულიყო (ჯერ მარტო გარეგნული მომხიბვლელობის გამო, მითოსურ ასოციაციებსაც რომ ინვესტავს), რომ არა მტკვრის სასწრაფო განჩრეკვა კასპის ზღვამდე და დადასტურება, რომ იქამ დიდებული მოღვაწის გვამი არ მოიძებნებოდა. და კიდევ გამოეცლებოდა რეალური საფუძველი ამ მტკიცებასაც.

თუ არ ვიგულისხმებთ, რომ ივანე მაჩაბელი მაინცდამაინც ცად ამაღლდა, რჩება ერთადერთი ვარაუდი:

იგი შეიქნა ოჯახური დრამის მსხვერპლი.

მითუმეტეს, ამ ვერსიას, ზეპირბრუნვაში დატრიალებულს, იზიარებდნენ: მალვა დადიანი, თედო სახოკია, გერონტი ქიქოძე, ვახტანგ ჭელიძე, ოთარ ჩხეიძე...

და კიდევ — სამწუხაროდ, ტასო ბაგრატიონი-მაჩაბელი მაინცდამაინც ვერ გამოირჩეოდა კდემამოსილებითა და მე-

ულის ერთგულებით, მძიმედ დასწეულებული, დაძაბუნებული მეუღლის.

თქვენი გულისწყრომის სათავეც ესაა, ქალბატონო როზა, ასე მკაცრად რომ ბრძანებთ:

— საქართველოში ორმა კაცმაც რომ დაიჯეროს ეს სიბინძურე, ქვეყნის დაქცევის ტოლფასია.

დაქცეულ ქვეყანას რომ შეეყურებთ, ამას ახლა მთლად ამ პიროვნებებსაც ნუ დავაბრალებთ!..

და ნულარც ის გამოგვრჩება, თვით ილია ჭავჭავაძე რომ იზიარებდა ამ ვერსიას: ვანო ოჯახური დრამის მსხვერპლი შეიქნაო!..

ამის თაობაზე მეტად მნიშვნელოვანი ცნობის მიკვლევას ტრიფონ ჯაფარიძის შემუშავებულ ეძღვნება ელგუჯა თავბერიძის გამომხატურება „მიზანდამცდარი ალლო“ (იხ. მის ნიგნში: „ნილოსისფერი პერანგი“, 2014, გვ. 37-41).

თურმე სულაც ილია ჭავჭავაძისაგან მომდინარე ვერსიის გაზიარება რატომ უნდა იყოს ქვეყნის დაქცევის ტოლფასი?

სტატიის პოსტსკრიპტუმში საყვედურობთ თეიმურაზ დოიაშვილსაც დეტექტიური ესეისათვის „დრამა ბინაში“ („ჩვენი მწერლობა“, 2014, 19 სექტემბერი), როგორ თუ ამტკიცებ, ოლია ოკუჯავა ლალატობდა გალაკტიონ ტაბიძესო.

რას ვიზამთ, ქალბატონო როზა, ყოფითი რეალობა გაცილებით უფრო სასტიკია და დაუნდობელი, ვიდრე ჩვენი ამაღლებული წარმოდგენა მასზე და ილუზიებითა და თვითმოტყუებით არაფერი გამოვა. ამიტომაც სჯობს ისევე მკაცრ სინამდვილეს გაუსწნოროთ მზერა და ჩვენ-ჩვენს თარგზე კი არ მოვჭრათ და შევალამაზოთ ამბები თუ ბიოგრაფიები, არამედ ყოველივე აღვადგინოთ და წარმოვსახოთ ისე, რეალობაში როგორც იყო.

თქვენ თქვენი მტკიცედ ჩამოყალიბებული პოზიცია გაქვთ და ჩემი, თეიმურაზ დოიაშვილისა და კიდევ სხვათა გასაგონად ამ მწვავე აკორდით აგვირგვინებთ სტატიას:

— ბატონებო! ვერიბიდეს სინდრომი ხომ არ შემოგვპარვია? გულისხმობთ ძველბერძნულ გადმოცემას, რომლის მიხედვითაც, ამ დიდებულმა დრამატურგმა გარკვეული საზღაურის საფასურად მიანერა კოლხ მედეას შვილების დახოცვა, სინამდვილეში კორინთოელებმა რომ ჩაიდინეს ეს დანაშაული და ისედაც უბედურ დედას კი გადააბრალებს.

ქვეტექსტურად საკმაოდ გამჭვირვალედ მიანიშნებთ, რომ ევერიბიდემ უპატიებელი ცოდვა ჩაიდინა ტრაგედიისათვის „მედეა“ ამგვარი ფინალის გამოქვინით.

მაგრამ ნუ დავივინებთ, რომ ბერძენი დრამატურგი წერდა არა ქრონიკას, არამედ ტრაგედიას, ქმნიდა ახალ, მხატვრულ სინამდვილეს, ამ სინამდვილისათვის კი სრულიად არაფერს ნიშნავდა მედეას გულისტკივილი, იაზონის საქციელით გამოწვეული, მას ასე ადვილად რომ შეელოა და პირადი კეთილდღეობისათვის ახლა სხვა მეფის ასულზე გადაწყვიტა დაქორწინება.

მედეას რალაც ამგვარი რომ ჩაელაპარაკებინა: ეს ვინ ყოფილა, როგორ უნამუსოდ მომექცაო, არადა, უჩემოდ ოქროს სანმისს ხელთ როგორ იგდებდაო, — რისი რა ტრაგედია შეიძლება შექმნილიყო ამ ქარგაზე ან რა განზოგადებას მიაღწევდა დრამატურგი.

მთავარი აქ ისაა, „მედეას“ მხატვრული ძალმოსილების გამომხატველი, დღემდე რომ ინარჩუნებს შთამბეჭდაობას და რეჟისორებიც და ახალი დროის დრამატურგებიც კვლავდაკვლავ ენაფებთან ამ წყაროს, გმირმა ქალმა შვილები რომ უნდა დახოცოს. და ეს იმიტომ, რომ ტრაგედიის კანონები მოითხოვს ამგვარ სიუჟეტურ სვლას, უკიდურესი სიმძაფრის ფინალს: სიყვარულისათვის თავშენიწურულმა ქალმა, ამ გრძნობის სამსხვერპლოზე ზვარაკად რომ უნდა მიიტანოს ძმისა და მამის სიცოცხლე და სამშობლოს ბედი, ქმრის ლალატის შემდეგ ერთბაშად უნდა გააცნობიეროს ამ განცდის ილუზორულობა — მისთვის ასერიგად ძვირფასი პიროვნება, ვისთვისაც ყველა და ყველაფერი განირა, ცრუპენტელა, ყალბი, თავკერძა აღმოჩნდეს.

როგორ, სიყვარული ყოვლის უმჯობესი და უზენაესი განცდა რომ ეგონა, სინამდვილეში სიცრუე ყოფილა და თვალთმაქცობა?



მამ აღარც მისი ნაყოფი სურს მედეს, ახლა უკვე შვილებშიც განსხეულებული სიცრუე და თვალთმაქცობა.

ფინალმა აზიდა ეს პიესა არა მარტოდენ ბერძნული, არამედ მსოფლიო დრამატურგის მწვერვალზე და ევრიპიდე ერთ საუკეთესო ტრაგიკოსად ამიტომაც შემოუნახა კაცობრიობას. ასე რომ, მასთან შედარება სათაკილო კი არა, სასახელოა და... ჩემთვის კი უზომო შექება, ყველაფერი რომ მეფიქრა, „26 ივნისის საიდუმლოს“ ასეთ აღმატებას ვერაფრისდიდებით წარმოვიდგენდი.

განსხვავებით ევრიპიდესაგან, ტრაგედია ამგვარი ფინალით რომ დაასრულა, თუმცე ეგებ სულ სხვაგვარადაც მოეხსენებოდა ყოფითი სიმართლე, ჩემთვის ამ პიესაში მოთხრობილი სიუჟეტი არამარტო მხატვრული სინამდვილეა, არამედ ყოფით რეალობაშიც მომხდარი ამბავი.

ასე რომ, არაფრის გამოგონება არ დამჭირებია... მაგრამ მაინც დავიზღვიე თავი, როდესაც ამ ტრაგიკული ეპიზოდის გამოსამზეურებლად გამოკვლევასა თუ დოკუმენტურ პროზას კი არ მივმართე, არამედ — პიესის ჟანრს, და ეს პასაჟიც საგანგებოდ ჩავეურთე „მინანქრში“:

— პიესა, საერთოდ მხატვრული ქმნილება, საამისოდ ყველაზე შესაფერისი ჟანრია — მეცნიერულად ხომ არაფერს ამტკიცებ და საყოველთაო ჭეშმარიტებად დამკვიდრებას ხომ არ ესწრაფი. მხატვრული სინამდვილე ხან თუ შეიძლება უკიდურეს წვრილმანებამდე დაუახლოვდეს ყოფით რეალობას, ხან შეიძლება სრულიადაც დამორდეს. და შენ, მკითხველს, როგორც გინდა, ისე გვეროდეს, და დაე ეს იყოს მარტოდენ მხატვრული სიმართლე, მორგებული მხატვრულ კანონებზე.

ამჯერად ნულა გავყვებით ევრიპიდეს ბედს — უღმერთოდ რომ გაიმეტეს სასიკვდილოდ, დიონისეს დღესასწაულის რიტუალში მონაწილე ქალებმა, ნაწილ-ნაწილ რომ დაგლიჯეს და... თავი კი იმით იმართლეს: თვით ღმერთი დიონისე გვეგონაო...

და საერთოდც ნულა შევუპირისპირებთ ერთმანეთს მხატვრულსა და ყოფით სიმართლეს სხვა ლიტერატურულ ქმნილებებზე დაყრდნობით, დავიჯეროთ მხოლოდ, რომ ივანე მანაბლის უგზოუკვლოდ გაქრობის ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება, ჩემო ქალბატონო როზა, და მაინცდამაინც საქართველოს დაქვევას ნუ გავუთანაბრებთ მის გამოჩენას ჩვენს საზოგადოებრივ-კულტურულ სივრცეში.

...ილია ჭავჭავაძე მაინც არ ვარაუდობდეს, ასე და სწორედაც ასე თუ მოხდებოდა, ოჯახშია ჩამალული ამ ტრაგედიის სათავეო!..

ბოსტკრიპტუმად კი:

ანი ცაციაშვილი სამუდამოდ მადლიერი დაგრჩებათ, ქალბატონო როზა, პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე ლიტერატურული დულის ეპიცენტრში რომ შემოიყვანეთ. ჯერ უკვე და, არა მგონია, მალე მოთავდეს განსჯადისკუსია „26 ივნისის საიდუმლოს“ და ივანე მანაბლის გაუჩინარების ამ ვერსიის ირგვლივ.

**XX საუკუნის 70-80-იანი წლების ცნობილი სატირიკოსი ჯორჯ კარლინი მეუღლის გარდაცვალებას ამ პატარა, მაგრამ ძალიან საგულისხმო წერილით გამოეხმაურა.**

ჯორჯ კარლინი

## წუთები, როცა ერთად ხართ

ჩვენი დროის პარადოქსია, რომ მოთხოვნები უზომო გვაქვს, მოთმინება კი ერთიბენო. მაგისტრალები ფართო გვაქვს, შეხედულებანი კი ვიწრო. ვხარჯავთ ბევრს, გვაქვს ცოტა, ვყიდულობთ მეტს, მაგრამ ვხარობთ ნაკლებად. გვაქვს დიდი სახლები, მაგრამ ციცქნა ოჯახები, უკეთესი პირობები, ნაკლები დრო, გვაქვს საუკეთესო განათლება, გაცილებით ნაკლები გონი, საუკეთესო ცოდნა, მაგრამ უარესად ვაფასებთ ვითარებას, მეტი და მეტი ექსპერტი გვყავს, მაგრამ პრობლემაც გვაქვს, საუკეთესო მედიცინაა, ჯანმრთელობა კი უარესი.

ესვამთ ძალიან ბევრს, ვენევიტ ძალიან ბევრს, ვხარჯავთ სრულიად უპასუხისმგებლოდ, ვიცინით ძალიან ცოტას, დავდივართ უსწრაფესად, ბრაზი გვეკიდება უადვილესად, ვიძინებთ ძალზედ გვიან, ვიღვიძებთ გათანგულები, ვკითხულობთ ძალიან ცოტას, ძალიან ბევრს ვუყურებთ ტელევიზორს და ვლოცულობთ უიშვიათესად. მიჯაჭვულობა გავზარდეთ, ფასეულობანი შევამცირეთ.

ვლაპარაკობთ ძალიან ბევრს, გვიყვარს იშვიათად და გვეზიზღება ხშირად. ვიცით, როგორ გადავჩრეთ, არ ვიცით როგორ ვიცხოვროთ. ადამიანის ცხოვრებას წლებს ვუმატებთ, მაგრამ წლებს არ ვუმატებთ სიცოცხლეს.

მივადნით მთვარეს და მოვბრუნდით, მაგრამ ძლივძლივით გადავივართ ქუჩას და ვეცნობით ახალ მეზობელს. კოსმიურ სივრცეებს ვიპყრობთ, მაგრამ არა სულიერს. ვაკეთებთ დიდ, მაგრამ არა საუკეთესო საქმეებს.

ვწმენდთ ჰაერს, მაგრამ ვაბინძურებთ სულს. ატომი დავიმორჩილეთ, მაგრამ არა ჩვენი ცრურწმენები. მეტს ვწერთ, მაგრამ ცოტას ვიგებთ. ვიზრახავთ მეტს, ვაღწევთ უმცირესს. ვისწავლეთ სიჩქარე, მაგრამ არა ლოდინი. ახალ კომპიუტერებს ვქმნით, რომლებიც მეტ ინფორმაციას ინახავენ და ასლების ნაკადს აფრქვევენ, მაგრამ ვურთიერთობთ სულ უფრო ნაკლებს.

ეს სწრაფი კვების და ცუდი მონელების, დიდი ადამიანების და დანვრილმანებული სულების, სწრაფი შემოსავლისა და რთული ურთიერთდამოკიდებულებების დროა. დროა ოჯახური შემოსავლების და განქორწინების, ლამაზი სახლების და ოჯახური კერიების ნგრევის რიცხვის ზრდისა.

დრო მცირე მანძილებისა, ერთჯერადი საფენებისა, ერთგზის მორალისა, ერთადმიანი კავშირებისა, ზედმეტი წონისა და აბებისა, ყველაფერს რომ გვიკეთებენ: ალგვაზნებენ, გვამშვიდებენ, გვკლავენ. დრო სასვე ვიტრინებისა და ცარიელი საწყობებისა.

დრო, როცა ტექნოლოგიების საშუალებით ეს წერილი თქვენთან ხვდება, და დრო, რომელიც თან საშუალებას გაძლევთ გაიზიაროთ ან უბრალოდ ხელი დააჭიროთ „Delete“.

დაიმახსოვრეთ, მეტი დრო დაუთმეთ მათ, ვინც გიყვართ, რადგან ისინი არ არიან თქვენთან მუდმივად.


დაიმახსოვრეთ და ჩაიხუტეთ ახლობელი ადამიანი გულში, რადგან ეს ერთადერთი განძია, რომელიც შეგიძლიათ გასცეთ გულით და რომელიც ფასდაუდებელია.

დაიმახსოვრეთ და ხშირად უთხარით „მიყვარხარ“ საყვარელ ადამიანს, მაგრამ ჯერ მართლა შეიგრძენით სიყვარული.

კოცნა და მოფერება ნებისმიერ უსიამოვნებას გამოასწორებს, როცა გულიდან მოდის.

დაიმახსოვრეთ და ხელიხელჩაკიდებულებმა დააფასეთ წუთები, როცა ერთად ხართ, რადგან ერთხელაც ეს ადამიანი აღარ იქნება თქვენს გვერდით.

გამონახეთ დრო სიყვარულისათვის, ურთიერთობისათვის და შესაძლებლობისათვის, გაუზიაროთ ერთმანეთს სათქმელი, რადგან ცხოვრება ჩასუნთქვა-ამოსუნთქვათა რიცხვით კი არა, იმ წუთებით იზომება, გულს რომ ამოგიგდებს საგულედან.



თამაზ ჯოლოგუა

# დიმიტრი ყიფიანი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ

1883 წლის თებერვალში გაიმართა „კავკასიის იურიდიული საზოგადოების“ სხდომა, რომელზეც განიხილეს თბილისში მცხოვრები იურისტის, ვლადიმერ სმიტენის, რეფერატი სიკვდილით დასჯის შესახებ. რეფერატის ავტორი მიიჩნევდა, რომ რუსეთში სიკვდილით დასჯა უნდა გაუქმებულიყო, თუმცა მძიმე კრიმინალური ვითარების გამო გამონაკლისის სახით სასჯელის ეს ზომა უნდა დარჩენილიყო კავკასიაში (განსაკუთრებით, ყაჩაღების წინააღმდეგ).

იმავე სხდომაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ბაქოელი ნაფიცი ვეკილი თედორე ბიკოვი, რომლის შეხედულებითაც:

„1. დროა, რუსეთმა გადადგას კიდევ ერთი ნაბიჯი წინ და სასჯელთა სახეებიდან საბოლოოდ ამოიღოს სიკვდილით დასჯა.

2. უნდა ვაღიაროთ, რომ კავკასიაში არ არსებობს არავითარი ისეთი განსაკუთრებული ვითარება, რომელიც აქ სიკვდილით დასჯას გაამართლებდ“.

„კავკასიის იურიდიული საზოგადოების“ შემოხსენებული სხდომა გაიმართა 5 თებერვალს, 8 თებერვალს სხდომის ანგარიში გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა (К вопросу о смертной казни. „Кавказ“, 1883, №31), ხოლო 9 თებერვალს დიმიტრი ყიფიანი თ. ბიკოვს ქვიშეთიდან თბილისში უგზავნის მხარდაჭერის გამომხატველ წერილს. ამ წერილს იგივე „კავკაზში“ აქვეყნებს სრულად („Д. И. Кипиани обратился к Ф. А. Быкову с следующим письмом...“ „Кавказ“, 1883, №34), ხოლო გაზეთი „დროება“ — მის შემოკლებულ თარგმანს („დღევანდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია...“ „დროება“, 1883, №31).


ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია თ. ბიკოვის პასუხი დიმ. ყიფიანისადმი, გაგზავნილი თბილისიდან ქვიშეთში 1883 წლის 12 თებერვალს. წერილის ავტორი ადრესატს სწერს: არავის მხარდაჭერა არ იქნებოდა ჩემთვის ისეთი ძვირფასი, როგორც თქვენგან — ყველასგან ღრმად პატივცემული კავკასიელი მოღვაწისა და კავკასიასთან დაკავშირებული გარემოებების საფუძვლიანი მცოდნისაგან. თქვენი მხარდაჭერა დასტურია იმისა, რომ მე მართალი ვარ. კავკასიაში სიკვდილით დასჯის გაუქმების წინააღმდეგ გამოდიან ხელისუფლების გავლენიანი წარმომადგენლები და ამგვარ ვითარებაში თქვენი, როგორც გამოცდილი კავკასიელი საზოგადო მოღვაწისა და თანაც არაიურისტის პოზიციას განუზომელი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოსო. ამასთანავე, წერილის ავტორი დიმ. ყიფიანს უგზავნის ჟურნალ „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ 1883 წლის 98-ე ნომერს, რომელშიც თ. ბიკოვის სიტყვა სრულადაა დაბეჭდილი (К вопросу о смертной казни. გვ. 178-188) და ამ თავის წერილს ვ. სმიტენის რეფერატის ტექსტსაც ურთავს (დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1639. რუსულ ენაზე. ფურც. 2; საბუთი წარმოადგენს მხოლოდ თ. ბიკოვის წერილს და მას არც ჟურნალი და არც ვ. სმიტენის რეფერატის ტექსტი არ ახლავს).

რაც შეეხება დიმ. ყიფიანის მიერ თ. ბიკოვისადმი გაგზავნილ წინამდებარე წერილს, იგი დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (№14755. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფურც. 1).

დასასრულ, ორიოდ სიტყვა თედორე ბიკოვის (Быков Фёдор Александрович) შესახებ. იგი, როგორც ზემოთ ითქვა, იყო ნაფიცი ვეკილი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник). მსახურობდა კავკასიაში (ბაქო, თბილისი...). 1897-99 წლებში იყო თბილისის გუბერნატორი. გარდაიცვალა ბაქოში 1915 წელს.

### თ. ა. ბიკოვს\*

თქვენმა სიტყვამ, იურიდიული საზოგადოების მე-4 სხდომაზე სიკვდილით დასჯის შესახებ წარმოდგენილ რეფერატთან დაკავშირებით წარმოთქმულმა, როგორც ამას „კავკაზის“ 31-ე ნომერი იუწყება, საერთო მონონება დაიმსახურა.



მხატვარი თამარ მინაშვილი

ნება მიბოძეთ, საერთო მონონებას კიდევ ერთი ხმა შევეუერთო — ხმა სოფლის მყუდროებაში განმარტოებული კერძო პირისა.

აღმოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც თქვენს წინააღმდეგ ილაპარაკებენ, მაგრამ თქვენ მხარს გიჭერენ სოლიდური ძალები. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ თქვენს მხარეზეა ქრისტეს ეკლესია, ეკლესია სიყვარულისა და გულმონყალებისა. არაფერს ვამბობ-მეთქი, რადგან არიან მოაზროვნეები, რომლებიც უარყოფენ ყოველგვარ ეკლესიას, ყოველივე ღვთაებრივს. მაგრამ თქვენს მხარესაა თანამედროვე ცივილიზაცია, რომელიც სჯის სისხლიან შურისგებას აქ, ვენდებას სხვაგან და ამ სასჯელს იყენებს როგორც უფლებას, დანესებულს საზოგადოებრივი სამსჯავროს არარსებობის გამო; თქვენს მხარეზეა პოლიტიკური ეკონომია, რომელიც გმობს სასარგებლო ძალის არამწარმოებლურ მოსპობას; თქვენს მხარესაა, ბოლოს და ბოლოს, ვნებებისა და წინასწარგანზრახული მანიკერებებისაგან თავისუფალი საკაცობრიო ადამიანური შეგნება, რომელიც მიიჩნევს — სიკვდილით დასჯა მკვლევლობას მართლმსაჯულების სახელით სჩადიან.

სამწუხაროდ, პირადად არ გიცნობთ. თუმცა, როგორც საზოგადო მოღვაწეს, წრფელი გულით გილოცავთ — თქვენ თქვენმა სიმამაცემ პირუთენელი მართლმსაჯულების დიად საწყისთა სიმალლეზე დაგაყენათ.

აღვასრულებ რა თქვენს წინაშე ვალს საზოგადოების წევრისას, მაქვს პატივი და სხვ.

### დიმიტრი ყიფიანი

9 თებერვალი. 1883 წელი. სოფ. ქვიშეთი

\* წერილი ქვეყნდება „კავკაზის“ პუბლიკაციის მიხედვით. ადრესატის ვინაობა ხელნაწერის შავშია მითითებული. თარგმანი ჩვენია. თ.ჯ.

ალინა ქადაგიშვილი-ოქროპირიძე

# ჟან რუო — ავტობიოგრაფიის ხელოვნება

ქართული მკითხველის წინაშე

სულ ახლახან ფრანგი მწერალი ჟან რუო, ფრანკოფონიის დღეების ფარგლებში, საქართველოს ესტუმრა — ვინ??? — გონკურების აკადემიის პრემიის ლაურეატი ჟან რუო. — აჰა, გასაგებია.

1990 წელს სრულიად უცნობ მწერალს რომანისთვის „ლირსების ველები“ საფრანგეთის ყველაზე უფრო პრესტიჟული ლიტერატურული ჯილდო მიენიჭა. 2014 წელს კი პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან ას წლისთავთან დაკავშირებით „ელფის“ გამომცემლობამ თანამედროვე ბესტსელერის სერიით ჟან რუოს ამ სახელგანთქმული წიგნის ქართული თარგმანი დაბეჭდა. „ფრანგულიდან თარგმნა დავით კახაბერმა“ — ეს წარწერა წიგნის ყდაზე, ქართველ მკითხველს ერთდროულად სიხარულითა და სიამაყით რომ ავსებს, ხარისხიანად შესრულებული გადმოქართულების დასტურია.

მას ასე, ჟან რუო თბილისშია და ქართველ მკითხველს მასთან გასაუბრების უნიკალური შესაძლებლობა მიეცა. ლიტერატურის მოყვარულთათვის მას უთუოდ ბევრი აქვს სათქმელიც და მოსაყოლიც. ამ ხნის მანძილზე მწერლის ცხოვრებაში არაერთი ცვლილება მოხდა: იგი ახლა უამრავი წიგნის ავტორია, შექმნა ოჯახი, შეიცვალა გამომცემლობა, მიუბრუნდა მუსიკას. უცვლელია მისი სიყვარული ლიტერატურისადმი, რომელსაც სამყაროს შეცნობის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს და გულწრფელად უკვირს, რომ ასეთი გაშმაგებით ესხმიან თავს ყოველი მხრიდან. პროზაიკოსები და პოეტები როდი არიან დამნაშავენი მსოფლიო ფინანსურ კრიზისში. ჟან რუო მართავს ლიტერატურულ შეხვედრებს, თანამშრომლობს ახალგაზრდა მწერლებთან, საყვარელ საქმიანობაზე საუბრისას თვითონაც ახალგაზრდობა უბრუნდება: სახე უნათდება, ხმაში სითბო ეღვრება, გამოცოცხლებით და მგზნებარედ ლაპარაკობს.

ფრანგი ჟურნალისტი მოჰამედ აისაუი მართებულად შენიშნავს ჟან რუოს გარეგნობის ერთ თავისებურებას: მწერლის სახეს არ შორდება სასიამოვნო ღიმილი, რომელიც თითქოს მისი ტუჩების კუთხეებში შეყუჟულა. ამ ღიმილსა და ბავშვური გულწრფელობით აღსავსე მხერაში იმდენი უბრალოება, სითბო და სიკეთეა, რომ ძალაუვნებურად თითოეული მისი სიტყვისა გჯერა, ნაკითხულისა და ნაუკითხავის, თითქოს საუკუნეა იცნობდე...

ჟან რუო 1952 წელს დაიბადა. ბავშვობა მშობლიურ კამპუბონში, ქვემო ლუარაში გაატარა, ნანტთან ახლოს. 1962-69 წლებში სწავლობდა სენ ნაზერში, სენ ლუის სახელობის კათოლიკურ ლიცეუმში; ხოლო ნანტის უნივერსიტეტში თანამედროვე ლიტერატურის შესწავლით იყო დაკავებული. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თავისი სპეციალობით არ უმუშავია. ისეთ საქმიანობას ირჩევდა, წერისთვის თავისუფალი დრო რომ ჰქონოდა. მოგვიანებით პარიზში მიემგზავრება, სა-



დაც ჯერ წიგნის მალაზიაში იწყებს მუშაობას, შემდეგ კი გაზეთების გამყიდველად პარიზის გარეუბანში. სწორედ აქ, ფლანდრიის ქუჩაზე მდებარე გაზეთის კიოსკო ეწვია დიდება.

## ლუკანდა გაზეთების გამყიდველზე, რომელმაც გონკურის პრემია მიიღო...

ლექსებს ჯერ კიდევ ბავშვობაში წერდა. რამდენიმე ნარუმბატეელი ლიტერატურული მცდელობის მიუხედავად, წერა არ შეუწყვეტია. 1988 წელს გაზეთის კიოსკოში მუშაობისას „ედისიონ დე მინუის“ დირექტორი ჟერომ ლენდონი გაიცნო, რომელმაც მის ცხოვრებაში „ნათლია-ფერიის“ (კეთილი ჯადოქრის) როლი შეასრულა და მწერლის ლიტერატურულ მისწრაფებებს კონკრეტული მიმართულება მისცა.

ჟან რუოს ახსენდება, რომ სწორედ ამ ადამიანმა, თანამედროვე ლიტერატურული ტენდენციების განსახიერებამ, შემდეგი რჩევა მისცა: აღწერეთ ნამდვილი ამბავი 4-5 პერსონაჟით, ძალიან ბევრი საჭირო არ არის, თორემ მკითხველს თავგზა ებნევა, ველარ იგებს, ვინ ვინაა და კიდევ, ნუ იქნება სიტყვების თამაში, ეს წიგნის თარგმნას ხელს უშლის. მწერალი საკუთარ ყურებს არ უჯერებდა. ჟან რუო აღიარებს, რომ კონსერვატორი გამომცემლისგან ასეთ მიდგომას ნამდვილად ვერ აიტანდა. ჩანდა, რომ ლენდონი წარმატების გასაღებს სწორედ ამბის მოთხრობაში ხედავდა, რაც რომანის საწყისებთან დაბრუნებას გულისხმობს.

როდესაც ჟან რუო „ლირსების ველებს“ წერდა, წამითაც არ უფიქრია გონკურის პრემიაზე. არც ჟერომ ლენდონს გაუგზავნია იგი ჟიურისთვის. გონკურების აკადემიის წევრმა, მწერალმა ერვე ბაზენმა გამომცემლობას წიგნის 10 ეგზემპლარი მოსთხოვა, რაც, სავარაუდოდ, ფრანგულ პრესაში გავრცელებულ დადებით გამოხმაურებას უნდა მივანეროთ. ისეთი წამყვანი გაზეთები, როგორცაა „ნუველ ობსერვატორი“ და „ლე მონდი“, დაუყოვნებლივ მიესალმნენ „ლირსების ველების“ გამოცემას. ეს კი უთუოდ იმსახურებდა ყურადღებას.

გაზეთის კიოსკოში მწერალი მღელვარებით ადევნებდა თვალს თავისი „პირმოს“ ტრიუმფალურ მსვლელობას. თავდაპირველად მასზე დანერული სტატიების ნაკითხვაც კი უჭირდა; მშვიდად როდი უყურებდა წიგნის მალაზიის ვიტრინაში დადებულ წიგნს, რომელსაც ყდაზე მის გვარ-სახელი ეწერა, პირს იბრუნებდა და ნაბიჯს აუჩქარებდა, თითქოს ამ ადამიანს არც კი იცნობდა...

აი, მისი წიგნი დიდების მწვერვალზეა, ხოლო ავტორი — საფრანგეთში ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული პრემიის მფლობელი. ჟან რუო დაემშვიდობა გაზეთის კიოსკს,

\* მასალების მონოდებისთვის მადლობას ვუხდით საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის მედიათეკას.

რომლის ფოტო და ვიდეო გადაღებებს ბოლო არ უჩანდა და რომელიც შესაძლოა მის ციხედ ქცეულიყო. განა შესაძლებელია, რომ მწერალმა, რომელმაც 38 წლის ასაკში გამოქვეყნებული პირველი წიგნისთვის გონკურის პრემია მიიღო, ძველებურად განაგრძოს ცხოვრება, თითქოს არაფერი მომხდარიყო?

ესოდენ დიდი აღიარების მეორე დღეს ჟან რუოს სევდა დაეუფლა — თვალწინ დაუდგა შემოქმედებითი ძიებისა და იმედგაცრუების თხუთმეტი წელიწადი, ყოველივე, რაც წერას შესწირა: ადამიანებთან ურთიერთობა, კარიერა, პირადი ცხოვრება. თუმცა იმასაც მიხვდა, რომ მსხვერპლი ამოა არ ყოფილა.


მწერალმა სულიერი განვითარების რთული გზა განვლო. მას დიდხანს არ შორდებოდა საკუთარი უძღურების, უმაქნისობის განცდა, საზოგადოებისადმი უნდობლობა და შიშიც კი. როდესაც გაზეთების გამყიდველად დაიწყო მუშაობა, თავს ცუდად გრძობდა, აუტიზმის ზღვარზე იმყოფებოდა, თუმცა სულ მალე მისი კიოსკი ლიტერატურულ-პოლიტიკური დისკუსიების ადგილად იქცა. „ფლანდრიის ქუჩის მცხოვრებლებმა დამანახეს, რომ ჩემი საუბარი შეიძლება საინტერესო ყოფილიყო...“

დაბეჭდვამ სულზე მომისწრო, — იხსენებს მწერალი, — შეიძლება ითქვას, თმაში ხელი ჩამავლო და დამიჭირა. როგორც იქნა, ლიტერატურის დიდ ოჯახს ვეკუთვნოდი“. წიგნის გამოცემამდე თქვენ არაფერს წარმოადგენთ, მხოლოდ სავარაუდო ნიჭიერების იმედი გასულდგმულეთ. „ჩემი წიგნის „მინუსი“ გამომცემლობაში დაბეჭდვამ, გონკურის პრემიამ, კრიტიკოსთა აღიარებამ და მკითხველთა წერილებმა მომცეს ის თავდაჯერება, რაც ასე მჭირდებოდა — ამბობს ჟან რუო. ამან აფიქრებინა მწერალს, რომ ლიტერატურის ისტორიაში მისთვისაც მოიძებნებოდა ადგილი.

„ღირსების ველების“ ავტორი 300 ეგზემპლარის გაყიდვას ვარაუდობდა, წიგნის ტირაჟმა მილიონს გადააჭარბა! ამერიიდან ჟან რუოს სამსახურზე ფიქრი აღარ სჭირდებოდა და შეეძლო მხოლოდ ლიტერატურულ საქმიანობაში ჩაფლულიყო. საყოველთაო აღიარებას მხოლოდ დიდება და პატივი არ მოუტანია. ჟან რუო ერთგვარ ზენოლას განიცდიდა, შიშობდა, რომ, როგორც ზოგიერთები ამტკიცებდნენ, ერთი წიგნის მწერლად დარჩებოდა. „გონკურის ლაურეატისადმი დამოკიდებულება კეთილმოსურნე როდია“ — აღნიშნავს იგი. მისი მოქმედების ასპარეზი შეზღუდული იყო. მეორე რომანი პირველს სიუჟეტურად ძალიან არ უნდა დასორებოდა. ჟან რუომ ეს დილემა „სახელგანთქმული ადამიანების“ დანერით გადაჭრა.

**მრავალხრივი შემოქმედი**

რამდენიმე წელიწადში ჟან რუომ ავტობიოგრაფიული რომანების ორი ციკლი შექმნა. პირველი — ხუთ რომანს აერთიანებს და მწერლისა და მისი ოჯახის ცხოვრებაზე გვიამბობს. 21-ე საუკუნის დადგომა „ბედნიერების იმიტაციის“ ავტორმა „გალიმარის“ გამომცემლობაში გადასვლით აღნიშნა, რამაც მეტი თავისუფლება შესძინა. აქვე დაიბეჭდა მისი შემოქმედებითი ავტობიოგრაფია „პოეტური ცხოვრება“, რომელიც სამ წიგნს აერთიანებს. ჟან რუო აგვიწერს თავისი მწერლური „ხელწერის გზას“: „ხელწართულ ომს სინტაქსთან, ბრძოლებს სტილთან, შეტაკებებს ლექსიკასთან“. დიალოგებს საერთოდ არ იყენებდა, ვიდრე 2008 წელს „აღთქმულ ქალს“ დანერდა. მწერლის ხელწერისათვის და-



**ჟან რუო ღირსების ველები**

ფრანკლინა მარტინა დავით კახაბაია

მახასიათებელი „უსასრულო“ ფრაზებისა და ხშირი ლირიკული გადახვევების მიუხედავად, მისი წიგნები ერთი ამოსუნთქვით იკითხება, „ხმამალა“; და რადგან თხრობა უმთავრესად პირველ პირში მიმდინარეობს, გეჩვენება, რომ მეგობრის საუბარს უსმენ, გულწრფელსა და უშუალოს; ხოლო თანმხლები ძლიერი ემოციური მუხტი, თავბრუდამხვევი იუმორი, ალუზიების, მეტაფორებისა და ჰიპერბოლების სილამაზე პროზაული აგებულების ტექსტებს მუსიკასა და პოეზიასთან ანათესავებს.

აღიარებული რომანების ავტორი ჟან რუო მრავალხრივი შემოქმედი. მას თვითგამოხატვის სხვადასხვა სფერო აინტერესებს და თითქმის ყველაფერი მოსინჯავს: ესეები სრულიად განსხვავებულ თემებზე, „მოზი დიკის“ ტექსტი კომიქსისთვის, პიესები, მხატვრული ფილმის სცენარი, რამდენიმე დოკუმენტური ფილმი, სიმღერების ტექსტები

ჯონი ჰოლიდის, ჯულიეტ გრეკოსა და ჟან გიდონისათვის. ესეც არ იკმარა: 55 წლის ავინიონის ფესტივალის სცენაზე ავიდა და შეასრულა საკუთარი სიმღერა „ებრაელი საცოლ“ (აღბათ, სიჭაბუკე თუ გაიხსენა — ლიცეუმში სწავლისას გიტარაზე უკრავდა და მღეროდა). შედეგად Universal-მა მისი სიმღერების დისკი გამოსცა...

**„ღირსების ველები“**

მოდით, თითქმის 25 წლით უკან გადავინაცვლოთ, ჟან რუოს სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში. 1990 წლის ბოლოს კრიტიკამ „ღირსების ველები“ ბოლო ათწლეულის ყველაზე გასასოცარ აღმოჩენად მონათლა. მაინც რა იყო ამ რომანში ასეთი განსაკუთრებული?

ავტორმა მას თავდაპირველად „ქვემო ლუარა“ უწოდა. მაგრამ შემომ ლენდონმა ეს სათაური დაიწუნა აშკარა „რეგიონული“ შეფერილობის გამო. ბოლოს „ღირსების ველებზე“ შეჩერდნენ, რაც, გამომცემლის აზრით, კლასიკოსის ნაწარმოების სათაურივით ჟღერდა. იმხანად მხოლოდ მას ერთადერთს სჯეროდა ამისა... და არც შემცდარა.

რომანში აღწერილი სამყაროს დასახასიათებლად სამი ფაქტორის ერთობლიობა უნდა გავითვალისწინოთ: პროვინციული ცხოვრების წესი, წვრილ კომერსანტთა გარემო და კათოლიკური რელიგია. ეს საკითხები პოპულარობით როდი სარგებლობს. როგორ გინდა, ამის გამო რეაქციონერ მწერლად არ მოგნათლონ და მეტიც, თანამედროვე ფრანგული საზოგადოების ინტერესი გამოიწვიოს? სწორედ აქ იჩენს თავს ნიჭიერება ადამიანისა, რომელმაც შეძლო და „კარგად დავინყებულები“ ახალი შეფუთვით შემოგვთავაზა. საკუთარ ხმას ისე მიაგნო, რომ რომანის საუკეთესო ტრადიციებზე უარი არ უთქვამს...

„ღირსების ველები“ ჟან რუოს ოჯახის ბიოგრაფიაა და ავტობიოგრაფია — ოლონდ თხრობა სწორხაზოვნად, ქრონოლოგიურად კი არ მიმდინარეობს, არამედ სპონტანურად, მოგონებათა კვალდაკვალ. ჟან რუო ხომ ლირიკული გადახვევების დიდოსტატია (სხვათა შორის, ჟერომ ლენდონი ამით კმაყოფილი როდი იყო!).

რომანში აღწერილი ამბები უმთავრესად მწერლის ბავშვობაში ხდება, თუმცა გაცილებით უფრო შორეული წარსულიცაა მოხმობილი, რაც მის წინაპართა ცხოვრებას უკავშირდება და XX საუკუნის დასაწყისს.

საბედისწერო მოვლენა, რომელმაც მწერლის არსებობას დალი დაასვა, გახლდათ ახალგაზრდა, ჯან-ლონით აღსავსე მამის გარდაცვალება, სრულიად მოულოდნელად 1963 წლის შობის მეორე დღეს, როცა ჟან რუო მხოლოდ 11 წლისა იყო (ვაჟა-ფშაველას კვირია მასხენდება „ბახტრიონიდან“ — „ობლობის, ბეჩაობისა დღესაც ზედ მაძეობია“). ამ უცნაური სიკვდილის ელდას კიდევ ორი გამოძახილი მოჰყვა — 1964 წლის დასაწყისში გარდაიცვალა მწერლის მამის გამზრდელი მამიდა მარი და პაპა დედის მხრიდან, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა პატარა ობლის მწუხარება.

ნაწარმოები უმთავრესად ამ ორი პიროვნების, მათი ცხოვრებისა და გარდაცვალების გარშემო აგებული. მწერალი მოგვითხრობს პირველ მსოფლიო ომში დაღუპულ მამის ბიძებზეც (ამას უკავშირდება რომანის სათაური, რომელშიც ბრძოლის ველები იგულისხმება), ახლო თუ შორეულ ნათესავებზე, ისე, რომ გვარს „რუო“ ერთხელაც არ ახსენებს.

მოქმედება პატარა პროვინციულ ქალაქ ჩანდომში (სინამდვილეში კამპობონია) ვითარდება, ქვედა ლუარაზე, ატლანტის ოკეანის სანაპიროსთან ახლოს, სადაც გამუდმებით წვიმს და ყველაფერი ნესტითაა გაჟღენთილი. რომანის ის გვერდები, რომლებიც ჟან რუომ წვიმას (როგორც ერთ-ერთ პერსონაჟს) მიუძღვნა, ლიტერატურულ შედეგად ითვლება. დავით კახაბერის შესანიშნავი თარგმანი კი ქართველ მკითხველს ზუსტად გადმოსცემს ორიგინალის სულისკვეთებას, გრძელი ნიაღვრების მუსიკალურობასა და, რაღა თქმა უნდა, ჟან რუოს შეუდარებელ იუმორს. ეს უკანასკნელი მართლაც რომ სასწაულმოქმედი, ისეთი, გაუცინარ ხელმწიფესაც რომ გააციინებს და ავადმყოფსაც განკურნავს.

**ჟან რუოს საწყარო**

იუმორი მწერლის ცხოვრებისეული პოზიციაა, რაც მას ჩვენს ნოდარ დუმბაძესთან ახლოებს: კომიკური და ტრაგიკული ერთმანეთს ენაცვლება, ხშირად ეს ცრემლნარევი სიცილია, ნალვლიანი ხუმრობა, რომელიც სარკაზმსა თუ ცინიზმში არასოდეს გადადის, უფრო ავტორის მეგობრულ თვალის ჩაკვრას ჰგავს, რათა გაგვამხნევოს (და თვითონაც გამხნევდეს).

გაჭირვებაზე, სიკვდილზე, მარტობაზე როცა მოგვითხრობს, მწერალი არც პათეტიკურია და არც სასონარკვეთილი, არამედ ჩაფიქრებული, მოსიყვარულე, ღიმილიანი. ადამიანებისადმი თანაგრძნობა ალაპარაკებს, თითქოს გვეუბნება: ნუ გემინიათ, საქმე არც ისე ცუდადაა, ყველაფრის მიუხედავად, ცხოვრება გრძელდებაო.

ყველაზე რთული მანინც თვითკრიტიკაა, მაგრამ არა — ჟან რუოსთვის. იგი ცხადლივ ხედავს საკუთარ თავს წარსულში: ნაადრევად დაობლებულ, ემოციურ და მარტოსულ ბავშვს უმნიშვნელო წყენაზე ცრემლებს რომ ღვრის; ნიჭიერ, მაგრამ გაუბედავ და საშინლად ახლომხედველ ახალგაზრდა კაცს, რომელიც სათვალეს არ ატარებს, რათა ლამაზად გამოიყურებოდეს. ამის გამო დროდადრო კურიოზულ სიტუაციებშიც ვარდება (რომანი „მიახლოებით ასეთი სამყარო“).

საკუთარი პიროვნების დაუნდობელი გაშარყება სიმართლისთვის თვალის გასწორებას გულისხმობს,


რაც, თავის მხრივ, უდიდეს სიმამაცეს მოიხოვს. შინაგანი თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია, გეყოს ძალები, ღიმილიანი მზერით შეხედო წარსულს... ასეთია „განთავისუფლებული მოაზროვნე“ ადამიანი, რომელმაც იხსნა გონება გარესამყაროს გამანადგურებელი გავლენისაგან, ბედნიერი ადამიანი...

ცნობილია, რომ „ღირსების ველები“ პირდაპირი მნიშვნელობით I მსოფლიო ომს უკავშირდება, თუმცა შესაძლოა, არსებობდეს მეორე, გადატანითი მნიშვნელობაც. ჟან რუოს ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებათა გმირები გამოჩენილი ადამიანები როდი არიან (მწერლის მეორე რომანს „სახელგანთქმული ადამიანები“ ჰქვია), თუმცა ავტორი თითქოს საპირისპიროს მტკიცებას ცდილობს: მხატვრული ნაწარმოების მოქმედ პირად ნებისმიერი პიროვნება შეიძლება იქცეს, ამისათვის მხოლოდ მისი ამბის საინტერესოდ მოთხრობა უნდა შეგეძლოს. რომანის თითოეულ პერსონაჟს აქვს საკუთარი „ღირსების ველი“ ანუ მოქმედების გარკვეული სფერო, სადაც იგი ნამდვილი გმირივით იქცევა. ჟან რუოს „ჩვეულებრივი ადამიანები“ გვაოცებენ თავიანთი სიმამაცითა და პატიოსნებით, მზად არიან, მოყვასისთვის მსხვერპლი გაიღონ. ასეთი უანგარო სიყვარულის მაგალითია თუნდაც მამიდა მარი, ყოფილი მასწავლებელი „ღირსების ველებიდან“, რომელიც კიდევ ერთ ლიტერატურულ მამიდას მაგონებს, კერძოდ, ჯეიმზ ჯოისის მოთხრობის „მინა“ („დუბლინელები“) მთავარ პერსონაჟს. ისეთივე მომცრო ტანის, გამხდარი, ღრმად მორწმუნე, მშრომელი შინაბერა ქალბატონი (ოლონდ ირლანდიელი), გადაყოლილი ძმასა და მის ოჯახს, მთელი თავისი შეუმჩნეველი, მოკრძალებული არსებით სიმპათიასა და თანაგრძნობას რომ იწვევს.

თუ მაქს ფრიშის მთავარ გმირს გულახდილობისა არაფერი სწამდა („ვიქნები თუნდაც განტენბაინი“), ჟან რუოს სჯერა გულწრფელობისა, მით უფრო, ლიტერატურაში. მისი ავტობიოგრაფიული რომანები, საკუთარი თავის ძიებასა და თვითანალიზს რომ მოიცავს, სწორედ სიმართლის თქმის პრინციპს ეფუძნება. რაღა აზრი აქვს აღსარებას, თუკი ბოლომდე არ ვიტყვი სიმართლეს? ერნესტ ჰემინგუეი საერთოდაც დარწმუნებული იყო, რომ მწერალმა მხოლოდ იმის შესახებ უნდა წეროს, რაც პირადად გამოუცდია, ანდა რისი თვითმხილველიც გამხდარა. ამას მწერლის წესიერება მოითხოვს.

მკითხველის შეცდომაში შეყვანას ჟან რუო ერიდება. მის პირველ ხუთ რომანს რაც შეეხება, წლების მანძილზე,

ნიგინიდან ნიგნში ავტორი აზუსტებს ოჯახის ნევრთა ბიოგრაფიის რომელიმე დეტალს. მწერალმა ჯერ კიდევ ბავშვობაში შეიყვარა ფრანგ კლასიკოსებთან „ურთიერთობა“, მათ ნაწარმოებებზე ადრე თითოეულის ცხოვრების გზას გაეცნო. ჟან რუოსთვის წერა, მწერლად ყოფნა ლიტერატურისა და მისი ისტორიის საკითხებზე განუწყვეტელ ფიქრს ნიშნავს, ამ კითხვებზე პასუხის ძიებას. — საერთოდ კი, ყოველთვის იმაზე ვწერ, რაც ვიცი, რისი გამოცდილებაც მაქვს, — ამბობს იგი, — ნერის დროს მხოლოდ ლექსიკონსა და საკუთარ აზროვნებას ვიშვებოვებ. წყაროების შემოწმებას როდი ვცდილობ. თუ რაღაც არ ვიცი და ვცდები, მით უარესი. ყოველ შემთხვევაში, შეცდომაში არავინ შემყავს. ესეც ავტობიოგრაფიის ხელოვნებაა.





იოსებ ჭუმბურიძე

# ორი ანა, ორი სალამო, მათი კულტურა და ჩვენი უკულტურობა



ზაზა აბზიანიძე და თინა ყანდარელი

პირველი სალამო რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში 17 დეკემბერს ჩატარდა და ანა კალანდაძის დაბადებიდან 90 წლისთავს მიეძღვნა. საიუბილეო სალამოს ორგანიზატორი ის ინსტიტუტი იყო, სადაც ქართული პოეზიის ერთადერთმა დედოფალმა თითქმის მთელი ცხოვრება გაატარა. მართალია, ეს ინსტიტუტი დღეს მეცნიერებათა აკადემიას აღარ ეკუთვნის, მაგრამ მაინც „მასთან მოიაზრება“, მით უმეტეს, რომ მისი ყოფილი დირექტორი და ამ სალამოს ფაქტობრივი ორგანიზატორი, ქალბატონი გუჩა კვარაცხელია ხსენებული აკადემიის წევრია. მართალია, ანა პოეტი-აკადემიკოსი იყო, ის კი „მეცნიერული მიღწევებისთვისაა“ არჩეული, მაგრამ პარალელურად ლექსებსაც წერს და შეუძლია, პოეზიის დედოფალს თავიც კი გაუტოლოს და უთხრას: „ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი“.

ხუმრობა იქით იყოს და, თუ გულახდილად ვიტყვით, სალამოს ამკარად აჩნდა „თავის გატოლების“ კვალი.

როგორ უნდა მოახერხო, რომ რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში, ანას იუბილეზე, საზოგადოების ურჩეულესი ნაწილი მიიყვანო და მხოლოდ ორმოცდახუთწუთიანი პროგრამა დაახვედრო?!

შესაძლოა, მითხრან, მთავარი ხანგრძლივობა მაინც არ არისო. სალამო მართლაც შეიძლება იყოს ხანმოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი. გულსატკეპნი ისაა, როცა თან ცოტაა და თან არაფრით გამორჩეული.

უმდიდრესი და ულამაზესი პოეზია, ნამდვილი ლირიკული შედეგები სამშობლოზე, რწმენაზე, სიყვარულზე... ამ შედეგებზე შექმნილი უნაზესი მელოდიები, პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ზღვა ლიტერატურა — წიგნები, ლექსები, ესეები, რეცენზიები... და მხოლოდ ორმოცდახუთწუთიანი სალამო! მსახიობები (ყველაზე არ ითქმის) საყოველთაოდ ცნობილი ლექსებს თითქოს პირველად კითხულობდნენ. როცა იუბილარის ლირიკულ ქმნილებებზე უამრავი სიმღერაა დაწერილი, პროგრამაში სხვა პოეტის ლექსზე შექმნილი მელოდია არ უნდა ჩართო... აკადემიურ თეატრში, დიდი პოეტის აკადემიურ იუბილეზე ისეთი შემსრულებელი არ უნდა გამოიყვანო, ყველა ერთმანეთს რომ ეკითხებოდეს, ვინ მღერისო...

სცენაზე რომ აღარაფერი ხდებოდა, ყველას ეგონა, რომ ანტრაქტი დაიწყო და შინ წასვლას არავინ აპირებდა. როგორ, უკვე სახლში უნდა წავიდეთ? — გაკვირვება ვერ დაუმალავს ბიძინა ივანიშვილსაც...

კიდევ რა სჭირდება იმ დასკვნის გამოტანას, რომ პოეზიის დედოფალს ასეთი სალამო არ უნდა აკადრო?!

**P.S.** ზემოთ ანა კალანდაძეს ერთადერთი დედოფალი ვუწოდებ. ალბათ, გაიკვირვებ, აბა ორი დედოფალი სად გაგონილაო?! სად გაგონილა და საქართველოში! თვითგამოცხადებულებს რა გამოლევს...

\*\*\*

მეორე სალამო, ქართული ლიტერატურის მუზეუმში გამართული, რადიკალურად განსხვავებული იყო — ფორმითაც, შინაარსითაც, დონითაც...

ეს გამოფენაც იყო და ალბომის წარდგინებაც.

ალბომს „ორი ანა“ ჰქვია.

პირველი ისევ ანა კალანდაძეა, მეორე — ანა ნიკოლაძე.

პირველს წარდგინება არ სჭირდება, მეორეზე კი უნდა შევჩერდეთ: ნიკო ნიკოლაძის ძმისწული, რუსული ლიტერატურის მკვლევარი, პოეზიის მცოდნე და პოეტური ტალანტის თავყვანისმცემელი.

ალბომის წინასიტყვაობაში მისი შვილი, ცნობილი ლიტერატორი ზაზა აბზიანიძე აღნიშნავს: „ანა ნიკოლაძის ამ თვისებამ ისე მოხიბლა მისი ერთი ყოფილი სტუდენტი, რომ მან დიდ, საერთო რვეულში საგულდაგულოდ გადაწერა საკუთარი ლექსები და თავის ყოფილ ლექტორებს, გულისხმიერ მკითხველებსა და დამფასებლებს — ანა ნიკოლაძესა და მის მეუღლეს გიორგი აბზიანიძეს უსახსოვრა. ასე აღმოჩნდა ანა კალანდაძის ეს უნიკალური ხელნაწერი რვეული აბზიანიძეთა ოჯახში.“

ეს — ხელნაწერი, კალიგრაფიის მართლაც იშვიათი ნიმუში, მაგრამ გამოფენა?

გამოფენილი ანა ნიკოლაძის ფერწერული ნამუშევრები იყო.

ისევ ზაზა აბზიანიძის წინასიტყვაობიდან: „მხატვრობა მისი ცხოვრების მიმწუნრის საჩუქარი იყო. გარემოებათა გამო, საკუთარ თავთან და განუყრელ წიგნებთან პირისპირ დარჩენილს, თავის მასაზრდოებელ ბუნებას მონყვეტილს, თვითგადარჩენად მხატვრობა მოევიწინა და იმ პეიზაჟებს, იმ ანთროპომორფულად აყვავებულ ხეებს, სევდიან კვიპაროსებს, რომელთა სანახავადაც ვეღარ მიდიოდა, თავის ნახატებში მიუჩინა ადგილი“...

გამოფენა-წარდგინებაზე ცნობილი ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი მოკლე, მაგრამ ძალიან საინტერესო სიტყვას წარმოთქვამს. განსაკუთრებით საყურადღებო იქნება მისი მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება, ორი ტექსტის — პოეტურისა და ფერწერულის — სინთეზმა დაბადოს მესამე სახეობის ტექსტი.

აქ მოსაზრების მხოლოდ ფრაგმენტი გაგაცანით, ანუ ის, რისი მოსმენაც შეეძელი. საქმე ის არის, რომ...

თუმცა ჯერ კულტურაზე ვთქვათ. ანა კალანდაძის დიდი შინაგანი კულტურა, საოცარი მოკრძალება, სიმშვიდე და სიჩუმე საყოველთაოდ ცნობილია.

გული გულს იცნობსო და ანა ნიკოლაძეც ასეთი ბრძანებულა.

ეს მისი რძლის, ოლესია თავაძის გამოსვლით შევიტყვევებ. მისგან ხმაშალალ სიტყვას ვერ გაიგონებდითო, — აღნიშნა მან და ისიც დასძინა, თუ როგორ აპურებდა იგი ფანჯრის რაფასთან მოჩვეულ ჩიტებს...

სამწუხაროდ, მეტის მოსმენა ამ შემთხვევაშიც ვერ შეეძელი.

ეს — რაც ითქვა და ძლივს მოვისმინე. ისიც გულდასაწყვეტია, რაზეც ყურადღება არ გამახვილებულა: ანას ხელნაწერებში ცნო-

ბილი ლექსების განსხვავებული ვარიანტებია, ერთი კი ისეთია, მის ნიგნებში საერთოდ არ შესულა. ვინ შეიტანდა?!

ასეთი რა ხდებოდა? — აუცილებლად იკითხავთ.

ხდებოდა ის, რისი მოწმენიც თითქმის ყველა ვერნისაყსა თუ წარდგინებაზე ვართ. ზაზა აზზიანიძემ თავიდანვე სთხოვა დამსწრეთ, ბევრნი არა ვართ და ერთმანეთს მოვუსმინოთო. შემდეგ ეს თხოვნა რამდენჯერმე გაიმეორა, ისიც კი თქვა, დარბაზში ორმოცდაათიოდე კაცია და ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ხუთასი ადამიანი ერთად ხმაურობსო.

მიზანს ვერც ამ შენიშვნამ მიაღწია.

ეტყობა, რაღაც სერიოზული დაგვემართა.

მოსმენის, საერთოდ ქცევის კულტურა დაგვარგეთ.

კედლებიდან ანა ნიკოლაძის პოეტური და სევდიანი ნახატები გვიცქერდნენ, ალბომიდან — ანა კალანდაძის დახვეწილი კალიგრაფიით ალბექდილი ლირიკული ქმნილებები და დარბაზში მყოფთაგან ცოტა ვინმე თუ ფიქრობდა, რომ ჩვენს ქცევას ორივე ანა აკვირდებოდა.

არადა, აკვირდებოდნენ...

თინა მაგალობლიშვილი

„მუდმივი ქვედა“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როდესაც ადამიანი ვერ პოულობ გამოსავალს შექმნილი სიტუაციიდან.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— თბილისში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ოცნების ახდენა.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— პიერ ბეზუხოვი და დოსტოვესკის გმირები — ჩემი სისუსტეა.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— თამარ მეფე, ალექსანდრე მაკედონელი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ლადო გუდიაშვილი, თენგიზ მირზაშვილი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ვივალდი, შოპენი, ჩაიკოვსკი, ფალიაშვილი, ლალიძე.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— პასუხისმგებლობას, ინტელექტს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— სისადავეს, უშუალობას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— თავმდაბლობა, კეთილშობილება.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— კითხვა, კროსვორდის ამოხსნა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— მედეა ჩახავა, ანუკ ემე.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— მიზანდასახულობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— გულწრფელ ურთიერთობას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— წინააღმდეგობრივი ხასიათი (მიჭირს ადამიანებთან დაშორება, თუმცა წყენას ვერ ვივიწყებ).

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ახლობლების ჯანმრთელობა, მათი წარმატება.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ის, რისი გამოსწორებაც შეუძლებელია.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ძალიან ჭკვიანი და ძალიან ლამაზი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ცისფერი, ნითელი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— იასამანი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბელურა, მერცხალი.



— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ვაჟა-ფშაველა, დოსტოვესკი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონი, ოთარ ჭილაძე, ტერენტი გრანელი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— მარიტა, ანა კარენინა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ილია ჭავჭავაძე, ზვიად გამსახურდია, მერაბ

კოსტავა.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— შუშანიკი, ქეთევან წამებული.

— საყვარელი სახელები?

— ბექა, ელენე, ქრისტინე.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— სიყალბეს, ამბიციურობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმსახურა?

— ბევრნი არიან, არ დავკონკრეტდები.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეთ-ნაკლები ალტაცებისა?

— დიდგორი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— სიკვდილით დასჯის გაუქმება.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მათემატიკური.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— ძლიერი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ფიქრს მიცემული.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— გაუაზრებლად დაშვებული შეცდომა.

— თქვენი დევიზი?

— მუდმივი ქმედება.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— „ყველაფერი მიბატინებია“.

გურამ ბათიაშვილი

# მონოლოგები სიყვარულზე

## მოქმედი პირნი:

- ქეთი — 37 წლის
- ნიკა — 40 წლის
- სანდრო — 65 წლის
- ვანიკო — 50 წლის
- გოგი — 40 წლის

მოქმედების დრო — ჩვენი დღეები.  
 მოქმედების ადგილი — დასავლეთ საქართველო.

## მოქმედა პირველი

სასტუმრო ზღვისპირას დგას. აქ დასახლებულა პიესის ორი პერსონაჟი — ქეთი და ნიკა.

ნიკა. „ლეპტოპს“ ჩასჩერებია. წერს, შლის. მერე კითხულობს

ნიკა. (რეკავს მობილური ტელეფონი). ბატონო... არა, არ გავ-  
 მოვა, არა-მეთქი.

ქეთი. ოთახის კარს კი არ შემოაღებს, ლამის შემოამტვრევს.  
 იმდენად მოულოდნელად შემოვარდება, ნიკა ფეხზე წამოიჭრება.

ქეთი. მიშველეთ, დამეხმარეთ!

ნიკა. რა ხდება!

ქეთი. (ხელთ ტანსაცმელი, ჩანთა, გასაშლელი სანოლი უჭი-  
 რავს, ნიკას აჩერებს). აღარ შემიძლია მეტი, მე იმ ოთახში ვერ  
 ვიციხვრებ... არ მასვენებენ, ყველა ატრუებული კაცი ამ სას-  
 ტუმროში მოვიდა? დამიჭირე, ფრთხილად, არ დაჭმუჭნო! აშ-  
 მორებულია იქაურობა!

ნიკა. რა ხდება... ვინ ხართ, რა!..

ქეთი. აქამდე ღამე არ მასვენებდენ, მიკაკუნებდენ, გამო-  
 დიო, ახლა დღისითაც დაიწყეს. არ გესმოდა?

ნიკა. რა?

ქეთი. მთელი საქართველო უცხოთა საპარპაშო გახადეს.  
 ვაი! (სავარძელში ჩაეშვება). ასე შეიძლება? ყველას გაუღეს  
 კარი, მობრძანდით, ბატონო, საქართველოში იბალახეთო.

ნიკა. მერე თქვენ რა, პოლიტიკოსი ხართ?

ქეთი. ხომ უყურებთ, ახლა ქართველი ქალებიც მოინდო-  
 მეს. რა მეშველება!

ნიკა. ადმინისტრაციას უთხარით?

ქეთი. ბიჭბუჭები! ან ბილიარდს თამაშობენ, ან კომპიუ-  
 ტერში ომობენ, წაიღეს ტვინი! ესენიც გოგოებს დასდევენ.

ნიკა (გასასვლელად ემზადება) წამოდით, ვინ გიკაკუნებთ,  
 რა ხალხია!

ქეთი. (გზას გადაულობავს) არა, არა, არ გინდათ!

ნიკა. გავიგო, რა უნდათ.

ქეთი. არ იცით, რა უნდათ? ვერ ხვდები? მე იმათთან დავ-  
 ნებები? იმათი ქალი ვარ?! (ტანსაცმელზე) რა თონეში შემწვარი  
 გოჭივით გიჭირავს. საკიდარი არა გაქვს? დაკიდე! სანოლს აქ  
 გავშლი...

ნიკა. რა? სანოლს?

ქეთი. აბა, რა ვქნა, სხვა რა გზა მაქვს?

ნიკა. აქ დაიდინებ?

ქეთი (სანოლს შლის.) რა საშინელი ოთახი იყო!.. ან რა სუ-  
 ნი დგას! მაგ ოთახში სულ სექსი ჰქონდათ. დილას სექსი, სა-  
 ღამოს სექსი, შუადღეს... შუადღესაც?

ნიკა. კი, მაგრამ...

ქეთი. აა, ახლა ვხვდები... ალბათ, მაგ ოთახში სექსის ქა-  
 ლები იყვნენ და მეც ამიტომ მიკაკუნებენ. თქვენ არ გინა-  
 ხავთ?

ნიკა. არა, მე არ...

ქეთი. როგორ, იქ ფეხებაშვერილი, ტრ-მაღალი გოგოები  
 იყვნენ და ერთხელაც არ შესულხართ?...  
 ნიკა. იცით რა.

ქეთი. ახლა აივანზეც გადმოვიდნენ... ორი ბიჭი... შავები  
 იყვნენ...

ნიკა. რა უნდოდათ?

ქეთი. (ყურადღებით აცქერდება) შენ რა... ვერ ხვდები, რა  
 უნდათ? აზრზე ვერ მოდიხარ?

ნიკა. ჰო, კი, მაგრამ...

ქეთი. აბაზანა სად არის? (დაინახავს.) ჰო, აგერ! ოფლიანი  
 ვარ... წყალს გადავივლებ...

ნიკა (გაოცებული) რა?!

ქეთი. ოფლი ჩამოვიბანო, თორემ...

ნიკა. აქ — ჩემთან?

ქეთი. შენ წესიერი კაცი ჩანხარ... შენ იმათ არ გავხარ... იმ  
 ტრ-მაღალ გოგოებთან ერთხელაც არ შესულხარ და მე შემო-  
 მივარდები?

ნიკა. რას ამბობთ!..

ქეთი. შეტრიალდი, შეტრიალდი, რა! (ხალათს იხდის.) მხო-  
 ლოდ ნუ დამაფთებ... ვითომ პლიაჟზე ვართ... (აბაზანაში შე-  
 დის) გიორგი გქვია, არა?

ნიკა. (დაბნეული) ნიკა. აქ მე ვცხოვრობ, ეს ჩემი ოთახია,  
 აქ როგორ დაიდინებ!

ქეთი. აბა, რა ვქნა? იმათთან შევიდე, შენს მეზობლებთან?

ჩემი ტანსაცმელი კიდევ თონეში შემწვარი გოჭივით გიჭი-  
 რავს? ამოდენა ოთახში საკიდარი არა გაქვს?!

ნიკა. კი, როგორ არა!

ქეთი. ჰოდა, დაკიდე! რა კარგია თბილი წყალი! მიშველ სხე-  
 ულზე ისე გეაღერებს, როგორც ნამდვილი შეყვარებული.

ნიკა. თუ შეიძლება, თუ შეიძლება!

ქეთი. არა, არა, ასე მიშველი ვერ გამოვალ, თან სველი  
 ვარ... იქნებ ქართველი არცა ხარ და... რაო, რა მითხარი, რა  
 მქვიაო?

ნიკა. ნიკა.

ქეთი. ჰო, ნიკა, გეხვენები, გემუდარები, არ შემოხვიდე,  
 სულ მიშველი ვარ... სულ...

ნიკა. სად, სად უნდა შემოვიდე?

ქეთი. აქ, აბაზანაში. ძალიან გინდა? მიშველი ვარ...

ნიკა. აარა... რას ამბობ!.. ქეთი რომელიცა მელოდისა წა-  
 მოიწყებს. ნიკა ქეთის ტანსაცმელს სავარძელში ჩაყრის. კი, მაგ-  
 რამ... სამუშაოც მაქვს...

ქეთი. და შენ გგონია, მე ხელს შეგშლი? თუმცა, იცი, რას  
 გეტყვი? თუ ისვენებ, უნდა დაისვენო, რა დროს სამუშაოა!

ნიკა. ეგრე სად არი!

ქეთი. რა კარგია, გასაჭირისას კარგი კაცი რომ შეგხვდე-  
 ბა. აი, შენ რომ არა, რა მეშველებოდა... ძალიან მადლობელი  
 ვარ, ძალიან., ერთი ეს მითხარი, სწორად მიგაჩნია ის, ასე  
 რომ შემოყარეს ამდენი ხალხი? აზიელები, აფრიკელები. სწო-  
 რია? ვითომ ევროპელები სულელები არიან, ძალიან ფრთხი-  
 ლად რომ გვიღებენ კარს?

ნიკა. კი, ბატონო, მაგრამ... მე რა შუაში ვარ...

ქეთი. ამ დილით პლიაჟზე მათვალაიერებდი. თუ ასე გაინ-  
 ტერესებს, ცოტა ხნით შემოდი და შემათვალაიერე. სულ შიშ-  
 ველი ვარ...

ნიკა. ამ დილით ინტერნეტი ჩაირთო და... ბევრი საქმე  
 მქონდა.

ქეთი. (მიშველ მკლავს გამოჰყოფს) პირსახოცი!

ნიკა. რა?

ქეთი. პირსახოცი! გიორგი... უჰ... ნიკა, თუ ძალიან გინდა,  
 სულ ცოტა ხნით შემოდი, სულ ცოტა ხნით... მაგრამ შენც უნ-

და გაიხადო, დასველდები!.. (შიშველ ფეხს გამოჰყოფს) შენთან კარგია, მიხარია, ასე კეთილი მასპინძელი რომ აღმოჩნდი...

**ნიკა.** რა მასპინძელი, რას ამბობ...იმდენი საქმე მაქვს.

**ქეთი.** როგორი ფეხი მაქვს? მოგნონს? სავარცხელი მომანოდე, რა!

**ნიკა.** სავარცხელი? არა მაქვს.

**ქეთი.** აი, მანდ ჩანთა ხომ დევს... ჩანთას ვერ ხედავ? ჩაყავი ხელი... იბოვებ? (კარზე აკაკუნებენ) შემომიტანე და უმალ გადი!

**ხმა.** ბატონო ნიკა, ბატონო ნიკა!

**ქეთი.** სავარცხელი... ჩანთაშია, თეთრი სავარცხელი.

**ხმა.** ბატონო ნიკა, ბატონო ნიკა!

**ქეთი.** ნიკა, ხმას რატომ არ მცემ?

**ხმა.** სანდრო ვარ, ბატონო ნიკა, სანდრო!

**ქეთი.** ნიკა, სხვა თუ არაფერი გაქვს ამოსაღები, ხმა მაინც ამოიღე, მიპასუხე. რას ელოდები?

**ნიკა.** (სავარცხელს მონახავს, მიანოდებს) ჩემთან სტუმარია, თუ შეიძლება, ნუ იხმაურებ! (აბაზანის კარს გადაკეტავს, შემოსასვლელ კარს აღებს. კართან სანდრო დგას). მობრძანდით, ბატონო სანდრო! (სანდრო უძრავად დგას) მოხდა რამე? (დუმბილი) ხომ მშვიდობაა?

**სანდრო.** (ხელი ყურთან მიაქვს) ვერ გავიგე, რა მითხარი?

**ნიკა.** რა მოხდა-მეთქი!

**სანდრო.** მეც სწორედ ამის გასაგებად მოვედი. მითხრეს, აქ არისო, და მოვედი, რომ გავარკვიო ჩვენი საკითხი.

**ნიკა.** არაფერი, რა უნდა მომხდარიყო!

**სანდრო.** არაფერი? (ოთახში შემოდის, იქნებ გამომწვევად დააბიჯებს). აბა, რატომ გვაქციეთ ზურგი. ღმერთმანი, არ ვართ ჩვენ გადასადგები ხალხი. პატიოსნად ვასრულებთ ჩვენს სიტყვას — ანგარიშს დროულად გისწორებთ. თუ მეტყვი ერთ შემთხვევას, რომ თანხა დროზე არ გადავიხადეთ, ან დაგაკელით რამე!

**ნიკა.** არა, არა, ყველაფერი რიგზეა.

**სანდრო.** რა თქვი? (ხელი ყურთან მიიღო) ცოტა ხმა მაღლა ილაპარაკე, ხომ იცი, სმენა უზნეო ცოლივით მლაღატობს. ისინი მეტს გიხდიან? ვილაპარაკოთ, იქნებ ჩვენც დავიკლოთ ცოტა და თქვენ მოგიმატოთ.

**ნიკა.** არა, ყველაფერი რიგზეა. ერთ თვეში ჩვენს კუთხეში დამსვენებელს ვერ ნახავ, თქვენ საქონელს ახალაიებს აძლევთ, ჩვენი მალაზიები კი ცარიელია.

**ნიკა.** ეგ საქმე მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული.

**სანდრო.** თქვენ ჩვენს ფულს ატრიალებთ, ერთ დოლარს 20 ცენტი მოგება მაინც მოაქვს და ჩვენ უქმად ვდგევართ.

**ნიკა.** ბატონო სანდრო, თქვენ საგადასახადოსთან საერთო ენა ვერ მონახეთ, არ გვინდა შარში გავყოთ თავი.

**სანდრო.** საგადასახადოსთან საერთო ენას უჭკუო ხალხი ვერ პოულობს... რომელ ჩვენგანს შეამჩნიე... დღეს საგადასახადო ის არი, რაც ადრე ობხეხესი იყო...

**ქეთი.** (სააბაზანოდან, კარზე აბრაზუნებს) გამიღეთ კარი!

**სანდრო.** საგადასახადოსთან ჩხუბი ყელის გამოჭრას ნიშნავს.

**ნიკა.** აბა, რატომ ამბობენ ასე?!

**სანდრო.** იმიტომ, რომ საქონელი არ მოგვცეთ. ჩვენი ჩაძირვა უნდათ. ვერ მოესწრებიან!

**ქეთი.** (სააბაზანოდან. აბრაზუნებს) გამიღეთ, ვიგუდები, არ შემიძლია!

**სანდრო.** (ხმაური მისწვდება. შემფოთებული) იქ ვინ არის? ვინ გვისმენდა?

**ნიკა.** (დაბნეული) არა, არაფერი.

**ქეთი.** (კარს ეჯახვურება) გამიღეთ, მიშველეთ!

**სანდრო.** აქ ვილაცა გყავთ!

**ქეთი.** აღარ შემიძლია!

**სანდრო.** ვინ ყვირის? ვინ დამაღეთ! (შემფოთებული) რა არის ეს, ვინ გვისმენდა!

**ნიკა.** არავინ, ბატონო სანდრო, ნუ შიშობთ!

**ქეთი.** (კარის ვალებას ლამობს) გააღეთ, გამომიშვით!

**სანდრო.** როგორ თუ არავინ, ვილაცა შევლას ითხოვს. (გასასვლელ კარს ეცემა) ეს რატოა ჩაკეტილი?

**ნიკა.** ქალია, ბატონო სანდრო, დამშვიდდით!

**სანდრო.** ვინ ქალი, რა ქალი! (შურა გაუბრწყინდება) ცოლი? ცოლით ხარ ჩამოსული და ამას მიმაღავდი?



**ნიკა.** (ხმადაბლა) მაგასთან არ არის საქირო საქმეზე ლაპარაკი. ქალია მაინც! მე ექიმი ვარ და ხელფასი რომ არ გყოფნის, ხომ იცით... დღეს ყველა რაღაც საშუალებას ეძებს. (სააბაზანოს კარს გადაღებს) აი!

**სააბაზანოდან თითქოსდა დახრჩობის პირას მისული ქეთი გამოვარდება.**

**სანდრო.** კარი ჩაგეკეტათ, ხომ? ჩინური საკეტია ალბათ... არ უნდოდათ რუსული — მაგარი გამძლე.

**ქეთი.** გავიგუდე.

**ნიკა.** კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო სანდრო, ხვალ-ზეგ ყველაფერს გავარკვევთ.

**სანდრო.** შე კაცო, თუ ოჯახობასთან ერთად ბრძანდები, ასე რავა იქნება. აჰ!

**ქეთი.** (ნიკას ხელს გაუყრის) ნიკა, რატომ არ გამაცნობ ბატონო...

**სანდრო.** (ქეთის მიუახლოვდება, ელეგანტურად ემთხვევა ხელზე) ისე მოხარული ვარ, მშვენიერო ქალბატონო, ნიკას მეუღლის გაცნობით... (ნიკას) არ მოიქეცი სწორად, ღმერთმანი, თუ თანამეცხედრესთან ერთად იყავი ჩამოსული, უნდა გვცოდნოდა...

**ქეთი.** დღეს ჩამოვედი, მოულოდნელად.

**სანდრო.** ბატონო? ცოტა ყური მლაღატობს...

**ქეთი.** არ წამომიყვანა, მაგრამ თავად ჩამოვედი.

**სანდრო.** ყოჩაღ, ყოჩაღ, ნიკა, გადასარევი თანამეცხედრე გყოლია!

**ქეთი.** (ნიკას მიეკვრება) ჩემო თანამეცხედრე!

**სანდრო.** მოყვარული ცოლ-ქმრის ცქერას რა სჯობია, ჩემო ნიკა! (ქეთის) მე თქვენს მეუღლეს დიდ პატივს ვცემ, მშვენიერო ქალბატონო. სადღაა დღეს ასეთი წესიერი, ამნაირი სიტყვის კაცი!

**ნიკა.** (ანყევტინებს) ორ-სამ დღეში, ოჯახი მომიკითხეთ...

**სანდრო.** აჰ, რავა გეკადრებათ, აბა, რისთვის მოვედი აქ ამხელა კაცი — ახლა წამობრძანდებით და თავად მოიკითხავთ.



**ნიკა.** დღეს არ გამოვა, ბატონო სანდრო, აგერ ქალბატონი...  
**ქეთი.** მე არა ვარ დალლილი, კარგად ვიმგზავრე...

**სანდრო.** ნამოდით, სუფთა ჰაერი ისუნთქეთ, ეგერ იმ მთის ძირშია ჩემი სოფელი. აქედან 20 ვერსი იქნება...

**ნიკა.** სხვა დროს, სხვა დროს... დღეს არ იქნება.  
**სანდრო.** დავსხდეთ ჩეროში, ნაღდი ვჭამოთ, ნაღდი ვსვავთ. ვიმუსაიფოთ, ორიოდე ტკბილი სიტყვა ვუთხრათ ერთმანეთს.

**ქეთი.** (ნიკას მრავალმნიშვნელოვნად) შენ მუსაიფზე მაინც არ უნდა თქვა უარი.

**სანდრო.** რომ იცოდეთ, რა ეზო მაქვს. სამოთხეა, ნამდვილი სამოთხე!

**ნიკა.** მოვალთ ამ დღეებში, მოვალთ.  
**სანდრო.** სტუმრის დიდად მოყვარულები ვართ, სტუმარი ნუ მოგვიშალს ღმერთმა!

**ქეთი.** (ნიკას) ეს კაცი მე რატომ არ მისმენს?  
**სანდრო.** ჰე, ნავედით, რალას ველოდებით?

**ნიკა.** ბატონო სანდრო, თანედანვე უნდა მეთქვა, სწორედ ვერ გაიგეთ... ეს ქალბატონი...

**სანდრო.** ამდენი დრო აღარ არის. იქ ვილაპარაკოთ!  
**ნიკა.** არა, საქმე სულ სხვაგვარადაა...

**სანდრო.** სუფრაზე, სუფრაზე! სმისას ტკბილ მუსაიფს რა სჯობია!

**ნიკა.** რაღაც გარემოება რომ არ მაძლევს უფლებას?  
**სანდრო.** გარემოება გარემოებაა, ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობა, კი ხომ იცით, რაც არის! გავსწიოთ, მეტი ლაპარაკი ნურც იქნება ამაზე! აბა, სანამ ჩაიცმევთ, მოტორისტთან შევალ, მანქანა მყავს მიყვანილი (გადის) დაბლა ვარ...

**ნიკა.** (გარემოებათა ასეთი დამთხვევა არ მოსწონს, მაგრამ) უნდა წამომყვე, სხვა გზა არა მაქვს.

**ქეთი.** შენთვის დავიხვანჩაღე?  
**ნიკა.** შენ თავში ჩიტები ხომ არა გყავს?

**ქეთი.** კი, როგორ არა!  
**ნიკა.** ბევრი?

**ქეთი.** შენ რამდენი გინდა? ცოლს როგორ ელაპარაკები? ნესიერი კაცები თანამეცხედრეს ასე არ ელაპარაკებიან. ვინ არის ეს კაცი, სააკაძესავით რომ აუპრეხია უღვაშები!

**ნიკა.** ჩვეულებრივი ქართველი კაცია!  
**ქეთი.** რა კაცია-მეთქი!

**ნიკა.** (დაბნეული) ეგა?  
**ქეთი.** ჰო, ეგა, ეგა! ენა რატომ დაგება?

**ნიკა.** (უცებ) ეგ კაცი ცნობილი ნუმისმატიკოსია.  
**ქეთი.** ვინა? ეგ კიდევ რა არი!

**ნიკა.** (შეგონებით, უპირატესობის გრძნობით) ნუმისმატიკოსი არის მეცნიერი, რომელიც ფულების, ძველი მონეტების ამოცნობაზე მუშაობს.

**ქეთი.** რაო, რაზე მუშაობსო?  
**ნიკა.** ეგ ძველი ფულების ამომცნობი კაცია.

**ქეთი.** (გულიანად ხარხარებს) აი, ვის ჰყოლია ჩიტები! შენ ან ძალიან შაყირისტი ხარ, ან აფერისტი — ფულს რა მეცნიერება უნდა!

**ნიკა.** (ქეთის სიცილი გადაედება) ბავშვიც იცნობს, ხომ?  
**ქეთი.** არა?

**ნიკა.** ისე შენ ასეთი რამ საიდან უნდა იცოდე, შენ მხოლოდ ის იცი, ხალათი როგორ შემოიხიო ტანზე და შიშველი ფეხები...

**ქეთი.** (ხალათს გადაიხევის, შიშველ ფეხზე) იქნებ არ მოგნონს?

**ნიკა.** გაგიჟებული ვარ, სულ სიზმარში ვნახულობ!  
**ქეთი.** (მიუახლოვდება, თვალეში ჩააცქერდება) ნუთუ მართლა არ გეიზმ-რებოდი? ერთხელაც არა? (იქმნება შთაბეჭდილება, რომ უნდა აკოცოს) სულ არა?

**ნიკა.** (სიტუაციაში ვერ გაერკვევა, თავს უხერხულად გრძნობს) ჩაიცივი და ნავედეთ, დროზე!

**სანდროს სუფრა აივანზე გაუშლია. როგორც ჩანს, კარგა ხანია სხედან — ღვინო მოჰკიდებიათ. წვიმს. მოქმედების განმავლობაში წვიმა ხან გაძლიერდება, ხანაც მინელდება.**

**სანდრო.** მე არ მიყვარს მცონარა კაცი. მოკლეა ნუთისოფელი, მოკლე, და ამიტომ ჰქვია მოსწრება. თუ გინდა, სასტუმრო დავარქვით საწუთროს, რალა ჩვენი დარქმევა უნდა, — ისედაც სასტუმროა. ჩვენ კი მისი მდგომარეობა ვართ. ზოგი საპრეზიდენტო ლუქსში მოხვდება, ზოგი ლუქსში, ზოგი გვარიანად გამართულში, ბევრი ცოტა მოწყობილში, უფრო მეტი — უბრალო ნომერში. სულ გარეთ რამდენი ყრია, სასტუმროში რო არც შემოადგმევენებენ ფეხს — მთელი სიცოცხლე წვალბობს, ჯახირობს, რომ გახდეს სასტუმროს მაცხოვრებელი.

**ქეთი.** ორი სიტყვა, ორი სიტყვა მათქმევინეთ!  
**ნიკა.** აცალე, არც ესმის შენი.

**სანდრო.** ამიტომ ვართ ერთ ამბავში, ვჯახირობთ, ვითომ რაცხას ვშობთ, სინამდვილეში თავს ვიტყუებთ. კი, კი თავს ვიტყუებთ. ყველაფერი გაკეთებულია უკვე. მერე მოგვადგებიან და... ისე დაუკითხავად მოგვაკითხავს ამ სასტუმროდან გამოსახლებელი, მოხედვას ვერ მოასწრებ.

**ქეთი.** (სკამზე შესტება) სანამ სადღეგრძელოს არ მათქმევინებთ, არ ჩამოვალ.

**სანდრო.** აჰ, მაპატიეთ, ბრძანეთ! აბა, ქეიფი იწყება!  
**ქეთი.** ქალის სიმდიდრე სიყვარულის ნიჭი და ერთგულებაა. უბედურია ქალი, ვისაც სიყვარული არ განუცდია და მერე პირველი კოცნის ერთგულებისთვის არ უბრძოლია. თუ სიყვარულისა და ერთგულების ნიჭს დავკარგავთ, ბევრი, ძალიან ბევრი რამ გამოგვეცლება ხელიდან. (ჭიქას ნიკას მიუჭახუნებს) არა, ნიკა? (ნიკა უხმოდ შესტყერის) აბა, დავლიოთ, ხომ?

**ნიკა.** (სვამს) კი ბატონო, კარგია!  
**ქეთი.** ღვინოს ლიმონათივით რომ სვამ, რას აპირებ?

**ნიკა.** საჭესთან მე დავჯდებიო, ხომ მითხარი.  
**ქეთი.** სასტუმრომდე ისე ჩაგასრიალებ, გეგონება, ზღვაში კრეისერით მივცურავთო.

**ვანიკო.** (შემოდის) რა სანატრელი, საყვარელი ხალხი ამოსულა ამ სიმაღლეზე, კაი გამარჯობათ! მოხარული ვარ თქვენი სტუმრობის, აბა, რა! (მხედრულად ესალმება) მოგესალმებათ ამ კუთხეში ცნობილი „მალიარი“ და „ჟესტინანშიკი“ ვანიკო!

**სანდრო.** სად ხარ ამდენ ხანს, ჩემო ვანიკო!  
**ქეთი.** ამ სოფელში ყველა ოფიცერია?

**ვანიკო.** აჰ, ჩვენს სოფელში ოფიცერს რა უნდა, აქ ყველა გენერალია. სალდათი ერთია და ისიც მე ვარ, ხო ვყოფილვარ მაგარი!

**სანდრო.** ოქროს ხელი აქვს ჩვენს ვანიკოს — მანქანას ისე აკეთებს, ავ თვალს არ დაენახვება!  
**ვანიკო.** მე, გენაცვალეთ, ქუთაისიდანაც კი მომდიან მუშტრები!

**სანდრო.** ე, ვანიკო, მომხედვე, თორემ წამიხდა პურ-მარილი, მწვადები გვაკლია, მაგრამ ჯერ სუფრა, სტუმრები დამილოცე!

**ვანიკო.** იდღეგრძელეთ! (ქეთის და ნიკას) რავა უხდებით ერთმანეთს, ერთიმორისათვის გაუჩენიხართ ღმერთს, კიდევ იტყვის ვინმე, ცოლ-ქმრის საქმეში ღმერთი არ ურევიაო?

**სანდრო.** გაგვიცივდა პურ-მარილი!  
**ვანიკო.** მტერი გაგიცივდეთ, მტერი! (ჭიქას აიღებს) ასე ვიტყვი მე: შეილი ცხრა მოგვით დემრთმა, მტერი — თქვენი კარგად ყოფნით, გაშტერებული, მეგობარ-ამხანაგი — დამნდობი, ჯიბე — ბარაქიანი, არც „ჟესტინანშიკი“ დავჭირვებოდეთ, არც ექიმი და არც პატრული, საგადასახადოზე ხო ლაპარაკიც არ არის, ამოიღეს სული! (სვამს) ა, ასე დაგეცვალეთ მტერი! ნავედი, აგერ ვარ, მაყალთან, ყელი არ გამომჭრათ, სადღეგრძელო არ გამომაპართ!

**სანდრო.** აბა, ქეიფი გრძელდება! ხომ ხედავთ, რა ამინდია, ჩამოიქვა ზეცა. ამაღამ ჩემთან მოგასვენებთ, ამნაირი წვიმის შემდეგ, ზღვა სამი დღე უშფურთ იქნება.

**ქეთი.** (შემპარავად). ახლავე ხო არ ნავედეთ?  
**ნიკა.** მასპინძლის უდღეგრძელბლად?

**ქეთი.** თქვენ სადღეგრძელოები არ გამოგეღვებით!  
**სანდრო.** ახლა კი მინდა, თქვენი ოჯახის სადღეგრძელო დავლიო. კიდევ არ გიცნობდეთ, ადამიანი თქვენი დანახვის-თანავე დარწმუნდება, რომ ჩინებული, ერთმანეთის გამგები და მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ხართ. ამნაირმა ოჯახურმა სიტუაციებამ მოიყვანა ქვეყანა დღემდე. ამიტომ მინდა პირადად თქვენ, ჩემო ნიკა, თქვენ — მშვენიერო ქალბატონო... **(ნიკას)** უკაცრავად ვარ, ძვირფასი მეუღლის სახელი გამომეპარა **(ქეთიმ მყის ხაჭაპურის მოზრდილი ნაჭერი ჩაიდო პირში).**

**ნიკა.** **(უმნეოდ გადახედავს ქეთის)** რა...  
**ქეთი.** **(პირი ხაჭაპურით აქვს გამოტენილი. რაღაცას ზმუის, ნიკას ანიშნებს სახელი უთხარიო).** მმმმ...

**ნიკა.** მაგის სახელად ისიც კმარა, ჩემს მეუღლეობას რომ წაეპოტინა.

**სანდრო.** რა მითხარით, ვერ გაგიგე, რა ჰქვიაო!  
**ნიკა.** **(ქეთის).** რა გქვია სახელი! **(ხმამალა)** თქვენ რაც გინდოდეთ, ის დაუძახეთ!

**სანდრო.** მაგას ყველანაირი სახელი დამშვენდება, მაგრამ...

**ნიკა.** ნათელა, ბატონო სანდრო, ნათელა!  
**სანდრო.** მაგიტომაც ვადგას ასეთი ნათელი მაგ სახეზე, ჩემო ქალბატონო!

**ნიკა.** ნათელა, სწორედ ნათელა!  
**ქეთი.** **(ხაჭაპურს გადაყლაპავს).** ქეთი, ბატონო სანდრო, ქეთი!  
**სანდრო.** გადასარევი სახელია, სახიერი, ნათელი.

**ქეთი.** **(ხმამალა).** ქეთი-მეთქი, ქეთი!  
**სანდრო.** ქეთი?

**ქეთი.** დიახ, ქეთი!  
**სანდრო.** უკაცრავად ვარ, ცოტა ყურს მაკლია-მეთქი, კი გითხარით და...

**ნიკა.** ქეთი, ქეთევანი პასპორტში უნერია, თორემ შინაურობაში ნათელას ვეძახით.

**ქეთი.** მერე ჩვენ ახლა შინაურებში ვართ?  
**სანდრო.** ეს კი ვერ მომიწონებია შენგან, ჩემო ნათელი ქეთი, მართალია, ამ ბოლო ხანს ნიკამ ხელი აიღო ჩვენზე, თორემ... რომ იცოდეთ, რამდენი სიკეთე გაუკეთებია... სწორედ იმიტომ, რომ ძალიან შინაურები...

**ქეთი.** **(ნიკას)** პარლამენტარი ხარ?  
**ნიკა.** სსს...

**ქეთი.** უმცირესობა თუ უმრავლესობა?  
**ნიკა.** **(გაფრთხილების ინტონაციით)** უსმინე!

**ქეთი.** არა, შენ ისეთი მაგარი გიჭირავს, პროკურორი იქნები, წინა ხელისუფლების წევრებს — დღეს უმცირესობას — იჭერ, ხომ? **(სანდროზე)** ეს მენარმეა და წინა ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული ქონების დაბრუნება უნდა. ბატონო სანდრო, თუ საიდუმლო არ არის, ასეთი რა სიკეთე გაგიკეთათ?

**სანდრო.** ბევრი, ძალიან ბევრი.  
**ქეთი.** მაინც, მაინც, ბატონო სანდრო!

**სანდრო.** **(გამოსავალი მონახა)** თვითონ გეტყვით.  
**ნიკა.** ძველი ამბავია, რა საჭიროა!

**ქეთი.** ცოლმა ქმრის ამბავი ყველაზე გვიან უნდა გაიგოს?  
**ნიკა.** ახლა კი დაგემშვიდობებით, ბატონო კოტე!

**ქეთი.** ყველაზე გადაყოლილია. ისე იღლება, შინ რომ მოდის, აღარაფრის თავი აღარა აქვს. აღარაფრის! აი, დღესაც ლამის ოთახიდან გამოიძვლო: ნაციონალებმა რომ ხალხს ქონება წაართვეს, იმის უკან დაბრუნებაზე ვფიქრობ, ხელს მიშლიო. ყველა გაიძახის, ქონება წამართვესო. ადრე ტიროდნენ, ბლაოდნენ, ღარიბი ვართ, არაფერი გაგვაჩნიაო...

**სანდრო.** ცხოვრება ხომ უნდათ, ყველა დროში ცხოვრების სხვადასხვა საშვალეება.

**ნიკა.** **(ქეთის გაოცებული შესტყერის, წამოდგება)** ბატონო სანდრო, დიდი მადლობა, ასეთი კარგი...

**სანდრო.** **(ანწყვტილებს)** აჰ, არ იქნება, არაფრით არ გამოვა ახლა თქვენი წასვლა!

**ნიკა.** გადაუდებელი საქმე რომ არ მქონდეს, ასეთ პურ-მარის...

**ქეთი.** სულ ასეა, ბატონო სანდრო, სულ!  
**სანდრო.** **(გასძახის)** ვანიკო, რას შობი, ხომ არ გაგიცოცხლდა ის თხა და ხომ არ გაგექცა?

**ვანიკოს ხმა.** ახლავე, ახლავე, იწვება!  
**წვიმა ძლიერდება.**

**ქეთი.** **(ნიკას შემპარავად)** იქნებ მართლა წავიდეთ? მერე რა, რომ ასეთი ცუდი ამინდია, გზაც ოღრო-ჩოლროა, იქნება წყალიც მოვარდეს...

**ნიკა.** ისეთი არაფერი...  
**სანდრო.** როგორ არაფერი, ამინდი ძალიან ცუდია, აგერ ვისხდეთ, ვიჭუჭუკოთ, მერე ნეფე-დედოფალივით მოგასვენებთ.

**ქეთი.** მეშინია, არ აწყინოს...  
**სანდრო.** ჩემი ღვინო არ აწყენს. ერთი სადღეგრძელოც უნდა მოგახსენოთ: რისთვის ვცხოვრობთ ამქვეყანაზე, რისთვის ვიდგამთ წელებზე ფეხს? არ უნდა დიდი გამოცანა: ჩვენი მომავლისთვის, იმისთვის, რომ იმათ შევუქმნათ... ჩვენს შვილებს გაუმარჯვოთ, კარგად გვიმყოფოს, აბა! **(სვამენ)** თქვენ ჯერ არ გყავთ, ხომ?

**ქეთი.** მოზრდილი ქალ-ვაჟი.  
**ნიკა.** ნათელა!

**ქეთი.** რა მოგივიდა, ნიკა — ქეთი, ხო არაფერი გინდა?  
**სანდრო.** **(დაბნეული)** კი მაგრამ... თქვენ ხომ ახლახან...

**ქეთი.** რა იყო, ნიკა, ჩვენ ხომ შინაურებში ვართ.  
**ნიკა.** ბატონო სანდრო, საქმე ისაა, რომ... ეს ქალბატონი განა მართლა...

**ქეთი.** ქეთი.  
**ნიკა.** დროზე რომ მეთქვა, ასე ხომ არ გავწვალდებოდით: ქეთი განა მართლა ცოლია ჩემი...

**სანდრო.** **(ენა ებმის)** იისაა... ხოო...  
**ქეთი.** სიმართლეს გეუბნებათ, ბატონო სანდრო, სიმართლეს...

**სანდრო.** რავა, ბატონო — ცოლი არ არის?  
**ქეთი.** სასტუმროში ხომ გითხრათ, მეუღლეა ჩემიო. ხომ კარგად გახსოვთ?

**სანდრო.** მას მერე კი არ დაგვადებულვარ!  
**ქეთი.** ახლა იტყვის, საერთოდ არ ვიცნობ, დღეს პირველად ვნახე, დღემდე თვალიც არ მომიკრავსო. რომ დათვრება, სულ ასეა! და ამას კიდევ მანქანაზე უნდა დაჯდომა. ზვალ დილას მეტყვის, საიდან სადა, ეგეთი რამ არ მითქვამსო. თქვენ მაინც დამიმონმეთ, რომ ასე თქვა.

**სანდრო.** არა, ცუდი არაფერი უკადრებია.  
**ნიკა.** რა უნდა ვკადრო, დღეს პირველად...

**ქეთი.** აი! თხუთმეტი წელიწადი უცებ ჩამიყარა წყალში.  
**სანდრო.** პირველად?

**ნიკა.** დღემდე თვალიც არ მომიკრავს.  
**სანდრო.** **(გულიანად იცინის)** თქვენ აგაშენათ ღმერთმა! რა კარგია, ცოლ-ქმარი რო ასეა შესუმრებული.

**ქეთი.** თუ სიმართლე გინდათ, მე გეტყვით, ყველაფერს გეტყვით.  
**სანდრო.** **(იცინის)** რას ამბობთ, როგორ არ მინდა!

**ნიკა.** შენ სცენაზე უნდა იდგე! **(ჭიქას შეავსებს, დალევს)**  
**ქეთი.** მაინც არ მასვენებს შიში — ამაღამ რომ ცუდად გახდებ?

**სანდრო.** ჩემი ღვინო არ აწყენს. დალიოს. ისა... ისა... კანონიერი ცოლ-ქმარი ხომ ხართ!

**ნიკა.** როგორ არა, როგორ არა, როგორც იქნა, ავისრულეოცნება!

**ქეთი.** ა, ასე იცის: ზღვის მოქცევასავით არი, ხომ თქვა, ოცნება ავისრულეო, ხუთ წუთში ისევ იტყვის, პირველად ვხედავო.

**სანდრო.** ეგ არაფერი, ღვინომ იცის, მარა არც იმდენი დაუღევიანა... სადღეგრძელო, ნამდვილი სადღეგრძელო: ნამდ-

ვილ სიყვარულს გაუმარჯოს! აი, შენ სიყვარულის ნამდვილი მონა ხარ, ჩემო...

ქეთი. ქეთი.

სანდრო. შენ ქეთი კი არა, იზოლდა ხარ. ნამდვილი იზოლდა! ჩვენი თაობის სიყვარული თურმე კიდევ ცოცხლობს.

ქეთი. (ნიკას) ახლოს მოინი, ტრისტან, ნუ გადარიე ეს კაცი! (თავზე ხელს გადაუსვამს, ეალერსება)

სანდრო. ერთხმად, ერთხმად ვსვამთ! (სვამს) ა, ასე მტერი დაგეცალოთ! (ნიკა უხმოდ სვამს).

ქეთი. (ადროვებს, ვიდრე ჭიქას დაცლიდეს, ალერსით) ცუდად რომ გახდე?

ნიკა. ერთი წუთით უნდა დაგტოვოთ. (მიდის)

სანდრო. მიგაცილებ (ნიკას მიჰყვება) ხომ კარგად ხარ?

ნიკა. კი, ბატონო სანდრო, საქმე ისაა, რომ ეს ქალი...

სანდრო. კარგი ქალია ძალიან, მხიარული, მეუღლის მოყვარული...

ნიკა. არა, მე უბრალოდ...

სანდრო. ხათრს გვისწორებს, უყვარს ხუმრობა.

ნიკა. (ხელს ჩაიქნევს) აქეთაა ხომ ტუალეტი?

სანდრო. აგერ, ხელმარცხნივ... ამ კიბეს ჩაივლი და...

ნიკა. მადლობთ.

ქეთი. ჯვრისწერა მართლა არ გეკონია, მაგის გამზრდელი მამიდა არ შვრება.

სანდრო. დრო რომ გარბის?

ქეთი. რა ვქნათ, ბავშვები ნამოიზარდნენ, მამიდას ხომ ვერ მოვკლავთ. თუმცა ჩემს გარდა სხვა ქალი არ უნდა!

სანდრო. არ მომწონს მე ეს ამბავი, ნამდვილად არ მომწონს.

ქეთი. ჩემ გარდა სხვა ქალი რომ არ უნდა, ის არ მოგწონთ, თუ...

სანდრო. ეს კარგია, მაგრამ... მამიდა... რატომ ჯიუტობს ასე... რამე უბედურება არ მოხდეს — გამწარებული კაცი...

ნიკა. (შემოდის) ახლა კი ნამდვილად დაგემშვიდობებით, ბატონო სანდრო (ჭიქას ასწევს), დიდი მადლობა!

სანდრო. ცოტა ნასვამი ხარ და...

ნიკა. ხომ დარწმუნდით, რა ყოჩალი ქალბატონი მახლავს. ეს მიუჯდება საჭეს.

ვანიკო. (შემოდის შამფურზე ნამოგებული შიშინა მწვადებით) პა პა პა, მოვიდა და რა მოვიდა, მკვდარს გააცოცხლებს!

ნიკა. დიდი მადლობა.

ვანიკო. ჯერ გასინჯე, შენ ენაზე დაიდე, მეტი არაფერია საჭირო, თვითონ იზამს საქნარს...

ნიკა. (მწვადს აიღებს, ჭამს) ძალიან კარგია... გაგიმარჯოთ, ბატონო სანდრო!..

ვანიკო. აბა, რა სადღეგრძელოებიც აქ შესვით და მე არ გამიგონია, ისე არ გამეგონოს, თქვენი გლახა ამბავი და ნაღვიარებს გაუმარჯოს! (სვამს).

ქეთი. (ნიკას) მომეცი გასაღები, მანქანას მოვაბრუნებ. (ნიკა გასაღებს მიანოდებს. ქეთი გადის).

ვანიკო. რა იყო ამნაირი, საქმის კაცი რომ არა ვარ და ექვსთვალისანი სახლი რო არ მიდგა, იმიტო არ მადღეგრძელებთ? იქნება იმიზა არ მოგწონვართ, ხელები კრასკით რო მაქვს მოსვრილი. ამით ვარჩენ მე ექვს სულს.

სანდრო. სიკვდილს დავინყებოდე, ჩემო ვანიკო, სიკვდილს! ვადღეგრძელოთ ჩემი ოჯახის ერთგული მეგობარი და მეუბოღელო! ვანიკო, ყველაფერი ალალია შენზე...

მანქანის ფარების შუქზე მთელი სცენა გაანათა. მანქანა დაიძრა კიდევ და იქვე გაისმა დაჯახების ხმა. ფარების შუქიც უშალ ჩაქრა.

სანდრო. (გარბის) ნათელა, ფუი, ქეთევან!...

ნიკა. ვაჰ! (გარბის).

ვანიკო. ა, ბატონო, კიდევ იტყვიან, ილბალი არ არსებობს! ვილაცას ისიც შეშურდა, რომ მადღეგრძელებდნენ, თორემ დღემო ათასი მანქანა მაინც იმსხვრევა, იმ გოგომ რაღა ჩემ სადღეგრძელოს დაუმიზნა (გადის).

ქეთის ხმა. ასეთი რამ არასოდეს მომხვლია.

სანდრო. ფარებია ჩამსხვრეული, მეტი არაფერი.

ვანიკოს ხმა. ამას რას უშვრები, იცი ამის გასწორებას რამდენი ხლაფორთი უნდა? (ბრუნდებიან. ნიკა დაჟინებით შესცქერის ქეთის) ა, ხო უყურებთ, კილო იტყვით, ღმერთი არ არისო? არ გვაპატია, ამ სუფრის მიტოვება რომ გინდოდათ. ააუჰ, რა ქეიფი გვეშლებოდა?

სიმღერას ნამოინყებს. სხვებს ხელით ანიშნებს ამყევითო, სანდრო თავს უხერხულად გრძნობს. ნიკა ჭიქას შეავსებს და დაცლის კიდევ, თუმცა ქეთის კვლავ არ აცილებს თვალს.

ქეთი. (სკამზე კარგად მოთავსდება, წელში გაიმართება და ნიკას მზერას უსწორებს) გული გეტკინა, ხო?

დაბნელება.

საძინებელი ოთახი. ნიკა სკამზე ჩამომჯდარა.

ქეთი. ეს რა მიყავი, რა დღემი ჩამაგდე — მაინც შემომიტყუე ოთახში! (დუმილი) პასუხს რატომ არ მაძლევ — პასუხის ღირსად არ მთვლი? არა, მე აქ არ გაგჩერდები (თმას იშლის, დასაწოლად ეშვადება).

ნიკა. ჰო, წავიდეთ! (გასასვლელისაკენ მიდის).

ქეთი. (ხელს წაავლებს) ამ წვიმაში სად მეპატიუები, არ გეყო ჩემი წამება?

ნიკა. მანქანაში ჩავსხდეთ, რალაცას მოვიფიქრებ.

ქეთი. (თითქმის ძალით შემოაბრუნებს ოთახში) ვიცი მე, რასაც მთვრალი კაცი მოიფიქრებს — მთვრალ კაცთან სექსი მანქანაში, იფ, რა კარგია, სიხმარში ვხედავდი!

ნიკა. არა ვარ მთვრალი.

ქეთი. შენ არა ხარ მთვრალი? შენ მთვრალი არ ხარ? რამდენს პროშნიდი იმ ვანიკოს. ზოგიერთი იდიოტი, ოთახშიც რო შეუვარდე, ქალს არ კოცნის, შენ კიდევ ლოყები დაულურჯე კოცნით და, მგონი, ტურქებშიც... ხომ გითხარი, არ წამოვალ, რომ დათვრე და იქ დაგვტოვონ, მთვრალ კაცს როგორ ვეჭიდაო-მეთქი, გითხარი თუ არა!

ნიკა. უკვე გვიანია.

ქეთი. დავნე, ხომ? გინდა სულ გამაშიშვლო, ლოგინში შემიტყუო და მერე... ჰუ... ჰუ...?

ნიკა. აბა, ეს რა ლაპარაკია, როგორ შეიძლება!

ქეთი. რა მითხარი? ქალის გაშიშვლებაზე ამბობ, ეს როგორ შეიძლებაო? თუ ქალი არა, სხვა ვინ უნდა გააშიშვლო? მითხარი, ვინ უნდა გააშიშვლო? რას გაჩუმებულხარ — ვირი?

ნიკა. არ ვიცი.

ქეთი. (ლაშის იკვილოს) რა არ იცი, ამხელა კაცმა არ იცი, აქლემი გააშიშვლო, ვირი თუ ქალი? შენ არ იცი? შენისთანა ეშმაკი კაცი ხომ მეორე არ დაიარება საქართველოში, არა, მთელ კავკასიაში, კავკასია რა არი, ნატოს წევრ არცერთ ქვეყანაში! როგორ მოაწყე ყველაფერი, როგორ მომატყუე. ჯერ გიორგი სააკაძის უღვაშიანი კაცი გამოაძვრინე საიდანლაც... მერე... ეს წვიმა მაინც როგორ მოიფიქრე, არა, შენ კიდევ მოგეფიქრებინა, რა აზრი აქვს... ილბალი გაქვს, ღმერთი გწყალობს და მე რას გავხდები. წვიმა ღმერთმა გიფეშქაშა.

ნიკა. როგორ წვიმს, როგორ წვიმს... როგორ...

ქეთი. ან მანქანა როგორ დამამტვრევენიე, ვაახ, რა მაგარი ხარ!.. ფარები როგორ ჩამალუნინე, რომ ამალამ აქ დავრჩენილიყავით...

ნიკა. მე აივანზე მივდივარ.

ქეთი. აივანზე, ხომ?.. აივანზე გახვალ რომ მასპინძლებმა თქვან, ალქაჯი ცოლი ჰყავსო? არ იცი, რომ ხვალ მთელი სოფელი ამაზე ილაპარაკებს?

ნიკა. (ღიმილით) ალქაჯი არა!

ქეთი. იქ დაჯდები, რომ მთელი ღამე თვალი არ მომაცილო, მე ხან გადავბრუნდები, ხან გადმოვბრუნდები, საბანი გადამეხდება და დაინახავ ჩემს... ჩემს... მერე შენ რაღა შეგაკავებს... ადამიანი ხარ... კაცი ხარ, განა დამჭკნარი კიტრი... და

ტკბილ სიზმრებში გახვეულ, საბრალო ქეთის ბუ-  
ლა ხარით დამეტაკები...

**ნიკა. (ანვევტინებს)** ეგ საიდან მოიტანე?

**ქეთი.** აბა? გარეთ წვიმს, ქვეყანა ლამის დაიქ-  
ცეს. აქ, შენს თვალწინ, ლოგინში, შიშველი ქალი  
ნებივრად წევს და შენ... შენ არაფერს არ იზამ?

**ნიკა.** რა უნდა ვქნა?

**ქეთი.** არ იცი, რა უნდა ქნა?

**ნიკა.** არ ვიცი.

**ქეთი. (თითქმის აღშფოთებული)** შიშველი ქალი  
რომ ლოგინში წევს, შენ რომ იქვე ხარ, დამე რო-  
მაა და ქვეყანა წყალს რომ მიაქვს...

**ნიკა.** ჰოო, მაგ დროს ხალხს უნდა მიეშველო,  
წყალი სახლში არ შეუფარდეს. ხომ გინახავს, რა  
დღეშია ხალხი.

**ქეთი. (პაუზა, რომლის განმავლობაში ნიკას ყუ-  
რადღებთ აკვირდება)** ქალს რომ საბანი გადაეხ-  
დება და მისი ვარდისფერი ბა... ბა... (სიტყვის  
წარმოთქმისგან თავს იკავებს, ჰაერში ხელით მოხა-  
ზავს) ამ დროს შენ რა უნდა ქნა, არ იცი? (დუმილი,  
რომლის განმავლობაში ნიკას დაჟინებით აცქერდ-  
ბა). არ იცი?

**ნიკა. (ბრაზით)** ჰო, რაღაც...

**ქეთი.** ძალიან მაინტერესებს. (სკამზე ჩამოჯდება) აი, გის-  
მენ. მითხარი, რატომ გაჩუმიდი? რატომ არაფერს ამბობ?  
(დუმილი) სხვა თუ არაფერი გაქვს ამოსაღები, ხმა მაინც ამოიღე-  
მეთქი, ხომ გითხარი ერთხელ!

**ნიკა.** მე ასეთი რამ არ მიყვარს!

**ქეთი.** ჰო... ჰო... მერე? არ შეიძლება, ხომ? არ გიყვარს!  
ჯერ იქეიფე, იგრიალე, მერე ქალს მანქანა დაამტვრევი და  
ლამის გული გაუხეთქე, ელდისაგან ნახევარი საათი ხმა ვერ  
ამოვიღე, ახლა ის ლამაზი ქალი ოთახში გყავს გამოკეტილი  
და გაიძახი, მე ასეთი რამ არ მიყვარს! (შეპარვით) ახლავე  
სასტუმროში უნდა წავიდე.

**ნიკა.** ალბათ, ასე აჯობებს...

**ქეთი.** აბა? მანამ, სანამ შენ მანქანას არ შეაკეთებ, მე აქ  
უნდა ვიჯდე და გიორგი სააკაძის უღვაშებს და... იმ კაცს... რა  
ჰქვიაო? შენ რო ტუჩებში პროშნიდი, რა ჰქვია?

**ნიკა.** ვანიკო.

**ქეთი.** ვანიკო. ვანიკოს ვუყურო? იქნებ ის ვანიკო შენი  
მანქანის გაკეთებას ერთი კვირა მოუნდეს, მე სულ აქ უნდა  
ვიყო? მთელი კვირა გინდა ჩემთან გაატარო?

**ნიკა.** კარგი, წავიდე, რაღაცნაირად ჩავალწევთ...

**ქეთი.** რახან ასე გინდა, აქ დარჩენა, აივანზე გავიდე და  
სუფრას მიუხსნდე, ასე ვიყოთ გათუნებამდე.

**ნიკა.** მასპინძლებმა უკვე დაიძინეს... უხერხულია.

**ქეთი.** სტუმარი რომ სუფრას მიუჯდეს, უხერხულია, და  
უცხო ქალთან ლოგინში კოტრიალი არაა უხერხული?

**ნიკა.** საათს დახედე, რა დროა!

**ქეთი.** ესე იგი, არაა უხერხული ხომ? უცხო ქალთან ნოლა  
არაა უხერხული, არა?

**ნიკა.** ხანდაზმული ხალხია, თამრიკო, დაიძინეს უკვე!

**ქეთი.** რაო, რა მითხარი?

**ნიკა.** ხანდაზმული ხალხია და დაიძინეს-მეთქი!

**ქეთი.** სახელი რა მითხარი? (დაჟინებით, თითქმის გამომც-  
დელად შესცქერის) არა, არა! შენ ან ოცამდე ჩიტი მაინც გყავს,  
ან აფერისტი ხარ?

**ნიკა. (დაბნეული)** კი მაგრამ...

**ქეთი.** ჯერ ის მითხარი, ჩიტები დაგიდიან, თუ აფერისტი  
ხარ?

**ნიკა. (მეტისმეტი გულუბრყვილობით)** არა... როგორ არა...  
(უცებ) კი მაგრამ, აფერისტი რატომ უნდა ვიყო?

**ქეთი.** ფულის ამოცნობაც რომ პროფესიად გამოიციხადე,  
ვინ გინდა გააბრიყვო? ზღვაზე დასასვენებლად ჩამოსული



მსატვარი აივენგო ქელიძე

ქალი მთაში ამომიტყუე, მანქანა დამამტვრევი, ეს არ იკმა-  
რე და მომნათლე კიდეც? სახელი გამოიციხვალე, ვინ გთხოვა,  
ჩემი ნათლია იყავიო, ვინ გეკითხება შენ ჩემს სახელს! (ნიკა  
დუმილს) ხმას რატომ არ იღებ?

**ნიკა.** ბოდიში უნდა მოგიხადო, რა ვქნა... როგორ ვიფიქ-  
რებდი, რომ...

**ქეთი.** ამა და ამ ქალს კაცმა ჯერ ბოდიში მოუხადა, შემდეგ  
კი გვერდში მიუწვავო, რომ გითხრან, ხომ მოკვდები სიცილით?

**ნიკა. (უცებ კი შესძახებს).** არა, არა!

**ქეთი.** რა არა, არა?!

**ნიკა.** ვინა თქვა, გვერდში უნდა მიუწვესო...

**ქეთი. (ანვევტინებს)** არა, ხომ? ძალიან კარგი. მოდი, ასე  
მოვიქცეთ, შენ შენს საწოლზე დანექი, მე კიდეც — ჩემს სა-  
წოლზე. შუქი არ ჩავაქროთ. აი, ეს ფანჯარაც გავალოთ და კა-  
რიც ღია დავტოვოთ. თუ რამეს დააპირებ, ვიკვილებ, ქვეყა-  
ნას შევძრავ (კარსაც გააღებს, ფანჯარასაც, ოთახში წვიმის ხმა  
შემოიჭრება). არა, ასე არ გამოვა, წვიმა მოსვენებას არ მოგე-  
ცემს, კარსაც ვერ გავაღებო. ხომ იკითხავენ, ცოლ-ქმარი  
კარლია ოთახში რატომ წევსო. უნდა დავხუროთ. (კარსაც მი-  
ხურავს, ფანჯარასაც) უნდა ჩავკეტოთ, თორემ ქარი გააღებს  
(ჩაქტავს) აი, ასე! შუქიც თვალეში მცემს, ჩავაქროთ (ჩაქ-  
რობს) რა სიბნელეა! აი, ახლა მე გავიხიდი და საინტერესოა, შენ  
რას იზამ — შიშველ ქალს დამეტაკები? (კაბას იხდის)

**ნიკა.** ვერ იხდი — მოგუშველო?

**ქეთი.** გინდა? ძლიერ გინდა? მომეშველე...

**ნიკა.** რა ვინროა...აი, აქ მკერდთან...

**ქეთი.** მხედავ? ხომ ვერ ხედავ, რომ უკაბოდ ვდგავარ? შიშვე-  
ლი, სულ შიშველი.. ძალიან კარგი! რა? რას მეხვენები, ვერ გავი-  
გე, რა გინდა! ახლა მე გავხადო? მე რატომ უნდა გავხადო? ჰა,  
კარგი...ხმას რატომ არ იღებ? ჩემი თითების შეხება გესიამოვნა?  
(ხალათს ხდის, თან ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით) ძუძუზე რომ  
ხელი წამავლე, ჩემი ქმარი ხომ არ გგონია თავი! იცი, რას გიზამ?  
აი, ხალათი გავხადე, ეს რა არის, ნიკა, დღეს მაისური ვის აცვია?  
მითუმეტეს სექტემბერში! ასწიე, ხელეები ასწიე! ხელეზე გეუბ-  
ნები, ფეხები დაუშვი, მაისური უნდა გავხადო, განა ის... არა, ძუ-  
ძუს ხელს ნუ მოაცილებ, რა მოგივიდა? ასე რატომ ნერვიულობ?  
რა ფაფუკი მაისურია! ავადმყოფის პატრონებმა მოგართვეს,  
ხომ? როგორ მიყურებ, შიშველი ქალი არ გინახავს? ძუძუზე ნუ  
მკბენ! ნუ მკბენ-მეთქი, მეტიკინა...შარვალი თვითონ გაიხადე,  
მაგდენს კი მოახერხებ... გაიხადე და დანექი... ასე რატომ იყურე-  
ბი? შენ ხომ მითხარი, ვერ გხედავო. დანექი და ჩემკენ არ გამოი-



ხედო. იცოდე, არ გამოიხედო, თორემ ერთ ამბავს ავტებს, რა ბუნწულა ხარ! მე დაწვექი! მაგრამ პირობა უნდა მომცე, რომ არ მომხევევი, არ დამიკოცნი ტუჩებს, ყელს, მკერდს, ყველაფერს, ყველაფერს, ყველაფერს... პირობა უნდა მომცე, რომ მთელი ღამე ხვეწვასა და ალერსში არ გამატარებინებ. იცი, როგორ არ მიხდება უძილობა? ხომ მომცემ პირობას, რომ აი, ამ ხელს ძლიერად არ მომხევევ მკერდზე, შეხე, რა გაბედული ყოფილა! აბა, არ ვიციო... ისე ძლიერ, რომ სუნთქვა შემეკრას, სიხარულისაგან ღამის გულიც წამივიდეს, მერე თმაში ჩამიყოფ თითებს და აი, მაგ თითებით თმას დამივარცხნი, ნელა, ძალიან ნელა დამივარცხნი და მე მთელ სხეულში ურუანტელი დამივლის, ისეთი ურუანტელი, რომ მოვიტენებები, მოვეშვები **(თვალეში ცრემლი აუკიფდება)** და დავეშვები შენს მკლავებში, ნელა, ნარნარად დავშვები. ისე ნებიერად, როგორც ღრუბელი ეშვება ქვეყნიერების სავანეში და, იცი, ეს რა არის? ეს იმ ღრუბლის ბედნიერებაა, ნიკა, იმ ღრუბლის სიხარული, რომელსაც სავანე გააჩნია, თავისი სავანე! და მას შეუძლია იწვეს ამ სავანეში, იმდენი ინეტაროს, რამდენიც სურს, სულ იწვეს, სულ, ვიდრე წვიმად არ იქცევა და ქვეყნიერებას ტანს, პირ-სახეს არ დაბანს! ღმერთო, რატომ არ თოვს? თოვლის სიმღერა რატომ არ მესმის?

**ნიკა. (ხელს გადაუსვამს)** შენ ძალიან, ძალიან კარგი გოგო ყოფილხარ! და ვერ მოგცემ იმის პირობას, რომ არ მოგეხვევი, ღამეს ალერსში არ გაგატარებინებ.

**ქეთი.** თოვლი? სად არის მშრალი, ქათქათა თოვლი.

**ნიკა.** მოვა, თოვლიც მოვა!

**ქეთი.** როგორ მინდა, ამალამაც ისევე თოვდეს! მესმის, მესმის თოვლის მუსიკა... ჩემს მხარეს მაინც არ გადმოხვიდე!

**ნიკა.** უკვე ორივე ერთ მხარეს ვართ!

**ქეთი.** მეშინია.

**ნიკა.** ეგ კარგი შიშია, ნუ კანკალებ!

**ქეთი.** მაშ არ მეშინოდეს?

**ნიკა.** არა!

**ქეთი. (მყისიერად შეშვილებს)** ვაი!

**ნიკა.** კარგია, კარგია... ასე...

**ქეთი.** ჰოო... კარგია... თოვლიც წამოვიდა... რა ლამაზად თოვს!

**ნიკა.** ყური მიუგდე თოვლის მუსიკას **(კოცნის)**.

**ქეთი.** შემოდი... ჩემში... ჩემში... სულ ჩემში...

**მაორე მოქმედება**

**ვანიკოს სახელოსნო. ვანიკო მანქანის შესაღებ საღებავს ამზადებს, თან ნიკას ესაუბრება.**

**ვანიკო.** მამტყუნებ, ხო, გულში დამცინი კიდევ: რა ამბავია, რამ გადარია ექვსი შვილი რომ გააჩენინაო. დამცინე, ეგ არაფერი. მე მიხარია და შენ რაც გინდოდეს, ის იფიქრე!

**ნიკა.** კარგია, ძალიან კარგი, გაგებარდოს!

**ვანიკო.** არც მეკითხები, ამდენი რატო გააჩინე, რა ამბავიაო. არ გაინტერესებს?

**ნიკა.** როგორ არა, მაგრამ ხელი არ შევუშალო-მეთქი და აღარ გკითხე.

**ვანიკო.** ახლოს მოინი, სიძე ბატონო, მაგ ლედეს ძირიანად გაჩუქებ, თუ გინდა! შენ უნდა იცოდე, ეს ამბავი. ა, ზღვა აგერ არი, ყურისძირში, მინა, გაგინარია, აქ ხეირიანი იყოს. შაერი და წყალი ხო არი და არი! და მოეწონათ, მოეწონათ და ჩვენს კუთხეში ჩამოსახლდა უცხო ხალხი... ბევრი მოვიდა ძალიან ბევრი — იმდენი რო, ვაითუ მალე ჩვენ ვიყოთ მავათზე ცოტა. ასეა ბატონო, ოჯახის პატრონი უპრაგონოდ რომ გაალებს კარს და დაიძახებს: მობრძანდით, ვისაც გენებოთო. რო დოუძახებ, იმ კაცს დასაჯდომი უნდა და დასაწოლი, ჭამა და სმა. ცოტა ხანში კი ვერ ეტყვი, მოსული ხარო. მერე რა, მოსული როა, ახლა ხო აქ არი! ამასწინათ ქალაქში ჩავიდი, რა ნახეს ჩემმა თვალებმა — ამდენი უცხო! ეს ერთი, ახლა მორე: გაიხიკა ხალხი ჩვენი სოფლიდან, ახალგაზრდები ნამეტნავად, აქ თავთავიანთი ბებია-ბა-

ბუები დაყარეს და იქ სხვების ბებია-ბაბუებს უნანავებენ. ბიჭო, არ შეიძლება ის თავის ქვეყანაში იყოს და ჩემი — ჩემს ქვეყანაში? მოვედი შინ და ჩემ ქალს ვუთხარი, ჩვენ სულ ხომ არ ვიქნებით, ამ სოფელს, ამ ეზო-კარს თავისი პატრონი ხო ჭირდება-მეთქი, ეზო-კარს რო თავი დავანებოთ, იმ ორ ბაღანას ხომ ჭირდება პატრონი, აგერ რომ დარბიან-მეთქი თითო ბაღანას თითო ძმა, გინდა და უნდა გაუჩინო პატრონად, აბა! **(თვალეში ეშვება მოჭუტავს, ნიკას მიაცქერდება)** რაღა დაგიმალო და დავცხეთ და დავცხეთ, დავცხეთ და დავცხეთ, დროს უქმად არ ვკარგავდით. ექვსამდე რო ავედით...

**ვანიკო. (აუჩქარებლად შემოდის)** გამარჯობა, ვანიკო!

**ვანიკო. (დაჟინებით აცქერდება)** კაცისა გაუმარჯოს, კაცი-ას, ათი ცხენოსნით მოგესალმები, ჩემო კაციწი!

**ვანიკო.** რა ვქნა ახლა მე — ძირში შეგაჭრა ეგ ენა თუ პატარაზე დაგიმოკლო.

**ვანიკო.** რავა, არ ხარ კაცია? კაციკო? ის ხარ, კი!

**ვანიკო.** ე მაგიტომ ვაპირებდი შენი ენის დამოკლებას, მარა დამასწარი — მაინც თქვი ის, რასაც არ უნდა ამბობდე! იქნება, ის სჯობდეს, მეხსიერება დაგაკარგვინო.

**ვანიკო.** ბიჭო, შენ მართლა დიდი კაცი გამხდარხარ! მაგიც შეგიძლია? ვაი, ვანიკოს და უი — ვის ემასხარავები, ვის!

**ვანიკო.** ასეა, ჩემო ვანიკო, ასე: ენას თუ არ დაიმოკლებ, იმას მიიღებ, რაც გეკუთვნის.

**ვანიკო.** რა იყო, შე კაცო, ჩემ თვალწინ ხარ გაზრდილი... ჩემი ხუმრობა...

**ვანიკო.** მერე, ჩემზე უფრო არ უნდა იცოდე, ხუმრობის დრო და ალაგო?

**ვანიკო.** შენ გლახა სიზმარი ხო არაფერი გინახავს?

**ვანიკო.** სიზმარი რო ნახო, უნდა დაიძინო. თქვენს ხელში ჩვენ რა დავაძინებს.

**ვანიკო.** თქვენც მასე ხართ? ბიძაჩემიც მაგან არ მოკლა? ბევრი ფული რომ იშოვა, შიშით ძილი დაკარგა და სამ თვეში...იმ სასაფლაოს მივებარეთ. მასე იქნებით, აბა რა!

**ვანიკო. (ქალაქს ამოიღებს, რაღაცას წერს)** მეცი ამდენი პატივი — ეს წერილი ბიძაშენს აურბენინე, ნუ დააყოვნებ, საჩქარო საქმეა.

**ვანიკო. (წერილს არ გამოართმევს)** აჰ, არ შემოიძლია, შენ ჩაუტანე, ეგერ არი, ე იმ ფერდობზე რო სასაფლაოა. მე ეს მანქანა მაქვს შესაღები.

**ვანიკო.** ნუ აყოვნებ!

**ვანიკო.** იქნება მოადგილეს დაავალო... კაი ცქციტი ბიჭია...

**ვანიკო.** ისიც უთხარი ბიძაშენს, ენა რომ დავიგრძელე, ამიტომ გამომატანეს, თორემ ისე არაფერს მერჩოდნენ-თქო.

**ვანიკო.** არა, გოგის, ბატონ გიორგის ვენაცვალე, ეს მანქანაც არ მქონდეს შესაღები, კიდევ მინდა ერთი-ორი ბაღანა შევმაცო ჩვენს ქვეყანას და ნუ ჩამიშლი ამ მამულიშვილურ მამონყებას.

**ვანიკო.** ვისია ეს მანქანა?

**ვანიკო.** აგერ, ამ პატიოსანი კაცის. დაქორწინდა და თაფლობის კვირას იმ სოფელში ატარებს, შენ რო დაიბადე და გაიზარდე. რავარი პატივისცემაა. არ არი გადასარევი?

**ვანიკო.** ჩემი მანქანა სადღაა?

**ვანიკო.** ა, აგერა „სუმილკაში“, ისე შეგიღებე, ავ თვალს არ დაენახებო! მობრძანდი, ნახე **(ვანიკო და ვანიკო გადიან)**

**ქეთი. (შემოდის, თან ჩანთა მოაქვს. სულ სხვაგვარად, ფიქრისადა მოდის, სადღაც გამქრალა მისი ანცი, თითქოს მხიარული მოძრაობა, მზერაც სულ სხვაგვარი აქვს).** დაგეძებდი.

**ნიკა.** ჩანთა რატომ წამოგიღია? **(ქეთის ხელს გადახვევს)**

**ქეთი. (ცვივად)** ვანიკო? ვანიკო სად არის?

**ნიკა.** შენ რა? რაღაც...

**ვანიკო. (შემოდის ვანიკოსთან ერთად, ჯიბიდან ქალაქს ამოიღებს).** ეს თქვენი ახალდაქორწინებულებს ჩემგან — საქორწინო საჩუქარია!

**ნიკა.** რა არის?

**გოგი.** ეს სოფელი მიყრუებული ადგილი არ გეგონოთ — ისეთი ვარიეტე ჩამოვიყვანეთ, ყოველი გოგო ცხენის სიმაღლეზე სწევს ფეხებს. შედით, ისიამოვნეთ! *(ბილიეტებს გადასცემს და მიდის. სამ-ოთხ ნაბიჯს გადადგამს თუ არა, შეჩერდება. მობრუნდება)*. თქვენ... *(ქეთის)*. შენ... ეს თვალები... ეს მზერა...

**ქეთი.** ვერ გავიგე!

**გოგი.** ქე-თი... ქეთი! *(ეს სახელი ალერსით წარმოსთქვა, ამ კაცისაგან ასეთი ალერსიანი ინტონაცია მოულოდნელიც კია)*. დიდუბის პანთეონთან, მეორე ჩიხი, ნომერი თხუთმეტი!

**ქეთი.** *(გოგის ყურადღებით აკვირდება)*. თქვენ... ვინ ხართ? უკაცრავად...

**გოგი.** როგორ გამოცვლილხარ, ქეთი! *(ნიკას გადახედავს)* აქამდე არ გათხოვილხარ?

**ქეთი.** *(მის მზერაში რაღაც ონავრული გაკრთება)* კაციკო, კაცუკა, შენ ხარ?

**გოგი.** *(გარბის)* არა, არა, არა!

**ქეთი.** *(იცინის)* ჩვენი კაცია, კაციკო!

**ნიკა.** რა მოგივიდა, ვინ არის?

**ქეთი.** სტუდენტობისას ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობდა ნაქირავებ ოთახში. სანყალი კაციკო!

**ვანიკო.** ვინ არი სანყალი, მაგის დარდი ნუ შემოგეყრებათ! საგადასახადოს უფროსია, ჩვენს ტელევიზორშიც ხშირად არი, გაზეთშიც... ვისაც უნდა, იმას დაიჭერს...

**ქეთი.** კაციკო ტელევიზიაში?

**ვანიკო.** მაგი, ბიძიებო, ძალიან ჭკვიანი ბიჭი გამოდგა. თბილისში, თურმე ვიღაც ნაყვარება, იმას, უკაცრავად პასუხია და, ფეხებზე დაუკიდნია და იმ ქეციანი დიპლომით და მოკლული გულით რომ დაბრუნდა, საქმეზე ვერ იყო მუყაითად. დაბლაყუნობდა უაზროდ და უსაქმოდ, მარა მოხდა რევოლუცია და...

**ქეთი.** კაციკო და რევოლუცია?

**ვანიკო.** კაციკო? ყველაზე მეტს ეგ ყვიროდა. დაინყო მიტინგობა და... კაციკომ იმ გოგოს ჟინი წინა მთავრობაზე იყარა — იმის მამა თუ ძმა ყოფილა რაცხა იქ, მთავრობაში. ქვას ქვაზე არ ტოვებდა. ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, ... ახალ მთავრობასაც რა უნდოდა... მოკიდა ხელი და...

**ქეთი.** კაციკოს?

**ვანიკო.** სახელი გამოიცვალა. კაცია კი არა, გიორგი მქვიოა... ჩვენთვის მაინც კაციკოა... ამ სოფელშია დაბადებული... თორემ იქ, ქალაქში, მთავრობაში ბატონი გიორგია!

**ნიკა.** ბატონო ვანიკო...

**ვანიკო.** აჰ, ბატონოს ნუ მეძახით, დირექტორი კი არა ვარ, მაგ სიტყვებით რომ მომთაფლო.

**ნიკა.** წავალთ ჩვენ, ვნახავთ რა ვარიეტეა ამნაირი!

**ვანიკო.** წადით, წადით, ეს მანქანა დღეს მაინც არ იქნება!

**ნიკა და ქეთი მაგიდას მისხდომიან. ისმის ბავშვის სიზმარით მშვიდი და უშფოთველი, ხანაც მშფოთვარე მუსიკა.**

**ნიკა.** გზაში ვისაუბროთ. ახლა ცეკვებს ვუყუროთ.

**ქეთი.** გზა... გზა აქ მთავრდება.

**ნიკა.** გისმენ, ჩემო ქალბატონო, ყურადღებით ვარ. *(ქეთი დუმს)* გისმენ.

**ქეთი.** ცოტა მაცალე! ვუყუროთ ამ მოცეკვავე გოგო-ბიჭებს, ვსვათ შამპანური და!..

**ნიკა.** და...

**ქეთი.** *(მცირე პაუზის შემდეგ ნიკას თვალს თვალში გაუყრის)* ყველაფერი დავამთავროთ.

**ნიკა.** *(პაუზა)* ვერ გავიგე.

**ქეთი.** დღეს შენ იმდენ რამეს გაიგებ, რომ...

**ნიკა.** *(გათამაშებული შიშით)* მე თქვენ მაშინებთ, ქალბატონო, მაგ იდუმალის თქვენის სიტყვებით. გისმენ. *(ქეთი დუმს)* გისმენ, ყურადღებით გისმენ.

**ქეთი.** *(პაუზის შემდეგ)*. მე კი მაინც ველოდი... ამ სამი დღის განმავლობაში, რაც აქა ვართ, სულ ველოდი, რომ... გაგახსენდებოდი.

**ნიკა.** როგორ არა, როგორ არა, ჩემო კარგო!

**ქეთი.** სულ ვერ მიცანი? არ გაგახსენდი?

**ნიკა.** ო, მომიტევე, ძვირფასო ჩემო, თუმც ნათელია: დანდობის ღირსი არა ვარ შენგან.

**ქეთი.** ნიკა!

**ნიკა.** არც სიყვარულის, არც ხვევნა-კოცნის, და რაც მთავარი...

**ქეთი.** ნუ მაიმუნობ!

**ნიკა.** რატომ გინდა მაიმუნობა უნოდო ადამიანის თვალის გახელას, მე მხოლოდ ახლა, მხოლოდ ახლა მივხვდი, რაოდენ ძვირფასი განძი ხარ...

**ქეთი.** *(სახეგაბრწყინებული აწყვეტინებს)* მიცანი? მართლა გაგახსენდი?

**ნიკა.** *(კიდევ უფრო მეტი პათოსით)* ან აქამდე როგორ ვერ მივხვდი, ალბათ, იმიტომ რომ ჭურში ვიჯექი და ლობოს ვარჩევდი.

**ქეთი.** ნიკა, მართლა მიცანი?

**ნიკა.** როგორ არა, როგორ არა, ჩემო ქეთი, ყოველი გამახსენდა — როგორ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი, როგორ გვიყვარდა!

**ქეთი.** ნიკა!

**ნიკა.** როგორ ველოდი დაღამებას. დღისით, მზისითაც მეწადა მაგ შენი თმის მრუმე ლამეში...

**ქეთი.** დაღამებას? ბარში შეხვედრას?

**ნიკა.** მზის ამოსვლა კი შიშის ზარს მცემდა, რადგან დგებოდა ჟამი შენთან განშორებისა.

**ქეთი.** *(მხვდება, რომ ნიკა თამაშობს და თვალბრწყინების შუქი ჩაუქრება)* მე კი შეგონა, რომ...

**ნიკა.** *(იმავე ინტონაციით)* მახსოვდი კიდევ, ჩემო კარგო, როგორ მახსოვდი!

**ქეთი.** მე კი... მე კი...

**ნიკა.** შენ კი დაგავიწყდი... შენი გული სხვამ წარიტაცა.

**ქეთი.** *(თითქმის თავისთვის)* მე თუ ვინმეს ცოლად წარმოვიდგენდი თავს, მხოლოდ შენს გვერდით.

**ნიკა.** რომ იცოდე, როგორ მომწონხარ, სწორედ იმის გამო, რომ შეგიძლია ათასი რამ გამოიგონო.

**ქეთი.** ეს შენთვისაა გამოგონება, ჩემთვის კი მთელი ცხოვრება!

**ნიკა.** რა სერიოზული ხარ, ქეთი, განა შეიძლება ადამიანი სერიოზული იყოს ასეთ დღეებში!

**ქეთი.** რამდენჯერ ვიყავი შენი ცოლი, მზრუნველი მეუღლე, რამდენჯერ ავად გამიხდი. სიციხიანი ინექცია... გივლიდი.

**ნიკა.** არასოდეს მქონია სიცხე — ყოველ დღით ცივი ტილოთი ვიხვე ტანს.

**ქეთი.** რა კარგი იყო ბაკურიანი... თხილამურებით სრიალი. შენ მასწავლე თხილა-მურებზე დგომა.

**ნიკა.** ორ დღეში ჩემსავით დასრიალებდი.

**ქეთი.** სალამოს კი ბარი... გვიან ლამემდე... შამპანურები...

**ნიკა.** ყოველ ღამე ვსვამდი. სიტყაბუკეში რომ ჭკუა გვკონდეს, არც კუჭის ნყლული გაგვიჩნდება, არც წნევა შეგვანუხებს...

**ქეთი.** იმ ღამეს შენს გვერდით ვიჯექი. შენ გიტარა აილე და დაკვრა რომ დაიწყე, მე შემომცქეროდი — მე მიმღეროდი...

**ნიკა.** ლამაზი გოგოების ცქერა ნუ მომიშალოს ღმერთმა!

**ქეთი.** რა ბედნიერი ვიყავი — ლამის ვიტირე, მაგრამ მეორე დღეს კოხტაგორიდან თხილამურებით რომ ვეშვებოდი, სამჯერ ჩამიქროლე, მეორე საბაგიროსთან გვერდი-გვერდ ვიდექით, ზედაც არ შემომხედე.

**ნიკა.** ბაკურიანში შენ... ბაკურიანში შენ შემხვდი?

**ქეთი.** *(პაუზის შემდეგ მწარედ)* მეორე ღამეს ისევ შამპანურს სვამდი ბარში, მე რომ დამინახე, ისე წამოხტი, თითქოს მთელი დღე მეძებდი...

**ნიკა.** *(სულმოუთქმელად)* როდის იყო ეს ამბავი?

**ქეთი.** *(თითქმის ოცნებაში გაიტაცა)* თითქმის ოცი წელი გავიდა უკვე... ოცი წელი... პირველ კურსზე ვიყავი... ჩვიდმეტი წლის, შინ

პირველად გამიშვეს მარტო და... (შეყოვნდება) უბედურებაა, როცა ადამიანი იმის მონად გადაიქცევი, რაც ასე გასსოვს... მითუმეტეს, მხოლოდ ჩვიდმეტი წლისა ხარ და ის ბიჭი, ვინც იმ თოვლის მუსიკაში გაკოცა, ზღაპრულ უფლისწულად წარმოიდგინე.

ნიკა (ყურადღებით შესცქერის. პაუზის შემდეგ) კი მაგრამ... კოცნა რა შუაშია?

ქეთი. დამშვიდდი, ნიკა! შენ იმ ღამეს ისეთ კარგ სიტყვებს ამბობდი, რომ სამი ქიქა შამპანური სულმოუთქმელად დავცალე.

ახლა გათამაშდება 20 წლის წინანდელი სცენა: ქეთი და ნიკა თბილ ქურქებს მოიხურავენ. პაკურიანი, ბარი, აქ მუსიკა არც ისე ხშირად უკრავს.

ნიკა. სადღეგრძელო, დიდებული სადღეგრძელო! იმ ვარსკვლავებს გაუმარჯოთ, ჩვენს ცას რომ აბრწყინებენ, იმ მთვარეს გაუმარჯოს, ჩვენ რომ გვიღიმიოს, იმ თოვლს გაუმარჯოს, მუსიკით რომ ავსებს სამყაროს (მონუსხული ქეთი თვალს ვერ აშორებს) და იმ ანგელოსს გაუმარჯოს, მე რომ გაკვირვებული მისმენს!

ქეთი. არა, არა, მე არაფერი!

ნიკა. ვხვდები, ყველაფერს ვხვდები: ვარსკვლავებს, თოვლს და მთვარეს ერთად როგორ ხედავსო (ქეთის) ასეა, ამ საღამოს შენ ხარ ჩემთან, ჩემს გვერდით და ვხედავ (სვამს). რატომ არ სვამ?

ქეთი. არ მიყვარს.

ნიკა. (გაკვირვებული). შამპანური არ გიყვარს? იცი, რას ნიშნავს შამპანურზე უარის თქმა?

ქეთი. არასოდეს დამიღვია. არ შემიძლია!

ნიკა. თუ არ დალევ, ხმას აღარ გაგცემ.

ქეთი. (ნელ-ნელა სვამს). აი! თავი ამტკივდება, მაგრამ...

ნიკა. (ქეთის თმაზე ალერსით გადაუსვამს ხელს) იცი, ასე რატომ მომწონხარ? (ქეთი თავს უხმოდ გააქნებს) დედაჩემს მაგონებ — მისავით სუფთა თვალები გაქვს. ახლა დედაჩემისა და შენს სადღეგრძელოს ერთად ვსვამ... ორივეს გაგიმარჯოთ! (სვამს).

ქეთი. მე დალევა არ შემიძლია.

ნიკა. თუ არ დალევ, ქუჩაში გვერდს აგივლი, ვითომ ვერ დაგინახე, ძალიან გინდა ქუჩაში ვერ გიციონ?

ქეთი. (სვამს) აი!

ნიკა. ახლა კი ვიცეკვოთ!

ქეთი. ცეკვა არ ვიცი.

ნიკა. არც მე ვიცი, არც მიყვარს, მაგრამ შენთან ერთად მაინც ვიცეკვებ (ქეთის ხელს წაავლებს, საცეკვაოდ მიჰყავს).

ქეთი. უკვე გვიანია, წავალ.

ნიკა. მე ხომ გითხარი, რომ მომწონხარ. და ვინც მომწონს, იმას როგორ დავცილდები. არ გვირგვინა ცეკვა, გარეთ გავიდეთ, თოვლში ვიაროთ. დათო, ღია, ბიჭებო, ჩვენ თოვლში სასეინოდ მივდივართ.

ავანსცენა. მშვიდად და ხვავრილად თოვს.

ქეთი. რა ლამაზად თოვს!

ნიკა. ლამაზად მაშინ თოვს, როცა სული მღერის, უამისოდ ეგ ყველაფერი ცივი ნყალია. ყური მიუგდე თოვლის მუსიკას. ახლოს მოინი! (მისი ზიდავს, კოცნის)

ქეთი. ღია და დათო დავკარგეთ, წავალ!

ნიკა. არა, ცოტაც მოიცადე, თორემ საღამომდე ვეღარ გნახავ. (ქეთის მოიზიდავს უფრო ხანგრძლივად, მეტი ვნებით კოცნის).

ქეთი. წავალ, რა...

ავანსცენაზე შუქი ქრება. ორივენი მთიანი სოფლის კაფეს უბრუნდებიან.

„წავალ“!, „წავალ“! — ვამბობდი და არ მივდიოდი. შენ კი მკოცნიდი და მკოცნიდი. მე მინდოდა, კიდეც, კიდეც გეკოცნა. დავდიოდით თოვლში და შენ მიკოცნიდი ღოყას, ყელს... თოვლის საუფლოში. ასე შევხვდით მხურვალე განთიადს. ღმერთო, ასე რატომ გაქრა ის ღამე, ასე რატომ დაიკარგა. რა ბედნიერი ვიყავი... ჩემი ერთადერთი ბედნიერი ღამე! სიგარეტი გაქვს?

ნიკა. მე ხომ არ ვეწევი.

ქეთი. საღამოს აღარ გამოჩნდი — არც სასტუმროში, არც ბარში... აღარც დათო... სად არ გექმდები... თითქოს იმიტომ განჩინე ქვეყნად, რომ ჩემთვის ერთი ღამის სიხარული მოგეწებინა, მხოლოდ ერთი ღამის...

გოგი. (შემოდის. ერთ ხელში შამპანურები უჭირავს, მეორეში — დიდი კოლოფი) ახალდაქორწინებულებს ჩემი საღამო და გამარჯვება! მინდა გადღეგრძელოთ. იბედნიერეთ, უკვე ბედნიერი ხართ იმით, რომ ერთმანეთი გიყვართ (ნიკა ირონიულად იღიმიოს. ქეთიზე) მე ვიცი, ეს უსიყვარულოდ არავის გაჰყვებოდა — ვინც არ უყვარს, იმასთან კლდესავით ცივია. ხომ ასეა, ქეთი?

ნიკა. (ირონიულად) ჭეშმარიტებას ბრძანებთ, სავსებით მართალი ხართ.

გოგი. თუმცა, თუმცა, ჩემო მეგობრებო, უნდა გითხრათ,

ქეთი. (გალიზიანებული) ეგ სიბრძნე ვინ ჩაგაგონა!

გოგი. (ლიბილით) ცხოვრებამ. სიყვარული სევდაა, კაეშანია..

ქეთი. ცუდი ცხოვრება გქონია. სიყვარული ყველაზე ნათელი...

გოგი. (ანწყვეტინებს) კარგი რა, კარგი რა! წიგნების ენით ნუ მელაპარაკებ. ცხოვრებაზე მითხარი რამე... (ჭიქებს შეავსებს) მინდა, ცხოვრებისგან გალახული იმ კაცის სადღეგრძელო ვთქვა, ვინც წუთისოფელს ებრძოდა და ფეხზე წამოდგომა უნდოდა. ღმერთმა თავის თავთან დაბრუნების ძალა მისცა! მაგრამ ერთი ღამის სიცივე მაინც მთელი ცხოვრება მოჰყვება.

ქეთი. (თითქმის თავისთვის) ერთი ღამე... ერთი ღამის სხივი.

გოგი. (განავრძობს დაწყებულ ფრაზას) სიყვარული გამო ჩაიჩოქა, ნაიქცა კიდეც, მაგრამ მაინც... იმ საღამოს ჩვეულებრივად იდგა პანთეონთან... ის გოგო კი (ქეთის შესცქერის), ის გოგო თავანული, ამაყად მიაპობდა ქუჩას, სათვალის ბიჭი მისდევდა... (პაუზა) ჰო, სათვალის ბიჭი მოსვენებას არ აძლევდა. გოგო შეჩერდებოდა, სათვალის ორიოდ სიტყვას მიუგდებდა და ბრაზით განავრძობდა გზას. ბიჭი კიდეც გზას მოუჭრიდა, რალაცას ჩასძახოდა. და როდესაც სათვალისმა მკლავში ჩაავლო ხელი და თავისკენ მოიზიდა, ბიჭი სათვალის ეძგერა — დაიცვა გოგო, რომელიც მისთვის... პანთეონთან ყოველდღე იმიტომ იდგა, გოგო რომ დაენახა... სათვალისანს ეძგერდა და, იმ გოგოს ყვირილი რომ არა, შესაძლოა მიეხრჩო კიდეც... გოგო მუშტებს ბეჭებში უშენდა და ყვიროდა: „ვირო, ხეპრე, ოყროყო, რა გინდა მაგისგან, ხელი გაუშვი!“ იმ გოგოს განწულმა სილამ (სახეზე ხელს მოისვამს)... მერე იმ სათვალისანამაც ურტყა, მაგრამ იმას არც გაუგია, რადგან გოგოს მრისხანებით აღსავსე მზერა ედგა თვალწინ (ღვინოს მოსვამს). მერე იმ გოგომ ბიჭის სათვალე მონახა გაუნმინდა, ქუდი დაუფერთხა, პალტო გაუსწორა და... ნელ-ნელა აუყენენ ქუჩას.

ქეთიმ კარგა ხანია თავი დახარა. თითქოს ჩვენც ვგრძობთ, როგორ ეწვიე ყურები, ნიკა დაუინებოთ მისჩერებია ქეთის.

ნიკა. სიგარეტი ხომ არ გექნებათ? (გოგი სიგარეტს უხმოდ დასდებს მაგიდაზე. მერე დიდ ყუთს გახსნის, თოჯინას ქალაქს შემოხსნის. ეს არის ქალი-თოჯინა რომელსაც მოკრივის ხელთათმანი უკეთია და ვილაცას მუშტებს უღერებს) ეს რა არის?

გოგი. საქორწინო საჩუქარი! ღმერთმა ქნას, ბედნიერი იყო.

ნიკა. (ჭიქას შეავსებს) მინდა გადღეგრძელოთ...

გოგი. არა, არა, არ არის საჭირო! (მიდის. ნიკა სიგარეტს მოუკიდებს. ერთ ნაფაზს დაარტყამს და საფერფლეში ჩაჭყლავს).

ქეთი. (მიმავალ გოგის დიდხანს, სინანულით შესცქერის). ბაკურიანში კიდეც ერთი კვირა დავრჩი. სად არ დაგექმდები (პაუზა). ის გოგონა სულ არ არსებობდა შენთვის?

ნიკა. მეც დაგექმდები. იქ, ბაკურიანში არა... თბილისში გექმდები — ხშირად ვიდექი რუსთაველზე, მე და დათოს მორიგეობა გვქმნდა, ისიც გექმდებოდა, მაგრამ შენ არ ჩანდი. მე ხომ არ ვიცოდე, სად სწავლობდი — რომელ ინსტიტუტში. არც გვარი ვიცოდი შენი. აი, ეგ მზერა მდევდა. დედაჩემის თვალე-

ბი. დედაჩემი რომ გარდაიცვალა, მას შემდეგ ინსტიტუტებშიც კი დაგეძებდი... მე და დათო იქაც ვმორიგეობდით. ჯავახიშვილის უნივერსიტეტი... ილიაუნა... შენ კი არ ჩანდი... მერე შენი პოვნის იმედი დავკარგე... და ჯიპაში შენს მაგიერ ვიპოვე მერი, რომელიც შემდეგ ჩემი მეუღლე გახდა.

**ქეთი.** გამოდის, ცხოვრების მოწყობაში მაინც დაგეხმარე.

**ნიკა.** მერე ეს ამბავი სიცილის გუნებაზე გვაყენებდა. რამდენჯერ მოგვიგონებია.

**ქეთი.** მე კი... იმ ღამეს ის კოცნა რალაცის ნიშნად მივიღე... თითქოს კოცნით მითხარი აი, იმ კოშკში შედი და მელოდო. კოშკში ჩამკეტე, გასაღები ჯიბეში ჩაიდე და ქარსა, თუ ნიავს გაჰყევი. დიდხანს გელოდე იმ კოშკში, სულ იქ ვიყავი... სხვა არც მიძებნია. გოგოები თხოვდებოდნენ, უჩნდებოდათ შვილები... იმ ბავშვებს ვეაღერებოდი და ვფიქრობდი, მალე ისიც გამოჩნდება და ჩვენი შვილები გაგვიჩნდება, ისინიც ასე საყვარლები იქნებიან-მეთქი. რა სულელი ვიყავი! ხომ ვიყავი სულელი?

**ნიკა.** აბა, რა ვითხრა... (მხრებს აიჩნევს) ილუზიით ცხოვრება...

**ქეთი.** ეგ მაშინაც კარგად მესმოდა, მაგრამ ვერ შევძელი... ვერ დაგივინწყე, ვერაფრით ვერ დაგაღწიე თავი... შენი კოცნა ის ბოქლომი გამოდგა, რომლის გახსნა, უშენოდ ვერ შევძელი, დამტვრევა კი არ მენადა. მერე კი ის ბავშვები სკოლაში წავიდნენ, ყმანვლებად იქცნენ. იყვნენ ბიჭები, განა არ იყვნენ, პაემნებიც მქონდა. ერთ-ერთი აი, იმ დათვმა მიტყუა, ახლა აქ რომ იჯდა. ვხვდებოდი, მაგრამ იმ თოვლიან ღამეს ვერა და ვერ დავაღწიე თავი. განა შეიძლება ადამიანმა ერთი ღამის სინარულით მთელი ცხოვრება... (პაუზა) მერე ეს პაემნებიც იშვიათობა გახდა... მიავიწყდათ გოგო, რომელსაც ცხოვრება სწყურია... სიცარიელეში, მარტოობაში მედგა ფეხი... ამასწინათ კი დისშვილის შარვალს ვაუთოებდი... შარვალს გაზეთი დავაფინე და... ღმერთო, რამდენს გეძებდი, როგორ გნატრობდი და თურმე სახეზე უთო... ღამის სახე დაგინვი... უთო შენს თვლებს რომ დაეადე, ღამის გული შემინუსდა... იმ საღამოს კი „კურიერში“ გნახე.

**ნიკა.** მე — „კურიერში“?

**ქეთი.** თქვენი საავადმყოფოს კოლექტივი შენობის გაყიდვას აპროტესტებდა... წინა ხელისუფლებამ საიდუმლოდ არაბებს მიყიდაო, იმათ კი სასტუმროს გახსნა სწადიათო.

**ნიკა.** კი, იყო ასეთი რამ... გაგვიყიდა, მაგრამ...

**ქეთი.** საავადმყოფოში მოვედი. მოვედი ისე, როგორც მლოცველი შედის ეკლესიაში. ვესტიბულში ვიდექი. ათ წუთში ჩამოხვედი. შემომხედე კიდეც, მომეჩვენა, რომ გამიღიმე. გული გადამეხსნა: მეძებდა და როგორც იქნა, მიპოვა-მეთქი. მაგრამ... შენ თურმე სხვას გაუღიმე და მასთან ერთად მანქანაში ჩაჯექი.

**ნიკა.** ალბათ, მერი... ისიც ჩვენს საავადმყოფოში მუშაობს.

**ქეთი (სივარტეს აიღებს, გააბოლებს).** მანამდე სულ ჩემთან იყავი, იმ დღეს კი შიში დამეფულა... გკარგავდი... საავადმყოფოდან ისე ვბრუნდებოდი, როგორც წვიმაში, ქარში გაგდებული ლეკვი.

**ნიკა.** მაპატიე, გაგანამე... რას ვიფიქრებდი... მაგრამ ეს არ არის მთავარი — დღეს ასეთი რამ არ ხდება... დღეს სხვანაირად ვცხოვრობთ. ის დრო წავიდა, გაქრა...

**ქეთი.** მერედა, რატომ არ ხდება, ნიკა, რატომ ვკარგავთ ერთგულების და ლოდინის ნიჭს?

**ნიკა.** როგორ შეიძლება... ერთი საღამოს კოცნაობა ასეთი რა გახდა!

**ქეთი.** არა, არა, ასე ნუ იტყვი! (ერთხანს უხმოდ შესცქერის. მის თვლებში თანაგრძნობაც გამოსჭვივის, საყვედურიც) ვიცი, რომ რალაც უნდა შეგინდო, გაპატიო, მაგრამ რა? არ ვიცი, სახელი ვერ მოვუნახე — ის, რომ ჩემთვის ასეთი ახლობელი გახდი? ეს ხომ შენი ბრალი არ არის, ის, რომ ის ერთი ღამე მესხიერებიდან ვერ ამოვიგდე? არც ეს არის შენი ბრალი... (პაუზა) მაგრამ ჩვენ ხომ ადამიანები ვართ... და რადგან ადა-

მიანები ვართ, ის ერთი ღამეც რატომ უნდა გამქრალიყო, რისთვის?

**ნიკა.** (საუბრის თემის შეცვლა სურს. რაც უცებ ენაზე მოადგა ის თქვა, მეტი ვერაფერი მოიფიქრა) აქ, ზღვაზე, დასასვენებლად დიდი ხანია ჩამოხვედი??

**ქეთი.** აი, ეს არის მთავარი! დადგმული სიყვარულის ღამეები! ისე მოვანწყე, როგორც მოვახერხე, ძალიან კი გამიჭირდა.

**ნიკა.** რა?

**ქეთი.** როგორც ამბობენ, ყოველი სვლა გაანგარიშებული მქონდა, მაგრამ ჯერ იყო და შენ ჩანდი ქალთმოძულე...

**ნიკა.** მაგის დრო ვილას აქვს.

**ქეთი.** მერე კიდეც ბატონ სანდროს სტუმრობამ ღამის ყველაფერი ამირია (პაუზა). აქ ზღვაზე, ამ სასტუმროში შენ მომიყვანე.

**ნიკა.** მე?

**ქეთი.** მარტო დავრჩი, ნიკა, სულ მარტო. მხოლოდ ანუკის ბავშვების მოვლა იქცა ჩემი ცხოვრების მთავარ საქმედ. ანუკი ჩემი დაა... ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობა კი... აღარ შემიძლია, ყელში ამომივიდა ეს კოლბები, სინჯარები, ანალიზები... ქალი ბავშვებს უნდა უვლიდეს, შვილებს უნდა ზრდიდეს. ქალის ბედნიერება სწორედ ეს არის... მარტოობა არსებობა — ერთი გასანყლებული, გასაცოდავებული არსებობა! ვილაცასთან უნდა მიხვიდე, ვილაც უნდა იდგეს შენს გვერდით, ვილაც უნდა გელოდებოდეს და სწუხდეს შენი დაგვიანების გამო. (პაუზა) შენ არ იცი, ვერც ვერასოდეს მიხვდები, თუ რა არის მარტოობა...

მითუმეტეს, როცა ირგვლივ ამდენი ხალხია... უამრავი ხალხი ირევა ირგვლივ, მაგრამ... (კვლავ რამდენიმე ყლუპი დალია) მაგრამ მაინც მარტო ხარ (დუმილი) და მე გადავწყვიტე... ისეთი რამ გადავწყვიტე, რაც... (დუმილი. ერთხანს უხმოდ შესცქერის ნიკას) რაზეც ძალიან დიდხანს ვფიქრობდი. ქალმა უნდა იფიქროს ამაზე, მითუმეტეს, როცა ოცდათხუთმეტეს გადასცილდება.

**ნიკა.** (ხმაში მღელვარება დაეტყო, მაგრამ მაინც ალერსით) რა გადაწყვიტე, ქეთი? რა გადაწყვიტე-მეთქი!

**დუმილი**

**ქეთი.** (ნიკას მღელვარებამ ღიმილი მოჰგვარა) გადაწყვიტე, რომ... დიდხანს ვფიქრობდი... ყველაფერი უნდა გააკეთო იმისათვის, რომ ცხოვრებამ უაზროდ არ ჩაიაროს...

**ნიკა.** და რა გადაწყვიტე? (დუმილი. სასონარკვეთილი) შენ გადაწყვიტე შვილი გაიჩინო? გინდა უქმროდ გყავდეს შვილი? (ქეთი დუმს, ნერვიულად) გამაგებინე, ქეთი!

**ქეთი.** (ყრუად). ჰო ასეა!

**ნიკა.** კი, მაგრამ... (ენა ებმის).

**ქეთი.** რა? რა მაგრამ...

**ნიკა.** (ხანგრძლივი პაუზა, რომლის განმავლობაში რალაც მოიფიქრა. ღიმილით) არ გეშინია?

**ქეთი.** რატომ, რისი უნდა მეშინოდეს?

**ნიკა.** ხალხის, ადამიანების, ნაცნობების, ნათესავების დამცინავი ღიმილის. ათასი რამის... ჩვენ ხომ საქართველოში ვცხოვრობთ!

**ქეთი.** (კატეგორიულად) არა!

**ნიკა.** (სხვათაშორის, ღიმილით). შენ ხომ იცი, შენ ალბათ, გეცოდინება... უნდა იცოდეს, რომ მე ცოლი მყავს... ცოლი და ორი შვილი.

**ქეთი.** ვერ გამიგე... მინდა ჩემს ცხოვრებას აზრი ჰქონდეს... მიზანი...

**ნიკა.** (იფთქებს) ვერ გავიგე, მაგრამ მე რა შუაში ვარ!..

**ქეთი.** თუ მე შვილს გავჩენდი, ამ ადამიანისაგან უნდა ყოფილიყო, ვინც... ქალი შენ გააღვიძე ჩემში და... (ნიკა წამოდგება, იქნებ წამოხტება კიდეც) ნუ ღელავ, ეს შენ არაფერს არ გავალებს... როგორ გამიჭირდა ეს თამაში... მაგრამ სხვა გზა არ მქონდა... მეც ვითამაშე... ვითამაშე...

**ნიკა.** რა უფლებით... რას ჰგავს ეს! (გალიაში მომწყვედი-ღივით გრძნობს თავს) თუ ასე იცოდი, ყველაფერი, ისიც იცოდი რომ ცოლ-შვილი მყავს... რატომ ჩამაგდე ასეთ დღეში!



**ქეთი.** იმიტომ, რომ შენ ჩემთვის... ვერ დაგივინყე... მუდამ ჩემთან ხარ...

**ნიკა.** რა სიყვარულობანას მეთამაშები! ბავშვის გაკეთებას რა სიყვარული უნდა. ბავშვი ყოველი მუტრუკისგან შეიძლება გააჩინო.

**ქეთი.** არა, უსიყვარულოდ გაჩენილი ადამიანის ცხოვრება უღაზათოა. ფოთლებდაცვინილ ხეებსა ჰგავს — სიყვარულის მაღლი აკლია. მე კი მინდა ჩემი შვილი...

**ნიკა. (ანყვეტინებს)** იყოს, როგორც გინდა, ისეთი იყოს, ოღონდ მე რა შუაში ვარ... რა კავშირი მაქვს შენს სურვილებთან!.. რა სიყვარულზე მელაპარაკები... კოცნას სიყვარულთან რა კავშირი აქვს. გაკოცე და მორჩა, რამდენი გოგოსთვის მიკოცნია, რამდენთან...

**ქეთი. (ღიმილით)** დამშვიდდი, ნიკა, მე ახლა ნავალ და ჩვენ არასოდეს, არასოდეს შევხვდებით ერთმანეთს. აი, ასე შეიკრან რე — ყველაფერი დაიწყო ბაკურიანის ბარში, როცა ასე კარგად მიმღეროდი და უკრავდი გიტარას, და დამთავრდა აქ, ამ სოფელში. რა ბედნიერი ვიყავი იმ საღამოს — შენი გიტარის ჩემს მხარზე შეხება მათრათოლებდა...

**ნიკა. (ანყვეტინებს)** გიტარა?! ორჯერ მისხენე, როდის იყო გიტარას ვუკრავდი!

**ქეთი.** პირველ საღამოს — ბარში, მეორე საღამოსაც.

**ნიკა.** მე? მე გიტარას ვუკრავდი?

**ქეთი.** ის საღამო არ გახსოვს?

**ნიკა.** ძალიან კარგად მახსოვს, შენც მახსოვხარ... ისეთი მსხვილი ნაწნავები გქონდა, ვინ არ დაგიმახსოვრებდა. გიტარა? არასოდეს მჭერიან ხელში!

**ქეთი.** გიტარა როგორ არ გეჭირა... მღეროდი...

**ნიკა.** არასოდეს! და საერთოდ, სიმღერაზეც ვერა ვარ კარგად. ძმაკაცებში სიმღერას რომ დავიწყებ, ყურებზე ხელს იფარებენ... მე უბრალოდ მაგ მსხვილი ნაწნავების გამო...

**ქეთი. (ულონოდ, თვალეში სხივამქრალი)** რა მსხვილ ნაწნავზე მელაპარაკები...

**ნიკა.** მაჯისსიმსხო ნაწნავები...

**ქეთი.** მერედა, სად იყო ეგ ნაწნავები?

**ნიკა.** ორივე მკერდზე გქონდა გადმოყრილი... დედაჩემის ქალიშვილობის სურათი მაქვს. ორი ნაწნავი, აი, ასე... თვალეებიც მისი გქონდა, თვალეების ფერი შეგცვლია... ძალიან მაგონებდი დედაჩემს. სწორედ მაგ ნაწნავების გამო გეძებდი...

**ქეთი. (უცნაური, ხმით)** ორი მსხვილი ნაწნავი?

**ნიკა.** იმ სახლს, სადაც ბიჭებმა ბაკურიანში ოთახი დავიქირავეთ, დიდი ყორე ერტყა. მეორე დილას, ვიდრე სათხილამუროდ წავიდოდით და ფეხს მოვიტეხდი, იმ კედელზე ნახშირით დაგხატე. ყინვაში ვიდექი და გხატავდი. აი, იმ ნაწნავების გამო გხატავდი, ძალიან მომიწონდა. ქვეშ კი შენი სახელი მივანერე: ნიკა... (გაოცებული ახედვს ქეთის) კი, მაგრამ... ეს რა საჭირო იყო... სხვა სახელი რატომ მითხარი? (ხანგრძლივი პაუზის განმავლობაში დაყინებით შესცქერის) შენ ხომ... შენ ხომ...

**ქეთი. (ცრემლი აწვება).** რა სახელი... რას ამბობ!...

**ნიკა.** შენ ხომ სხვა სახელი გქვია... (იგონებს, მესხიერებას დაძაბავს) შენ ქეთი კი არა, ეკა, ეკა გქვია... თითქოს ვხედავ კიდეც ჩემს დახატულ ნაწნავებიან გოგოს... მაშინ ინგლისურს ვსწავლობდი და ორივე სახელი ინგლისურად დავწერე: NIKA=EKA.

**ქეთი.** გაჩუმდი, გაჩუმდი, ნულარაფერს იტყვი!

**ნიკა. (ქეთის თვალეზე მოწილილი ცრემლი ახლავს შეამჩნია)** რა... რა...

**ქეთი.** მე არასოდეს, არასოდეს მქონია მსხვილი, მაჯის-სიმსხო ნაწნავები, დაბადებიდან ქეთი მქვია... არასოდეს ვყოფილვარ ეკა!

**ნიკა. (ერთობ კმაყოფილია)** და შენ გინდა თქვა, რომ...

**ქეთი. (ნერვიულად)** რატომ, რისთვის? ასე რატომ უნდა მომხდარიყო: შენ არ გინდა ის იყო, ვისაც მე ვეძებდი, მე ის არა ვარ, ვინც დედას გაგონებდა და მოგწონდა. ის სანდროც

წუმომბატოკოსი კი არა... შენ აქ სულ სხვა საქმეებისათვის ხარ ჩამოსული...

**ნიკა.** აბა, რა ვქნათ, ექიმის ხელფასი...

**ქეთი.** ყოფილიყავი...რა იქნებოდა, ოციოდე წუთით დარჩენილიყავი იმ ნიკად... რა მოხდებოდა... მე ხომ არაფერს გთხოვდი.

**ნიკა.** ადამიანს ის მაინც უნდა ჰკითხო, მამობა უნდა თუ არა.

**გოგი. (შემოდის, ჯიქურ მიადგება მაგიდას)** ძალიან კარგად იცოდი, რაც იყავი ჩემთვის. მაინც დამცინოდი. შენ და შენი დაქალები მამასხარავედით. ჯერ სახელის გამო: კაციაო, კაციაო, კაციაო, კაციაო... (ხაზგასმით) კაციაო. ამ სახელმა ისე გამანამა, მამაჩემს ლამის საფლავში ჩავძახო საყვედური... მერე რა მსუქანი ხარო... ოფლი რატომ გდისო... ყველაფერი, რაც მე მქონდა, დასაციინი გახდა, მერე დაცინვაც მოგებურდა. მე უკვე აღარ ვარსებობდი შენთვის. არც ქუჩაში, არც... არსად მამჩნევდი. აღარც სახელი, აღარც სოფელეობა გართობდა ჩემი, აღარც სიმსუქნე... მე კი ნალველს, ვარამს გულში ვიკლავდი, და გელოდი, ქუჩის თავში გელოდი მხოლოდ იმისთვის, რომ დამენახე, თვალ შემეველო... სწორედ მაშინ გამიჩნდა შურისძიების სურვილი. შენმა უარყოფამ დიდი ძალა გააღვიძა ჩემში... სოფელს დაფურუნდი... გადავწყვიტე, ისეთი რამ გამეკეთებინა, რომ შენ გაკვირვების შეძახილი აღმოგხდენოდა და გეთქვა, ეს კაცუნა ნამდვილი კაცი ყოფილაო. ცხოვრების წესის გამოცვლამ სახელის გამოცვლის უფლებაც მომცა, მაგრამ ვგრძნობდი, რალაც მთავარი, დიდი უნდა გამეკეთებინა და ბოლოს მოვიფიქრე — უნდა გავმდიდრებულიყავი... მდიდარი კაცი უნდა გავმხდარიყავი და ჩემი ლალი ცხოვრება ისე ამეფრიალებინა შენს თვალწინ, როგორც წითელ ქსოვილს აუფრიალებენ გონებადაბინდულ ხარს. რას არ ვშვრებოდი — უნამუსობას ჩავდიოდი, გაჭირვებულსაც ვაჭერდი წიხლს და ამ დროს სულ შენი დამცინავი მზერა მედგა თვალწინ — თითქოს ჩემი სისასტიკის და დაუნდობლობის შთაგონება იყავი. (შეჩერდება, პაერს ხარბად შეისუნთქავს) მივალწი, მოვახერხე. შენი ჯობრით, შენს ჯინაზე ვაკეთებდი ყველაფერს. როცა საკუთარი თავთან მარტო დავრჩებოდი, იმას წარმოვიდგენდი, თუ როგორ ავიფრიალებდი თვალწინ ჩემს სიმდიდრეს და როგორ მოგიკლავდი გულს...სინანულის წრედში მოგაქცევდი, მაგრამ რა... დღეს გნახე და თითქოს არც არაფერი ყოფილა, თითქოს წლებიც არ გასულა, მე ისევ იქ ვდგავარ, პანთეონთან, რომ თვალი შეგავლო, შენ სილა გამანანი და ახლა იმ ბიჭთან ერთად მიუყვები ქუჩას. (პაუზა) თურმე იმ მთავარს ვერაფერი ვერ აგინაზლაურებს... ვერაფერი! უარყოფილ კაცს მუდამ თან სდევს დამცინავი მზერა და აბრეცილი ტუჩების სუსხი... სიმშვიდეს ვერსად იპოვის... მუდამ განიცდის იმის დანაკლისს, რაც მაშინ დაკარგა. რას ველოდი და რა შემჩრა ხელთ? როგორ მინდოდა ჩემთან შეხვედრის შემდეგ ცრემლი გდენოდა და როგორ დამთავრდა ყველაფერი! შენ ჩემს სოფელში საქორწინო მოგზაურობაში ჩამოხვედი და მნახე ისეთი, როგორიც არ უნდა ვიყო და როგორიც გამხადე, შენ გამხადე ასეთი...

**ნიკა.** ტყუილია!

**გოგი.** ეგ შენი საქორწინო მოგზაურობა თითქოს ეკრანი გახდა ჩემთვის, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ტყუილად ვეხლებოდი კედელს.

**ნიკა.** ტყუილია-მეთქი, არ გესმის?

**გოგი.** არ არის ტყუილი! უარყოფილ კაცში ან ცხოველური ძალა იბუდებს, ან მორჩილი ხდება. მე ძალა გამიჩნდა, აი, ამან შემაძლებინა...

**ქეთი. (ნიკას)** ნიკა, რა გინდა?

**ნიკა.** ყველაფერი, ყველაფერი ტყუილია!

**ქეთი. (დაძაბული, ნერვიულად)** ნიკა!

**გოგი.** მაცალე, რა, სიძე ბატონო, მაცალე!

**ნიკა.** არ არსებობს არავითარი საქორწინო მოგზაურობა, არ არსებობს არავითარი ცოლ-ქმრობა, ეს ყველაფერი თამაშია, თამაში! ჩვენ უბრალოდ გავითამაშეთ.

**გოგი. (უმწეოდ მიმოიხედავს)** რა გაითამაშეთ?

**ნიკა.** ცოლ-ქმრობა გავითამაშეთ. ისე... ქეთის სჭიროდა.

**გოგი.** ისევ დაცინვა, ისევ გამასხარავება? ქეთი!

**ნიკა.** ეს თამაშიც ქეთიმ წამოიწყო.

**გოგი.** ქეთის ასეთი თამაში არასოდეს უყვარდა.

**ნიკა.** ქეთი თავისუფალი ქალია... თავისუფალი... არც ქმარი ჰყავს, არც...

**ქეთი. (წამოდეგება)** მე უნდა წავიდე.

**გოგი. (მხარზე ხელს დაადებს)** დაჯექი! (ქეთი მორჩილად დაჯდება) სად მიდიხარ?

**ქეთი.** თბილისში, რამდენიმე დღით ვიყავი ჩამოსული.

**ნიკა.** ეს კონცერტი უნდა ჩატარებინა, მერე აქედან თავისი მომავალი ცხოვრების გარანტი წაეღო და მიაქვს.

**ქეთი. (ბრაზით)** მაგრამ პარტნიორში შევცდი, მეხსიერება დაუკარგავს, ან შიშმა დააკარგვინა. არ გამიმართლა!

**გოგი.** გამაგებინეთ, რა ხდება?

**დუმილი. ხმადაბლა, თითქმის თავისთვის.**

ასე როგორ შევიცვალეთ — შენ შენ აღარ ხარ, მე მე აღარ ვარ... ყველაფერი გაქრა. მთელი ცხოვრება შენი სახე მედგა თვალწინ, ქანცის გამოლევაზე იმიტომ გავრბოდი, რომ შენი თვალები მომდედნენ: შენი გამჭირდავი მზერა, დამცინავი ღიმილი, უარყოფელი მოძრაობა. ყველაფერი, ყველაფერი, რასაც შენ წარმოადგენ, რასაც შენი სახელი ჰქვია, ჩემი ცხოვრების დოპინგი იყო და შენც აღარ ხარ? ესეც აღარ არის?

**ვანიკო. (შემოდის სახეპარსიანებული)** კაი გამარჯობათ თქვენი კიდე ერთხელ! რას შერები, სიძე ბატონო, ხო დაგიტკება ცხოვრება, მოვედი აგერ და არაფერი გლახა არ ყოფილა ეს „ვარაუტე“! რა მოხდა მერე — დარბიან ეს გოგო-ბიჭები ზეით-დაბლა და ცეკვავან. მომეწონა, თვალში გამოიხედავ კაცი, მარა ასე ძვირი რომაა? ნამეტანი ძვირი ვახდა ყოლიფერი, ნამეტანი! გაგონილა? ერთი ჭიქა ღვინო ღირს იმაზე მეტი, რაც ბოთლი ღირდა! აჰ, ჩემი „შპაკლი“ ამას ვერ შესწვდება. რატომ ხართ ასე მონყენილები, რა იყო? ქეთი, ცუდად ხო არ ხარ, შვილო!

**სანდრო. (შემოდის, მხიარული, ბედნიერი კაცის იერი დასდევს)** მივესალმები ამ ჩინებულ საზოგადოებას, ეს რა ტუჩზე საკოცნელი ხალხი შეკრებილა! ბატონი გიორგიც აქ ყოფილა,

ჩვენი ერთგული მეგობარი!.. ხალხს უთქვამს: ახალშეუღლებულთა პატივისცემა ღმერთსაც უხარიაო. კარგია, რომ ამათთან ხარ, ჩემო გოგი, კარგი!.. მართალია, რომ ამბობენ, ივანიშვილს ჩვენი პროკურორი თბილისში მიჰყავსო? შენ ყველაფერი იცი და ესეც გეცოდინება, ვინ მოჰყავთ?! როგორი კაცია? ჩვენ ხომ არ დაგვინყებს რქენას. ხმა გამეცი, შე კაცო, რა მუნჯივით ზიხარ... დავიჯერო, ჩვენ დაგვეტაკება?

**გოგი.** ერთი იმის დედაც!

**სანდრო.** აგაშენა ღმერთმა, ჩვენც ის გვინდა, თუ კაი კაცია (ნიკას) დღეს მიდიხართ თურმე და... ძალიან მომეწონა, კარგი სამაჯურები გამოუშვიათ თქვენს ბიჭებს, ფეთდებიან ტურისტები, აშენდნენ ახალაიები... იმედი მაქვს, არც ჩვენ დაგვივინწყებთ... (ქეთის) ნუ დაგვემდურებით, ჩემო თამრიკო... (მიხედება, რომ სახელი შეეშალა. შეყოვნდება) ქეთი! იქნებ, ვერც გეცით საკადრისი პატივი, მაგრამ ჩვენი სოფელი მაინც დაუვინყარი იქნება თქვენთვის. თაფლობის დღეები გაატარეთ აქ და მეც მინდა რალაც ნიშანი დაგვადო ამ საქმეს და აგერ ეს მცირე ძღვენი... პატარა საჩუქარი (შავიდაზე კოლოფს დასდებს).

**ქეთი, ნიკა, გოგიც გარინდებული სხედან, თავის ფიქრებში ჩაფლულან. ვანიკო იყურება დაეჭვებული, გაფაციცებული.**

მშვიდობაში იხმარეთ! ბედნიერი იყოს თქვენი ცხოვრება. ტკბილად შეაბერდით ერთმანეთს, მჯერა, ასეც იქნება, ძალიან გიყვართ ერთიმეორე და ამიტომ... აბა, თქვენ იცით. ჩემო ნიკა, იმედი მაქვს, არ დამივიწყებთ!

**ქეთი. (გოგის, ნიკას, კოტეს, ვანიკოს მზერას გაუსწორებს)** ჩემი წასვლის დროც მოვიდა. კარგად იყავით! ნიკა, შიში ნურაფრის გექნება, შენ ხიფათი არ გელის... მაინც გამარჯვებული მივდივარ... ის გავაკეთე, რაც მენადა... (გოგის) კაციკო!.. (პაუზა) რატოა კაციკო ცუდი სახელი... რას ერჩი მამაშენს... სადგურამდე გამაცილებ? გამაცილე სადგურამდე! (წამოდეგება, მიდის. გოგი მიჰყვება).

**ნიკა. (მზერას გააყოლებს, თითქმის თავისთვის)** აბა, რა, სხვაგვარად არც შეიძლებოდა — ბაკურიანში ერთი კარგი საღამოს გამო, ოჯახს ხომ არ ავირევედი.

**ვანიკო. (იქნებ, გლახურმა ინტონაციამ მიახვედრა)** აბა, არა?!

**სანდრო. (ჭიქა შამპანურით შეივსო, დალია)** ხო ის არ არის, რაც იყო, გააფუჭეს ჩვენი ქალაქის ჩამოსხმა სულ, მაგრამ მაინც კაი რამეა... არა, ვანიკო?

**ვანიკო. (ნიკას შესცქერის)** აბა, არა?!

ნელ-ნელა იხურება ფარდა

### გაიხსენას კოლაუ ნადირაძე

26 თებერვალს, მწერალთა სახლში ცისფერყანწელთა უკანასკნელი მოპიკანის, **კოლაუ ნადირაძისადმი** მიძღვნილი საღამო გაიმართა. საღამოს ძირითადად ძველი თაობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სიტყვით გამოვიდა ლიტერატურისმცოდნე და კრიტიკოსი **ნინო ჩხიკვიშვილი** და გაიხსენა მისი პირველი შეხვედრა კოლაუ ნადირაძესთან. ისაუბრა იმაზე, თუ რა ბედნიერი იყო მაშინ: „როცა მივედი მკითხა: კომუნისტური პარტიის წევრი ხარ? არამეთქი, ვუპასუხე. მაშინ მობრძანდით“. **ნინო ჩხიკვიშვილმა** ყველას მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ ჩვენი მეშვეობით ისევ აღსდგა ცისფერყანწელური გარემო. უახლოეს მომავალში დაიბეჭდება წიგნი, რომელიც აგებულია ქალბატონი ნინოსა და კოლაუ ნადირაძის შეხვედრებზე. ამ მომავალი წიგნიდან ფრაგმენტი წაიკითხა მსახიობმა **ნინო აიდარაშვილმა**.

კოლაუ ნადირაძე გაიხსენა ასევე მეცნიერმა **რამაზ პატარიძემ (მიქელ პატარიძის ვაჟი, რომელიც კოლაუ ნადირაძის მეგობარი იყო)**. ისაუბრა მამისა და კოლაუს მეგობრობაზე. რამაზი მამის გარდაცვალების შემდეგ

ხშირად ხვდებოდა კოლაუს და ოჯახის წევრებთან ერთად ქალაქგარეთ დადიოდნენ. როგორც აღნიშნა, კოლაუ ნადირაძემ საქართველო გამოიგლოვა და მისი პოეზია საქართველოს გოდებაზე დაწერილი. „მამა მეუბნებოდა, რომ კოლაუს ლექსი **„ფოთლები ქარში“** დამეზუპირებინა, რაც კოლაუს ძალიან გაახარებდა, თუმცა ვერაფრით ვერ ვსწავლობდი მის ლექსს“.

ეს ლექსი ემოციური მუსიკის ფონზე წაიკითხეს თეატრალური უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტებმა (პედაგოგი **თამარ ხიზანიშვილი**).

სიტყვით გამოვიდა კრიტიკოსი **თემურ ქორიძე**, მან ძირითადად ისაუბრა ქართველ სიმბოლისტებზე, მათ რეალისტისა და პოეტის ცხოვრებით იცხოვრეს და პოეზია რეალობად აქციეს. ისინი მოგზაური პოეტები იყვნენ. სიმბოლისტების წიგნი უნდა გადავშალეთ, რომ გავიგოთ სიცოცხლისა და ცხოვრების არსი.

საღამო ART PLAZA-ს აღსაზრდელებმა (პედაგოგი **თამარ ხიზანიშვილი**) დახურეს თეატრალური დადგმით **„ფოთლები ქარში“**.

სალი გუხრაშვილი



ჯუანშერ ტიკარაძე

\* \* \*

კორპუსებს შორის,  
ჩიხში,  
ზედ შენს სარკმელზე,  
მგლებმა მიიმწყვდიეს დაღლილი მთვარე...  
გაიღვიძე, — გეხვეწები, —  
ჩქარა გაიღვიძე.

პროვინციული მანიაკი

*ხორხე ლუის ბორხესს,  
ვიდრე ამქვეყნად იყო  
და ახლაც, როცა აქ აღარ არის*

უცნაური,  
თითქოს უკვე შეჩვეული  
და მაინც აქამდე განუცდელი თრთოლვა აიტანდა ხოლმე,  
როცა მორიგი ადამიანის მოკვლას გადაწყვეტდა.  
დიდი ქალაქის ჩრდილს შეფარებული მათრობელა ხილვებით  
დასიცხულ ლამეებში  
აბლაბუდაში გაყურსული ობობას ფაქიზი გულისყურით ცდი-  
ლობდა დაეჭირა  
და სრულიად ჩვეულებრივ მოვლენებში ამოეცნო  
ამ ქაოტური და უმიზნო სამყაროს მბრძანებლის —  
შემთხვევითობის  
(პირველქმნილი შემთხვევითობის,  
ვიდრე უკვე ამხდარს  
გარდუვალობა  
და ბედისწერა შეერქმეოდა)  
სხვებისგან დაფარული შიფრი:  
აი,  
ოთხმა მანქანამ ჩაიგრუხუნა მიღმიერ „მე“-ში,  
ვიდრე გაფუჭებული ონკანიდან გამოცურებული მომდევნო  
წვეთი დაეცემოდა,  
თუჯის დაჟანგულ ნიჟარას კი არა,  
მის ანტენადქცეულ ცნობიერებას —  
*ოთხი, ესე იგი —*  
ან მჭახე ჭეჭა-ქუხილს შემოყოლილი უცაბედი ქარი  
ააშრილებდა  
მაგიდაზე მიგდებულ ნიცშეს გაცრეცილ ჩანანერებს  
და ასოცდამესამე გვერდზე გადაშლიდა —  
*ასოცდასამი, ასოცდასამი —*  
ან  
მეორე... მეოთხე... მერვე... მეთორმეტე,  
ჰო, მეთორმეტე საართულის ფანჯრებში ფარდა  
შეირხეოდა ავბედიოდა,

სწორედ მაშინ,  
როცა ყურში ცეცხლის ფარდას შეხეთქებული ფარვანას  
მშრალი შიშხინი ჩაესმოდა —  
*მეთორმეტე. გადაწყვეტილია —*  
და, აი, დიდი ნადირობაც დაიწყებოდა:  
საკუთარი ინფანტილური თვითრწმენის უხილავ ჯავშანს  
ამოფარებული,  
თითებიდან ფიქრებშიც გაჟონილი თრთოლვით გაჰყურებდა,  
სავეს მთვარის შხამიანი სისხლით როგორ იღებებოდა დიდი  
ქალაქის აშმორებული ქუჩები,  
ვიდრე თავის თავთან ერთხელ და სამუდამოდ დათქმული  
დრო გამოიზღაზნებოდა

წარმავლობის გომურიდან —  
*პირველი საათი და შვიდი წუთი —*  
და ბოლოს და ბოლოს ათვლის ჟამიც ჩამოკრავდა:  
აჰა,  
ჯერ ხორცის პირველი კაცუნა ჩამოივლიდა,  
მერე — მეორე,  
მესამე —  
*თრთოლვა მატულობდა, მატულობდა —*  
მეოთხე,  
მეხუთე,  
მეექვსე,  
მეშვიდე —  
*თრთოლვა მატულობდა, მატულობდა, მატულობდა —*  
მერვე,  
მეცხრე,  
მეათე,  
მეთერთმეტე —  
*თრთოლვა მატულობდა, მატულობდა, მატულობდა,*  
*მატულობდა, მატულობდა, მატულობდა —*  
და ბოლოს აღბეჭდილიც გამოჩნდებოდა,  
ალარყოფნის კრიბტოგრამული დამლით აღბეჭდილი  
და თრთოლვას უკვე ჟრუანტიელი ენაცვლებოდა  
და არახორციელი ნარცისული ორგაზმის მსგავს  
ნეტარებაში გადადიოდა

იმ წამს,  
მაცუჩიანი იარაღის სასხლეტისთვის თითი რომ უნდა გამოეკრა  
და მაშინ ის  
კაცთა მოდგმისთვის მონიშნულ სამანს შორდებოდა.  
მაშინ ის...  
არა,  
ღმერთი არ იყო.  
ღმერთი,  
დანამდვილებით იცოდა,  
საერთოდ არ არსებობდა.  
ჯერ გარდუვალობადაურქმეველი შემთხვევითობის  
განსხეულებული ხელი იყო ის მაშინ.  
ეს ხელი ატრიალებდა გალაქტიკებსაც და სათამაშო  
რულეტის ბორბალსაც  
და ველარაფერი დაიხსნიდა,  
ვისაც სიკვდილს გადაუნწყვეტდა.

სადმე გავისეირნოთ

სადმე გავისეირნოთ  
გითხარი მე შენ

შენ ხელში ამიყვანე  
და ლოგინზე წამომანვინე

არ გინდა  
გითხარი მე შენ

შენ ლიფი გამისხენი  
ჯერ ერთ კერტს მიეფერე ენით  
მერე მეორეს  
მერე ორივე ძუძუ დამისრისე

ვინმე არ მოვიდეს  
გითხარი მე შენ

შენ მკვეთრად და თავნებად შემოხვედი ჩემში

აჰ  
გითხარი მე შენ

შენ ხელისგულებზე წამოინიე  
თავი უკან გადააგდე  
და რიტმულად ამოძრავდი  
წინ

უკან  
წინ  
უკან  
წინ

ცოტა ნელა  
გითხარი მე შენ

შენ ტემპი კიდევ უფრო ააჩქარე  
უფრო ჩქარა  
კიდევ უფრო ჩქარა  
კიდევ

მიყვარხარ  
გითხარი მე შენ  
მიყვარხარ მიყვარხარ მიყვარხარ  
მიყვარხარ მიყვარხარ  
გითხარი მე შენ

შენ რამდენიმე წამით მაგრად მაგრად მაგრად მომეკარი  
მერე უცებ მთელი ტანით მოეშვი  
ერთხელ  
მეორედ  
მესამედაც შეთრთოლდი  
და მიყურდი  
ჩემზე უმწეო ბავშვივით მონდობილი

თავხედი ხარ  
გითხარი მერე მე შენ

შენ გაიცინე  
ლოგინიდან წამოდექი  
და შარვალი ამოიცვი

კიდევ დარჩი  
გითხარი მე შენ

შენ არც შემომხედე  
ჯერ ერთ ფესხაცმელში წაყავი ცალი ფეხი  
მერე მეორეში მეორე  
მერე დაიხარე  
და თასმების შეკვრა დაიწყე.

\* \* \*  
გაცვდა მოგონება.  
მიყურდა ტკივილი.  
შენ დარჩი მარტო:  
ლამის პეპელა შეენარცხა ცეცხლს,  
ჩაქრა.

\* \* \*  
თითქოს ერთნაირია ყველგან  
ცაბ, მთვარეც,  
ვარსკვლავებიც.  
მარტო მინაა სხვანაირი.  
არა,  
მინაც კი არა,  
უფრო  
საფლავები  
იმ  
მინაში.

\* \* \*  
ამ სახლში ახლა ცხოვრობენ სხვები,  
სხვები თელავენ შენს ნაბოგინევს,  
ხსოვნა კი წაშლილ კვალივით რჩება —  
მთვარის ნაწოლი ღამის ლოგინზე.  
და ელი, ელი: სვენაიარე  
ზმანებებს ქენჯნა, მოვა, მოგკითხავს.  
ეს სევდაც რაღაც სხვანაირია,  
როგორც სამყარო ეშაფოტიდან.  
დუმს სახლი. ანკი რა თქვას.  
წამიც და წარსულის მწუხრში გალხვება თითქოს...  
ვინც წასასვლელი იყო, წავიდა.  
ვინც დარჩა, ახლა იმან იკითხოს.

### მგოსან ჯუანხერ უკულმარტის ნაღმართი აზრები

...თუ რამეს ამბობს, უკულმარტის ამბობს,  
თუ არას ამბობს, მალავს ნაფიქრალს.  
ფრანსუა ვიონი, „დიდი ანდერძი“, XXXIV

— Конечно, — ответил Незнайка.  
— Зачем же мне сочинять правду?  
Правду и сочинять нечего, она и так есть.  
Николай Носов  
“Приключения Незнайки и его друзей“.

#### აზრი უშუალობაზედ გამოთქმული

თავიდან ყველა ბავშვი უშუალოა  
და ბუნებრივი.  
ეს მერე ვსწავლობთ მაიმუნობას  
და ტუალეტში სიარულს.

#### აზრი დემოკრატიაზედ გამოთქმული

ბატონს თავად თუ აირჩიე,  
მონა აღარ იქნები.  
არა,  
აღარ იქნები.

#### აზრი ახალგაზრდული იდეალების მსხვერვაზედ გამოთქმული

ადამიანები ჯერ იზრდებიან,  
მერე კი იყიდებიან  
ან ხურდავდებიან.  
გაყიდულები ტელევიზორებში სხედან,  
დახურდავებულები – ტელევიზორებთან.

**აზრი ქართველებზედ გამოთქმული**

ძლიერ ქარაშოტში ლერწმებივით დადრეკილო ქართლ-კახელებო,  
კეთილ-ბოროტზე წამის უსწრაფესად მიდრეკილო იმერლებო,  
უნჯო და მუნჯო,  
ცრუ და ყრუ,  
გზამრუდე და ქედმოდრეკილო გურულებო და მეგრელებო,  
იქეიფეთ, ჭამეთ, სვით, მუცლები დაიხეთქეთ დედაბუდიანად!  
თქვენს ნაშიერებს მაინც LGBT ევროამერიკელები  
დაზრდიან მერე...

ან არადა – რუსი ფაშისტები.

**აზრი კლასტროფობიის გამო თქმული**

ადამიანებო, ადამიანებო,  
მაგ თქვენს სხეულებში სული არ გეხუთებათ?

**აზრი სულთა გადასახლებაზედ გამოთქმული**

რეინკარნაცია –  
დავირუსებული ჰომო საპიენსის გადაყენება.

**აზრი ოკუპაციაზედ გამოთქმული**

რა ჯიგიტი ხარ და რა ქართველი,  
შენი მტვრიანი დედაქალაქის გულში –  
საზვეების რომელიმე გაპიარებულ ობიექტში –  
ეროვნული სიამაყით აღვსილმა  
ძენ პაბედის ჰანგებზე მამაპაპურად თუ არ ჩაჰბუქენე...

**აზრი ევრაპეისტულად გამოთქმული**

- გასაბერ ქალებს გააჩნიათ:
1. რვასაათიანი სამუშაო დღის უფლება;
  2. ხელფასიანი და უხელფასო შვებულების უფლება;
  3. საარჩევნო ხმის უფლება;
  4. სექსუალური პარტნიორის არჩევის უფლება;
  5. ნაადრევი ორგაზმის უფლება;
  6. ჩაფუშვაზე უარის თქმის უფლება.

**აზრი ავგიას თავლაზედ გამოთქმული**

კაცობრიობის მეხსიერება –  
ათასწლეულობით ნაგროვები უწმინდურება,  
დეენემის მოლეკულაში დაკონტინერებული.

**აზრი ერთ სამწუხარო კანონზომიერებაზედ გამოთქმული**

მაღე ჩემი თაობის გეგმიური წასვლა დაიწყება...  
აქამდე ეს ამბავი  
იქ,  
მაღლა,  
ზეციურ კანტორაში  
გრიფით “გადაუდებელი” ფორმდებოდა.

**აზრი ბავშვებზედ გამოთქმული**

მშობლების საფლავებზე ამოსული შხამიანი ლენცოფები  
არიან ბავშვები  
და მათი სიყვარული  
საკუთარი თავის სიძულვილის უკუპროპორციულია.

**აზრი... არა, ნიუსი, პოზიცია-ოპოზიციის  
ცალ-ცალი თვალთ დანახული**

ავშენდავიქეცით, ვაივაშა, ხალხი ბრძენია.

**აზრი ქუჩა-ქუჩა ნანწლისას გამოთქმული**

ბოშები არც ხნავენ, არც თესავენ...  
ხელმოცარული, ზანტი და დოჟლაპია გამვლელები  
ზრუნავენ მათზე.

**აზრი პოლიტკორექტლობაზედ გამოთქმული**

კახპებს სექსმუშაკებს თუ ვუნოდებთ,  
ამქვეყნად ბოშები აღარ იქნებიან.

**აზრი შვილების გასაგონად გამოთქმული**

მე რომ ისე არასრულწლოვანი გავხდები  
და ზოგჯერ სახლიდანაც გავიპარები,  
ერთხელაც  
თავს  
შიშითა და სისუსტით აცახცახებულ სხეულში მიყუყულს ვიპოვი,  
იმ სხეულს კი –  
ქვის უსულო გოლიათებსა  
და რკინის ურჩხულებს შორის მომწყვდეულს  
და ველარ გავისხენებ,  
ამ ჩახუთულ და მტვრიან სამყაროში როგორ აღმოვჩნდი.

**აზრი ქართველობაზედ გამოთქმული**

დრო – ძილია.

**აზრი ჭეშმარიტ მგოსნებზედ გამოთქმული**

ნამდვილი პოეტი ხარ,  
თუ ცოლ-შვილი მშიერი გიჭყვივის  
(აღბათ ილიას მერცხალივით),  
შენ კი ამ დროს  
თავს  
დასაწერი ლექსის  
შიდა სტრუქტურის  
ალიტერაციულ შემადგენელზე იმტვრევ...  
ალუზიურ კონტექსტში.

**აზრი უკვდავებაზედ გამოთქმული**

სამუდამო პატიმრობას ჰგავს უკვდავება –  
სულ უნდა იყო, იყო, იყო, იყო, იყო, იყო, იყო, იყო, იყო,  
იყო, იყო, იყო, იყო, იყო, იყო, იყო, იყო, იყო, იყო, იყო, იყო,  
იყო, იყო, იყო, იყო,  
იყო, იყო, იყო, იყო, იყო, იყო, იყო, იყო, იყო, იყო, იყო...  
იყო.

**აზრი გლობალიზაციაზედ გამოთქმული**

აჭერით ბანქოს ქაღალდი, შუღერებო, კარგად აჭერით!  
კარგად აურიეთ  
კონტინენტი სხვა კონტინენტში,  
სახელმწიფო – სხვა სახელმწიფოში,  
კაპიტალი – სხვა კაპიტალში,  
სისხლი – სხვა სისხლში,  
კანის ფერი – სხვა კანის ფერში,  
გენდერი – იმავე გენდერში...  
ბოლო კოზირი სახელოში მაინც თქვენ გექნებათ გადამალული.

**აზრი თბილის-ქალაქზედ გამოთქმული**

ეს ქალაქი არასდროს იღვიძებს...  
სიზმრად კი სულ იმ დროს ხედავს,

როცა ტყე ერქვა  
და მის ჭალებში  
ხობბები დაკრიახობდნენ.

**აზრი ლექსად გამოთქმული**

გავეშებული მამრია  
და ვეფხვი კლავიატურის,  
უკვე მესამედ აიღო  
დილიდან ხმალი არტურის.  
გახსნის ფავორიტ საიტებს  
ტყუილ-მართალის მპოსტავი.  
ვირტუალურად გადახნა  
ცამეთი ქალის ბოსტანი.  
ჰოი, რა ჟრიაშულია,  
ზეცა ზარებით აიკლებს  
ათი ათასი მეგობრის  
ხორკლებად დაყრილ ლაიქებს.  
სამყარო დაპატარავდა,  
სივრცის მიჯნები დაღუნა –  
ქსელის გლობალურ ტალღებზე  
სრიალებს მისი თავუნა.

ზღვაში ტორნადოს დათავავს,  
ცაში – ჰალის კომეტას.  
ყველა ფორუმზე დაბლოკონ,  
თუკი დაგზარდეთ კომენტარს.  
სხვაა დესქტოპის მაგია,  
სხვა ალქმა, სულ სხვა ქიმიია.  
ცხოვრება არის თამაში,  
ცხოვრება ლაივსტრიმია.  
მოჩინელოა, მოჩუქრო,  
მოჩუბინე თუ ჩუკენი,  
გეიტს, შენ გებარებოდენ  
ციმციმ მოფეისბუქენი.

**აზრი პატივისცემაზედ გამოთქმული**

LGBT პირი – მოითხოვს;  
ფულის ტომარა – ყიდულობს;  
პოლიტიკოსი – იბრალებს  
და ადამიანი კი  
პატივისცემას  
იმსახურებს.

**აზრი ეკლესიაზედ გამოთქმული**

მამა-შვილს შუა  
შუამავალი  
რა საჭიროა?

**აზრი ეკლექტიზმზედ გამოთქმული**

ჯიბის ქურდი, კუზიანი მესაათე, მრავალცოლიანი  
ბულალტერი, უმნიკვლო დიასახლისი,  
მეორეკლასელი ბიჭუნა, მამისმკვლელი ბიბლიოთეკარი,  
პერსპექტიული რაგბისტი,  
სტალინისტი ნოქარი, ცალხელა ბრაკონიერი,  
ფიზიკის ფაკულტეტიდან გარიცხული სტუდენტი,  
მოდური სტილისტი, მაჩო, მეეზოვე, მეცნიერებათა  
აკადემიის ნევროკორექსიონდენტი, შუღერი,  
ბალერონი, მათხოვარი, ბეზიქალი, მეზღვაური,  
პროფესიონალი აფერისტი, მებაღე,

მკითხავი, მხატვარი მარინისტი, ბაიკერი, კახპა,  
ილუზიონისტი, მანანნალა, მაჭანკალი, ხაბაზი,  
დიპლომატი, კურტნის მუშა, ფიზკულტურის მასწავლებელი,  
ტელენამყვანი, მნე, ოპერმუშაკი,  
ექსპიზიციონისტი, ზოოლოგი, თვითმკვლელი ტერორისტის  
ხელის მტევანი, იელოვას მოწმე,  
ჩოხოსანი, კუტურიე, ქალები, ბავშვები, ოჯახები...  
ქალაქის სასაფლაო –  
ყველაზე ფანტასმაგორიული ეკლექტიზმი.

**აზრი ქალის სხეულზედ გამოთქმული**

ფეხები, ძუძუები და დუნდულები –  
სხვა დანარჩენი სულ სიცარიელეა.  
როგორც შავი ლიობები ვარსკვლავებს შორის...  
ვარსკვლავებისვე წარმოსაჩენად.

**აზრი უაზროდ გამოთქმული**

გამოაღეთ უსასრულობა,  
ამ პლანეტაზე ჰაერი უსაშველოდ ჩაიხუთა.

**აზრი სულიერ ძმებზედ გამოთქმული**

მათხოვრისთვის მიცემული ხუთი,  
ათი,  
თხუთმეტი  
ან თუნდაც ოცი თეთრი  
იგივეა,  
რაც დეპუტატობის კანდიდატისთვის მიცემული ხმა.  
არც პირველია უპოვარი  
და არც მეორე – ხალხის მსახური:  
ორივენი ბედკრული სააქაოს  
უბილეთო  
მგზავრები ბრძანდებიან.

**აზრი მეგარმონე პაჭიკოზედ გამოთქმული**

ეჰ, ქართველებო, ქართველებო...  
ვიღაც პაჭიკო გახსოვთ  
და თქვენი ანბანის შემქმნელი – არა?  
მაინც რას განელავდა იმ თავის გარმონს ამისთანას, ა?  
ხო-ხო-ხო, ბიჭო,  
თქვენც რომ გამოიბრუჟებოდით  
და დამწვრის ჰანგებს მაგ თქვენს ღიპებს ერთს  
დაშოშინანად ააყოლებდით.

**აზრი ბედნიერება-უბედურებაზედ გამოთქმული**

დანარჩენ ფილოსოფოსებზე ვერაფერს გეტყვით,  
მაგრამ მე თუ მკითხავთ,  
ბედნიერებაც და უბედურებაც აქამდე დაიყვანება:  
შეახტები თუ ვერა  
უკვე დაძრულ  
ბოლო ავტობუსს.

**აზრი აშოტ კურაპალატზედ გამოთქმული**

ყველა გარდარეული სიყვარული ბოლოს მაინც  
მოქნარებით მთავრდება.

პირზე ხელს აიფარებ თუ არა,  
ეს უკვე აღზრდისა და ზრდილობის ამბავია.

**აზრი სამყაროს რაობაზედ გამოთქმული**

მე



როსტომ ჩხეიძე

# კორნიშელი განდებელი და გაყინული ტვის საიდუმლო

(უხეხიანება თეატრის გახეხიანების მომზადებისთანავე „ჯეროვანი სკანდინავია — ნამდვილი ბრძოლა“)

ჰოლდენ კოლეჯიდან კოლეჯიდან აუკრეს გუდა-ნაბადი და... როგორ გინდა ეს შინ გაამხილო?

ადრე თუ გვიან სხვა რა გზა დაგრჩება, მაგრამ ასე ერთბაშად მიხლა მშობლებისათვის ამ უსიამოვნო ამბისა ძალზე უძნელდება, ამიტომაც გადაწყვეტის ის ღამე სასტუმროში გაათიოს, თუმცა ისეა აღელვებული და დაბნეული, ტაქსის მძღოლს ჯერ საკუთარი სახლის მისამართს ეუბნება, ვიდრე მალევე გადათქვამდეს. ის გაოგნებული შემოხედავს, ნუთუ წესიერად ვერ გაურკვევია, სად აპირებს წასვლასო?

და აი, უეცრად ყმანვილმა ასეთი ცნობისწადილი უნდა გამოამყდევინოს:

— ცენტრალური პარკის სამხრეთით რომ ტბაა, იმაში იხვეები თუ გინახავთ? აი, პატარა ტბა რომაა? შემთხვევით ხომ არ იცით, სად მიდიან ის იხვეები, ტბა რომ გაიყინება? იქნებ ყური გქონდეთ მოკრული.

მძლოლი თავს მოატრიალებს და ისე შემოხედავს, თითქოს გაიყინულიყო:

— შენ რა, დამცინი, ძმობილო? მაპამულებ?

მეორეჯერაც ტაქსის მძღოლთან უნდა გამოიჩინოს ეს ინტერესი:

— ცენტრალურ პარკში რომ ტბაა, იქ არასოდეს გაგივლია? აი, ცენტრალური პარკის სამხრეთით?... იხვეები ხომ არ გინახავთ ამ ტბაში? გაზაფხულობით. იქნებ შემთხვევით იცოდეთ, სად მიდიან?... ვინმეს საბარგო მანქანით მიჰყავს თუ თვითონვე მიფრინავენ — სამხრეთისკენ ან სხვაგან სადმე?!

მძლოლი შემობრუნდება და სახეში ჩაამტერდება:

— მე სად ჯანდაბოიდან მეცოდინება! ან რაში მჭირდება ამისთანა სისულელე.

ჰოლდენი კრინტს აღარ დაძრავს, რადგანაც მოეჩვენება, მგონი, უნებლიეთ ვაწყენინეო. ისევ მძლოლი მოუტრიალდება:

— ის კი ვიცი, რომ თევზები არსად არ მიდიან, სადაც არიან, იქვე რჩებიან. თევზები. იმ ოხერ ტბაშივე.

ყმანვილს, ცხადია, ეს პასუხი არ აკმაყოფილებს:

— თევზები, ჰო... სად თევზი და სად იხვი, მე იხვეებზე გაითხვით.

ყველას აღიზიანებს მისი შეკითხვა, მაგრამ ისიც რომ არა და არ ეშვება, ვიდრე არ გამოარკვევდეს, მაინც სად მიფრინავენ იხვეები ზამთარში?!

ამისთანა რა მნიშვნელობა აქვს, ანდა ჰოლდენსაც რას აუჩემებია, ხომ ხედავს, შერეკილის შთაბეჭდილებას ტოვებს ამ ჩაძიებით?..

რა მნიშვნელობა აქვს და...

რას აუჩემებია და...

\* \* \*

ჩარლი ჩაპლინი ერთ გულიანამაზრუნენ ეპიზოდს რომ ასვენებს თავის მხატვრულ-დოკუმენტურ რომანში „ჩემი ბიოგრაფია“, მოადვენებს: მას მოჰყვება ყველაზე ბედნიერი შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში, — და ხატოვანებითაც შემოსავს: წყვილი-ღამე გაჰყვება თან და განთიადს კი მზე მოჰყვებაო.

ერთ დღეს ჰოლივუდის აგენტი დაურეკავდა: ეს არის, ნიუ იორკიდან მსახიობი ქალი ჩამოვიდა და მგონი სწორედ ბრიჯეტის როლს მოუხდება თქვენს „ჩრდილსა და სინამდვილეს“.

რაკილა სხვა ფილმზე — „მუსიკა ვერდუ“ — მუშაობა ძალიან მძიმედ გრძელდებოდა, და ეს იმიტომ, ძნელი ხდებოდა გმირთა მოქმედების მოტივირება, ტელეფონის ამ ზარს ბედის გალიმებად მიიჩნევდა: ამ ფილმს რამდენიმე ხნით გადავდებ და ისევ „ჩრდილსა და სინამდვილეს“ დაუბრუნდებიო. აგენტს დაურეკავდა და უფრო დანვრისგან გამოჰკითხავდა ახალი მსახიობის ამბავს. იგი გამოდგებოდა გამოჩენილი დრამატურგის, ნობელის პრემიის ლაურეატის იუჯინ ო'ნილის ქალიშვილი უნა. ჩარლი უშუალოდ არ იცნობდა ამ დრამატურგს, მაგრამ მაშინვე წამოაგონდებოდა მისი პიესების ქუში სერიოზულობა და უნებურად ქალიშვილზედაც ასეთივე შთაბეჭდილება ჩამოუყალიბდებოდა — ისიც ქუში იქნებო.

ხან მაინც როგორ გვატყუებს ჩვენი წინათგრძნობა?!

— თამაში შეუძლია? — მოკლედ იკითხავდა.

აღმოჩნდებოდა, რომ თეატრში მუშაობის მცირე გამოცდილება ჰქონდა. ზაფხულში აღმოსავლეთსაც წვევოდა გასტროლებზე დასთან ერთად. მამ სჯობდა სასინჯად გადაელო და თვითონვე შეემონებინა.

მასთან შესახვედრად რომ მივიდოდა, სასტუმრო ოთახში ყმანვილი ქალი დახვდებდა, მარტოდმარტო მიმჯდარი ბუხართან. ჩარლის სავარაუდო შთაბეჭდილების საწინააღმდეგოდ გაბრწყინებული მშვენიერება შემოანათებდა და... ერთბაშადვე მოაჯადოებდა მისი თავისებური მომხიბლაობა და მიმზიდველი სინაზე.

როდესაც შეიტყო, რომ მისს ო'ნილს ის-ისაა შესრულებოდა ჩვიდმეტი წელი, გული ჩანყდებოდა. მართალია „ჩრდილისა და სინამდვილის“ გმირის როლი ახალგაზრდა შემსრულებელს მოითხოვდა, მაგრამ მეტად რთული ხასიათი იყო და ცოტათი უფრო ხნიერი და გამოცდილი მსახიობი სჭირდებოდა. ასე რომ, გულში უარს იტყოდა მისს ო'ნილს აყვანაზე, თუმცა... ეს ძალიან უხალისოდ მოხდებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ჰოლივუდის აგენტი ისევ რომ დაურეკავდა, რათა გაეგო, როგორ გადაწყდა ახალგაზრდა მსახიობის ბედი, და სხვათა შორის ამცნობდა, „ფოქს-ფილმ-კომპანი“ დაინტერესდა მისს ო'ნილით, ჩარლი დაფაცურდებოდა და მაშინვე მოანერდა ხელს კონტრაქტს.

— ასე დაიწყო ჩემი სრული ბედნიერება, რომელიც აგერ ოცი წელიწადია გრძელდება და იმედი მაქვს, კიდევ დიდხანს გასტანს.

რაც უფრო ახლოს ეცნობოდა უნას, მითუფრო გაკვირვებული რჩებოდა მისი იუმორის გრძნობითა და თავმდაბლობით. და კიდევ — მუდამ დიდი პატივისცემით რომ ეპყრობოდა სხვის აზრს.

— სწორედ ამიტომ და კიდევ ძალიან ბევრი რამის გამო შემიყვარდა იგი.

უკვე თვრამეტისა ხდებოდა, მაგრამ სავსებით უცხო გახლდათ მისთვის ამ ასაკისათვის ნიშანდობლივი ხუშტურები და ჭირვეულობა. საერთოდ არ ემორჩილებოდა კანონებს.

მაგრამ ჩარლის თავიდან მაინც შეაშინებდა დიდი ასაკობრივი განსხვავება მათ შორის... თუმცა უნა მუდამ მტკიცე იყო, თითქოს წინასწარვე უწყის ქვეშევრდობა, იცის, როგორ უნდა მოიქცესო... და კიდევ გადაწყვეტდნენ, დავამთავრებთ თუ არა „ჩრდილისა და სინამდვილის“ გადაღებას, მაშინვე ვიქორწინოთო.

სცენარის პირველი მონახაზი უკვე დამთავრებული ჰქონდა და გადაღების დასაწყებად ემზადებოდა. და იმედოვნებდა, თუკი მოვახერხებ ფილმში უნას განუმეორებელი მომხიბლაობის გადმოტანას, „ჩრდილსა და სინამდვილეს“ დიდი წარმატება ხვდება წილადო.

მაშინ მოხდებოდა, ჩარლი ჩაპლინის ერთი ქალი შანტაჟს რომ მოუწყობდა და სკანდალშიც გახვევდა (გულისამარზენი ეპიზოდი სწორედ მის გამოჩენას გულისხმობდა!), იმდენს რომ მიაღწევდა, გაზეთები გადაჭრულდებოდა ჩაპლინის კიცხვა-გაქიპებით, სამარცხვინო ბოძზე გააკრავდნენ და გაათახსირებდნენ... ეს რამდენი მოშუღარი და ავისმდომელი ჰყოლოდა!..

მაღე „ჩრდილისა და სინამდვილის“ გადაღებას რომ უნდა შესდგომოდა, ვეკილი მორიდებით ურჩევდა: რამდენიმე ხნით გადადეთ გადაღება და უნაც ნიუ იორკში გაგზავნეთო. მაგრამ ესენი არ დაუჯერებდნენ, არც იმ ქალის მონაჩმასს აჰყვებოდნენ და არც გაზეთების ჭორებს და გადაწყვეტდნენ, დაქორწინება აღარ გადაედოთ.

მხოლოდ რამდენიმე ფოტოსურათის მოთავსებას აპირებდნენ გაზეთში და ერთი ჟურნალისტური სტატიისა — ქორწილის ქრონიკად.

კარპინტერიაში დაქორწინდებოდნენ, პატარა, მყუდრო სოფელში, სანტა-ბარბარადან თხუთმეტიოდე მილზე რომ მდებარეობს. მაგრამ ვიდრე რეგისტრაცია ოფიციალურად გაფორმდებოდა, ჯერ სანტა-ბარბარას რატუმში უნდა აეღოთ ნებართვა. კლერკი, ვინც ქორწინების ნებართვას იძლეოდა, ჩვეულებრივ გაზეთებს აცნობებდა ხოლმე ამ ამბავს, და როდესაც ერთ-ერთი მეუღლე — ქალი ან კაცი — ცნობილი პიროვნება აღმოჩნდებოდა, საიდუმლო ღილაკით პრესას წამუსწრაფესად ატყობინებდა ამ გარემოებას. ამიტომაც ფოტორეპორტიორთაგან თავდაღწევის მიზნით, უნა ჯერ მარტოკა უნდა შესულიყო და გატარებულიყო რეგისტრაციაში.

კლერკი ყველაფერს ჩაინერდა, რასაც ჩვეულებრივ ნერენ ხოლმე — სახელი, გვარი, წლოვანება... მერე კი მიმართავდა:


— აბა, ყმანველი კაცი სადღაა?

და სახტად დარჩებოდა, ჩარლი ჩაპლინი რომ გამოეცხადებოდა:

— სიურპრიზიც ამას ჰქვია!

და ჩარგავდა თავს მერხში და ხელს ღილაკისკენ გააქანებდა. ესენი რაც შეეძლოთ ცეცხლს შეუწებდნენ, ააჩქარებდნენ. ის კი თავის მხრივ გააჭიანურებდა, მაგრამ უკვე მორჩებოდა ყველაფერს და რაღა ექნა, უხალისოდ უნდა მიეცა ნებართვა. მაგრამ გამოვიდოდნენ თუ არა რატუმადან და ის იყო მანქანაში სხდებოდნენ, ეზოში უცებ პრესის მანქანები შემოგრივდებოდნენ. და დაინწყებოდა გამწარებული მარულა. იმ უთენია ახალმეუღლეებულნი სანტა-ბარბარას ქუჩებში მიქროდნენ და ისინიც მისდევდნენ, ხან სად შეუხვევდნენ და ხანაც სად, წრიბინებდნენ და ხრჭილებდნენ მუხრუჭები... როგორც იქნა დაუძვრებოდნენ და კარპინტერიაში ჩავიდოდნენ. იქ კი წყნარად და დამშვიდებით გაფორმდებოდა მათი დაქორწინება.

სანტა-ბარბარაში სახლს იქირავებდნენ ორი თვით და, გაზეთების აურზაურის მიუხედავად, ძალიან მყუდროდ და მშვიდად გაატარებდნენ იმ ორ თვეს — კაციშვილმა არ იცო-



და, სად იმყოფებოდნენ, თუმცა ზარის ყოველ დარეკვაზე შეხტებოდნენ ხოლმე.

სალამო ხანს სასეირნოდ რომ გადიოდნენ სოფელში, ძალიან კი ფრთხილობდნენ, რათა არავის შეენიშნა.

ზოგჯერ საშინელი სასონარკვეთილება მოიცავდა ჩაპლინს. გრძნობდა, რა ღვარძლითა და სიძულვილით გაჟღერებულიყო მთელი ერი მის მიმართ. ეჩვენებოდა, ჩემი კინოკარიერა საბოლოოდ დაიღუპაო.

— ჩაპლინსაც მივწვდებით, — განაცხადებდა ერთი გავლენიანი პირი, რაკილა ეგონათ სკანდალი ძალიან დააზარალებს, რეპუტაციასაც შეურყევს და მორალურადაც გასტყეს, და ეს შემთხვევა ხელიდან არ უნდა გავუშვათ და ძირფესვიანად მოვთხაროთო. და ასეთ ნუთებში უნა ამხნევენდა, „ტრილობის“ გადმოიღებდა და უკითხავდა, ვიქტორიანული სტილის სასაცლო წიგნს.

და მიუხედავად იმისა, რომ სასონარკვეთილება წამოუვლიდა ხოლმე, სანტა-ბარბარაში გატარებული ის ორი თვე გაჟღერებული გახლდათ ძლიერი რომანტიკით, ბედნიერებით, მღელვარებითა და ზოგჯერ განწირულებითაც.

ჩარლი ჩაპლინის ცხოვრების ეს ისედაც მღელვარე და წარმტაცი ეპიზოდი იმ მხრივაცაა საგულისხმო, რომ მწერლური ხელოვნებითაა წარმოსახული მის ავტობიოგრაფიულ რომანში და მკითხველი არამარტო შეიტყობს ცალკეულ გარემოებებსა თუ დეტალებს, არამედ ხელშესახებად განიცდის მთელ ამ თავგადასავალს, რომელშიც ბევრი ნიუანსი ცნაურდება და, ერთადერთი, რაზეც კრინტი არ არის დაძრული, უნას წარსულია — ნუთუ ასეთ მომხიბლავ, ყოველგვარი ღირსებით შემკულ ქალიშვილს თავყვანისმცემელთა მთელი ჯარი არა ჰყავდა, ან შესაძლოა სულაც შეყვარებული ან საქმრო?

ეს ყველაფერი ჩარლი ჩაპლინის მხედველობის მიღმა რჩება. ან თავიდანვე არ დაინტერესებულა — თვითონ შეუყვარდა და მორჩა და გათავდა, სად ერკვია და ეზუსტებინა, სხვებსაც თუ უყვარდათ უნა ოწილი არანაკლები სიმძაფრით ან უნასაც ხომ არავიზე შევარდნოდა გული; ანდა შეტყობით კი შეეტყო, მაგრამ თხრობისას აღარ მიიჩნია საჭიროდ, თუნდ ორიოდე სიტყვით ეხსენებინა რაიმე ამის ირგვლივ.

უნას თავყვანისმცემელთაგან ცხოვრებაში არავინ შემოჭროდათ იმ სკანდალური ქალივით, სხვა მხრივ კი მის თვალში თხრობას არაფერს შესძენდა ამ გარემოებაში ჩაკირკიტება.

შემოჭრიოთ არა, მაგრამ... უნა ჯერომ სელინჯერისაგან, იმხანად დამწყები მწერლისაგან, მიიღებდა „სამახსოვრო“ წერილს ეროტიკული ხასიათის კარიკატურით, რომელშიც გაშარყებული იყო ახალდაქორწინებული წყვილის ასაკობრივი სხვაობა: 1943 წლის ქორწილის იმ დღეს ჩარლი ჩაპლინი 54 წლისა გახლდათ, უნა ოწილი კი 18-ისა.

— წერილი რომ წავიკითხე, მიხვდი, სწორი არჩევანი გავაკეთე, — იტყვის მოგვიანებით უნა, ჯერისათვის კი იგი გაიგივდებოდა „ოქროსმაძიებლებთან“ — ამ ირონიული მეტსახელით გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას უნას ქორწინებისადმი — მთავარი მოტივი ფულია, ფული და სხვა არაფერი, რა სიყვარული და რომელი რომანტიკაო!..

არადა, მანამდე თავის გრძნობებზე ქალს ვრცელ ბარათებს სწერდა და ისევე არა წყინდებოდა, როგორც მასთან ერთად ხშირი სტუმრობა მუხუშუმებში, კინოთეატრებში, წარმოდგენებზე, კაფეებსა და რესტორნებში, განსაკუთრებით კი... ცენტრალურ პარკში გასეირნება უყვარდათ, სადაც იმ იხვებსაც ხშირად ათვალეირებდნენ, რომელთაც ასე ხშირად და დიდი მღელვარებით ახსენებს სელინჯერი რომანში „თამაში ჭვავის ყანაში“.

\*\*\*

ეს რეალიები ჩართულია თემურ გაბუნისა მონოგრაფიაში „ჯერომ სელინჯერი — ნამდვილი ბრძოლა“ (2014), რომელშიც ცალკე თავადაა გამოყოფილი „სასიყვარულო სამკუთხედი“, როგორც აუცილებელი ამბავი მწერლის ბიოგრაფიისა და პიროვნული პორტრეტის სრულყოფილი წარმოსახვისათვის.

ავტორის ძიებანი ანგლო-ამერიკული ლიტერატურის ნიადაგში უმთავრესად უტრიალებდა სამ მწერალს — ჯეიმზ ჯოისს, უილიამ ფოლკნერსა და ჯერომ სელინჯერს, და სტატიები ის საკმაოდ უხვად გამოქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში („ლიტერატურული გაზეთი“, „ჩვენი მწერლობა“) მათი მხატვრული თავისებურებების ირგვლივ — ღრმა და ფართო ცოდნითა და დახვეწილი გემოვნებით შესწავლილ-გააზრებული და სტილურადაც ექსპრესიული ესეები, რათა ლალ თხრობასაც გაემძაფრებინა მკითხველის ცნობისწინადად ამ მხატვრულ სამყაროთა დაფარულ შრეებში შესაღწევად.

და აი, ესეების ამ სერიიდან ავტორი გამოარჩევდა სელინჯერისადმი მიძღვნილ რკალს, დაალაგებდა, შინაგან მთლიანობას გააძლიერებდა და აქცევდა მონოგრაფიად, ერთგვარად ბელეტრიზებულ კვლევად. რატომღაც არ მოინდომებდა ბიოგრაფიული რომანის შექმნას, თორემ ბევრი კი არაფერი უკლია ამ წიგნს საიმისოდ, ამ ჟანრის ჩინებულ ნიმუშად წარმომდგარიყო. კომპოზიციური აგებულებისას ცალ-ცალკე კი არ გაიმიჯნებოდა მწერლის ბიოგრაფია და შემოქმედება, არამედ ერთმანეთს შეერწყმოდა და ბელეტრიზებული ნაკადი ცოტა უფრო გამკვეთრდებოდა.

თუმც ავტორი მაინც წიგნის მეცნიერულ მხარეზე გადაიტანდა არჩევანს და დაყბაულებოდა მონოგრაფიას, თუმც ისე ცოცხლად და მიმოიძველად გააცნობდა მკითხველს ინტენსიურ და მრავალმხრივ ძიებათა შედეგებს, ისე სრულფასოვნად წარმოუჩინდა ამერიკელი მწერლის მხატვრულ სამყაროს, ბევრი მონოგრაფია რომ ვერ დაიქანდის.

ხოლო სელინჯერს ბედისწერა ჩარლი ჩაპლინს რომ გადააწყრიდა და ძალიანაც დააზარალებდა, მკვლევარები დაინტერესდებოდნენ ამ ორი პიროვნების ხასიათთა შედარებით და თემურ გაბუნისაც საგანგებოდ ადგის დაუთმობდა ამ შეპირისპირებით განსჯას, ა. სკოტ ბერგს რომ დაეყრდნობოდა და მკითხველს გაუთვალსაზიროებდა უდიდეს სხვაობას მათ შორის.

სხვაგვარად ანკი როგორ ითქმოდა, როდესაც ჩაპლინი მთელ ცხოვრებას გაატარებდა დიდების ძიებაში, ადამიანებისათვის სიამოვნების მინიჭებაში, მათ გაცინებასა და ატირებაში (ხან ერთდროულადაც), სელინჯერი კი გაერიდებოდა დიდებას.

შესაბამისად, ჩარლის უყვარდა გამოჩენილ ადამიანთა წრეში ტრიალი, მეგობრობდა ალბერტ აინშტაინთან, ბერნარდ შოუსთან, თომას მანთან, პირადი ურთიერთობა აკავშირებდა თეოდორ რუზველტთან, უინსტონ ჩერჩილთან, მაჰათმა განდისთან, ჟან-პოლ სარტრთან, პაბლო პიკასოსთან, ლუი არაგონთან, არტურ რუბინშტეინთან, ადოლფ გრინთან... უყვარდა ხალხმრავლობა, მხიარული საუბრები, გართობა, შეხვედრები, ინტერვიუები, საჯარო გამოსვლები, მის სახლში კვირაობით, როგორც წესი, უამრავი მეგობარი იკრიბებოდა.

ხოლო ჯერომ სელინჯერი...

ჰოი, რარიგ გაუბრბოდა ამ ყოველივეს.

ის კი არა, ჟაკლინ კენედისთან სატელეფონო საუბრის შემდეგაც არ წავიგოდა თეთრ სახლში გამართულ წვეულებაზე, უილიამ ფოლკნერისა ან იყოს, ჯონ კენედის მიპატიჟებას რომ არაფრად ჩააგდებდა: ამხელა მანძილს რა გამატარებს ერთი სადილის გულისთვისო!..

ისე რა გაგვიკვირებოდა ჯერისაგან, ნაცნობებთან ურთიერთობას ერიდებო, როდესაც საკუთარი ოჯახის წევრებთანაც თავის თავში იკეტებოდა... კორნიშის სახლის მახლობლად, ფერდობის ბოლოს საგანგებოდ აშენებულ ბუნკერში განმარტოვდებოდა ხოლმე და იქ წერდა და მისი მყუდროების დარღვევის უფლება მეუღლესაც კი არა ჰქონდა.

სძულდა ინტერვიუები და პაპარაცები, რომელნიც მასზე ნადირობდნენ, მაგრამ ყველაზე მეტად ვერ იტანდა ჰოლივუდს და თავის ვაჟსა და მესამე მეუღლეს ანდერძად დაუბარებდა: არაფრისდიდებით არ დათანხმდეთ რომანის „თამაში ჭვავის ყანაში“ ეკრანიზაციასო.

და მაინც, ეს მკვეთრი განსხვავება ამ ორ პიროვნებას შორის ვერ ფარავდა ღრმა სულიერ მსგავსებას, რაც უმეტესწილად მართლაც კადრს მიღმა რჩება ხოლმე, თემურ გაბუნისა ყიდის მკვლევართათვის კი მნიშვნელოვანი სწორედ ეს არის.

ჯერომ სელინჯერი იბრძოდა საზოგადოებაში გამეფებული თვალთმაქცობის, ცრუმორალის, ფარისცელობის წინააღმდეგ.

და ამას ხომ ვერც ჩარლი ჩაპლინი ეგუებოდა და ნუხდა, რომ საზოგადოებაში იკარგებოდა პიროვნების ხმა, რის სანაცვლოდაც ისტებლიშმენტისა და უხილავი ხელისუფლების დაკვეთით ყალიბდებოდა რალაც მახინჯი, ჯოგური აზროვნება.

თემურ გაბუნია მოიხმობდა ზოგიერთ ამონარიდს მისი ავტობიოგრაფიული რომანიდან („ჩემი უდიდესი ცოდვა ის იყო და ახლაც ის არის, რომ საკუთარი შეხედულებები მაქვს, სხვისას ნაკლებ ანგარიშს ვუწევ“; „ჩვენ, ჩვენივე წაყრუებით, ისეთ ფორმაში ჩამოსხმულები აღმოვჩნდით, რომ შინაგანი კულტურული ჭკრეტის უნარი აღარ შეგვრჩა. ბრმად შევაბიჯეთ სიმახინჯესა და განურჩევლობაში და ესთეტიკური აღქმის უნარი დავკარგეთ...“), რათა გაეთვალსაზიროებინა რეჟისორის ნუხილი ადამიანის დათრგუნვით... და კიდევ — სელინჯერივით ისიც ძალიან განიცდიდა ცრუმოდღერებათა მომრავლებას, მცდარი ფილოსოფიის თავსმომხვევას ადამიანებისათვის, ფიზიკური ძალმომრეობის პროპაგანდისაგან რომ არც განერჩეოდა. მთელი არსებით სძულდა ნაციზმი და ფაშიზმი და თუმც იარაღი ხელში არ უბრძოლია კონტინენტზე, თავისი საჯარო გამოსვლებით უდიდეს წვლილს შეიტანდა მეორე ფრონტის გახსნის დაჩქარებაში, და ისე აქტიურობდა, გარკვეული წრეები... კომუნისტობასაც კი დასწამებდნენ.

ცენზურა ითხოვდა, ამოელო კინოსცენარებიდან „სისტემის წინააღმდეგ“ მიმართული ფრაზები, არც პრესის თავდასხმები და ჩირქის მოცხება მოაკლდებოდა, ბოლოს კი — სელინჯერისა არ იყოს — მყუდრო გარემოში არჩევდა ცხოვრებას, შვეიცარიის პატარა სოფელ კორსიეში ოჯახთან ერთად რომ დასახლდებოდა, მისი მცხოვრებნი კი 1300 სულს თუ აღემატებოდნენ.

ჰოლდენ კოლფილდის — სელინჯერის გმირთაგან ყველაზე პოპულარულის — უდიდესი სულიერი ტრაგედიის ფსიქოლოგიური მიზეზები ხელშესახებია, მაგრამ მონოგრაფიის ავტორი ამჯობინებდა საგანგებოდ დაემონებინა უილიამ ფოლკნერისეული შეფასება — როგორ ჩანდა ეს ყოველივე დიდი მწერლის გადმოსახედიდან, თანაც, მან პირველმა გამოთქვა ეს შეხედულება, დღესდღეობით უკვე ტრივიალურად გადაქცეული, 1958 წლის საუნივერსიტეტო გამოსვლაში, უმცროს თანამოკალმეთაგან ყველაზე უკეთესი რომანისტი გამორჩევის რომ სთხოვდნენ.

და მისთვის გამორჩეული აღმოჩნდებოდა „თამაში ჭვავის ყანაში“, მთავარი გმირის უდიდეს ტრაგედიად კი მიიჩნევა საზოგადოებაში ადამიანის არარსებობას. ჰოლდენი ხომ პიროვნებას ეძებდა, მაგრამ ვერსად პოულობდა, სანაცვლოდ კი შუბლით ეჯახებოდა ადამიანთა ჯგუფებს, ჯოგურად რომ აზროვნებდნენ.

მათ შექმნაში ფოლკნერიც ისტებლიშმენტს რომ ადანაშაულებდა და არც პრეზიდენტ ეიზენჰაუერს ერიდებოდა, ვითომდა უნყინარი გეგმით უდიდეს საფრთხეს უქმნიდა ადამიანებს, მათ პიროვნულ თავისუფლებასო, ამჯერად ამდენს ნუ-ლა გავყვებით და მიუზღრუნდეთ ორი გამორჩენილი პიროვნების შეპირისპირებით დახასიათებას, თითქოსდა მოულოდნელი, მაგრამ საგულისხმო დასკვნით დაგვირგვინებულს:

— ამრიგად, ჩარლი და ჯერი, განსხვავებული ცხოვრების წესის მიუხედავად, შინაგანად არაიდენტური ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ალბათ სწორედ ამის გამო შეუყვარდათ ერთი ქალი, თანაც პირველი დანახვით და მისი სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე არ განელეზბათ...

\*\*\*

სხვა მკვლევარის ხელში, განსაკუთრებით ფსიქონალიზით გატაცებულსა, ეს თავი ცოტა სხვაგვარად დაინერგებოდა და ისე შეიმოსებოდა „სიყვითლით“, ხელში ჩაგვკეპრებოდა ცალკეული, თანაც არსებითი ნიუანსები, სულიერების ის გამოვლინებანი, რაც არ გვანებებს ყოფითობას შევეჭმევი-ნოთ და ნატურალიზმის უკიდურესი ნაირსახეობანი ვაქციოთ ჩვენი ფიქრისა თუ მსჯელობის შთამაგონებლად.

და თემურ გაბუნია სწორედაც იშვიათი სიფაქიზით უტრიალებს ამ უაღრესად მწვავე თემას და ჰკრავს ჩარლი ჩაპლინისა და ჯერომ სელინჯერის ხასიათებში მიგნებული მსგავსი თვისებებით, აგერ სულაც ტყუპებიც რომ შეიძლება გაგვახსენდეს.

და მოხდენილად შემოაქვს თხრობაში გაყინული ტბისა და იხვების ხატებანი.

თითქოს სხვათა შორის იყო ჩადებული ჯერისა და უნას სეირნობის მარშრუტთა ჩამოთვლისას ნიუ იორკის ცენტრალური პარკი, პატარა ტბა და გაზაფხულობით იქ აფრთხილებული იხვები.

არადა, რარიგ მძაფრად ჩაჭროდა სულში ჯერომ სელინჯერის ეს მოგონება, ძალდაუტანებლად რომ იჩენდა თავს მის რომანშიც.

პირად განცდებს ქვეტექსტს მიანდობდა. ვერავინ მიუხვდებოდა? არც გახლდათ საჭირო. ძალზე ინტიმური იყო ეს ხილვა და განცდა ჯერისათვის, გულისგულში ჩამალული, და დაე მას-თანვე ჩარჩენილიყო. მკითხველს კი აღექვა რაღაც რომანტიკულის მინიშნებად, ყმანვილის მგრძნობიარე სულის დადასტურებად, კიდევ ერთი ნიშნით რომ გადაეხსნებოდა ეს სული და გაუღვივებოდა ის სიახლოვე პერსონაჟთან, აგერ ფოლკნერიც თავის ახალგაზრდა მეგობრად რომ დაიგულებდა.

მაინც სად მიდიან, სად მიფრინავენ იხვები, როდესაც ტბა იყინება?

დახვეწილი, რომანტიკული სულისკვეთებით გაჟღენთილი თხრობა გვაუნყებს, რომ ეს შეკითხვა მწერალს 1943 წლის ზამთარშიც შეიძლება გასჩენოდა, როდესაც უნა ო'ნილი თავის ბედს ჩარლი ჩაპლინის დაუკავშირებდა, ხელოვანს, ვინც სულ ახალ და ახალ სიღრმესა და სილამაზეს ნახულობდა ქალის ხასიათში. ის კი არა, ხანდახან უნას სილამაზის წარმოდგენა გულსაც უჩუყებდა და თვალზე ცრემლიც მოადგებოდა. ასეთ ნუთებში რას ფიქრობდა?

არც აღარაფერს — უბრალოდ მთებს გასცქეროდა და მათი სიდიადით ტკებოდა...

და ეს სურათი, მთებს მიჩერებული დიდებული რეჟისორისა, გულში გრძნობათა ქარიშხალი კვლავ ისე რომ უტრიალებს, თითქოს ბუხართან მიმჯდარ ყმანვილქალს შეჰყურებდეს, თემურ გაბუნიას ათქმევინებს: როგორც ჩანს, მას უკვე ეპოვა ის, რასაც ჯერომ სელინჯერი და მისი ლიტერატურული გმირები — ჰოლდენ კოლფილდი იქნება, სიმორ გლასი თუ სხვანი — ამოდ დაეძებდნენ, ეს იყო ნამდვილი სიყვარული...

არა, მაინც სად მიდიან, სად მიფრინავენ იხვები, როდესაც ტბა იყინება?..

\*\*\*

სელინჯერის ბიოგრაფიის ეს დრამატული ეპიზოდი უხვ მასალას მისცემდა ფსიქო-ანალიტიკოსებს, იოლად აეხსნათ მწერლის მკვეთრი დაპირისპირება ჰოლივუდთან, და ამასთან, უფრო გულმოდგინედ ეძებნათ მის შემოქმედებაში ფროიდიზმის გავლენა, ჯერ ისედაც რომ მოინდომებდნენ მისი თხზულებების ჩაჭედვას ფსიქონალიტიკურ სქემებში, ახლა კი მწერლის მწარე მარცხი სიყვარულში — ოცნების ქალის დაკარგვა, რა გასაკვირია, კიდევ უფრო რომ აღანთებდათ დაუმცხრალი ძიებისათვის ამ მიმართულებით.

თემურ გაბუნია უფრო ღრმა მიზეზებს უძებნის ჰოლივუდური ინდუსტრიისაგან სელინჯერის სრულ გამორიდებას, ვიდრე ეს თუ მსგავსი ზედაპირული განმარტებანია, თუნდ ის, რომ ჩაფლავდა მისი ნოველის — „კონეკტიკუტელი კუტი ძია“

— მიხედვით გადაღებული კინოფილმი, მეტიც, სცენარისტები ისე დაუნდობლად გადააკეთებდნენ მის სიუჟეტურ ქარგას, ნოველისაგან აღარაფერი დარჩებოდა.

მთავარი ისაა, რომ გასართობი ხასიათის ჰოლივუდურ ფილმებს მწერალი ანტიხელოვნებად და მასობრივი ჰიპნოზის ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევდა, ხოლო „თამაში ჭვავის ყანაში“ ეკრანზე რომ არ უნდა გადასულიყო, ეს, ცხადია, იმიტომ, რომ შინაგან მონოლოგებზე აგებული თხრობა სრულფასოვან ფილმად განა რანაირად შეიძლება გარდასახულიყო?..

ის გარემოება, რომ რომანში თვალნათლივ ჩანდა მზა სცენები — სწორედაც მისწრება კინოხელოვნებისათვის, ვერავინ უარყოფდა და განა სელინჯერი ვერ ხედავდა? მაგრამ მას უმნიშვნელოვანესი ეჩვენებოდა მთხრობელის ხმა, მისი ამოუწურავი თავისებურებანი, გამორჩეული და სრულიად ინდივიდუალური დამოკიდებულება მკითხველისადმი, რომელიც იმავდროულად მისი მსმენელიც გახლდათ. ხმაც და მისი კომენტარებიც ქუჩის გუბებში ჩაღვრილი ბენზინის ცისარტყელებზე; ფილოსოფიური დამოკიდებულება ტყავის ჩემოდნებისადმი ან, ვთქვათ, კბილის პასტის ცარიელი ყუთებისადმი...

და რადგანაც სელინჯერს აქცენტი გამირის შინაგან სამყაროზე გადაჰქონდა, მაშ რა გაამართლებდა მთხრობელის დაცალკევებას მისეული მანერისაგან?

ასეც აუნყებდა პროდიუსერს 1956 წელს გაგზავნილ ბათში:

— რა თქმა უნდა, შესაძლებელია მისი ფიქრები უხეში ჩარევის შედეგად დილოგებად გადაკეთდეს ან ცნობიერების ნაკადთან მიმსგავსებულ გაბმულ მონოლოგად, მაგრამ ეს მართლაც რომ ნანარმოებზე ძალადობა იქნება და სხვა არაფერი. თუკი რომანში მარტო დარჩენილი ლიტერატურული გმირის ფიქრიცა და საქციელიც ძალიან ბუნებრივი გვეჩვენება, სცენაზე, თვით საუკეთესო დადგმის შემთხვევაშიც კი, ეს ყველაფერი ფსევდოსიმულაციად იქცევა, თუკი ასეთი სიტყვა საერთოდ არსებობს (თუმცა, მგონი, არც არსებობს).

„ფსევდოსიმულაციის“ ამგვარი განმარტება: თუკი არსებობს და, მგონი, არც არსებობსო, — ჭეშმარიტად სელინჯერულია, თუმც ამჯერად მთავარი ისაა, რომ მას არც ჰოლდენ კოლფილდის როლის შემსრულებელი მსახიობი ეგულეობდა სადმე და არც ისეთი რეჟისორი, ვინც მგრძნობიარე და თუნდ ნიჭიერ მსახიობს აუხსნიდა, თუ როგორ ეთამაშა ეს როლი...

და თემურ გაბუნია მკითხველს ყურადღებას მიაქცევინებს სელინჯერის ბარათს, დათარიღებულს 1946 წლით და გაგზავნილს ერნესტ ჰემინგუეისადმი, რათა ადვილად ამოეცნო ის — თურმე სავსებით მარტივი — მიზეზი, რატომ ვერ წარმოედგინა მწერალს ჰოლდენის როლში ჰოლივუდის რომელიმე მსახიობი:

— ცივ სანგარში მდგარი უფროსი სერჟანტი სელინჯერი, რომლის ირგვლივაც ყოველდღიურად იღუპებოდნენ თანამებრძოლები, ხოლო ზოგს კი ფეხები ეყინებოდა, თავად ოცნებობდა საკუთარი მოთხრობის „მცირე ამბოხი მედისონ-ავენიუზე“ ლიტერატურული გმირის შესახებ პიესა დაენერა, მთავარი როლი კი თვითვე ეთამაშა და არა ვინმე სხვას...

და აი, ჰიურტგენვალდის სისხლიან ბრძოლებს სასწაულად გადარჩენილა.

და წერს რომანს ჰოლდენ კოლფილდზე, მსოფლიო აღიარება რომ უნდა მოუტანოს.

და ვინ შეიძლება ყოფილიყო ის ერთადერთი ადამიანი, ვისაც ამ როლის შესრულებას უფლება ჰქონდა, თუ არა თვითონვე — ჯერომ სელინჯერი.

\*\*\*

საიდუმლო საზოგადოებაში შესვლას რომ იხსენებს, ჰოლდენი მას „ოხერს“ უწოდებს და გულახდილად აღიარებს: ვაჟკაცობა არ მეყო, რომ უარი მეთქვა იქ განვერიანებაზეო.

საიდუმლო საძმოებზე ბევრი დიდი შემოქმედი წერდა: ალექსანდრ დიუმა, ლევ ტოლსტოი, ჯეიმზ ჯოისი, — მოადევ-

ნებს მონოგრაფიის ავტორი, — მაგრამ მსგავსი რამ არცერთ მათ პერსონაჟს არ უთქვამს. ამ ორგანიზაციაში ყველა მშვენივრად გრძნობდა თავს: არამისიც, პიერ ბეზუხოვიც და ლეოპოლდ ბლუმიცო.

პიერი აკი სულაც გმირად და სამშობლოს მხსნელად მიიჩნევს თავს, არამისი და ლეოპოლდიც მშვენივრად არიან მორგებული ამ ორგანიზაციაში. ერთადერთი, ვინც ათვალწუნებით უყურებს ამ გარემოს, ჰოლდენია, და მისი სიტყვები მკვლევარ-დოკუმენტალისტის თვალში მხოლოდ ასე აღიქმება:

— აი, როგორ ეწინააღმდეგებოდა გლობალურ ლიტერატურულ ტენდენციებს სელინჯერი, რადგან ის, რაც მან თავის პერსონაჟს ათქმევინა, ფაქტობრივად, დინების სანინალმდეგოდ ცურვას ნიშნავდა...

მისი ხასიათის წარმოჩენისას კი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ამ პერსონაჟის იდეალები წმინდა ცნობიერების მქონე ადამიანები არიან: ბავშვები, მონაზვნები, ასევე გარდაცვლილებიც, რომელთაც საკუთარ პრინციპთა დასაცავად სიცოცხლეც კი გაწირეს.

და კოლეჯიდან გამოძევების შემდეგ ნიუ იორკში მისი სამდღიანი ყოფნა თანდათანობით ჯოჯოხეთს რომ ემსგავსება, ხომ საკმაოდ გამჭვირვალეა მწერლის მინიშნება, რომ ხსნა მხოლოდ წმინდა ცნობიერების შენარჩუნებაშია?! რაკილა ჰოლდენს სურს, რომ ჭკვიან ყანაში მოთამაშე ბავშვები უფსკრულში გადაჩეხისაგან იხსნას, ეს მართლაც სხვა რა არის, თუ არა წმინდა ცნობიერების მოფრთხილება, რათა მისი შემწეობით დააღწიოს თავი ჯოჯოხეთს.

და როდესაც რომანის ამ მთავარ იდეას, დედააზრს გაისიგნებებენ, თემურ გაბუნიას კვლობაზე შენც გაიკვირვებ: სად ხედავენ ლიტერატორები აქ ომში მიღებული ტრავმით გამოწვეულ სტრესულ მსოფლმხედველობასო?..

— ამ ლოგიკით ტოლსტოისა და ჰემინგუეის რომანებსაც საბრძოლო სტრესის კვალი უნდა აჩნდეს, რადგან მათი ავტორებიც ომის მონაწილეები იყვნენ, მაგრამ ეს ასეა არაა...

\*\*\*

იოლად აქვსნათ მწერლის მკვეთრი დაპირისპირება ჰოლივუდთან...

მაგრამ აგერ თურმე...

თუმცა ფროიდის მიმდევარი არ დაგიდევინ ამგვარ ახსნას ჰოლივუდთან მწერლის შეუპოვარი დაპირისპირებისა, მაგრამ მონოგრაფიაში სავსებით დამაჯერებელია ეს ფსიქოლოგიური დაკვირვებანი, ისევე როგორც ფროიდიზმის გავლენის უარყოფა სელინჯერის თხზულებებში, ოღონდ საგულისხმოა, რომ ეს თავი „ფოლკნერი, ფროიდი, სელინჯერი...“ უმთავრესად აიგებოდა... უილიამ ფოლკნერის შეხედულებათა და რომანების კრიტიკულ-ფსიქოლოგიურ ანალიზზე, სრულიად არაფერი რომ არ აკავშირებს ფროიდის მოძღვრებასთან და ეს იმდენად თვალსაჩინოა, ამ მხრივ მკვლევარები აღარც უნდა ირჯებოდნენ... არადა, ჰოი რარიგ წალკილა ლიტერატურული გარემო ფროიდის თარგზე მოჭრილი ფოლკნერის კვლევა-ჩხრეკით, ულმობლად რომ დაუწვენიათ მისი თხზულებანი ფსიქოანალიზის პროკრუსტეს სარეცელზე და ახლა უკვე კარლ-გუსტავ იუნგის მოძღვრების თვალთახედვითაც განიხილავენ, და არ დაგიდევინ არც ფოლკნერის მიერ ფროიდის აგებული მოხსენიებასა და მტკიცებას: არ წამოიკითხავსო, — და არც იმ ვითარებას, რომ იოკნაპატიფას საგის შემოქმედის შთამაგონებელი ბიბლია გახლდათ. და მამ მართლაც გაუმართლებელია ფოლკნერის კვლევა ბიბლიური სამყაროსაგან მონყვევით, რადგანაც:

— მის ყველა რომანში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იქ ბიბლიური ალუზიები, მაინც იგრძნობა ძველი აღთქმის სუნთქვა.

მამ როგორღა დაემორჩილება ამ სულით აღვსილი თხრობა მშრალი ევზისტენციური დიაგრამებითა და ფროიდისტურული სქემებით ანალიზს?

— იგი წერდა არა აბსტრაქტულ ფილოსოფიურ იდეებსა და წამიერ სექსუალურ იმპულსებზე, არამედ ადამიანის სულზე. ადამიანის სულის ფარული მოძრაობები კი ყველაზე უკეთ სწორედ ბიბლიაშია ასახული!

და სელინჯერიც დაუფარავად აცხადებდა, რომ არ ენდობოდა ამ საკითხებში აღიარებულ ექსპერტებს — მკვლევარებსა და ბიოგრაფოსებს, განათლება ამა თუ იმ სახელმძოვჭილ ფსიქოანალიტიკურ უმაღლეს სასწავლებელში რომ მიელოთ, და განსაკუთრებით მწვავედაც ედავებოდა ამის თაობაზე:

— ისინი წესიერად არ უფიქრებენ ყურს ტკივილს იმ დროს, როცა ის გაისმის. რა თქმა უნდა, არ შეუძლიათ. ისინი ხომ მოკალულყურებიანი არისტოკრატები არიან. როგორ შეიძლება ვინმე ტკივილის წყაროს მხოლოდ ხმითა და ტემპრით, ასეთი წუნდებული აღჭურვილობით, ასეთი ყურებით მიაკვლიოს?

მონოგრაფიის ავტორი გვამცნობს სელინჯერის აღზოვოების ნამდვილ მიზეზს — მეორე მსოფლიო ომის მძიმე შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფი ეგრეთწოდებული რეაბილიტაციის კურსის გავლისას ფროიდის ფსიქოანალიტიკოსთა მარწუხებში რომ მოექცა და უარყოფითი დამოკიდებულება ამ ცხვირაბზუებული „მკურნალებისადმი“ გამოხატა არამარტო „სიმორი — შესავალში“, არამედ „ფრენი და ზუიმიც“, სადაც პერსონაჟი უფროსი ძმის თვითმკვლელობის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ფსიქოანალიტიკოსებს ასახელებს.

ზუი გლასი დედას ურჩევს: ფრენის, რომელსაც გარკვეული ფსიქიკური პრობლემები აქვს, ნუ მიიყვან ეკლექტიკურ, ფროიდიზმით შეპყრობილ ფსიქიატრთან, თორემ ამ ეგრეთწოდებული ფსიქოანალიზის შემდეგ გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე თავის დროზე სიმორი იყო.

სელინჯერს ეჭვი ეპარებოდა ფროიდის მეცნიერებასა და ფსიქიატრობაში, თუმცა... პოეტად კი აღიარებდა და... მეტი ქათინაური მართლაც რალა უნდა გაემეტებინა:

— რომელ ჭკუათმყოფელს შეუძლია უარყოს, რომ საქმეს უდიდესი პოეტი-ეპიკოსი უძღვებოდა?

ცხადია, ფროიდის მიმდევართათვის ეს ქათინაური კი არა, დამცირებაა მათი სულიერი მამისა, მაგრამ ხელოვნური მისადაგება ამ დოქტრინისა ყველასა და ყველაფრისადმი ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აგდებს მკვლევარს, ვისაც ფროიდიზმი უნივერსალური თეორია ჰგონია და არც ჰამლეტსა და ივდითს ერიდება ამ სქემაში როგორმე ჩასაჭედებლად და არც რომელიმე ისტორიულ პირს, ვისი ქანდაკებაც შესაძლოა სადღაც პატარა ქალაქის მოედანზე იდგეს ხმლით ხელში.

და მკითხველი შეუძლებელია სიცლით არ აწყვეს თემურ გაბუნიას ირონიულ გადაკვრას:

— ფროიდისტული აზროვნების ადამიანს შეიძლებოდა მოჩვენებოდა, რომ მას ხმალი მოქანდაკემ მტრის მოსაგერიებლად კი არ დააჭერინა, არამედ რალაც მისტიკური კასტრაციის ან ოიდიპოსის კომპლექსის გამო.

როდესაც მონოგრაფიის ავტორი უკვირდება, თუ რა შეიძლება ყოფილიყო სელინჯერისათვის ასერიგად მიუღებელი ამ თეორიაში, ძალდაუტანებლად მიაქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მწერალი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში გამოდუმბით რელიგიურ ძიებებში გახლდათ, რის გამოც სულ ცოტა სამი თუ ოთხი რელიგიის მიმდევრადაც კი მიიჩნევდნენ.

მის წინაპართა რელიგია — მამის მხრიდან — იუდაიზმი იყო და ბავშვობიდან სიყმანწილემდე ამ რელიგიის აღმსარებლად რჩებოდა, ვიდრე მამასთან უსიამოვნება მოუვიდოდა და ოჯახიდან წავიდოდა. 1948 წლიდან დაინტერესებოდა ბუდიზმით, შემდეგ — ინდუიზმით, ტაოიზმით, ბოლოს კი — ქრისტიანული თემატიკითაც, რისი თვალნათლივი დასტურიცაა „ფრენი და ზუი“.

და არც ის მიაჩნია შემთხვევითობად, რომ სელინჯერის პროტოტიპი ბადი გლასი გარკვევით ამბობს „სიმორი — შესავალში“: ჩემი ფესვები იღებდა და იღებს სათავეს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, ადვიატა ვედანტასა და კლასიკურ ტაოიზმშიო.

შეუძლებელია არ დაეთანხმო მკვლევარს, რომ: მეცნიერება არ უნდა მოწყდეს რელიგიას, თორემ საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი აღმოჩნდება, მოუვა ის, რაც დამართა ფროიდს, ვისი ინტერპრეტაციებიც სიზმრებისა ცალმხრივია და, ამასთან, ვადამეტებული მნიშვნელობა მინიჭა ინსტინქტებს, როდესაც მოეჩვენა მათი სამყაროს კვლევის წყალობით ყველაფერს ჩაწვდი: ადამიანის ქცევას, მის სწეულებათა მიზეზს, რელიგიების წარმოშობასო.

არადა:

— სელინჯერივით იუდაიზმში, ინდუიზმსა და ნანილობრივ ქრისტიანობაში ასე თუ ისე გარკვეული ადამიანისათვის, ცოტა არ იყოს, გამაღიზიანებელიც უნდა ყოფილიყო ფროიდისტების ამბიციურობა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფროიდი იყენებდა ჰიპნოზს, რომელსაც ყველა რელიგიის მიმდევრები მაგიად მიიჩნევდნენ, რადგან ესაა ადამიანის ნებაზე ზემოქმედება, მისი დათრგუნვა უხეში ძალით, რაც საბოლოოდ ზიანს აყენებს ადამიანის ფსიქიკას.

პოეტის ეპითეტს იმეტებდა ფროიდისათვის სელინჯერი?

დაე ეკმარათ ეს შეფასება ამ მოძღვრების მიმდევართ, თორემ სულაც მშრალზე დარჩებოდნენ ადრე თუ გვიან, როდესაც ყავლი გაუვიდოდა ამ დოქტრინას, უფრო ზუსტად, მის გამოცხადებას უნივერსალურ თეორიად და ყველასა და ყველაფრის განსჯა-განჭვრეტას მაინცდამაინც ამ პრიზმაში.

...არა, მაინც სად მიდიან, სად მიფრინავენ იხვები, როდესაც ტბა იყინება?

\*\*\*

მონოგრაფიის მეოთხე ნაწილი მთლიანად ეთმობა აღმოსავლეთის ხიზლს, ცალკე თავი კი სელინჯერის დანტერესებას ვიკეკანანდას მოძღვრებით, ახალი დროის იმ გურუსი, ვინც რამაკრიშნასთან ერთად ესწრაფოდა ყველა რელიგიის შერწყმა-გაერთიანებას და მსოფლიო რელიგიად გარდაქმნას, და ვის სტუმრობასაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ციკლონის გადავლასაც კი შეადარებდნენ. ინდუიზმის მოდერნისტი მქადაგებლის გავლენას ვერც სელინჯერი გადაურჩებოდა და მის თხზულებებშიც ერთგვარად ამიტომაც ცნაურდება ის ნიშნები, რაც ახასიათებდა ვიკეკანანდას ქადაგებებს უდიდეს რელიგიათა ფილოსოფიურ სისტემად გარდაქმნის მცდელობისას.

დავძინოთ: ამაო მცდელობისას, მიუხედავად თავდაპირველი გრანდიოზული ეფექტისა!..

სელინჯერის თხზულებათა კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება რომ რჩება, თითქოს პერსონაჟები ერთმანეთზე ზემოქმედებენ არა სიტყვებით, არამედ რაღაც უცნობი მისტიკური ენით: იმპულსებით, მინიშნებებითა და სიგნალებით — სხვა რითი შეიძლება აიხსნას, თუ არა ვიკეკანანდას გავლენით, ვინც მიიჩნევდა, რომ იმპულსირებითაც — უსიტყვოდ და უქადაგებლად — შეიძლება ადამიანზე ზემოქმედება?!

საამისოდ სახიერი ნიშუმი გახლდათ თუნდ „ფრენი და ზუი“, რომლის მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობაც მას შემდეგ უნდა გამოკვეთილიყო, რაც 2001 წელს ჯანეტ მალკოლმი ამ თხზულებას ფრენის სკოტ ფიცჯერალდის „დიდ გეტსისა“ და ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ შეადარებდა და განაცხადებდა: ხშირად უნდა გადავიკითხოთ ხოლმეო.

და თემურ გაბუნიაც განსაკუთრებით გამოარჩევს ამ მოთხრობას, როგორც ხელშესახებ დასტურს მწერლის მრავალმხრივი რელიგიური ძიებებისა, საბოლოოდ ქრისტიანობის უპირატესობის აღიარებამდე რომ უნდა მისულიყო.

თუმცა...

— ის თითქოს გრძნობდა კიდევ, რომ ადამიანისთვის, ვისაც თავში ყველაფერი არეული ჰქონდა — ბუდა, კრიშნა, ფრანჩესკო ასიზელი და ვიღაც ჰაიდის ბებია, შეუძლებელი იყო ქრისტიანობის გზაზე დადგომა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზუი ქრისტეს ღვთის ძედ აღიარებდა, მოსესა და ნებისმიერ წინასწარმეტყველზე მაღლა მდგომად... ბუნებრივია, იესოს ღვთის ძედ აღიარების შემდეგ ადამიანს უნდა გასჩენოდა სურვილი

ეკლესიური გამხდარიყო. თუმცა სელინჯერისა და მისი პერსონაჟის (ზუის) შემთხვევაში, რომელიც იესოს უფლის ძედ მიიჩნევს, მსგავსი რამ არ მომხდარა. მეტიც, გლასების ერთ-ერთ წარმომადგენელს, თვით კათოლიკე მღვდელ უიკერსაც კი გულის სიღრმეში ღრმად სწამს სულთა გადასახლების.

თითქოს აგნებდა გამოსავალს, ჰპოვებდა გზას ჭეშმარიტებისაკენ, მაგრამ მწერლის რელიგიური ძიებანი მაინც წინააღმდეგობრივი რჩებოდა. და თუმც „ფრენი და ზუიში“ დიდი სიყვარულით ნერდა იესოს ლოცვის დითირამბს, თურმე ჯერაც ვერ გათავისუფლებულიყო აღმოსავლურ რელიგიათა გავლენისაგან და 1965 წელს გამოქვეყნებულ ბოლო თხზულებას — „ჰაპუორთი 16, 1924“ — უნდა დაედასტურებინა, რომ სელინჯერი კვლავაც დიდ ავტორიტეტად მიიჩნევა ვიკეკანანდას.

მაგრამ ეს ნაწილიც წიგნისა საგულისხმო აკორდზე უნდა დასრულდეს ანუ ერთხელ კიდევ განმეორდეს ის პასაჟი, როდესაც ზუი გლასი უფროს ძმას განუცხადებს: არ ვაპირებ ფეხსაცმლის გაპრიალებასო, — რის პასუხადაც სიმორი სთხოვს: გააპრიალე ისინი მსუქანი ლეღის გულისთვისო.

კი მაგრამ... ეს „მსუქანი ლედი“ ვინდაა?..

ან რატომ უნდა გამოიდოს ადამიანმა თავი მისი გული-სათვის?

ზუი ემორჩილება უფროსი ძმის სიტყვას, ოღონდ იმ წუთას მისი ხათრით, და მხოლოდ სიმორის აღსასრულის შემდეგ უნდა მიხვდეს, რომ „მსუქანი ლედი“ სიყვარულს გულისხმობდა, სიყვარულს თვით ყველაზე არასასურველი ადამიანებისა. და ქრისტიანული სიყვარული სხვა რა არის!..

შენ ის თქვი, ის გაარკვიე, ის დააზუსტე როგორმე, სად მიდიან თუ მიფრინავენ იხვები, როდესაც ტბა იყინება...

\*\*\*

1965 წელს გამოქვეყნებული ბოლო თხზულებაო...

და ეს იმ მწერლის, ვისაც შემდეგ ლამის ნახევარი საუკუნე უნდა ეცოცხლა.

მაგრამ როდესაც გაერიდები ყველასა და ყველაფერს და სრულ იდუმალებაში ჩაიძირები?

მხოლოდ ვარაუდად იტრიალებს, რომ რაღაცას წერ, რაღაც განსაკუთრებულს, იქნებ სულაც ტომებს ახვავებ და ოდესმე, როდესაც ეს ყოველივე მზის სინათლეს იხილავს, სულ სხვა სიმაღლით წარმოჩნდება არამარტო შენი მონუმენტური ფიგურა, არამედ დასავლური სალიტერატურო პროცესებიც...

იზრდება და იზრდება შენი პოპულარობა — იდუმალებას რაც სჩვევია. და რაც გამოგიქვეყნებია, არცთუ ხელხვაიანობით გამოჩნეული, უამრავი ადამიანის ინტერესის საგანი გამხდარა და მკითხველიც და სალიტერატურო კრიტიკაც ერთნაირი ცნობისწადილით დასცხრომია მათ, რათა სტრიქონი არ დარჩეთ გაუმიფრავი და თხრობის სველებზე ექებონ მწერლის განდგომილების მიზეზები — სათავე იმ უცნაურობისა, რაზეც არც სხვანი იტყოდნენ უარს საკუთარ თხზულებათა პოპულარიზაციისა და მათი პიროვნებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობის გულისათვის, მაგრამ... შეძლებით ვერ შეძლებდნენ. დროებით რატომაც არა, მაგრამ... სამუდამოდ?.. სულის ამოხდომამდე?.. ოოო, ეს რაღა გამოვა — მაშინ ხომ ვეღარ დატკებები შენი ამ უჩვეულო ტრიუმფით ლიტერატურულ სამყაროზე, სნობური გარემოს დამხობით შენს ფერხთით!..

თუმც, როგორც ჩანს, ჯერომ სელინჯერს ასეთ ტკუობაზე არც უფიქრია.

ანკი რატომ უნდა ეფიქრა — ეს განდგომილება ხომ არ ყოფილა წინასწარ გაანგარიშებული, ფსიქოლოგიურად გათვლილი ნაბიჯი: ეს მისი ბუნება გახლდათ, მისი პიროვნული ხასიათი — მისი სინრფელიდან, სიალალიდან ამოზრდლი, მითუმეტეს, თუ ცალკე ომის სტრესმა უნდა მოახდინოს შენზე მძაფრი ზეგავლენა და ცალკე კიდევ აღმოსავლურმა რელიგიებმა — ძენ ბუდიზმისა და ინდუიზმისათვის განდევნობა და ასკეტიზმი ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა.



და ქრისტიანობისათვის არა?..

თემურ გაბუნიას მონოგრაფია საერთოდ და არამარტო ეს ნაწილი „შენყვეტილი დიალოგი“ ათვალსაჩინოებს, რომ ჯერომ სელინჯერის ბუნების მწერალი ხელოვნურად არ მოინდომებდა საკუთარი პიროვნების ირგვლივ მითის შექმნას, რათა რაც შეიძლება მეტი თხზულება გაეყიდა და განსაკუთრებით სარფიანად.

ეს ყოველივე უიმიოდ ხდებოდა, თვითონ კი შემოქმედებით პროცესს განაგრძობდა — მშვიდად და აუღელვებლად.

— თანდათანობით ის ძველი აღმოსავლეთიდან XX საუკუნეში გადმოსულ მითიურ ბრძენკაცსაც კი ემსგავსებოდა, რომელსაც სამყაროსთან ყოველგვარი კავშირი გაენწყვიტა.

ბრძენკაცს, რომელიც მოქმედებით არ მოქმედებს, მაგრამ ყველაზე აქტიურია.

არაფერი გააჩნია, მაგრამ ყოველი არსი მას ემორჩილება.

არც ოქრო-ვერცხლსა და საჩუქრებს ღებულობს ხელისუფალთაგან.

არც საკუთარი შრომის ნაყოფის დაუფლებას ესწრაფის.

ეს მარტოდენ პასიური ამბოხია ამქვეყნიურ ხელისუფალთა ძალადობის, უსამართლობისა და თვალთმაქცობის წინააღმდეგ?

პასიური ეძახე და... უფრო დიდ გავლენას კი ახდენდა მსოფლიოზე, ვიდრე მეფეები და მთავარსარდლები.

და უამრავ ასეთ პიროვნებათაგან მონოგრაფიის ავტორი შეგვახსენებდა ლაო ძის ძველ ჩინეთში და დანდის ინდოეთში, ჰიმნოსოფისტს, ვინც ალექსანდრე მაკედონელს ათქმევინებდა: მთელი მსოფლიო დავიპყარი, ამ ჩია ბერიკაცმა კი დამამარცხაო.

და ჯერომ სელინჯერსაც ამ თვალთახედვით უნდა განვსჯიდეთ, თუკი გვსურს ფსევდოჟურნალისტურ ინტერესებს არ ავყვეთ და მაინცდამაინც დამაკინებელი მიზნები რაღაც ქვედა ზრახვები არ ვეძიოთ ყველა ადამიანის მოქმედებაში.

და თუ თემურ გაბუნიას სელინჯერთან დაკავშირებით ინგლისელი ფილოსოფოსის როჯერ კრუტონის მიერ შემოღებული ტერმინი ოიკოფობია ანუ ოჯახის, სახლის შიში ახსენდება (ამ მოაზროვნის სახელისა და ტერმინის შემოტანა ჩვენს სამწერლო-საზოგადოებრივ სივრცეში პაატა ჩხეიძის დამსახურებაა), ესეც ბუნებრივია და ლევ ტოლსტოის სახელისა და ბედის ნამოგონებაც...

იმ გარემოებასაც საგანგებოდ წარმოაჩენდა, ლევ ტოლსტომ ერთგვარად რომ შეაჯამა მთელი ის გლობალისტური ტენდენციები, რომელნიც მსოფლიო ლიტერატურაში მანამდე არსებობდა — ერთი მხრივ, სასულიერო პირთა წარმოსახვა დაცემულ და გაორებულ ადამიანებად, და მეორე მხრივ, თვითმკვლელთა წარმოჩენა ნათელი ფერებით.

ამ ტენდენციებს იზიარებდნენ და თანამედროვე და მომდევნო თაობებზე უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ: ჯოვანი ბოკაჩო, უილიამ შექსპირი, იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ონორე დე ბალზაკი, სტენდალი, ვიქტორ ჰიუგო, ალექსანდრე დიუმა, ფიოდორ დოსტოევსკი, ანტონ ჩეხოვი... ეს ტოლსტოიდე და მას შემდეგ კი: ჯეკ ლონდონი, კნუტ ჰამსუნი, უილიამ ფოლკნერი, ჯონ სტაინბეკი... და ამ წრეში უნდა შემოსულიყო ჯერომ სელინჯერიც თავისი „ბანანათევზის ამინდით“, 1948 წელს „ნიუ იორკერში“ გამოქვეყნებული ეს ნოველა რომ იქცეოდა ავტორისათვის სავიზიტო ბარათად დიდ მწერლობაში შემოსასვლელად, არადა, ეს ელიტარული ჟურნალი მანამდე სელინჯერს არაერთ მოთხრობას დაუნუნებდა, ამ ნოველას კი ლიტერატორები შეაფასებდნენ ახალ სიტყვად ამერიკულ მხატვრულ აზროვნებაში.

\* \* \*

და კვლევაში ერთბაშად უნდა შემოიჭრას პუბლიცისტური პათოსი, ის მტკივნეული ვითარება, სელინჯერის ბიოგრაფიაშიც რომ უნდა ეჩინა თავი და მთელი სიმწვავეთ დგას ჩვენი დღევანდელობის წინაშე — საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობაშიც და, შესატყვისად, ლიტერატურაშიც, ქართულ მწერლობაშიც არანაკლები სიმძაფრით რომ ტრიალებს.

თუმცა გლობალისტებისათვის საცხებით მისაღები გახლდათ სიმორ გლასის თვითმკვლელობაც — არამარტო ოჯახის პატრიარქის, არამედ ერთგვარი რელიგიური ლიდერისაც; ჰოლდენ კოლფილდის განცვირანებაც საიდუმლო ორგანიზაციაში; გაორებული სასულიერო პირის წარმოსახვაც, კათოლიკე მღვდლის — უოკერისა, ვინც ვედანტური რეინკარნაციის თეორიის ფარული გამზიარებელი და მოტრფიალეა; და ისიც, სელინჯერსა და ტოლსტოისთან გარკვეული თემატური მსგავსებაც რომ იჩენდა თავს, მაგრამ... კრიტიკოსთა მთელი არმია დაუნდობლად რომ მიესვლა ამერიკულ შემოქმედს, ამას ხომ ახსნა სჭირდებოდა.

და მონოგრაფიის ავტორის მართებული თვალსაზრისით, როდესაც დაინერგოდა „ფრენი და ზუი“, მართლმადიდებლური სულისკვეთებით გამსჭვალული თხზულება, რომელშიც ამერიკული განათლების სისტემას დაუპირისპირდებოდა არა თინეიჯერი ჰოლდენი (ინტელიგენტი, მაგრამ მაინც ოდნავ თავქარიანი), არამედ ჭკუადამჯდარი ფრენი და ზუი გლასები, გლობალისტები შემოთვალდებოდნენ და ალბათ ინანებდნენ კიდევ, რომ უფრო ადრე არ გააკრიტიკეს ეს ნახევრად ირლანდიელი მეამბოხე.

და აი, 60-იანი წლების დასაწყისში უნდა მომხდარიყო ის, რასაც გლობალისტურად განწყობილ ლიტერატორთა მოთმინების ფიალა უნდა აევსო. „ჰაპუორთი 16, 1924“ წინასწარმეტყველ თვითმკვლელს რომ წარმოსახავდა, ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა და გაუტოლდებოდა დახევას იმ სავიზიტო ბარათისა, რომლითაც სელინჯერი ელიტარულ მწერლობაში მიიღეს.

— ვის სჭირდებოდა წინასწარმეტყველი თვითმკვლელი? ეს გაუთავებელი მისტიფიკაციები? ან ამერიკული განათლების სისტემის კრიტიკასა და იესოს ლოცვის მნიშვნელობაზე დანეროლი „ფრენი და ზუი“? აუცილებელი ხდებოდა, ეს ადამიანი როგორმე შეეჩერებინათ, რადგან ის, რასაც სელინჯერი აკეთებდა, უკვე მცირე ამბოხება აღარც იყო...

რაკილა სელინჯერი 1965 წელს გაერიდა საზოგადოებას, ეს თარიღი თემურ გაბუნიას იმ მხრივაც მიაჩნია დამაფიქვრელად და გადამწყვეტად მწერლის ცხოვრებაში, რომ სწორედ მაშინ დაიწყებდნენ ლგბტ თემები თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლას, და ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში ერთმანეთის მიყოლებით გაუქმდებოდა ჰომოსექსუალიზმის სისხლის სამართლის დანაშაულად მიმჩნევი საკანონმდებლო ნორმები. მონოგრაფიაში გახსენებულია ჰოლდენის მონოლოგი, საიდანაც თვალსაჩინოვდება, თუ რარიც ეშინია პერსონაჟს ამ „გაფუჭებული ხალხის“... და კიდევ — მისტერ ანტოლინის სახლში გადახდენილი ეპიზოდი...

თუ 50-იანი წლებში მსგავსი გამონათქვამები დასავლურ საზოგადოებას ყურს არ ჭრიდა, დღეს მართლაც აღარ გამოაქვეყნებდნენ ასეთი „ჰომოფობიური“ მონოლოგების შემცველ ნაწარმოებებს ან მწერალს აიძულებდნენ ამოელო სექსუალურ უმცირესობათა შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, და თან საჯაროდ ბოდიშიც მოხადა.

ან იმ თხზულებებს ვინ მოუწონებდა, პერსონაჟები ქრისტიანობისა და ინდუიზმის არსის ჩანვდომას რომ ლამობენ. როდესაც ქრისტიანობა მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევა მამათამაველობასა და ლესბოსელობას, ხოლო ინდუსტები ჰომოსექსუალურ მიდრეკილებათა გაჩენას წინა ცხოვრებაში შეძენილი ცუდი კარმით ხსნიან, რა გასაკვირია, ეს კითხვა რომ დაიბადოს:

— სჭირდებოდათ კი სექსუალური რეგულაციების ეპოქაში დაფრთიანებულ ლიტერატორებს ღრმად რელიგიური თხზულებები? ან ამოიღებდა კი ახალგამოჩენილი „ცენზორების“ კარნახით თუნდაც ერთ სიტყვას თავისი ნაწარმოებებიდან მწერალი, რომელიც არათუ სიტყვების, სასვენი ნიშნების გადაკეთებაზეც კი ერთ ამბავს ტყებდა? ან მოიხიდა ბოდიშს სელინჯერი, სხვა ცნობადი სახეებით, „ჰომოფობიური“ განცხადებების გამო?

ცხადია, ეს მხოლოდ რიტორიკული კითხვებია, რათა მონოგრაფიის ავტორმა უფრო დაბეჯითებით გამოკვეთოს, რომ მწერალი არანაირ კომპრომისს არ დაყაბულდებოდა მათ წინაშე, ვისაც გაფუჭებულებსა და თვალთმაქცებს უწოდებდა;

მას ხომ ერჩინა ჰოლდენ კოლფილდით ოცნებისათვის შეესხა ფრთები და სადმე, დიდი ქალაქიდან შორს, ტყისპირა სახლში ეპოვნა თავშესაფარი, ან ფრენი გლასივით ეცადა რელიგიურ გზას შესდგომოდა, რათა გამხდარიყო „აბსოლუტურად არავინ“ — ამ სიტყვის მისტიკური მნიშვნელობით...

და ეგებ მაშინ მაინც მიეკვლია, სად მიდიან, სად მიფრინავენ იხვები, როდესაც ტბა იყინება...

\*\*\*

გადამწყვეტი გარემოება, ცხადია, ეს არ შეიძლება ყოფილიყო — ლიბერალური გლობალიზმის მომძლავრება, მაგრამ დაჩქარებით რომ დაჩქარებდა სელინჯერის ლტოლვას განდეგილობისაკენ, არც ეს უნდა იყოს ძნელი მისახვედრი. და ნიშანდობლივია, რომ მონოგრაფიის ეპილოგში კვლავ საგანგებო მსჯელობაა გლობალისტური თემების ირგვლივ და წუხილით არის აღნიშნული, რომ ვერც სელინჯერი გაექცა მწერლობაში არსებულ ზოგად ტენდენციებს — ორსახოვან პერსონაჟთა გაღერება რომ გაამდიდრა.

ეს კი მეტყველებს, რომ:

— ჩვენს ეპოქაში ადამიანური ფასეულობების რღვევამ და სულიერმა გაორებამ უკვე სრულიად ახალი რელიგიური მიმართულებაც კი მიიღო.

ოლონდ მთავარი ისაა და ნიგნის კომპოზიციური ქარგის მარჯვედ შემკვრელი და დამაგვირგვინებელი, მონოგრაფიის უკანასკნელი თავი ამერიკულ ლიტერატურაში აპოკალიფსის ნინათგრძნობას რომ შეისწავლის და ხელშესახებადაც გადმოშლის.

მართალია ბევრი რამ განასხვავებდათ თუნდაც ამ ამერიკულ მწერლებს — ერნესტ ჰემინგუის, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდს, ჯონ სტაინბექსა და ჯერომ სელინჯერს — მაგრამ მსოფლმხედველობის, ცხოვრების წესისა და თუნდ რელიგიისადმი დამოკიდებულების მიღმა ცნაურდებოდა გარკვეული მსგავსება, და ისეთი შთაბეჭდილებაც რჩებოდა, რომ მათ ერთი საერთო პერსონაჟიც კი ჰყავდათ.

ეს პერსონაჟი კი... კერპადქცეული ფულია, განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე. და სწორედ ამ პერსონაჟს ეყვრობა ზიზღით სელინჯერიც, ფულისადმი გადამეტებულ სიყვარულს ისიც კერპთაყვანისმცემლობასთან რომ აიგივებდა, და მისი სიძულვილი ამ ბომონისადმი მონოგრაფიის ავტორს ახსენებს ბიბლიურ წინასწარმეტყველთ, თვისტომთ რომ აფრთხილებდნენ: ნუ იმრუშებთ უცხო ღმერთებთანო.

და რაკილა მწერლისთვისაც ფულის გაღმერთება პროსტიტუციასთან ანუ სულიერ მრუშობასთან გაიგივებული ცოდვია და აგერ ჰოლდენიც ძალიან განიცდის, მისმა უფროსმა ძმამ ჰოლივუდთან თანამშრომლობითა და ნამდვილ მწერლობაზე უარის თქმით პროსტიტუციის გზა რომ აირჩია, რა გასაკვირია, სელინჯერიც თანამოკალმეებით მეტად მტკივნეულად რომ განიცდიდა ფულის დიქტატურას როგორც რაღაც საშინელ და ამაზრზუნ მოვლენას, ადამიანს სულიერად რომ ამახინჯებს.

შენ უპიროვნო, უსქესო და უსულო კერპი ეძახე, გაბატონებულა კი და თავის ნებას კარნახობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს.

თემურ გაბუნია მოვალედ მიიჩნევს თავს დააზუსტოს, რომ: ღმერთს ვაჭარი როდი სძულს, არამედ ისინი, რომელთა სულშიც — ჯონ სტაინბექის თქმისა არ იყოს — ფულის სიყვარულს ღვთისა და მოყვანის სიყვარული ჩაუხშვია, და იქამდეც კი შეიძლება მიიყვანოს ადამიანი გამდიდრების პერსპექტივამ, რომ ფეხმძიმე ქალი, თავისი მომავალი შვილის დედაც შეიძლება გაამეტებინოს, თეოდორ დრაიზერმა რაც აღწერა რომანში „ამერიკული ტრაგედია“.

ამერიკულ მწერლობაში ამკარად იგრძნობა აპოკალიფსის სუნთქვა?

იგრძნობა რომელია!.. და ამის ერთ-ერთ ნიშნად ასე გამოიკვეთა არისტოკრატიული სულის ჩახშობა და ფულის ქცევა კერპად.

ამერიკულ ლიტერატურაში უღმერთო, უზნეო და სულსწრაფ ადამიანთა ბევრი პორტრეტი რომ შეგხვდება, მონოგრაფიის ავტორის კვალობაზე, ჩვენც სწორად უნდა განვსჯიდეთ და სულაც არ გვეგონოს, თითქოს ეს დიდი ხელოვანი მხოლოდ ცუდზე წერდნენ და კარგს ვერაფერს ამჩნევდნენ. პირიქით, შეულამაზებელ პორტრეტთა დახატვით ამხელდნენ და აშოშვლებდნენ ადამიანის ნაკლოვან მხარეებს და ცდილობდნენ, რომ სისასტიკე და თვალთმაქცობა, სიხარბე და მომხვეჭელობა ცხოვრების წესად არ ქცეულიყო.

— ხანდახან თავიანთი შედეგების შესაქმნელად ძალიან მუქ ფერებსაც კი იყენებდნენ და მათ ნაწარმოებებშიც აშკარად იგრძნობოდა აპოკალიფსის სუნთქვა, მაგრამ არც ეს იყო ტრაგედია, რადგან თავისთავად აპოკალიფსის სიახლოვე სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ადამიანმა იმედი დაკარგოს, პირიქით, უნდა გამხნევდეს და მოემზადოს ახალ სამყაროსთან შესახვედრად, რომელიც მშობიარობის ტკივილების შემდეგ აუცილებლად დაიბადება.

მის დაბადებას წინ მართლაც რა დაუდგება, მაგრამ ამ ახალ სამყაროში სადღა წავლენ, სად გაფრინდებიან იხვები, როდესაც ტბა გაიყინება?..

\*\*\*

ჩარლი ჩაპლინი შვეიცარიის ერთ პატარა სოფელში განმარტოებულა ცოლ-შვილთან ერთად.

აგერ ახლაც მთებს გასცქერის და მათი სიდიადით ტკბება. თვალწინ იღვავებს უნას ლანდი, ფიქრსა და ოცნებას გადაჭდობილი, კრთის და ტრიალებს და... აგერ თითოთნაც უნდა გამოჩნდეს ქალი და გვერდით მიუჯდეს. თანდათან ბავშვებიც შეგროვდნენ და ახლომახლო შემომწკრივდნენ.

და ჩარლი გრძნობს, რომ სხვა არც არაფერი სურს ცხოვრებისაგან, ოლონდაც შეჩერდეს ეს სურათი, გახევედეს, გაიყინოს ოჯახური პორტრეტი, მთების სილამაზითა და მშვენიერებით გათანაგული, მხოლოდ გულის ფეთქვა რომ ისმის... და გაიჭიმოს ნამი საუკუნედ... თურმე ეს ენატრებოდა ამდენი ხანი, ამას ესწრაფოდა, ეს სწყუროდა და... აჰა, აუხდა კიდევ.

— ბავშვებო, ვაცალოთ მამას! — უნა ფეხზე დგება და შვილებსაც ნამოშლის.

— არა, — ივედრება ჩარლი, — ოლონდ ახლა არა, დარჩით... დარჩით!..

— იქნებ გერჩივნოს...

— არა, არა!..

და ნამი კვლავაც საუკუნეა, გულის ფეთქვითა და ძგერით გასულიერებული.

მთები კი ისე აღუშფოთებლად დგანან, თითქოს მათ არაფერი ეხებოდეთ და არც ეს სურათი ირეკლებოდეს მათ სიდიადეში.

ხოლო ჯერომ სელინჯერს ვერაფერ ეკარება კორნიშის განდეგილის სამყოფელში... და მკითხველი ცნობისმოყვარეობისაგან აღარაა — მარტოდენ მედიტაციაში ჩაფლულა მათი საყვარელი მწერალი თუ ქმნის იმ რაღაც განსაკუთრებულს, ყველა რომ გულისფანცქალით მოელის და უპირველესად ჯერომ სელინჯერი, ვინც ერთხელ მეზობელს გაენდობოდა: თხუთმეტი გამოუქვეყნებელი რომანი დამიგროვდაო.

და აი, დევიდ მილდისა და შინ სალერნოს ერთობლივ ბიოგრაფიულ წიგნს „სელინჯერი“ უნდა გაეცხადებინა ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი ადამიანებისათვის, რომ მწერლის არქივში აღმოჩენილიყო ხუთი ახალი მოთხრობა გლასების ოჯახური საგიდან; რომანი, რომელიც ეხებოდა მის ურთიერთობას პირველ მეუღლესთან — სილიასთან; ნოველა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე კონტრდაზვერვის ოფიცერზე და ახალი მოთხრობები ჰოლდენ კოლფილდის შესახებ.

და კიდევ — გრაფიკული მონახაზი, თუ რა თანმიმდევრობით უნდა გამოქვეყნებულიყო ეს ყოველივე 2015-20 წლებში. ცოტა არ იყოს იმედი გაუცრუვებოდა მკითხველს?

თუმცა ჯერ ხომ არ ვიცით ამ თხზულებათა მხატვრული ღირსებანი და რანგი?!

ჯერომ სელინჯერის წინაშეც აღუშფოთებლად აღმართულიყვენ მთები და ჰკრავდნენ დასალიერის კომპოზიციას; და ისევე უდრტინველად გადმოიციქობდნენ, როგორი უდრტინველობითა და აღუშფოთლობითაც იკრავდა პირს ზამთრობით ნიუ იორკის პარკის განაპირას ის ტბა, რომელზეც გაზაფხულობით ასე ლალად დასრიალებდნენ და დაფრთხილებდნენ იხვები და მათ ფრთხილში თავთავის ნატვრასა და ოცნებას ჰხვევდნენ ჯერომ სელინჯერი და უნა ო'ნილი, იმჟამად ერთმანეთს რომ ჰკვეთდა და ეფარდებოდა ეს ნატვრა-ოცნებანი და ყველაფერი ამალღებულ ფერებში იხატებოდა, ვიდრე უნას ცხოვრებაში ჩარლი ჩაპლინი გამორჩნდებოდა და... ჯერის კი ძალუმად აუფორიაქებდა გულსა და გონებას ის ფიქრი, სად მიდიოდნენ, სად მიფრინავდნენ იხვები, როდესაც ტბა იყინებოდა?..

ოღონდ ეს მაშინ, როდესაც კენტად შეუყვებოდა ამ ბილიკებს და მთელი არსებით შეიგრძნობდა მარტოობის სიმწარეს ხალხმრავლობაში... მარტოობის ყველაზე გაუსაძლის სახეობას.

და კიდევ გადაინაცვლებდა მარტოობის უფრო გასაძლის გარემოში — განდეგილობაში.

ნეტა ახლა თუ მაინც მიაკვლევდა იმ საიდუმლოს, ახლა მაინც ამოიცნობდა და სხვათათვისაც ხელშესახებს გახდიდა, სად იკარგებოდნენ იხვები, ვიდრე გაზაფხულზე კვლავ დაუბრუნდებოდნენ ალივლივებულ ტბას, მათ სრიალ-ფრთხილს მონატრებულს?!

თუ... ჰოლდენ კოლფილდით კვლავაც გულს აწყებოდა და განდეგილობა მხოლოდ აძლებინებდა წუთისოფელში, რათა სიმორ გლასივით რევოლვერის ლულა არ ჩაედო პირში და თვითვე არ გამოეტანა საბედისწერო განაჩენი საკუთარი თავისათვის?!

\*\*\*

ნეტა მწერლის არქივი თუ მაინც გავიმუშავებებს ამ ლალ ფრთოსანთა ბედს?

თუ... საიდუმლო საიდუმლოდვე დარჩება?..

და ვერც ველარავინ გვეტყვის, სად მიდიან, სად მიფრინავენ იხვები, როდესაც ტბა იყინება?..

## „ბარემო რასაც მკარნახობს, იმ სტილის მიმდევარი ვარ“

(თამაზ დობრაშვილს ესაუბრება ვახტანგ ღვინთაია)

— ყველაზე მეტად ვისი გავლენა ეტყობა XX ს. მსოფლიო არქიტექტურას?

— მიის ვან დერ როესი. შუშიზმი — მინის არქიტექტურა, ფაქტობრივად ვან დერ როეა.

— კორბუზიე?

— კორბუზიე გენიოსი იყო, უკიდურესად ინდივიდუალური, ასეთების მიბაძვა თვითმკვლელობაა.

— რომელი ქვეყნის არქიტექტურაა თქვენთვის ყველაზე მახლობელი?

— იაპონური. არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ბევრი მეგობარი მყავს, არამედ იაპონური არქიტექტურა არის მკვეთრად თანამედროვე და ეროვნული. იაპონელი არქიტექტორები კარგა ხანია გათავისუფლდნენ ეროვნულობის მარტივი გაგებისაგან — არქიტექტურული მემკვიდრეობის პერიფრაზისგან — და გადავიდნენ სულიერი კულტურის სიღრმეებში წვდომაზე (ფილოსოფია, რელიგია, ლიტერატურა, თეატრი, ქორეოგრაფია, ლეგენდები და სხვა).

— ვინ მიგაჩნიათ თქვენს მასწავლებლად?

— ყველა და არავინ. ჩვენი დროის მონაფე ვარ.

— გყავთ ფავორიტი არქიტექტორები?

— მყავს. ზემოთ ვახსენე იაპონური არქიტექტურა. მათ შორის ჩემთვის ძალიან მახლობელია კიშო კუროკავა, არატა ისოზაკი, კიონორი კიკუტაკე, კიმიო იოკოიამა. განსაკუთრებული სიმპატიები მაქვს ალდო როსის, რიჩარდ ინგლანდის, ჰანს ჰოლაინის, ანტონი პრედოკის, რიკარდო ლეგორეტას, თეოდორ გონსალეს დე ლეონის, რა თქმა უნდა, ალვარ აალტოს მიმართ ანუ არქიტექტორების, რომელთათვის თანამედროვეობა შერწყმულია ადგილის სულთან.

— რა არის არქიტექტურის ფუნქცია?

— მიანიჭოს ადამიანს სიხარული და ბედნიერება.

— 80 წლის შეიქმნით, ხომ არ იკლო განცდის სიმძაფრემ?

— ფრენკ ლოიდ რაიტი 92 წლისა გარდაიცვალა. მიის ვან დერ როე 83 წლისა, ლე კორბუზიე 78 წლის, ფილიპ ჯონსონი 99 წლის, ოსკარ ნიმიეირი 105 წლის. ძალიან ახალგაზრდები იყვნენ.

— უკიდურესად მწვავე რეაქცია აქვთ თბილისელებს რიყეზე ახალი ობიექტების, „ბუდა ბარის“, „მშვიდობის ხიდის“, „შანგრილას“, საგამოფენო-საკონცერტო დარბაზების მიმართ. ნაცები ამას პოლიტიკურ სარჩულს უდებენ, თითქოს ეს ობიექტები კი არ არის ცუდი, არამედ ცუდები არიან იმდენად, რამდენადაც პრეზიდენტ სააკაშვილის პერიოდშია შექმნილი. გარემოსთან შეუსაბამობის, არაკონტექსტურობის კონტრარგუმენტად მოჰყავთ ბიძინა ივანიშვილის რეზიდენცია.

— „შანგრილა“ ჩატენილია განაშენიანებაში, არაკონტექსტურია, ამავე დროს პრიმიტიული, უნიჭო შენობაა, „მშვიდობის ხიდი“ — უფუნქციოა, რადგანაც იქ არ არის და არც არასოდეს იქნება ადამიანთა ნაკადები, მხატვრულად უცხო სხეულია, „ბუდა ბარმა“ დაარღვია რიყის რელიეფის ბუნებრივი სტრუქტურა, რაც შეეხება სამაყურებლო-საგამოფენო „დარბაზებს“, თავისთავად, საინტერესოა ფორმის თვალსაზრისით, მაგრამ მკვეთრად და აგრესიულად არაკონტექსტურია ისტორიულ გარემოსთან. რაც შეეხება ივანიშვილის რეზიდენციას, შენობა, კომპოზიცია დაშლილია, დანაწევრებულია, ის არ იკითხება, როგორც ერთი მოცულობა, ნაფიქრია სილუეტზე. წრიული ფორმები ნარიყალას გონდოლებთან ასოცირდება. ბუნებრივია, მან გარკვეული ცვლილებები შეიტანა განაშენიანებაში, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ არამასშტაბურია ან არაკონტექსტურია.

— რამდენად გამართლებული იყო გზის გარკვეული მონაკვეთის გადახურვა — გვირაბის გაკეთება.

— მე თუ შემიკითხებოდნენ, არ ვურჩევდი ამ გვირაბის მშენებლობას, მან ჩაკეტა საინტერესო ხედები თვით კომპლექსსა და თაბორზე. გვირაბის საკითხი ლოკალური ხასიათისაა, ის არ მონაწილეობს ქალაქის პანორამაში.

— თქვენი დამოკიდებულება რელიგიასთან?

— მე ზომიერი მართლმადიდებელი ვარ. ჩემი რელიგიურიობა ათი მცნების ერთგულებაა. საერო ყოფა და საეკლესიო ცხოვრების ჰარმონიულობა ქვეყნის მაღალი კულტურის ნიშანია. რელიგიურობა უნდა იყოს გულწრფელი და არა საჩვენებელი, მხოლოდ მაშინაა ფასეული. არ მომწონს რელიგიას-

თან „გაშინაურება“, მისი ყოფითად ქცევა. ვისურვებდი მეტ მოწინებას რელიგიისადმი და არა ისეთს როგორცაა მანქანებზე, ბინის კარებზე ჯვარის აპლიკაცია. არ მიმარჩნია მიზანშეწონილად ბოლო წლებში გავრცელებული ჯვრების აღმართვა გზებზე, საკუთარ სავაჭრო ფარდულთან, არც ეკლესიების მასობრივ მშენებლობაში ვხედავ დიდ სიბრძნეს, არ შეიძლება ყოველ უბანს თავისი ეკლესია ჰქონდეს, ეს აუბრალოებს რწმენას. ყოველად მიუღებლად მიმარჩნია სახელმწიფო დანებსეზულებებში, ოფიციალური პირის სამუშაო კაბინეტებში რელიგიური კუთხის მოწყობა.

— ადრინდელი პროექტებით თუ ვიმსჯელებთ, თქვენ ადგილის, ქვეყნის, მის მატერიალურ და სულიერ კულტურასთან უაღრესად ფაქიზი დამოკიდებულება გაქვთ. ეს მიზანდასახულ ძიებათა შედეგია თუ თავისთავად ხდება?

— არ ვეთანხმები მოსაზრებას, თუ შენ დაიბადე და აღიზარდე საქართველოში, სომხეთსა ან იაპონიაში, შენი ხელოვნება იქნება ქართული, სომხური, იაპონური. ასეთი მექანიკურ-გენეტიკური შეხედულება აბსურდია. „ადგილის განცდა“, „ტრადიცია“, „ეროვნულობა“ — ეს შემოქმედის პოზიციაა, შეხედულებაა, მიზანდასახულობაა. ის თავისთავად ხდება. ვინ თქვა, რომ თანამედროვე არქიტექტურა არ უნდა ასახავდეს „ადგილს“ (ისტორია, კულტურა, კლიმატი, თქმულებანი, ადათი, წესი, ტრადიციები). ეს „განწყობილება“ ძიების შედეგია, ზოგჯერ საკმაოდ მომქანცველი ძიების. ხანდახან იფიქრებ, ზოგიერთი არქიტექტურული თემა იმდენად ტექნოლოგიურია, რომ არ დამორჩილება „ადგილს“, მაგრამ დიდი ოსტატები წარმატებით წყვეტენ ამ ამოცანას. ჩემმა მეგობარმა კიშო კუროკავამ ისეთ ტექნოლოგიურ შენობაშიც კი, როგორცაა აეროპორტი, მიაღწია ადგილის სულს, ადგილის განწყობილებას (კუა-ლა ლუმური). იგივე შეიძლება ითქვას ცეზარ პელის ორ ცათამბვჯენზე პეტრონას ტაურერზე მაღალიზიაში და სხვა და სხვა.

— ჩეხმა ავტორებმა, პროფესორ ოლდრიხ შვერიკის ხელმძღვანელობით, შექმნეს სახელმძღვანელო წიგნი „არქიტექტურები, პროგრამები, რეალიზაციები“, სადაც XX საუკუნის 19 უდიდესი არქიტექტორისა და „ბაუჰაუსის“ მაგალითზე განხილულია სტილი „მოდერნი“. ამ არქიტექტორთა შორის თქვენცა ხართ. ვერ გვეტყვი, რა პრინციპით შეარჩიეს ავტორები?

— ჩეხი ავტორები „შესავალში“ განიხილავენ XX საუკუნის არქიტექტურის სპეციფიკას, „ინტერნაციონალურ სტილს“ — „მოდერნს“, მის მრავალსახეობას, მაგრამ არაფერს ამბობენ მონანილეთა შერჩევის პრინციპზე. ავტორთა პოზიცია ასეთია: სტილი „მოდერნი“ არ არის ერთგვაროვანი, მთლიანი, მსგავსად ადრეული სტილებისა, არამედ განსხვავებულია ერთიანობაა. ალბათ, ამან განაპირობა მონანილეთა შერჩევა. ალდო როსის, მარიო ბოტას, იმრე მაკოვეცის და ჩემი შეყვანა ამ წიგნში მიანიშნებს მათ რეგიონალურ სიმპატიებზე. ჩემი მონანილეობა ამ წიგნში და სტატიის — „ტრადიცია, კონტექსტი, კომუნიკაბელობა“ — შერჩევაც ამაზე მეტყველებს. ძალიან მეამაყება, რომ XX საუკუნის არქიტექტურული მამების ფ. რაბიტის, სულივანის, ლოსოს, ლე კორბუზიეს, გროპიუსის, მიის ვან დერ როეს, ტაუტის, მენდელსონის გვერდით აღმოვჩნდი.

— ამ კონტექსტში ბუნებრივია კითხვა, როგორ შეფასებდით საქართველოში უცხოელ არქიტექტორთა მოღვაწეობას ავტორიტარიზმის პერიოდში?

— დაუნერელი კანონია არქიტექტურის, საერთოდ კულტურის მთელი ისტორია ადასტურებს უცხოელთა მოღვაწეობა ამა თუ იმ ქვეყანაში იწყება ამ ქვეყანაში კულტურის ისტორიის ტრადიციების, მენტალობის შესწავლა-გათავისებობით. სხვა ქვეყანაში მოღვაწეობის უფლება მხოლოდ მაშინ გაქვს,



ვახტანგ დავითაია და თამაზ დოგრაშვილი

თუკი ამ ქვეყნის კულტურას და ისტორიას კარგად იცნობ, რაც მთავარია, ისეთივე კეთილგანწყობილი ხარ მის მიმართ, როგორც საკუთარი კულტურისა და ისტორიისადმი. ავტორიტარიზმის პერიოდში საქართველოში მოღვაწე არცერთ უცხოელ არქიტექტორს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის პატივისცემის მცდელობაც კი არ ჰქონია. პირიქით, უმეტესობის ნამოღვაწარი კულტურულ მემკვიდრეობასა და გარემოზე ძალადობის, „ადგილის სულზე“ მკვეთრი უპატივცემლობის მაგალითებია. საქართველოში ავტორიტარიზმის ანუ პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის 9-წლიანი პერიოდით აღინიშნა სამშენებლო ბუმი, აიგო მრავალი შენობა, ათეულობით პოლიციის და იუსტიციის სახლები, შესრულდა არნახული მასშტაბის სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (მცხეთა, სიღნაღი, ბათუმის ისტორიული უბნები, დავით აღმაშენებლის გამზირი, რაბათი და სხვა), მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სამშენებლო ბუმი, დახარჯული ასობით მილიონი ვერ იქცა არქიტექტურულ-კულტურულ ღირებულებად. ზოგჯერ იფიქრებ, ახალ შენობათა მკვეთრი ინტერნაციონალურ-გლობალისტური ხასიათი სულაც დამკვეთის მოთხოვნა ხომ არ იყო.

— თქვენი შეფასება უმკაცრესია, მაგრამ სავსებით თანხვედრითი პროფესიულ და საზოგადოებრივ აზრთან. უფრო ხომ არ დააკონკრეტებთ.

— სააკაშვილმა ორიენტაცია უცხოელ არქიტექტორებზე აიღო. „უცხოელი“ მიჩნეული იყო პანაცეად. ხელისუფლებას ორმაგი სტანდარტი ჰქონდა, უცხოელთათვის და ქართველთათვის. არცერთ უცხოელ არქიტექტორს არცერთი ობიექტი კონკურსით არ მოუპოვებია. არ ვიცი, ქალაქზე როგორ ფორმდებოდა, მაგრამ რეალურად ეს იყო პირდაპირი დაკვეთები. ცალკე თემაა უცხოელ არქიტექტორთა შერჩევისა და მონვნების წესი. ბევრ მონვენულს საკუთარ ქვეყანაშიც კი არ იცნობდნენ. ქართული ანდაზისა არ იყოს, ძალდი სახლში არ ვარგოდა და სანადიროდ მოჰყავდათო. ერთადერთი მაქსიმილიანო ფუქსასია აღიარებული ოსტატი.

— ფუქსასმა ორი ნაწარმოები შექმნა თბილისში. რიყეზე სამაყურებლო-საგამოფენო დარბაზებზე საზოგადოებრივი აზრი, როგორც სრულიად არაკონტექსტურ მოცულობებზე, უკიდურესად უარყოფითია, საზოგადოება მათ დემონტაჟს და სხვაგან გადატანას ითხოვს.

— მოცულობები ძალიან საინტერესოა თავისთავად. ისინი სხვაგან, არა ისტორიულ ნაწილში, ფუქსასის შემოქმედებითი

ბიოგრაფიის ერთ-ერთი საინტერესო არტეფაქტი იქნებოდა. ეტყობა, ფუქსას არავინ მიაჩნდა, რომ ქართველებს უალრესად გამძაფრებული გვაქვს ისტორიისადმი მოკრძალება. თუმცა რალა გაფრთხილება უნდოდა, თვითონ ისეთი ქვეყნის შვილია, ეს გენეტიკაში უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება მის მეორე ნაწარმოებს, „იუსტიციის სახლს“ თბილისში, თქვენ იცით, მე მისი აპოლოგეტი ვარ, არაერთ ინტერვიუში, სტატიაში, ტელეგამოსვლაში გამოვხატე ჩემი სიმპატიები, ამაზე მეტი რა გინდათ, აგერ ჩემს სამუშაო ოთახში კიდეა ამ შენობის ფოტო, ხედი ფუნქციონირიდან. მოკლედ ვიტყვი, ავტორიტარიზმის 9-წლიანი პერიოდიდან თუ რამე დარჩება არქიტექტურას, ეს ფუქსასის „იუსტიციის სახლი“ იქნება. ვიცი, ამ შეფასებაში ბევრი არ მეთანხმება, გემოვნების საკითხია.

თქვენ გასურთ უფრო კონკრეტული ვიყო უცხოელ არქიტექტორთა ნამოღვაწარის შეფასებაში. მოგახსენებთ: პრეზიდენტ სააკაშვილის ერთ-ერთი ფავორიტი იყო იტალიელი მიკელე დე ლუკი. იგი არქიტექტორი არ არის, საყოფაცხოვრებო ნივთების დიზაინერია, სრულიად უცნობი არქიტექტურული სამყაროსთვის. მან საქართველოში ათამდე ობიექტის გაშენება მოასწრო. ყველა განსხვავებულია, საავტორო ხელნეწის კვალი არ ატყვია. მისი მოღვაწეობა საქართველოში მხოლოდ ფაქტია. მან ვერაფერი შემატა ქართულ მატერიალურ და სულიერ კულტურას. ხოლო „მშვიდობის ხიდი“, რომელიც, როგორც ზევით აღვნიშნე, უფუნქციოა, ნაკადების არარსებობის გამო, გადაფარა ულამაზესი ხედი ისტორიულ ქალაქზე, ხოლო „მანგრილა“ ჩატენილია განაშენიანებაში, რომ არაფერი ვთქვათ არქიტექტურულ უსახურობაზე.

პრეზიდენტ სააკაშვილის მეორე ფავორიტი იყო არქიტექტორი იურგენ მეიერი (გერმანია). მანაც ათამდე ობიექტის განხორციელება მოასწრო საქართველოში — საბაჟო ტერმინალი სარფში, სოკარის და ვისოლის მულტიფუნქციური ცენტრები ავტობანზე, პრეზიდენტის ბიბლიოთეკა თბილისში, მემორიალი ანაკლიაში. მისი არქიტექტურა პირდაპირ ასოციაციებს იწვევს ტოიო იტოს და ბუარკე ინგელის თემებთან, მეიერმა დაამატა საკმაოდ დიდი დოზით ფონგლიორობა და ტრიუკები. რაც შეეხება მის „მოღვაწეობას“ სვანეთში, კერძოდ მესტიაში, ამ, მსოფლიოში ალიარებული, კომპურა არქიტექტურის უნიკალურ სამყაროში — იუსტიციის სახლი, აეროპორტი, პოლიციის შენობა უნდა შეფასდეს არქიტექტურულ კრიმინალად, ქართული კულტურის ხელყოფად, მაგრამ ამ დანაშაულში ლომის წილი მიუძღვის კულტურის სამინისტროს, ძეგლთა დაცვის სამმართველოს უმოქმედობის, სიმხდალის და მონური მორჩილების გამო. ზოგადად კი ვიტყვი, არქიტექტურულ-ურბანული პროცესის მართვა არ არის ფეხბურთი, როდესაც მწვრთნელი სიტუაციიდან გამომდინარე ცვლის მოთამაშეს, თამაშის სტრატეგიას. ქალაქისათვის უმნიშვნელოვანესია მემკვიდრეობითობა. იგი უფრო „ოჯახის ექიმს“ ჰგავს, რაც მეტი იცის შენზე და ოჯახის წევრებზე, მით უფრო ეფექტიანი მკურნალობა. ქალაქი ვერ იტანს რყევებს.

ნარუმატებული იყო ესპანელების — ადომინგოს, კლახაროს და კ.კასტელანოს — მოღვაწეობაც. მათ შორის მხოლოდ კ.კასტელანოა პროფესიით არქიტექტორი. პრეზიდენტმა სააკაშვილმა მათ ანდო ქვეყნის უპირველესი ობიექტი — საქართველოს პარლამენტის შენობის და მთავრობის სახლის დაპროექტება ქუთაისში. მას გადააყვალა დიდი მოქანდაკის მერაბ ბერიძის ნიშნის და გამოჩინებული არქიტექტორის ოთარ კალანდარიშვილის უნიკალური „დიდების მემორიალი“. რა მივიღებ? პარლამენტის შენობა ფორმა-ნიშანთა სემანტიკით თავდაცვითია, კუს ალგორიაა, პასიური, უკარება, უხასიათო, დეპრესიული, ტიპოლოგიით სპორტული ნაგებობაა, მოკლებულია ზეიმურობას, დემოკრატიულობას, სიამაყეს, რაც ასე საჭიროა ქვეყნის უპირველესი შენობისათვის. ესაა შენობა არქიტექტურულ-მხატვრული სიუჟეტის გარეშე. რაც შეეხება ამავე ავტორთა მიერ პარლამენტის სიახლოვეს აშენებულ „მთავრობის სახლს“,

რიგითი, ფონური, შუშის შენობაა. სამუხარობა, ჩვენი უცხოელი კოლეგები, რომლებმაც არ ისურვეს ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობა, ელემენტარული, სტუმრის ეტიკეტის დონეზეც კი არ ჩანდნენ ჩვენს ტრადიციებს, ხასიათს, მენტალობას.

შესაძლოა ამ კრიტიკული მუხტის გამო დარჩეს შთაბეჭდილება, რომ წინააღმდეგი ვარ უცხოელ არქიტექტორთა მოღვაწეობის. ეს იქნებოდა ისტორიის სრული იგნორირება. მე წინააღმდეგი ვარ არქიტექტორის — უცხოელის, ქართველის — რომელიც უპატივცემლობას იჩენს გარემოს, ქვეყნის კულტურისა და ისტორიის მიმართ.

**— თქვენ ნიგნში „პროცესი“ ნათლად ჩნანს ძიების პროცესი. მეთოდი კლასიკურია — ესკიზირება, მაკეტირება, პროექტი. სხვა საიდუმლო ხომ არ გაქვთ?**

— პრინციპი ყველგან ერთია. ესაა კონტექსტი. კონტექსტი შეხედულებაა, მრწამსი, ფილოსოფია. მაგრამ კონტექსტის ძიების გზები, გამომდინარე განაშენიანების, ადგილის თავისებურებებიდან, განსხვავებულია. ზოგჯერ ეს მხოლოდ თანამასშტაბურობაა, ზოგჯერ თანამასშტაბურობა და სტილური „თანხმობა“, ზოგჯერ სულაც კონტრასტი და ა.შ. უმთავრესია ახალმა არ დაარღვიოს არსებული განწყობილება, უკეთესია განავითაროს და ახალ ხარისხში აიყვანოს ძველი მიძინებული ემოციური მუხტი. გასაგები რომ იყოს, დავასახელებ „ალგეთის ბაზილიკას“, მან ახალი ხარისხი და ინტერესი მიაჩნა მთელს არეალს. არის კონტექსტი არა არქიტექტურულ გარემოსთან, არამედ ქალაქის ხასიათთან, განწყობილებასთან. ასეთია ქუთაისის მემორიალი. ის თეატრალურია, გახსნილია, სტუმართმოყვარე, მიმღებია, ისეთია, როგორც ქუთაისი და ქუთაისელები. ეს მემორიალები სხვაგან ვერ წარმოიდგენია, ისევე როგორც ძნელი წარმოსადგენია ვახტანგ გორგასალის ძეგლი სხვა ადგილას. იქ, სადაც არ არსებობს ანგარიშგასანევი არქიტექტურული ორიენტირი, ბუნებრივია, არც საავტორო ამბიციაზე ვაძობო უარს, ამის მაგალითი მრავლადაა ჩემს პრაქტიკაში.

ზოგადად კი ვიტყვი, ჩემთვის კონტექსტის, ადგილის სულის, ისტორიასთან კავშირის მიღწევის საშუალებაა არა არქიტექტურულ ძეგლთა პერიფრაზი ან ციტირება, არამედ მათთან ასოციაციური კავშირი, რემინისცენციები, მოგონებანი და, რაც უმთავრესია, ეროვნული ხასიათი და მენტალობა. პროექტების დიდი ნაწილის კომპოზიცია, მასშტაბი, სტილური ორიენტაცია უმეტეს შემთხვევაში „ყალიბდება“ ადგილთან პირველი შეხვედრის დროს: ცალკეული საკითხები ზუსტდება მუშაობის პროცესში.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ „ალგეთის ბაზილიკა“, ქუთაისის მემორიალი სხვაგან ვერ წარმოიდგენიათ, სავსებით გეთანხმებით, ადგილი ანიჭებს მათ განსაკუთრებულობას.**

— ნარმატებული სიმბოლი უძლიერესი ფაქტორია, იქმნება „განუყოფელი მთლიანობა“, რომლის „დაშლაც“ არარაობად აქცევს თითოეულს. წარმოიდგინეთ მცხეთის ჯვარი სხვაგან, თუნდაც იმავე მთის ძირას, მივიღებთ რიგით მთას, რომლის მსგავსიც ათასობითაა საქართველოში, და VI საუკუნის საინტერესო ძეგლს. შეუცვალეთ კალაპოტი „ჩანჩქერს“, რომელზედაც ფრენე ლიოდ რაიტმა დადგა სახლი, მივიღებთ პატარა ჩანჩქერუკას და რაიტისათვის რიგით საცხოვრებელ სახლს. მცხეთის ჯვარი და „სახლი ჩანჩქერზე“ გარემოს და ძეგლის ანუ ბუნებისა და ხელქმნილის სიმბოლიზმა აქცია გენიალურად.

**— რომელ არქიტექტურულ სტილს, მიმართულებას მიაკუთვნებთ თავს?**

— მე არქიტექტურული კონტექსტის ერთგული ვარ. გარემო რასაც მიკარნახებს, იმ „სტილის“ მიმდევარი. „სტილს“ განაპირობებს გარემო. თავისუფალ, უორიენტირო გარემოში უფრო თავისუფლად ვმოქმედებ, ზოგადად „ახალი კლასიციზმია“ ჩემი სიმპატია.

**— თქვენი საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა პედაგოგიური მოღვაწეობა, 55 წელი ემსახურებით არქიტექტორთა აღზრდას, კარგად იცნობთ მსოფლიოს**

**სხვადასხვა სკოლების პროგრამებს, მეთოდებს, რენომებს. საინტერესოა თქვენი მოსაზრება — არქიტექტურული განათლების პრობლემების შესახებ თანამედროვე ეტაპზე.**

— ინფორმაციულმა რევოლუციამ, ხელმისაწვდომობამ მსოფლიოს არქიტექტურული სკოლების დონე თითქმის გაათანაბრა. გამოიკვეთა საერთო ტენდენციებიც. საბაზრო ეკონომიკამ გარკვეული ცვლილებანი შეიტანა „პროფესიონალის“ ცნებაში. დღეს, მრავალსტილიანობის პირობებში და „კლიენტის“ მოთხოვნების, მათ შორის ესთეტიკური ორიენტაციის გათვალისწინების აუცილებლობა, ითხოვს არქიტექტურულ პოლიგლოტობას, მრავალი არქიტექტურული ენის ცოდნას. ბუნებრივია, ამას კორექტივები შეაქვს არქიტექტურული განათლების მეთოდოლოგიაში. გარდა ამისა, კონსტრუქცია, რომელიც ადრე არქიტექტურული ჩანაფიქრის განხორციელების საშუალება იყო, დღეს თავად არის ფორმათანარმომქნელი ანუ არქიტექტურა. პრინციპულად შეიცვალა შენობის სტატიკის გაანგარიშების მეთოდოლოგია. განსხვავებით ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ჰუმანიტარული უნივერსიტეტებიდან, სახელოვნებო სასწავლებლებში სწავლების მეთოდები კონსერვატიულია. არა მგონია, დიდი განსხვავება იყოს კონსერვატორებში მოცარტის პერიოდში „სწავლების“ (წვრთნის) მეთოდებსა და დღევანდელს შორის. ლაპარაკია პრინციპებზე, მეთოდებზე და არა ტექნიკურ და ორგანიზაციულ მხარეზე. **არის ოსტატი, არის შეგიჩრდი. ესაა ფორმულა.** არა მგონია, დიდი განსხვავება იყოს ფერნერა-ქანდაკების სწავლების მეთოდებში ფიდეასის, მიქელანჯელოს, როდენის დროისა და დღევანდელ სამხატვრო აკადემიაში. ლაპარაკია მეთოდზე და არა ინფორმაციისა და გამოცდილების სიჭარბეზე. **არის ოსტატი, არის შეგიჩრდი.** არა მგონია, პრინციპული განსხვავება იყოს არქიტექტურის სწავლებაში რენესანსის, „ვზუტემასის“, „ბაუჰაუზის“ და დღევანდელ არქიტექტურულ სკოლებს შორის. **აქაც ძალაშია ოსტატი-შეგიჩრდის პრინციპი.** თუ რამე უშლის ხელს სასწავლო პროცესს, ეს რეფორმებია, გაუთავებელი რეფორმები, თანაც რადიკალური. განათლების სისტემა უაღრესად მგრძობიარეა, ვერ იტანს რყევებს, მისი ბუნება ევოლუციურია. ყველა ხელისუფალს, მათ მინისტრებს, აქვს პრეტენზია ისტორიაში დარჩეს „რეფორმატორად“, მაგრამ ეს რეფორმა ათეული წლებით არღვევს სისტემას. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ხვალ „ფიფა“მ გადაწყვიტა, ფეხბურთი უნდა ითამაშოს არა 11-11 მოთამაშემ, არამედ 13-13-მა. ეს ერთი შეხედვით თითქოს არაფერია, მაგრამ ანგრევს მთელ სისტემას, სტრატეგიას, წესებს, მენეჯმენტს. ასეთი რამ განათლების სისტემაში ჩვეულებრივი ამბავია.

**— თქვენს ხელში მრავალმა ასეულმა ახალგაზრდამ გაიარა. გახსოვთ ისინი?**

— მახსოვს ძალიან კარგები და ცუდები, უფრო სწორად, ზარმაცები. საბედნიეროდ, „ცუდები“ ცოტანი იყვნენ.

**— არქიტექტურა, მსგავსად თეატრისა, კოლექტიური ხელოვნებაა. თქვენ მრავალ მოქანდაკესა და არქიტექტორთან ერთად მოგიხდათ თანამშრომლება.**

— 1963 წელს ალექო ჩიქოვანმა და მე მოქანდაკე გულდა კადაქსთან ერთად გავიმარჯვეთ „კავკასიის დამცველთა მემორიალის“ საკავშირო კონკურსში. ეს იყო პირველი პროექტი, რომელიც შევასრულეთ პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის საბროეტოში. ელგუჯა ამაშუკელისა და ჩემი შემოქმედებით და პიროვნული მეგობრობა 1966 წელს დაიწყო, გაგრძელდა ელგუჯას გარდაცვალებამდე. ეს იყო არა მხოლოდ შემოქმედებითად ნაყოფიერი წლები, არამედ ჩვენი ცხოვრების ნაწილი, ლამაზი და სიხარულიანი დღეები. არქიტექტურაში ყველაზე მყარი და ხანგრძლივი, 20-წლიანი, პარტნიორები ვიყავით მე და შოთა ბოსტანაშვილი. იგი სტუდენტობის წლებიდან ჩაერთო საპროექტო საქმიანობაში, დიპლომის ხელმძღვანელიც მე ვიყავი. შოთა მრავალმხრივი ინტერესებისა და ფართო განათლების კაცი იყო, კაცი, რომელიც იწვოდა. ერთად შევქმენით არაერთი მემორიალი და არქიტექტურული პროექტი. გავიმარჯვეთ კონ-

კურსებში და მივიღეთ არაერთი პრემია. ბუნებრივი და ლოგიკური იყო ჩვენი გაყრა. — ვზივართ ჩემთან სახელოსნოში, ეუკირკიტებთ რალაც პროექტს, გვიანია, კარგა ხანია რადიოში დაუკრეს სსრკ-ის ჰიმნი, უნდა დაისვენონ საბჭოთა ადამიანებმა. უცებ მომინდა გამხელა იმისა, რასაც თითქმის სამი წელია ვფიქრობ: **შოთა, უკვე დროა, შენ იყო შოთა ბოსტანაშვილი და არა ვახტანგ დავითაია და შოთა ბოსტანაშვილი, შენ სახეებით მზად ხარ ამისთვის მეთქი.** მცირე პაუზის შემდეგ მითხრა: ძალიან გამიჭირდება მართო. დავამშვიდე, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. ეს იყო და ეს. მაგრამ ეს იყო „გაყრა“ მხოლოდ არქიტექტურული პარტნიორობისა და არა საერთოდ. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ერთად ვიყავით პროფესიულ და პედაგოგიურ ასპარეზზე. მე, გიული გეგელია, მერაბ გუგუნავა და ნოდარ ჯანშიაშვილი რამდენიმე წელი ვიყავით აქტიური პარტნიორები, თვითული უნიჭიერესი და თავისთავადობით გამორჩეულია. სამწუხაროდ, ნოდარი ძალიან ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან. არაერთი პროექტი შევქმენი ნაწული თევზაძესთან, ზურაბ მათიაშვილთან, ზურაბ სუჯაშვილთან, სულიკო გაგუასთან, თემურ კლდიაშვილთან, გიორგი კვიციანიშვილთან, მერაბ გუჯაბიძესთან ერთად. ბოლო წლებში წარმატებულად ვიმუშავეთ თენგიზ გოგოლაშვილმა და მე. შევასრულეთ ბათუმის სანაპირო პარკის საკონკურსო პროექტი, გავიმარჯვეთ სკოლების კონკურსებში. თენგიზი დახვეწილი გემოვნების დიდი პროფესიონალია. არაერთ მოქანდაკესთან მომიხდა ცალკეულ ობიექტებზე მუშაობა, ესენი არიან: სოსო ქოიავა, ვაჟა მელიქიშვილი, ნოდარ თოფურია, გია ჯაფარიძე, ემირ ბურჯანაძე, გენო ზაქარაია, კიმი ტაბატაძე.

**— არის ერთი ქართული ანდაზა: კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო. რამდენად კარგი გამგონია დღევანდელი ხელისუფლება, დამკვეთი?**

— კარგი მთქმელის და კარგი გამგონის, ანუ დამკვეთის და შემსრულებლის თემა მარადიულია. ისტორიაში უფრო მეტია კონფლიქტის მაგალითი, ვინემ თანხმობის. დიდ მხატვრებს, მოქანდაკეებს, არქიტექტორებს პროტესტის ნიშნად არაერთხელ შეუწყვეტიათ სამუშაო. გენიალურ ბრუნელესკის მაინც-დამინიც დიდი სიამტკბილობა არ ჰქონია არც „ფლორენციის კომუნასა“ და არც კაზიმო მედიჩთან, მიქელანჯელოს — პაპ იულიუს II-თან. უმნიშვარი კაპიტალიზმის პირობებში, დღეს საქართველო ასეთია, დამკვეთი-შემსრულებლის ურთიერთობა სრულიად განსხვავებულია. აქ ჯერჯერობით არ მოქმედებს „საავტორო უფლებები“, მოქმედებს მხოლოდ დამკვეთის უფლებები. დააკვირდით რა მოთხოვნები და პირობებია საქართველოში ჩატარებულ არქიტექტურულ კონკურსში, ან იმის გახსენება რად ღირს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სკოლების საუკეთესო პროექტზე 2010 წელს გამოცხადებულ კონკურს-ტენდერის დამთავრების შემდეგ, მონაწილეები რომ მიინვივს სამინისტროში, ყველას ეგონა, კონკურსის შედეგებს გამოაცხადებენო, მაგრამ გამოაცხადეს „სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე „შემსყიდველმა“ მიიღო გადაწყვეტილება სატენდერო პროცედურის შეწყვეტის შესახებ“. მოვიდა ახალი მინისტრი დიმიტრი შაშკინი და შეცვალა სასკოლო მშენებლობის სტრატეგია. ის, რომ 9 სკოლის 17 საავტორო ჯგუფის 38 პროექტი მაკულატურად იქცა, შეურაცხყო პროფესიული ღირსება, 100-მდე სპეციალისტის შრომა, ეს თურმე არაფერია. სააკაშვილის დრო იყო აყარე კედელს ცერცვი. ყოველ შემთხვევაში, თქმა და გაგონება, ეს დიალოგია. ავტორიტარიზმის პერიოდში არც მე და არც ბევრ ქართველ არქიტექტორს დიალოგი ხელისუფლებასთან არ გვექონია.

**— ბატონო ვახტანგ, საზოგადოებას ხელოვანის არა მხოლოდ პროფესიული საქმიანობა აინტერესებს, არამედ ყოფაც. მინდა დაგსვათ რამდენიმე კითხვა.**

- ბრძანეთ, ბატონო.
- შეგიხდიათ საკუთარი თავისთვის „სხვისი თვალი“?
- ცხოვრება ისე სწრაფნარმავალია, უდიდესი დანაშაული იქნება, არ აკონტროლო საკუთარი თავი, ან თუნდაც ერთი წუ-



ნინო ჯაველიძე

# „სად აფხაზი და სად აფსუა?!“

თი დაჰყო მუხლებზე. სიმართლის დაცვა ჩემთვის პირად უხერხულობასა და „ხათრზე“ მეტი იყო ყოველთვის. პირადი წვლილის განსაზღვრა (შეფასება) გაცილებით ძნელია, ვინემ სხვისი. მიჭირს ჩემი წვლილის განსაზღვრა, თუმცა მაქვს უნარი შევხედო საკუთარ თავს სხვისი თვალით. ერთს კი ვიტყვი, იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ რელობაში და იმ შესაძლებლობებით, რაც ღმერთმა მარგუნა, მეტის გაკეთება არ შემეძლო. არც სიმდიდრე, არც პოპულარობა არასდროს ყოფილა ჩემი მიზანი. თუ რამე ამდაგვარი გამაჩნია, ის მხოლოდ შედეგია.

### — თბილისი ერთადერთი საცხოვრებელი ადგილია თქვენთვის ყველაზე მისაღები თუ შეიძლება იყოს სხვა უფრო კომფორტული ქალაქი, ქვეყანა?

— საცხოვრებელი არ არის მხოლოდ კომფორტული გარემო ან მშვიდი ქვეყანა, სადაც პროფესიული წარმატება უფრო სავარაუდოა. ის გაცილებით მეტია, უპირველესად — სულიერი კომფორტი, ადგილი, სადაც ყველაფერი შენია, სადაც ძალიან გიხარია და ძალიან გტკივა. ასეთი ადგილია საქართველო.

### — რა ადგილი აქვს პოლიტიკას თქვენს ცხოვრებაში?

— პოლიტიკაში არ ვერევი, თუმცა მაინტერესებს და საქმის კურსში ვარ. პოლიტიკა არ არის „საყველპურო“ საქმე, მას მთელი ცხოვრება და განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება. თუ მხატვრის, მუსიკოსის, არქიტექტორის ნიჭს 1-ად ჩავთვლით, პოლიტიკოსს 10 ნიჭი მაინც უნდა ჰქონდეს, მათ შორის მოსმენის, დაცდის და ემოციების მოთოკვისა. პოლიტიკით დაინტერესება-არ დაინტერესებას ჩვენ არავინ გვეკითხება. დღეს მსოფლიოს, მათ შორის საქართველოს ჰაერი გაჟღენთილია პოლიტიკით, თქვენ უნებლიეთ ჩართული ხართ პოლიტიკაში სულ მცირე „მეთვალყურის“ სტატუსით. მე საგანგებოდ აღვნიშნე მოსმენის, დაცდის და ემოციების მოთოკვის ნიჭი, ვინაიდან ამ ნიჭის მქონე პოლიტიკოსები იშვიათობაა. მე ამ თვისებათა მატარებელი ერთადერთი პოლიტიკური მოღვაწე ვიცი. ეს იყო ედუარდ შევარდნაძე. შეგეძლო ერთი საათი სისულელეები გეფრქვია, სიტყვას არ გაგანყვეტინებდა. კარგი იქნება თუკი ამ თვისებებს არა მხოლოდ პოლიტიკოსები, არამედ ტელეჟურნალისტებიც შეიძინენ.

### — ადამიანებს ბედნიერება სხვადასხვანაირად ესმით. თქვენ? ბედნიერი ხართ?

— ბუნებით თვითკმარი კაცი ვარ, არასდროს მქონია მიუწვდომელი ოცნება, ეს აუცილებელია ბედნიერებისათვის. ვთვლი, ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. ბედნიერება ისეთივე ნიჭია, როგორც ღვთის მიერ ბოძებული სხვა ნიჭი — მუსიკოსის, მხატვრის, მეცნიერის. ის არ არის პირდაპირი შედეგი არც პროფესიული წარმატების, არც ეკონომიკური კეთილდღეობის. ეს ნიჭი ან გაქვს, ან არ გაქვს, თუმცა შეიძლება მისი აღზრდა-შექნაც. ამ ნიჭს ჰქვია „ბედნიერად ყოფნის ნიჭი“. თუ უფრო „მატერიალისტურად“ შევხედავთ — თანხმობა ოჯახში, ქვეყანაში, მთელს სამყაროში.

### — თქვენი ჰობი?

— მიუხედავად ასაკისა, ძალიან ცოტა დრო მრჩება საპობოდ. ახალგაზრდობაში გატაცებით ვხატავდი, ახლა შვილთაშვილებთან „ლაზღანდარობა“, მხატვრული და მემუარული ლიტერატურის კითხვა მომწონს, ზაფხულში კი სოფლად, ეზოში „ფუსფუსი“, მორწყვა, თოხნა, გამსხვლა და სხვა.

### — სანუკვარი ოცნება?

— ოქროს თევზი რომ ამოყვეს ბადეს მხოლოდ ერთი თხოვნა მექნება. კოსმოსიდან გადაღებულ ფოტოზე გამოსახული დედამიწა — უსაზღვრო, ერთიანი, მშვიდი, უკონფლიქტო გახადოს რეალობად.

### — როგორ დაახასიათებდით ვახტანგ დავითიას?

— ცდილობს იყოს სამართლიანი, მიმტევებელი, ზუსტი, შრომა მისი ბუნებრივი მდგომარეობაა.

აბაზგ-აფხაზი და აბაზა-აფსუა ტომების შესახებ შუა საუკუნეების სხვადასხვაენოვანი წყაროებიდან ცხადდება, რომ ცნებებით „აფხაზი“ და „აბაზა“ მოხსენიებულნი არიან ეთნიკურად განსხვავებული ტომები, რომელთაგან აფხაზები (აბაზგები) საქართველოს ძირძველი მოსახლენი არიან, ხოლო აფსუები (აბაზები) იმიერკავკასიელ ტომს წარმოადგენენ, აფხაზეთის სამთავროში მასობრივად გვიან შუა საუკუნეებში რომ ჩამოსახლდნენ და აფხაზთა შორის დამკვიდრდნენ. ხსენებულ საკითხს ჩვენ რამდენიმე სტატია მივუძღვეთ.<sup>1</sup> ამჟამად გვსურს ის საისტორიო თხზულებები განვიხილოთ, რომლებშიც აფხაზი და აბაზა ტომების სამეტყველო ენის შესახებ საგულისხმო ცნობებია დაცული.

ენ. აფხაზური ენის თაობაზე ცნობები არერთმა ისტორიულმა წყარომ შემოგვინახა. ამ წყაროთა მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ, თუ ვინ იყო ის ხალხი, ვინც ე.წ. აფხაზური ენით მეტყველებდა, სად მდებარეობდა მათი პირველსაცხოვრისი, ანუ ისტორიული სამშობლო და აკავშირებდათ თუ არა რაიმე მათ ანტიკური ხანის აბაზგებთან. სანამ საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის ტოპონიმების წარმომავლობა ცხადყოფს სამთავროს ისტორიული მოსახლეობის ქართველტომელობას, რადგანაც გეოგრაფიული ნომენკლატურა, იქნება ეს ტოპონიმი, ჰიდრონიმი და მისთ., ქართულძირიანი სიტყვებისგან შედგება. მხოლოდ მცირედი ნაწილი ამ ნომენკლატურისა გახლავთ აფსუური (აბაზინური) დასახელების, რომელიც მხოლოდ XVIII-XIX ს.ს.-ის დროინდელია.

თუმცა საკითხი სრულად რომ იქნეს შესწავლილი, საჭიროა, აფხაზთა ტომის სამეტყველო ენის თაობაზე ისტორიულ წყაროებში დაცული მონაცემების გათვალისწინებაც. ამ მხრივ ჩვენს ხელთ არსებული წყაროებიდან ყველაზე ადრინდელი ცნობა განეკუთვნება XV საუკუნეს. ბავარიელი ავტორი ი. შილტბერგერი საუბრობს იმ ეთნოსების შესახებ, რომელიც „ბერძნული აღმსარებლობისანი“ არიან და ღვთისმსახურებას საკუთარ ენაზე ატარებენ. სხვადასხვა ხალხთა შორის, რომელთაგან ქართველებიც სახელდება, იგი მეცხრე ნომრად ჩამოთვლის „აბაზაზებს, ვისაც სხვათა ენაზე აპკასი ჰქვია“.<sup>2</sup> ერთი შეხედვით, ამ ცნობიდან ისე ჩანს, რომ ევროპელი მოგზაური წარმოაჩენს აფხაზთა და ქართველთა სხვადასხვა სამეტყველო ენის არსებობას, რადგანაც, მისი თქმით, ეს „აპკას“-ი ხალხი საკუთარ ენაზე ლოცულობდა. მაგრამ ფაქტობრივად მისი მონათხრობიდან სულ სხვა სინამდვილე ჩანს. უპირველესად საკითხავია, ამ „აპკას“-ით რომელი ტომია ნაგულისხმევი. ვის არქმევს შილტბერგერი „აპკას“-ი — აფხაზთა ტომს თუ იმიერკავკასიელ აბაზას? ეს კითხვა მით უფრო აქტუალური ხდება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ XVI საუკუნის გასტალდისეულ რუკაზე სიტყვით „აპკას“ მდ. ყუბანის აუზში, კერძოდ მის შუანელში მონიშნულია აბაზა ტომთა სამკვიდრო ადგილი, სადაც მდებარეობს ქალაქი „აკუა“.<sup>3</sup> ჩვენი აზრით, შილტბერგერი ტერმინით „აპკას“-ს სწორედაც ჩრდილო კავკასიაში მოსახლე აბაზებს უთითებს, რომელთაც საკუთარი ენა ჰქონდათ და, ნებსით თუ უნებლიეთ, მათ აფხაზებს არქმევს. რაც შეეხება ამ აპკასების მიერ ღვთისმსახურების საკუთარ ენაზე აღსრულებას, ეს ფაქტი სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს იმიტომ, რომ შუა საუკუნეებში კავკასიონის იმიერ მიწაზე, სადაც კი ქრისტიანობა იყო გავრცელებული, ეკლესიებში მრევლისთვის ნირვა ქართულად ტარდებოდა. ამის დასტურია თუნდაც XVIII ს.-ში გენსელიუსის მიერ შექმნილი რუკა, რომელზეც საქართველოსა და ჩრდილოკავკასიის ტერიტორიაზე ლოცვანი

ქართულად არის დაწერილი.<sup>4</sup> ეს კი მეტყველებს, რომ იქ წირვა-ლოცვა ქართულად აღევლინებოდა და, ამდენად, მლოცველებს ქართული ენა ესმოდათ. მეორეც, შილტბერგერი იმასაც ამბობს, თითქოსდა სამეგრელოში ღვთისმსახურება მეგრულად ტარდებოდა, რაც აგრეთვე არ არის სიმართლე და ისეთივე შეცდომაა, როგორც მისი ნათქვამი „აპკასთა ენაზე საეკლესიო წესების შესრულების“ შესახებ. გარდა ამისა, მისი მონათხრობი ურთიერთგამომრიცხავია. კერძოდ, ი. შილტბერგერი „აპკასის“ მთავარ ქალაქს „Zuchtum-Zuchtim“-ს უწოდებს. ეს გახლავთ ტოპონიმ ცხუმის ავტორისეული ვარიანტი, რომელიც ქალაქის ქართული სახლწოდების ლათინიზებული ფორმაა. ამ სახით ქ. ცხუმის გადაკეთებული სახელწოდება არც ერთ უცხოენოვან წყაროში არ დასტურდება. გვიან შუა საუკუნეების ავტორები მას თურქიზებული ფორმით მოიხსენიებდნენ. კერძოდ, სახელი ცხუმი სხვადასხვაენოვან წყაროებში აღნიშნულია როგორც „სუხუმი“ ან „სოხუმი“, რაც ამ ქართული ტოპონიმის თურქულ ფონეტიკურ პირობებთან შეგუებული ფორმა გახლდათ.<sup>5</sup> სწორედ ეს სახეცვლილი, „გადათურქებული“ ვარიანტი დამკვიდრდა შუა საუკუნეების აღმოსავლურ თუ დასავლურ ისტორიოგრაფიაში. ი. შილტბერგერი კი, პირდაპირ ქართული სახელის კალკს იყენებს და ეს ფაქტი, ჯერ ერთი, მეტყველებს, რომ აფხაზეთის დედაქალაქს სახელი მკვიდრმა, ქართველტომელმა აფხაზებმა შეარქვეს და მეორეც, ი. შილტბერგერს XV საუკუნეში ეს სიტყვა თავად აფხაზებისგან უნდა მოესმინა, ქართულ ენაზე რომ მეტყველებდნენ. გარდა ამისა, უნდა ითქვას ისიც, რომ გასტალდის რუკაზე იმიერკავკასიაში მდებარე „აპკასის“ ქალაქს აწერია სახელწოდება „აკუა“. აფსუები, რომელნიც საკუთარ თავს აბაზგების შთამომავალ აფხაზებად მიიჩნევენ, ცხუმს დღესაც „აკუას“ ეძახიან. თუკი შილტბერგერის დროს აფხაზები ქართულისგან განსხვავებულ, საკუთარ ენაზე მეტყველებდნენ, მაშინ მათგან გერმანელი ავტორი დედაქალაქის სახელად გაიგონებდა არა ცხუმს (ცუხტუმ), არამედ აკუას და ისიც სამთავროს მთავარ ქალაქს აკუას სახელით მოიხსენიებდა. მაგრამ ასე არ ხდება, რაც კიდევ ერთხელ ნათელჰყოფს, რომ ის „აპკასები“, რომელთაც საკუთარი ენა ჰქონდათ, აბაზგი-აფხაზები კი არ იყვნენ, არამედ ჩრდილოკავკასიელი აბაზა-აფსუები, ქართულ ქალაქ ცხუმს აკუას რომ უწოდებდნენ და დღესაც ასე ეძახიან. ამრიგად, ი. შილტბერგერის ცნობებიდან აფხაზთა ტომის სამეტყველო ენის შესახებ ცხადდება, რომ აფხაზები ქართულ ენაზე მეტყველებდნენ, იმიერკავკასიელ „აპკასებს“ კი საკუთარი, ქართულისგან განსხვავებული ენა ჰქონდათ. ავტორის მონათხრობიდან არ დასტურდება, რომ აბაზგთა შთამომავალი აფხაზები და ჩრდილოკავკასიელი „აპკასები“ ერთი და იგივე ხალხი იყო და ი. შილტბერგერი მათ ერთმანეთთან მცდარად აიგივებს. ჩვენი მსჯელობა რომ უსაფუძვლო არ არის და აფხაზები და აბაზები შეცდომით არიან ერთმანეთთან გაიგივებულნი, ეს ჩანს იმავე საუკუნის არაბულენოვანი ავტორის ბადრ ად-დინ ალ-აინის ცნობებიდანაც. ეგვიპტელი მემატიაზე ჩერქეზული ტომების შესახებ როდესაც საუბრობს, სხვათა გვერდით აფხაზისა (افخاز) და აბაზას (ابزاز) ტომებს ცალ-ცალკე ჩამოთვლის და საკუთარი ეთნონიმებით აღნიშნავს. მეტიც, იგი ამბობს, რომ აბაზას ენაზე ლაპარაკობენ სქალუა (შქალუა-შხარუა) და ჯ-ლა (ჯიქები) ტომებიც. ე.ი. ავტორი აფხაზებსა და აბაზებს ერთმანეთისგან ეთნიკურად მიჯნავს და ამ სახელებით ორ განსხვავებულ ტომს აღნიშნავს. თანაც ამ ორი ტომიდან მხოლოდ აბაზების შესახებ ამბობს, რომ მათ ენაზე სხვა (ჩრდილოკავკასიელი — ნ.ჯ.) ტომებიც ლაპარაკობენო. იგი არსად არ შენიშნავს, რომ აბაზათა ენაზე აფხაზებიც მეტყველებდნენ და არც იმას ადასტურებს, რომ აფხაზთა ენით სხვა იმიერკავკასიელ ტომებსაც ემეტყველათ. ავტორთან აფხაზი და აბაზა ტომები, როგორც სხვადასხვაენოვანი ეთნოსები,

სრულიად გარკვევით არიან გამიჯნულნი.<sup>6</sup> ერთი სიტყვით, ეგვიპტელი მემატიაზე ეს ცნობა კვლავაც წარმოაჩენს, რომ ევროპელი ავტორის, ი. შილტბერგერის მიერ ნახსენები აფხაზები არ განეკუთვნებიან აბაზათა ჯგუფს. გერმანელი ავტორი აფხაზებსა და „აპკასებს“ (აბაზებს) მცდარად მიიჩნევს ერთი მოდგმის ხალხად.



ლუი გრანჟე, ვინც XVII საუკუნის 10-იანი წლების დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა, მუხურის ეპისკოპოსს სწვევია და მცირე ხანს მოქეში უმოღვანია. მისი თქმით, მას საჭიროდ მიუჩნევია „მეგრულისა და ამ მხარეების დიალექტების შესწავლა“.<sup>7</sup> ამ ნათქვამიდან ჩანს, რომ ფრანგი მისიონერისთვის მოქეის რაიონში აუცილებელი გამხდარა უპირველესად დაუფლებოდა მეგრულ კილო-ენას, რაც იმით უნდა ყოფილიყო გაპირობებული, რომ იქაური მოსახლეობა, აფხაზნი, ერთმანეთში მეგრულად საუბრობდნენ. თუ რა იგულისხმება მისი სიტყვებით „ამ მხარეების დიალექტები“, ამასთან დაკავშირებით ყურადსაღებია მოგვიანო საუკუნეების ავტორთა (მაგ. პ.-ს. პალასი) ცნობები, რომ აბაზები რამდენიმე დიალექტზე საუბრობდნენ. ამიტომაც, შენაძლებელია, ლუი გრანჟე ამ „კილოკავებით“ სწორედაც აბაზათა სამეტყველო დიალექტებს გულისხმობდეს. თუმცა ფაქტია, რომ იგი თავისი ნათქვამით მოქეის რაიონში მეგრულ კილო-ენას უპირატესად მიიჩნევს და პირველ რიგში მის შესწავლას ეზრახვის\*.

1620-იან წლებში დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდნენ ჯოვანი ჯულიანი და ლუკა და ემიდიო დორტელი დ'ასკოლი, რომლებმაც სამეგრელო და აფხაზეთი მოინახულეს. ემიდიო დორტელი დ'ასკოლი ზოგადად საუბრობს შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებთა სამეტყველო ენის შესახებ და წერს, რომ „შავი ზღვის გარშემო 8 ენაზე საუბრობენ, საკუთრივ: ბერძნულად, თურქულად, თათრულად, ჩერქეზულად, აბაზინურად, მეგრულად და სომხურად“.<sup>8</sup> ჯოვანი ლუკა უფრო დანვრილებით ეხება ენის საკითხს და შენიშნავს, რომ „აპკასას (აბაზა) ენა ძალიან განსხვავდება მათი მეზობელი ხალხების ენებისგან. მათ არა აქვთ არავითარი დაწერილი კანონი და დამწერლობის გამოყენება არ იციან“.<sup>9</sup> როგორც ვხედავთ, პირველი ავტორი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროებზე რვა ენას ჩამოთვლის, მათ შორის სომხურსაც, თუმც ქართულ ენას არ ახსენებს. მაგრამ მთავა-

\* ეს წინადადება მ. თამარაშვილთანაც ასევეა ნათარგმნი. იგი თარგმანში წერს: „ახლა ჩვენს დროს ერთიანად ვანდომებთ მეგრული ენისა და ამ მხარის კილო-კავების შესწავლას“.<sup>10</sup> თუმცა სრულიად განსხვავებული თარგმანი ვიხილეთ СМОНПК-ში დაბეჭდილ რუსულ ვარიანტში. ლუი გრანჟეს ეს წერილი ფრანგულიდან უთარგმნია ვ.ლ. ბაბეს, ხოლო კომენტარების ერთი ნაწილი ეკუთვნის ე.გ. ვაიდენბაუმს, დანარჩენი კი — ე. თაყაიშვილსა და ლ.ლოპატკინს. რუსულ გამოცემაში წერია: „ჩვენ გადავწყვიტეთ შევესწავლა მეგრული და ქართული ენა“.<sup>11</sup> როგორც ვხედავთ, ვ. ბაბეს თარგმანი რადიკალურად განსხვავდება ი. ტაბალუასა და მ. თამარაშვილის ტექსტისგან. ვფიქრობთ, ვ. ბაბეს წერილის სხვა პირი უნდა ჰქონოდა ხელთ, წინააღმდეგ შემთხვევაში „დიალექტისა და კილოკავის“ ნაცვლად იგი „ქართულ ენას“ არ დაწერდა. ჩვენ მაინც შევარჩიეთ უფრო „წამგებანი“ ტექსტი ხსენებული წერილისა, რათა ჩვენთვის არაობიექტურობა არ დაენამებინათ.

რია, ვის გულისხმობს იგი იმ ხალხის სახელით, რომელიც, მისი თქმით, აბაზინურად საუბრობდნენ. თუკი ი. შილტბერგერის, ბადრ ად-დინ ალ-აინისა და პ.-ს. პალასის ცნობებს გავითვალისწინებთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ იგულისხმებიან შავი ზღვის სანაპიროზე დასახლებული აბაზა-აფსუები, ვისაც მეორენაირად „აბკასა“-ს ეძახდნენ. ჩვენს მოსაზრებას ამყარებს ჯოვანი ლუკას მომდევნო ცნობა, საიდანაც ვგებულობთ, რომ ეს აბკასა-აბაცები ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ მათ არ ჰქონდათ დამწერლობა და არც ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს ასრულებდნენ. ყურადსაღები ცნობაა, რადგანაც აბაცები წარმოჩენილი არიან ქრისტიანებად, რომელიც მართლმადიდებლურ წესებს არ ასრულებდნენ. ძნელი სარწმუნოა, რომ ეს აბაცები იმ აბაზგთა შთამომავალი ყოფილიყვნენ, ვისთანაც მოციქულმა ქრისტიანობა იქადაგეს და რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში თაობიდან თაობას გადასცემდნენ საკუთარ რწმენასა და რჯულის წესებს. აქედან ჩანს, რომ ის ხალხი, ვინც რელიგიური წეს-ჩვეულებების გარეშე აღიარებდნენ ქრისტიანობას, აფხაზეთში ჩამოსახლებული, ახლადმოქცეული იმიერკავკასიელი აბაზები (აფსუა-აბაცები) უნდა ყოფილიყვნენ. მათ არ იცოდნენ ქართული ენა, რა ენაზეც აფხაზეთის ეკლესიამონასტრებში წირვა-ლოცვა აღევლინებოდა და ამიტომაც არ სჩვეოდათ ქრისტიანული ადათ-წესების დაცვა. ჯოვანი ლუკას მომდევნო მონათხრობიც ჩვენს მსჯელობას ეხმიანება და ადასტურებს. კერძოდ, პირველი ადამიანი, ვინც ლუკას აფხაზეთის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე შეხვდა, „ქართველი მღვდელი“ აღმოჩნდა. ე.ი. ამ პასაჟიდანაც ჩანს, რომ აფხაზეთში ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე ატარებდნენ. აქვე უნდა შევნიშნოთ წყაროში ნახსენები მღვდლის „ქართველობის“ შესახებ. ჯოვანი ლუკას სიტყვებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მღვდლის ქართველობის წარმოჩენით ავტორი ხაზს უსვამდეს აფხაზისა და ქართველის სხვადასხვა ეთნიკურ კუთვნილებას. მაგრამ, თუკი გავისხენებთ, რომ კათოლიკე მისიონერები დასავლეთ საქართველოს მკვიდრ მოსახლეობას ტომობრიობის მხედვით არჩევდნენ და მათ ყოველთვის თავ-თავიანთი კუთხური სახელებით მოიხსენიებდნენ (მაგ. გურული, მეგრელი, აფხაზი და ა.შ.), ხოლო იმერლებს, როგორც წესი, ქართველს უწოდებდნენ, მაშინ სავეგებით შესაძლებელია, რომ ლუკასეული „ქართველი მღვდელი“ იმერელის აღმნიშვნელი ცნება იყოს და სულაც არ გამოხატავდეს აფხაზისა და ზოგადად ქართველის განსხვავებულ ეთნიკურობას. ასე რომ, თუკი ჯოვანი ლუკას ზამოაღნიშნულ ცნობებს ერთმანეთს შევუჯერებთ, ჩვენი აზრით, ის სინამდვილე აისახება, რაც ტომით აფხაზებისა და იმიერკავკასიელი აბაცა (აფსუა) ხალხის განსხვავებულ ეთნიკურობას ადასტურებს.

აფხაზეთის სამთავროს მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე ქრისტიანული კასტელის შემოქმედებიდანაც წარმოჩინდება. მისიონერი აფხაზეთის შესახებ საუბრისას წერს, რომ „კავკასიის მთებსა და მის გვერდობზედ მცხოვრებ ერს (რომელიც ალურაცხელია), არა აქვსთ არც წიგნი, არც საკუთარი ანბანი და არც ქართულ ანბანს ხმარობენ. დასათვლელად ხმარობენ ხან კრილოსნის მარცვლებს, ხანაც კენჭებს“.<sup>12</sup> ე.ი. ავტორის თქმით, აფხაზეთში მთის ფერდობებზე მცხოვრები „ერნი“ ანუ ტომები „ქართულ ანბანს არ ხმარობდნენ“. ამ ნათქვამიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ აფხაზეთის ქართული ანბანის გამოყენება უცხო იყო და მათ არ იცოდნენ ქართული. თუმცა იმავე კასტელს, როდესაც იგი თავის ნახატებს შესაბამისი წარწერებით განმარტავდა, ერთ-ერთი სურათისთვის მიუწერია, რომ პორტრეტი ეკუთვნოდა ვინმე „თვალკაკა გიმეტისას, რომელიც ყოფილა აბაზა“.<sup>13</sup> თანაც იქვე მის შესახებ მეგრულად ჩაუნიშნავს: „ბროლო ჩემო რაღე სალაონთეი მოღენე“. აქედან ჩანს, რომ ეს „აბაზა“ თვალკაკა გიმეტია ქართველტომელი აფხაზი ყოფილა, რომლის ოჯახის დახასიათებისას მას მეგრული ფრაზა გამოუყენებია. თუკი ეს თვალკაკა გიმეტია და მისი

თვისტომი აფხაზები მეგრულ კილო-ენაზე ლაპარაკობდნენ, ცხადია, მათ ქართულად წერა-კითხვაც ეცოდინებოდათ. მაშინ როგორღა აფხაზთა კასტელის ნათქვამი, რომ „აფხაზეთის ქართული ანბანის გამოყენება უცხო იყო და მათ არ იცოდნენ ქართული“? როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ავტორის ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობა?! აშკარაა, რომ კასტელი აფხაზეთის მკვიდრთა აღწერის დროს ადასტურებს იმუამინდელ მცხოვრებთა ეთნიკურ სხვადასხვაობას, მათ არაერთგვაროვან წარმომავლობას; ის „აფხაზები“, ვინც თვლა არ იცოდნენ, დათვლისას კრილოსანს, ხანაც კენჭებს იყენებდა და ვისთვისაც ქართული ენა იყო სრულიად გაუგებარი, ჩამოსახლებული აბაზები იყვნენ, ხოლო კასტელისეული „აბაზები“, რომელიც მეგრულად მეტყველებდნენ, სინამდვილეში ქართულძირიან აფხაზთა ტომს განეკუთვნებოდნენ. ასე წარმოაჩინა ევროპელმა მისიონერმა, ნებსით თუ უნებლიეთ, XVII საუკუნის აფხაზეთის მკვიდრთა ეთნიკური სურათი, სადაც გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ აბაზები და აფხაზები, ტომით სხვადასხვა ეთნოსს რომ განეკუთვნებოდნენ.

არქანჯელო ლამბერტი „კავკასიის ზურგზე მცხოვრებ ველურ და ბარბაროს ხალხებს“ აღწერს და ზოგადად შენიშნავს, რომ „აფხაზების, ალანების, სვანების, ყარაჩაელების, ჯიქებისა და ჩერქეზების ენებისა და კილოკავის სხვადასხვაობა გასაკვირველია. თითოეული ამ ხალხთაგანი ხმარობს საკუთარ ენას, რომელიც განირჩევა მეორე ხალხის ენისაგან იმდენად, რომ არავითარი მსგავსება ბგერისა მათ შორის არ არის“. სხვაგან კი ამატებს, რომ „ამ მაღალ მთებში მცხოვრებ სხვადასხვა ველურ ხალხს ერთიმეორისგან ისეთი განსხვავებული ენა აქვთ, რომ ერთმანეთისა არა ესმით რა“.<sup>14</sup> ლამბერტის ნათქვამიდან არ ჩანს, თუ ვის უხმობს იგი სახელად აფხაზს, რომელ ტომს გულისხმობს — აფხაზსა თუ აფსუას, რადგანაც უცხოელი ავტორები, როგორც წესი, ამ ორ ტომს ხან აფხაზით, ხანაც აბაზათი აღნიშნავენ და ამ მხრივ გამოწაკლისი არც არქანჯელო ლამბერტია. ასე რომ, მისი ბუნდოვანი ნათქვამიდან ცნება აფხაზის შინაარსისა და მნიშვნელობის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა გაჭირდება, მით უფრო, რომ თავად მისიონერი არანაირ დამატებით ინფორმაციას არ იძლევა.

აფხაზეთის მცხოვრებთა სამეტყველო ენის შესახებ გარკვეულ ცნობებს კარტოგრაფიული მასალაც იძლევა. პოლონეთის მეფის კარტოგრაფის, რობერტ დე ვოგონდის მიერ 1769 წელს შესრულებულ რუკაზე აფხაზეთის სამთავროს აწერია ქართული სიტყვა „pkazebi“, ჩრდილოკავკასიაში კი მოთავსებულია ე.წ. მცირე აფხაზეთის წარწერა რუსულად — „alaia abazy“.<sup>15</sup> ცნობილია, რომ XVIII-XIX საუკუნეების ავტორები ადასტურებენ „ორი აფხაზეთის“, იგივე „ორი აბაზას“ ფაქტს. რუსი მკვლევარნი, მაგალითად, ამ ორ აფხაზეთს ახსენებენ რუსული სიტყვებით — „Большая Абхазия/Абазия“ და „Малая Абхазия/Абазия“. აქ კი, პოლონეთის ოფიციალურ რუკაზე აფხაზეთის სამთავრო მონიშნულია ქართული დასახელებით (აპკაზები), ჩრდილოკავკასიაში კი — რუსული სახელწოდებით (მალაია აბაზი). რატომ შეურჩევია ავტორს თავისი რუკისთვის სხვადასხვაენოვანი სახელწოდებები? რატომ არ აღნიშნავს იგი ამ ორ პოლიტიკურ ერთეულს მსგავსი სახელით — დიდი და მცირე აბაზათი? ჩვენი აზრით, ეს ფაქტი იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ აფხაზეთში სამეტყველო ენა იყო ქართული, ძირძველი აფხაზები ქართულად ლაპარაკობდნენ და არა აბაზინურ-აფსუურ ენაზე. შესაბამისად, რუკაზე აფხაზეთის სამთავრო ქართული სიტყვითაა აღწერილი, ხოლო იმიერკავკასიაში ემდებარე აბაზათა საცხოვრისები მონიშნულია იმ სახელით, რომლითაც აბაზებს რუსები მოიხსენიებდნენ.

უნდა ითქვას, რომ XVIII საუკუნის შემდგომდროინდელ რუს და ევროპელ მკვლევართა ნაშრომები აფხაზი და აბაზა ტომების, მათ რომ ერთი ეთნოსი ჰგონიათ, სამეტყველო ენების რაობის შესახებ უხვი ცნობებით გამოირჩევა. ამ მასალიდან შე-

საძლებელია ვიმსჯელოთ აბაზინური ენის დიალექტების, ამ ენის სხვა იმიერკავკასიულ ენებთან მსგავსება-ნათესაობისა და, რაც მთავარია, აფხაზთა ტომის სამეტყველო ენის თაობაზე. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებიც სწორედ ამ საკითხების მიხედვით დავაჯგუფოთ და მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ.

1) აბაზინური ენა და მისი დიალექტები

თავდაპირველად ხაზგასასმელია, რომ მდ. ყუბანის მარცხენა სანაპიროს მთიან სექტორში და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან მოსახლე ტომებს რუსეთის მოხელენი სამეტყველო ენის მიხედვით სამ ნაწილად ჰყოფდნენ. „იმ ენების განსხვავებაზე დაყრდნობით, რომლებზეც საუბრობენ მთიელები, მცხოვრებნი ყუბანის იქითა მხარეს და შავი ზღვის სანაპიროზე მდ. ყუბანის შესართავიდან მდ. ენგურამდე, შესაძლებელია ისინი სამი მოდგმის (ჩერქეზთა ტომი, აბაზინთა ტომი და ნოღაელი თათრები) ტომებად დაეყოთ“ — წერს ბარონი ტორნაუ.

არაერთი ავტორი საუბრობს აბაზათა ენის თავისებურებებისა და დიალექტების შესახებ. ისინი შენიშნავენ, რომ კავკასიონის მთების კალთებზე მცხოვრები ტომები ერთმანეთისგან სამეტყველო ენით გამოირჩეოდნენ და ეს სხვაობა იყო ლამის ერთადერთი მათი განმასხვავებელი ნიშანი. მაგ., ლანგენისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რომ „На Кавказских горах живут различные поселенцы, отличающиеся друг от друга касательно одного языка, которым они говорят“.<sup>17</sup>

ი. გიულდენშტედტიც წერს: „აფხაზეთში, სვანეთში, ჯიქეთსა და ალანეთში უნდა ლაპარაკობდნენ ენებზე, რომლებიც ერთმანეთისგან და მეზობლების ენებისგან განსხვავებულნი არიან“.<sup>18</sup> მკვლევარებმა ყურადღება იმასაც მიაქციეს, რომ აბაზა-აფხაზების სიტყვებში ჭარბობს ხორხისმიერი ბგერები: „აფხაზები (აბაზები — ნ.ჯ.) და ჩერქეზები უმეტესად ხორხისმიერი ბგერებს ხმარობენ, ანდა მათ განსაკუთრებული ჟღერადობით ამოუსტვენენ“<sup>19</sup> — წერს აიხვალდი. ჯ. პალგრავიც აღნიშნავს აბაზა-აფხაზთა მეტყველებაში ხორხისმიერი ბგერების არსებობას და ფიქრობს, რომ მათი ბგერათნარმოქმნა წმინდა არაბული ანდა ევროპული თავისებურებებით ხასიათდება: „И хотя у них нет различающих особенностей какого-либо известного диалекта, они имеют семитические установления, а в богатом гортанном промежутках — чисто арабские или европейские особенности. Все это указывает на их различные родственные связи“.<sup>20</sup> როგორც ვხედავთ, ცხუმში ინგლისის კონსული პალგრავი თავისი უშუალო დაკვირვების შედეგად ასევე ასკვნის, რომ აბაზები განსხვავებული ნათესაური კავშირებით ხასიათდებოდნენ.

ჩრდილოკავკასიელი ტომების შემსწავლელთათვის ცნობილი იყო, რომ აბაზათა ტომები სხვადასხვა კილოკავზე საუბრობდნენ. პალასი აბაზების შესახებ, რომლებიც საკუთარ თავს აბსნეს უწოდებდნენ, ამბობს, რომ ისინი რამდენიმე დიალექტზე ლაპარაკობდნენ.<sup>21</sup> ლ. ლიულიც აღნიშნავს, რომ „აფხაზურ“ ენაზე, რომელსაც იმიერკავკასიელი მეორენიარად აზეგას ენას ეძახდნენ, საუბრობდა ყველა „აფხაზური“ ტომი, მცხოვრებნი კავკასიონის როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ კალთებზე, ოღონდაც მათი მეტყველება ერთგვარი ნიუანსებით (оттенки) გამოირჩეოდა, რომელიც უფრო მეტად ჩრდილოეთისა და სამხრეთი კალთების მცხოვრებთა დიალექტებს შორის არსებობდა.<sup>22</sup> ამას გარდა, მკვლევარი იმასაც აღწერს, რომ სხვაობა შეიმჩნეოდა როგორც სხვადასხვა ხეობის მცხოვრებთა, ასევე მთასა და ბარში მოსახლე „აფხაზთა“ დიალექტებს შორისაც. აი, რას გვაუწყებს ამის თაობაზე გ. მერცბახერი: „ნამდვილი მთიელი „აფხაზები“, რომელნიც დიალექტებზე საუბრობენ, ცოტათი რომ განსხვავდებიან „აფხაზური“ ენისგან, ცხოვრობენ თავიანთ უწინდელ ადგილებში — ენგურის ჩრდილო-დასავლეთი შენაკადების ხეობებს და კოდორისა და ბზიფის აუზების ძნელად მისაღ-

გომ, ტყიან ქონხებში“.<sup>23</sup> გ. მერცბახერის ამ ნათქვამს ა. დი-აჩკოვ-ტარასოვი აზუსტებს და შენიშნავს, რომ მძიმის სათავეებთან მცხოვრები მთიელი მედოზუს ხალხი ლაპარაკობდა „აფხაზურ“ ენაზე, რომელიც რამდენადმე განსხვავდებოდა ბზიფის მცხოვრებთა დიალექტისგან, თუმცა არც ისე ძლიერ, რომ ბზიფელებს ვერ გაეგოთ მძიმელებისა.<sup>24</sup>

ერთი სიტყვით, XVIII-XIX საუკუნეებში მოღვაწე მკვლევარი აღნიშნავენ, რომ ე.წ. აფხაზურ ენას ახასიათებდა დიალექტების არსებობა, ამ მრავალ დიალექტზე მოლაპარაკე გვარ-თემები მკვიდრობდნენ კავკასიონის ჩრდილოეთ მთების კალთებზეც და სამხრეთი მთების ფერდობებზეც, მეტიც, განსხვავებულ კილო-კავებზე მეტყველებდნენ თვით აფხაზეთის სხვადასხვა მდინარის ხეობებში მცხოვრები თემებიც და სხვადასხვა დიალექტი ახასიათებდათ ერთი მხრივ, მთებში მოსახლე და მეორე მხრივ, ბარის „აფხაზებსაც“. გარდა ამისა, ე.წ. აფხაზურ ენაზე მეტყველი მოსახლეობისთვის დამახასიათებელი ყოფილა მკვეთრად გამოხატული ხორხისმიერი ბგერების სიჭარბე და სწორედ ბგერათა ამგვარი სემიტური წყობა, ინდოევროპულ ენათა ჯგუფისთვის რომ იყო დამახასიათებელი, მკვლევართათვის გამხდარა მათი სხვადასხვაგვარი ნათესაური კავშირების მაჩვენებელი. ამრიგად, ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ სხენებული ავტორები აბაზინურ ენას აფხაზურს უწოდებენ. ამას გარდა, მათი აზრით აფხაზური (აბაზინური) ენა საგარაუდოდ უკავშირდებოდა ადიღურ ენათა ჯგუფს და მას ქართველურ ენებთან საერთო არაფერი ჰქონდა“ „По данным лингвистических исследований, пока еще далеко не законченных, абхазцев отнюдь не следует относить к картвельской группе Кавказских племен, и если их нужно причислить к какой-нибудь группе, то только к западногорским племенам (адыгейским)“.<sup>25</sup> ამგვარი აზრის გამოთქმის საფუძველს იძლეოდა იმ აბაზათა ენის ანალიზი, რომელთაც ავტორები აფხაზებად მიიჩნევდნენ და რომელთა რაოდენობა XIX საუკუნის აფხაზეთის სამთავროში ასი ათას მცხოვრებს მოითვლიდა.

2) აფხაზთა სამეტყველო ენა.

როგორც ვნახეთ, XVIII-XIX ს.ს-თა რუსი და ევროპელი მკვლევარი აფხაზების სამეტყველო ენას აიგივებენ აბაზინურ ენასთან, რომელიც ძირეულად განსხვავდება ქართველურ ენათა ჯგუფში შემავალი ენებისგან. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათ ნაწერებში, რომლებიც აფხაზი ტომის სამეტყველო ენის რაობას ეხება, მაინც მოიძიება ფაქტები, აფხაზთა ქართველტომელობის უტყუარი საბუთის მნიშვნელობას რომ იძენს.

ზემოთ ვახსენეთ, რომ XVI ს-ის ავტორმა ი. შილტბერგერმა შემოგვინახა ცნობა აფხაზთა ენაზე ეთონიმი ცხუმის (Zuchtum) არსებობის შესახებ, რაც აფხაზებს, როგორც ქართულენოვან ტომს წარმოაჩენს. მსგავსი ფაქტები XIX საუკუნის ავტორთა ნაწერებშიც არის აღწუსებული. ა. დიაჩკოვ-ტარასოვი თავის ნარკვევში „Гагры и их окрестности“ გადმოცემს აფხაზეთის სამთავროს მოკლე ისტორიას და შენიშნავს, რომ, როდესაც 1509 წელს ჯიქებს იმერეთის სამეფოში მარბიელი ლაშქრობა მოუწყვიათ, ისინი უკან გაგრის გავლით დაბრუნებულან, რომელსაც თურმე იმ დროს ქვაკარი ეწოდებოდა: „Джики... возвращаясь с богатою добычею, прошли через Хакари, как тогда назывались Гагры“. ამ ქართული ტოპონიმის არსებობას რუსი ოფიცერი ა. დიაჩკოვ-ტარასოვი იმდრინდელ გენუელთა რუკების მონაცემებით ადასტურებს.<sup>26</sup> ე.ი. ამ პასაჟიდან ჩანს, რომ XVI საუკუნის წყაროს თანახმადაც აფხაზების სამეტყველო ენა იყო ქართული, ვინაიდან გენუელთა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ფაქტორიებში სიტყვა „ქვაკარს“ (Chacari) აფხაზებისგან მოისმენდნენ და ჩაინიშნავდნენ. მეორე ცნობა აფხაზთა ტომის ქართულად მეტყველების შესახებ დიუბუა დე მონპერეს მოეპოვება. კერძოდ, შვეიცარიელი ავტორი წერს, რომ სიტყვები „პიტუისი“ და „პიცუნდა“ ქართული სახე-



ნოდება ბიჭვინთიდან მომდინარეობს: „Этот город - древнейший Питиус, Пицунда, или согласно произношению жителей этой страны и грузин, Бичвинда или Бичвинта“.<sup>27</sup> ე. ი. ევროპელი მკვლევარი ადასტურებს, რომ სახელი ბიჭვინთა (ბიჭვინდა) წარმოითქმოდა ქართველთა და „ამ ქვეყნის“ ანუ აფხაზეთის მცხოვრებთა ენაზე. დიუბუა დე მონპერეს ეს ნათქვამი ფრიად საგულისხმოა. ჯერ ერთი, ცხადდება, რომ ავტორმა იცის — ბიჭვინთა ქართული სიტყვაა და აფხაზეთის ამ ქალაქს ქართული სახელწოდება აქვს. მაგრამ მთავარი მის ნათქვამში ის გახლავთ, რომ ეს ტოპონიმი „ამ ქვეყნის მცხოვრებთა“ ენაზე წარმოითქმოდა. ეს კი ცხადყოფს, რომ აფხაზები ქართულენოვანი ტომისანი იყვნენ. მართალია, დიუბუა დე მონპერეს ცნობაში ცალსახად არ ჩანს, თუ ვინ იგულისხმებინა ნათქვამით „ქვეყნის მცხოვრებნი“, მაგრამ ვფიქრობთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ აქ აფხაზები სახელდებიან. შვეიცარიელი ავტორის ხსენებული ცნობა რომ გაუგებრობაზე არ არის დაფუძნებული და სიმართლეს ასახავს, ეს რუსი ავტორის, გრაფინია ნ. ს. უფაროვას ჩანაწერებიდან დასტურდება. კერძოდ, გრაფინია წერს: „В версте от моря, около древнего храма Пицунды... находится огромный город... известный под названием Питиуса у древних писателей, или Битшвинды у абхазцев“.<sup>28</sup> ე. ი. რუსი ავტორიც მოწმობს, რომ ანტიკური ხანის პიტიუსი და რუსული წყაროების პიცუნდა ქართული სიტყვის ბიჭვინთას (მისი თქმით, „ბიტშვინდას“) უცხოენოვანი ვარიანტებია, თანაც თავადვე იუწყება, რომ ქალაქის სახელწოდება ამ ფორმით — „ბიტშვინდა“ აფხაზების ენაზე წარმოითქმოდა. აქედან ეჭვგარეშეა, აფხაზები ქართულად მეტყველებდნენ, ვინაიდან მათ ქალქისთვის შეურქმევიათ სახელწოდება, რომლის ძირიც ქართული სიტყვა ფიჭვი იყო. ამრიგად, ზემოხსენებული ევროპელი და რუსი ავტორები თავიანთ ნაშრომებში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ცხადყოფენ, რომ აფხაზები ქართულენოვანი ტომისანი იყვნენ.

კვლავაც შეიძლება ფაქტები მოვიხმოთ. ა. დიაჩკოვ-ტარასოვი თავის მეორე ნაშრომში „ბზიფის აფხაზები“ ამ მდინარის ხეობის მცხოვრებთა ყოფას აღწერს და მათი საცხოვრებლის შესახებ შემდეგს წერს: „Через несколько минут . . . мы увидели небольшие из жердей ворота и в глубине чистого, как зеленая бархатная скатерть, двора абхазскую саклю, крытую дрянью“.<sup>29</sup> როგორც ვხედავთ, რუსი ავტორი აფხაზი ოჯახის სამყოფელს ქართულ სიტყვას — სახლს უწოდებს. ა. დიაჩკოვ-ტარასოვის ეს დაკვირვება გამონაკლისი არ არის და ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ადასტურებს რუსი ავტორის მიერ აღწერილ ფაქტს. მკვლევარი საუბრობს ალი-ბეის სამოსახლოს შესახებ და ამბობს, რომ მან ტამიშის შესართავთან, ზღვის სანაპიროზე აიშენა პატარა ბინა, ხოლო მისი ე. წ. სასახლე იყო „სახლი“ (sacle), აგებული თხილთა შეკავშირებული დანული ტოტებისგან და მესერით (შემოვლებული), რომელსაც ჭიშკარი არ ჰქონდა.<sup>30</sup> ე. ი. შვეიცარიელი მკვლევარიც წარჩინებული აფხაზის სასახლეს სახლს ეძახის. ერთი სიტყვით, ევროპელი და რუსი ავტორები აფხაზების საცხოვრებელს სახლს უწოდებენ და ეს ქართული სიტყვა მათ თავად მკვიდრი მოსახლეობისგან აქვთ მოსმენილი. ეს კი მეტყველებს, რომ აფხაზები, იქნებოდნენ ისინი სოციალურად დაბალი ფენის წევრები თუ წარჩინებულნი, ქართულად ლაპარაკობდნენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით საგულისხმოა იმავე საუკუნეში მოღვაწე ჟაკ გამბას, რომელმაც კავკასიის რეგიონში იმოგზაურა და თავისი თვალით ნანახი აღწერა, მონაცემები. ავტორს ჩანერილი აქვს ცხრილი ზოგიერთი იმ „აფხაზური“ სიტყვისა, სოხუმ-კალეში რომ გავიგონა. ამ ცხრილში რამდენიმე ათეული სიტყვაა თავისი თარგმანით. საყურადღებოა, რომ ამ ე. წ. აფხაზურ სიტყვებს შორის ვხვდებით სიტყვა სახლის მნიშვნელობასაც. გამბას ცნობით, სახლს „აფხაზები“ უწოდებდნენ „Acheuh“-ს. ე. ი. ჩა-

ნაწერიდან ირკვევა, რომ სიტყვა სახლი „აფხაზთა“ ენაზე წარმოითქმოდა, როგორც „ახეუჰ“. ისმის კითხვა: როგორ შეიძლება ამ სიტყვას შევუთავსოთ სიტყვა „საცლე“ (ყოფილ), რომელიც სხვა ევროპელმა და რუსმა ავტორებმა აფხაზთა საცხოვრებელს უწოდეს? ხომ არ შეიძლება, რომ ერთი ტომის ხალხი ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა ენაზე არსებულ სიტყვებს უწოდებდეს? ამ შეკითხვებს მხოლოდ ერთი პასუხი აქვს. როდესაც XIX საუკუნის ზემოხსენებული ავტორები აფხაზეთში იმყოფებოდნენ და მცხოვრებლებისგან სიტყვებს ისმენდნენ თუ ინერდნენ, ისინი განსხვავებული ძირების მქონე ტომთა წევრებს ესაუბრებოდნენ, რომელნიც ერთი და იმავე საგნის სახელს საკუთარ ენაზე წარმოითქვამდნენ. ამიტომ აფხაზებს, რომელთა მშობლიური ენა ქართული იყო და ჩამოსახლებულ აფსუებსაც, აბაზა ტომთა დიალექტებზე რომ საუბრობდნენ, მცდარად ერთ ხალხად აღიქვამდნენ და ყველას ერთად აბაზებს, იგივე აფხაზებს უწოდებდნენ.

კიდევ ერთი ნიშნად აფხაზეთის გეოგრაფიული ნომენკლატურისა, საიდანაც ჩანს, რომ უცხოელი ავტორები აფსუათა ენას „აფხაზურ ენას“ უწოდებდნენ. ა. დიაჩკოვ-ტარასოვი მდ. ბზიფის ხეობას აღწერს და შენიშნავს, რომ „სწრაფ მდინარე ბზიფს (Бзынь) აფხაზურად ბზიბა (Бзибна) ეწოდება“.<sup>31</sup> ე. ი. ავტორის თქმით, ამ მდინარის ქართული სახელი ბზიფი ყოფილა, ხოლო „აფხაზურად“ მას ბზიბა რქმევია და მისი აზრით, ბზიფი და ბზიბა სხვადასხვა ენის სიტყვებია. სინამდვილეში ეს ბზიბა არანაირი აფხაზური სახელი არ გახლავთ. ხსენებულ მდინარეს სახელწოდება ბზიფი, რომლის ძირი სიტყვა ბზას უკავშირდება, აფხაზი ტომის მოსახლეობამ დაარქვა (ისევე, როგორც ზემოაღნიშნულ ბიჭვინთასა და გაგრას) და მომხდურმა აფსუებმა, სხვა რომ ველარაფერი მოახერხეს, ბზიფი ბზიბად შეცვალეს და ასე „გააფხაზურეს“ მდინარის სახელწოდება. თავად ფაქტი, რომ ამ მდინარეს აფსუურად სხვა სახელი არ ჰქვია და აფსუები ოდენ ქართული სიტყვის შეცვლილ ფორმას იყენებენ, მათ მომხდურობასა და არაავტონომიურობას მეტყველებს.

უნდა ითქვას, რომ აფხაზთა ტომის ქართულად მეტყველება, გარდა ტოპონიმ-ჰიდრონიმებისა, სხვა სახის ტერმინოლოგიითაც დასტურდება. ა. დიაჩკოვ-ტარასოვი აფხაზთა ყოფას აღწერს და მათ ჩვეულ მოვლენად სხვადასხვა ფენის შიგნით ურთიერთშუღლს ასახელებს. შემდეგ ამ ფენათაგან ჩამოთვლის თავადის, აზნაურის, თავისუფალი მეთემის ნოდებებს. თვალშისაცემია, რომ რუსი ავტორი აზნაურსა და გლეხს, გარდა რუსული სიტყვებისა, შესაბამისი აფსუური სახელწოდებებითაც მოიხსენიებს (ამისთა და ანჰაე), ხოლო თავადს მხოლოდ რუსული „КНЯЗ“ -ით აღნიშნავს.<sup>32</sup> აქედან ჩანს, რომ თავადის ნოდება მხოლოდ აფხაზთა ტომისთვის იყო დამახასიათებელი. აფსუებს იმიტომაც არ ჰქონდათ თავადის საკუთარი სახელი, რომ მათ თავადები არ ჰყოლიათ, მათთან თავადები მას შემდეგ გაჩნდნენ, რაც აფსუათა გვარ-ტომები აფხაზეთის სამთავროში ჩამოსახლდნენ. ეს რომ სიმართლეა, და აფსუებს თავადის ინსტიტუტი რომ არ გააჩნდათ, ა. დიაჩკოვ-ტარასოვის შემდგომი თხრობიდანაც წარმოჩინდება. რუსი მკვლევარი კვლავაც უბრუნდება სოციალურ თემატიკას და დიდებულებს, რომელნიც ნოდებრივ იერარქიაში აფხაზეთის მთავრის შემდგომ საფეხურს იკავებენ, ქართული სიტყვით მოიხსენიებს: „Свободные люди... состояли в некоторой зависимости... у тавадов или „амиста““.<sup>33</sup> როგორც ვხედავთ, აქ ავტორი აფსუათა ენაში არარსებულ ცნებას — თავადს უკვე ქართული სიტყვით გამოხატავს, ოღონდაც ჩანს, რომ ამგვარი კაზუსის გამო იძულებულია, აფსუების საზოგადოებრივი ყოფისთვის ეს უცხო ნოდება ქართულის გარდა აფსუური სიტყვითაც („ამისთა“) განმარტოს. მაგრამ ა. დიაჩკოვ-ტარასოვი მცდარად უთანაბრებს ერთმანეთს თავადსა და ამისთას, რადგან ეს უკანასკნელი შინაარსით თავადს არ შეესატყვისება და მხოლოდ აზნაურის ფენას გულისხმობს.

ა. დიაჩკოვ-ტარასოვი არ გახლავთ ერთადერთი ავტორი, ვისი ნაამბობიდან ჩანს, რომ აფხაზთა ტომისთვის თავადის ინსტიტუტი უცხო მოვლენა იყო. ასე მაგ., ბარონი ფ. ტორნაუ თავის ჩანაწერებში იუწყება: „Народ абхазский... делится на пять состояний: на князей (тавад), дворян (ამისტა), среднее состояние между дворянами и крестьянами (აშნაკუმა), крестьян (ანჰაუ) и рабов (აგურა)“. როგორც ვხედავთ, ბარონი ტორნაუ აფხაზეთის მოსახლეობას ნოდებების მიხედვით ექვს ნაწილად ჰყოფს. საყურადღებოა, რა ეწოდება ხს. ჯგუფებს. ამ ცნობიდანაც ვგეტყობოდა, რომ ე.წ. აფხაზებს, რომელთაც თავადები უდგანან ნოდებრივი იერარქიის სათავეში, არ ჰქონიათ ამ ფენის აღმნიშვნელი სიტყვა და რუსი ავტორი იძულებულია, ისინი ქართული სახელით მოიხსენიოს. მართლაც, თუკი ტორნაუს ჩამონათვალში აფხაზ ხალხის ნოდებები მათსავე ენაზე შესაბამისი ცნებებით სახელდება (ამისთა, აშნაკუმა, ანჰაუ, აგურა), მაშინ თავადის აღმნიშვნელი აფხაური სიტყვაც უნდა იყოს ჩანერილი. მაგრამ ა. დიაჩკოვ-ტარასოვის დარად არც ტორნაუ აღწერს ასეთ სახელს, რადგანაც, როგორც უკვე ვთქვით, აფხაზ მოსახლეობას სათავადოს სისტემა არ ჰქონია და მათ ეს ინსტიტუტი თავისი ქართული სახელითურთ ადგილობრივი აფხაზებისგან შეითვისეს. ამრიგად, ა. დიაჩკოვ-ტარასოვისა და ფ. ტორნაუს ცნობები ცხადყოფენ, რომ აფხაზ ხალხის ენაში ცნება თავადი უცხო ლინგვისტური ერთეული იყო, მისი აღმნიშვნელი სიტყვა არ მოეპოვებოდა. ეს სიტყვა აფხაზებში აფხაზებისგან ისესხეს, რომლებიც ქართულენოვანი ტომისანი იყვნენ და რომელთათვისაც სათავადოს სისტემა ისევე გახლდათ ჩვეული მოვლენა, როგორც სხვა დანარჩენი ქართველი ტომებისთვის. ეს ფაქტი კი თავის მხრივ მეტყველებს, რომ XIX ს-ში აფხაზეთის მოსახლეობა ერთგვაროვანი არ იყო, იგი სხვადასხვაენოვანი ეთნიკური ჯგუფებისგან შედგებოდა, რომელთაგან ერთი — აფხაზები ქართულენოვანი ტომისანი იყვნენ, მეორე — აფხაზები კი ქართულისგან განსხვავებულ, საკუთარ ენაზე მეტყველებდნენ.

ზემოთქმულით არ ამოიწურება უცხოელ ავტორთა ცნობები აფხაზი და აფხაზ ტომების სხვადასხვა სამეცნიერო ენის შესახებ. იგივე ა. დიაჩკოვ-ტარასოვი იუწყება, რომ აფხაზეთში შერვაშიძეების მთავრობის ჟამს არსებობდა შინაყმას („შინაგმ“) ფენა, რომელიც მთავრის პირადი დაცვის ფუნქციას ასრულებდა.<sup>34</sup> ავტორი ამ სოციალურ-საზოგადოებრივ ინსტიტუტსაც ქართული სიტყვით — „შინაყმა“ აღნიშნავს, სათანადო აფხაური ტერმინი მას არ მოჰყავს. აქედან, ისევე, როგორც ზემოაღნიშნული სხვა ფაქტებიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ აფხაზეთის მთავრებისა და თავად აფხაზებისთვის ქართული იყო მშობლიური ენა, წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრის პირად გვარდიას უცხოელი ავტორი არა ქართული, არამედ აფხაზთა სამეცნიერო ენით მოიხსენიებდა. ამას გარდა, საყურადღებოა ფ. ტორნაუს ცნობა ერთი აფხაზური სოფლის დასახელების შესახებ. ავტორი შენიშნავს, რომ აფხაზთა შორის XIX საუკუნეში შემორჩენილი იყო წარმართობისდროინდელი ჩვევები და მაგალითისთვის ასახელებს აფხაზთა თავყანისციემას წმინდა ხეებისადმი სოფელ მატრიგელას-თან („Матригелас“). ბარონი ტორნაუს ამ ნათქვამიდან ცხადლივ იკითხება აფხაზეთის სოფლის ქართული სახელის დამახინჯებული ფორმა. ეს ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩენია ბარონის ჩანაწერთა გამომცემელსა და კომენტატორს, მკვლევარ გ. ძიძარას, რომელმაც შენიშნა, რომ ტორნაუსული „მატრიგელასი“ უნდა იკითხებოდეს, როგორც „მტრიგელაზი“, და სახეცვლილი ფორმა უნდა იყოს დასახელებისა „მთავარანგელოზი“. ამრიგად, რუსულ წყაროში შემონახულია კიდევ ერთი ცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზები ქართულენოვანი ტომისანი იყვნენ და ტოპონიმი „მთავარანგელოზი“ მათი სამეცნიერო ენის რაობის გასარკვევად კიდევ ერთ ნიმუშად წარმოგვიდგება.

და ბოლოს, ყურადღასს აქცევს XIX საუკუნის II ნახევარსა და XX ს-ის I ნახევარში მოღვაწე სომეხი ავტორის მინაი მედიჩის (მი-

ნას ბუიშკიანი) ცნობა აფხაზთა სალაპარაკო ენის შესახებ. მხინთარიანელი ბერი იუწყება, რომ აფხაზებს ჰქონდათ უზუცესთა საბჭო, რომელიც იკრიბებოდა „სამალდა“-დ ნოდებულ ადგილას. მინაი მედიჩის თხზულების რუსულად მთარგმნელის, ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრით სომეხი ავტორის მიერ ჩანერილი „სამალდა“ დამახინჯებული ფორმაა ქართული ცნებისა „სამართალი“.<sup>35</sup> ე.ი. სომხური წყაროდანაც ირკვევა, რომ აფხაზები ქართულად ლაპარაკობდნენ და თავიანთ „მცნებას სასჯულოს“ სამართლად ნოდებულ ადგილას აღასრულებდნენ.

ამრიგად, აფხაზი და აბაზა ტომების სამეცნიერო ენის შესახებ უცხოენოვან წყაროებში შემონახული ცნობების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აფხაზეთის სამთავროს მოსახლეობა გვიან შუა საუკუნეებში ეთნიკურად არაერთგვაროვანი იყო და სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე, გენეტიკურად განსხვავებული ძირების მქონე ორი ტომისგან შედგებოდა. ერთი იყვნენ აბაზგთა შთამომავალი ქართულენოვანი აფხაზები და მეორე კი — იმიერკავკასიელი აფხაზები, რომელნიც საკუთარ, აბაზინურ ენაზე მეტყველებდნენ. წყაროებში პირდაპირაა გაცხადებული, რომ აფხაზ და აბაზა ტომებს განსხვავებული სამეცნიერო ენა ჰქონდათ და ისინი სხვადასხვა ეთნოსს განეკუთვნებოდნენ. მოცემულია არაერთი მაგალითი აფხაზთა ტომის ქართულად მეტყველებისა. მაგ. ნათქვამია, რომ გეოგრაფიული ნომენკლატურის — მდ. ბზიფი, ქ. ცხუმი, ქ. ბიჭვინთა, სოფ. მთავარანგელოზი, პუნქტ. გაგრა და სხვ. ქართული სახელწოდებები აფხაზების მიერ არის შერქმეული. ამას გარდა, დადასტურებულია, რომ ერთსა და იმავე საგნებს აფხაზებისა და აფხაზების ენაზე სხვადასხვა სახელი ერქვა („სახლი“ — „ახუჟ“). მეტიც უნდა ითქვას, აფხაზეთში მოქმედი ქართული ფეოდალური ურთიერთობები და ნოდებრივ-სოციალური ყოფა აფხაზ ტომის საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის სრულიად უცხო ინსტიტუტს წარმოადგენდა, ვინაიდან მათ ენაზე არც თავადის შესატყვისი ცნება არსებობდა და არც აფხაზეთის მთავრის პირადი დაცვის — შინაყმის აღმნიშვნელი ტერმინი მოიპოვებოდა. და ბოლოს, აფხაზების მომხდურობასა და მათ არაავტოხთონობას ისიც მეტყველებს, რომ აფხაზთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი იყო დიალექტების არსებობა, რითაც მათი თვისტომი იმიერკავკასიელი აბაზა ტომები გამოირჩეოდნენ. წყაროებით დასტურდება, რომ ერთსა და იმავე ნივთს დიალექტური მეტყველი აფხაზები სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ. მაგ., აფხაზთა ზოგი ავარი ქუდს უწოდებდა „Гетаф“-ს, სხვანი კი — „Ахбат“-ს.<sup>36</sup> ზემოხსენებულ მონაცემთა საფუძველზე ჯერ კიდევ XIX საუკუნის რუსულ ისტორიოგრაფიაში გამოითქვა თვალსაზრისი, რომ აბაზა-აფხაზები (აფხაზები — ნ.ჯ.) არ განეკუთვნებოდნენ ქართველურ ტომთა ჯგუფს და ისინი ადიღეელთა ტომთაგანნი იყვნენ.<sup>37</sup>

ერთი სიტყვით, აფხაზები არიან ისტორიულ აბაზგთა შთამომავალი, „ტომნი ეგროსისანი“, რომელთა სამეცნიერო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზები არიან ჩრდილო-კავკასიელ მრავალრიცხოვან აბაზგთა ერთი ტომთაგანნი, რომელიც გვიან შუა საუკუნეებში ჩამოსახლდნენ აფხაზეთში, შეერწყნენ ძირძველ აფხაზთა ტომს, შეითავსეს მათი სახელწოდება და დღეს „აფხაზეცებად“ იწოდებიან. ამ ორი ტომის ერთმანეთთან გაიგივება მცდარია და არ ეფუძნება არანაირ ენობრივ თუ სხვა სახის იგივეობას.

წერილს ვასრულებთ ბატონი ნიკო ბერძენიშვილის გამოხატულებით: „სად აფხაზი და სად აფხაზი?!“

1. ნ. ჯაველიძე, ეთნონიმების „აბაზგი“ და „აბაზა“ რაობის საკითხი ბერძენულ-რომაული და სომხური წყაროების მიხედვით, ყურნალი „მაცნე“, ისტ. არქ. ეთნოლ. და ზელოვ. ისტორიის სერია, 2014, №1, 2; მისივე: შუა საუკუნეების აღმოსავლური წყაროები ცნებების „აბაზა“ და „აბაზი“ (აბაზა) გაგებისათვის, ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული „ელიზბარ ჯაველიძე — 75“, თბილისი, 2014; მისივე: შუა საუკუნეების რუსული და ევროპული წყაროები „ობზ“-ისა და „აბაზა“-ს შესახებ, ყურნალი „მაცნე“, 2015, №1 (იბეჭდება).



2. Записки Новороссийского университета, Одесса, 1867, გვ. 44.
3. Гванцеладзе Т., Неизвестная итальянская карта XVI века и ее значение для локализации исторической родины Абхазов, «Свободная Грузия», 23, VII, 1997.
4. Гогия Б., Абхазия – историческая провинция Грузии, Тбилиси-Париж, 2005, გვ. 63.
5. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, თბილისი, 1958, გვ. 117.
6. გ. ჯაფარიძე, ქართველის აღმნიშვნელი ტერმინები არაბულ წყაროებში — კრებული საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1993, გვ. 134.
7. ი. ტაბაღლა, საქართველო ევროპულ არქივებსა და ნიგნსაცავებში, ტ. II, თბილისი, 1984, გვ. 54.
8. Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия – историческая область Грузии, Тбилиси, 1997, გვ. 241.
9. ი. ტაბაღლა, საქართველო ევროპულ არქივებსა და ნიგნსაცავებში, ტ. III, თბილისი, 1986, გვ. 170.
10. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართულთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 141.
11. СМОМПК, თავი 44, ნაწ. III, Тფ., 1915, გვ. 51.
12. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 97.
13. დონ კრისტოფორო კასტელი, აღმოსავლეთ იბერიის სამეფოსა და მისი აწინდელი ომების შესახებ, ცნობები და აღბოძირებული საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი, 1976.
14. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 2011, გვ. 24, 189.
15. Гогия Б., დასახ. ნაშრ., გვ. 72.
16. Дзидзария Г.Г., Ф. Торнау и его Кавказские материалы XIX века, Москва, 1976, გვ. 109.
17. Гамахария Дж., Гогия Б., დასახ. ნაშრ., გვ. 287.
18. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა გია გელაშვილმა, ტ. II, თბილისი, 1964, გვ. 325.
19. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა გია გელაშვილმა, თბილისი, 2005, გვ. 173.
20. Гамахария Дж., Гогия Б., დასახ. ნაშრ., გვ. 339.
21. Гамахария Дж., Гогия Б., დასახ. ნაშრ., გვ. 285.
22. Записки Кавказского отделения Императорского географического общества, кн. IV, Тифлис, 1857, გვ. 191.
23. Известия Кавказского отдела Императорского географического общества, т. XVIII, Тф., 1905, №2, გვ. 94.
24. Записки Кавказского отделения Императорского географического общества, кн. XXIV, вып. 11. Тифлис, 1903, გვ. 77.
25. გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა გ. მაგლობლიშვილმა, თბილისი, 1987.
26. Записки Кавказского отделения..., გვ. 42.
27. Дюбуа де Монперэ, Фредерик, Путешествие вокруг Кавказа у черкесов и Абхазов, в Колхиде, в Грузии, в Армении и в Крыму, т. 1, пер. И.А. Дашковой-Пушиной, Сухуми, 1937, გვ. 112.
28. Записки Кавказского отделения..., გვ. 45-46.
29. Дюбуа де Монперэ, დასახ. ნაშრ., გვ. 156.
30. Известия Кавказского отдела..., გვ. 60.
31. Известия Кавказского отдела..., გვ. 49.
32. Известия Кавказского отдела..., გვ. 65.
33. Известия Кавказского отдела..., გვ. 66.
34. Известия Кавказского отдела..., გვ. 65.
35. Меликсет-Беков Л., Pontica Transcaucasica Ethnica, «Советская Этнография», 1950, №2.
36. Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XII-XIX вв., сост. под ред. Горданова, Нальчик, 1974, გვ. 442.
37. Известия Кавказского отдела..., გვ. 64.

ელენე ამალობელი

## „ყველა ამკრალაჰის ჯინაზა...“

(ელგუჯა თავბერიძის ორი ახალი ნიგნი)

— ერთდროულად ორი ნიგნი გამოიცა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ძალისხმევით:

ბიოგრაფიული რომანი **„ვით უდაბნოში გზადაბნეულებს (სამსონ თოფურის ცხოვრების ქრონიკა)“** და გამომხაურებები **„ნილოსისფერი პერანგი“**. ორივეს აერთიანებს რამდენიმე თვისება, მათ შორის, ავტორის დიდი პროფესიონალიზმი, გულწრფელობა, ოსტატობა, ბიოგრაფიული რომანი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა ინერგოდეს ამ ყაიდის თხზულება. ეს პირველი ცდა არ არის ავტორისათვის — **ელგუჯა თავბერიძის** მეოთხე ბიოგრაფიული რომანია და თავისი ხელიც დაატყო ამ ჟანრს.

ელგუჯა თავბერიძე ის მწერალია, რომლის ყოველი ახალი ნიგნი დიდ ინტერესს იწვევს. თუნდაც გამომხაურებანი, რომელთაგან ყველა გამოქვეყნებულია ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე. ამის მიუხედავად, ერთად თავმოყრილი სულ სხვაგვარად წარმოდგება ხოლმე — მონუმენტურად წარმოაჩენს ლიტერატურულ პროცესს და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საჭიროა, ცხელ კვალზე მივყვეთ პუბლიკაციას. ამ თვალსაზრისით შეგახარებდა კიდევ ევროპელებისა, ახალგამოცემულ ნიგნს რამდენიმე რეცენზია რომ მოჰყვებოდა ხოლმე. ჩვენთანაც არის საამისო ცდები და ბატონი ელგუჯას სურვილიც ეს იყო — შეეძლო გამომხაურებები ნარკვევებსა თუ ლიტერატურულ წერილებთან ერთად გამოეცა, მაგრამ გადაწყვიტა, ამ ჟანრისთვის ცალკე მოეპოვებინა და დაემკვიდრებინა მოქალაქეობა.

ეს პირველი შემთხვევაა გამომხაურებების დამოუკიდებლად გამოცემისა.

რაც შეეხება ბიოგრაფიულ რომანს, ის უკვე დამკვიდრებული და აღიარებულია — ნავიდა ის დრო, როცა მარგინალურ ჟანრად ითვლებოდა. სამსონ თოფურის ცხოვრების ქრონიკა იმ მხრივაც საეულისხმოა, რომ პირველად გახდა ამ ჟანრის გმირი ექიმი და დადასტურა, რომ ნებისმიერი პროფესიის ადამიანი შეიძლება იქცეს რომანის გმირად, მთავარი, როგორი ბიოგრაფია აქვს. სამსონ თოფურია კი ის პიროვნებაა, რომელიც აკაკიმ შემოიყვანა და დაამკვიდრა ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში. იგი ერთხელ უკვე გაიღვებოდა ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიულ რომანში „აკაკის ლანდი“, მხოლოდ გაიღვებებს, რაკი ცალკე ჰქონდა ჩაფიქრებული დამოუკიდებელი თხზულების დაწერა მის შესახებ და „ვით უდაბნოში გზადაბნეულებს“ თავისებური გაგრძელებაც არის „აკაკის ლანდისა“.

ელგუჯა თავბერიძეს აქვს დოკუმენტური ნოველების ციკლიც, თუმცა ეს კიდევ ცალკე თემაა. რაც შეეხება რეცენზიებს და გამომხაურებებს — თუნდაც ამ ნიგნს, „ნილოსისფერი პერანგი“ — აქაც იჩენს თავს მისი მიდრეკილება დოკუმენტური პროზისაკენ. რამდენიმე ისეთი ნიმუში იყო, დაზუსტებით ვერც იტყვი, რეცენზიაა თუ დოკუმენტური პროზა, თუნდაც გამომხაურებულ სტენდალის „ნაპოლეონის ცხოვრებაზე“, მანანა ჯაოშვილმა რომ თარგმნა. ბატონ ელგუჯას გაახსენდა, ჩემი არ იყოს, რომ ძველი ბონაპარტისტია და კარგად შემოიტანა ამ თხზულებაში ის ფანტასმაგორიული ამბები, თითქოს ნაპოლეონი ხარისთვალაზეც ყოფილა, ქუთაისშიც... როგორ და რანაირად, ამას ელგუჯა თავბერიძის იმ გამომხაურებებში გაეცნობით, ჯერ კი... ამ ორი ახალი ნიგნის შესახებ, — ასე გახსნა **როსტომ ჩხვიძემ** ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ — იგივე ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების — ძალისხმევით ლიტერატურის ინსტიტუტში გამართული შეხვედრა და სიტყვა მომხსენებლებს **ლევან ბრეგაძესა და მარინა ტურავას** გადასცა.

\*\*\*

ბატონი ლევანის თქმით, ელგუჯა თავბერიძემ, უკვე რამდენიმე ბიოგრაფიული რომანის ავტორმა, შარშან მკურნალ სამსონ თოფურიას (1854-1904) ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნით, რომელიც ქუთაისის საგამომცემლო ცენტრმა „ხომლი ენ“-მა გამოსცა, გააცოცხლა დიდი მოღვაწე, ვისი დამსახურება საქართველოში, კერძოდ, ქუთაისში, პროფესიონალური სამედიცინო საქმიანობის განვითარებაში განუზომელია.

— როდესაც 1887 წელს ჯერ ოდესისა და ხარკოვის უნივერსიტეტებში, შემდეგ კი დასავლეთ ევროპაში (გერმანიაში, იტალიაში, შვეიცარიაში) განსწავლული 33 წლის ექიმი სამსონ თოფურია სამშობლოში დაბრუნდა, არც ქუთაისში და არც მთელ ქუთაისის გუბერნიაში, ანუ დასავლეთ საქართველოში, საავადმყოფო არ იყო. თბილისში იყო 1868 წელს დაარსებული, მთელი ამიერკავკასიისთვის განკუთვნილი ერთადერთი ე. წ. მიხეილის საავადმყოფო, „რომელსაც შორეული ადგილებიდანაც აკითხავენ სწეულები. ჩადიან თბილისში, ხარჯავენ დიდძალ თანხას, უცდიან ერთი, ორი კვირა, ხშირად ერთი თვეც და ბოლოს მაინც ვერ ახერხებენ სამკურნალოში მოხვედრას, რადგან უამრავი ადამიანი ელოდება თავის ჯერსო“, — გვაუწყებს ამ წიგნის ავტორი 1889 წლის გაზეთ „ივერიის“ ერთ კორექსპონდენციაზე დაყრდნობით.

ქუთაისში უნდა დეაარსო საავადმყოფო, დაიყინა სამშობლოში დაბრუნებულმა სამსონ თოფურიამ. ქილიკის საგნად იქცა მისი ქვა განზრახვა. ვერც გაამტყუნებ სკეპტიკოსებს: ზღაპარს ჰგავდა იმ დროს ასეთი მიზნის დასახვა, იმდენი რამე უშლიდა ხელს მის ხორცმცესმას — უფულობა, კადრების ნაკლებობა, ექიმბაშთა წინააღმდეგობა, შურიანობა...

ელგუჯა თავბერიძე მწერლური ოსტატობით გვიხატავს ამ დიდი საქმის აღსრულების პერიპეტეებს და, უპირველეს ყოვლისა, ცხადია, სამსონ თოფურიას უტეხ ბუნებას, დაბრკოლებათა დაძლევის არაჩვეულებრივ უნარს, ჩინებულ ორგანიზატორულ და მენეჯერულ თვისებებს, რომელთა მეშვეობით მან შეძლო იმპერიის სხვა ქალაქებიდან მოეწვია გამოჩენილი ექიმი-სპეციალისტები და თავის საავადმყოფოში დაესაქმებინა ისინი.

ელგუჯა თავბერიძის სიტყვით, სამსონ თოფურიას ჰქონდა „დაუძლეველის დაძლევის ღვთისგან ბოძებული ნიჭი. სადაც სხვა შედრკებოდა, გადაულახავად მოეჩვენებოდა წინ აღმართული ბარიერი, სამსონს ამ დროს უფრო მეტი ძალა ეძლეოდა, უთავსატეხოდ — ცუდად, თავსატეხშემოგარსული — კარგად გრძნობდა თავს. ჰგავდა ბიბლიურ სამსონს“.

„უთავსატეხოდ — ცუდად, თავსატეხშემოგარსული — კარგად გრძნობდა თავს“ — ეს ის პარადოქსია, რომლის მსგავსი ვაჟა-ფშაველასთანაც გვხვდება: „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი, როცა ვარ შანუხებული“. მათემატიკური ლოგიკა ამგვარ რამეს არ იცნობს, ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომანტიზმის ლოგიკაა, და ელგუჯა თავბერიძის მიერ გაცოცხლებული სამსონ თოფურია სწორედ რომ თავისი რომანტიკული სულიერი წყობით იპყრობს ჩვენს ყურადღებას.

„იშვიათია მოგონება, — გვაუწყებს ამ წიგნის ავტორი, — სადაც სამსონ თოფურიას გამორჩეულ თვისებებზე არ იყოს ლაპარაკი, მხნეობაზე ხომ ყველა წერს...“.

ელგუჯა თავბერიძე განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას სამსონ თოფურიას ქველმოქმედებაზე. წიგნში მრავალი ფაქტია მოხმობილი არამარტო იმის საჩვენებლად, როგორ მკურნალობდა სამსონი გაჭირვებულებს უსასყიდლოდ, არამედ ისეთ შემთხვევებზეც მოგვითხრობს ავტორი, როცა ექიმი იქით ეხმარებოდა პაციენტებს ფულით.



ზაზა დვალი, ნიკა სანებლიძე, ლადო ქელიძე, თემურ გაბუნია, როსტომ ჩხეიძე

ბატონი ლევანი იმასაც აღნიშნავს, რომ ელგუჯა თავბერიძეს გამონვლილვით შეუსწავლია იმდროინდელი პრესა, თანამედროვეთა მოგონებები, საარქივო მასალები, რომელთა საფუძველზეც სამსონ თოფურიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი შთამბეჭდავი ბიოგრაფიული რომანი შეუქმნია. მან ამ წიგნით ფართო საზოგადოებისათვის, სამწუხაროდ, ნაკლებად ცნობილ ამ ადამიანს, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვას შეაღია, ღირსეული ძეგლი აღუმართა.

სწორედ ამ თემით დაიწყებს თავის გამოსვლას **იოსებ ჭუმბურიძე**:

— ეს ყველაზე მაღლიანი წიგნია, რაც კი ელგუჯა თავბერიძეს დაუწერია. რას გგულისხმობ? აი, რას: როცა აკაკიზე, გიორგი შერვაშიძეზე, ან თუნდაც თაღლით აშორდიაზე წერ, წარმატების ნახევარი წინასწარ გაქვს გარანტირებული. ბატონი ლევან ბრეგვაძის მოხსენებაში კარგად გამოჩნდა, თუ რა დიდი პიროვნება და მოღვაწე იყო სამსონ თოფურია, მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: რამდენმა იცის საქართველოში ამ პიროვნების შესახებ? დამეთანხმებით, ძალიან ცოტამ. ის მაინც უძეგლოდ დაკარგული დიდი ადამიანია. ამიტომაც არის ძალიან მნიშვნელოვანი ელგუჯა თავბერიძის ახალი წიგნი, რომლითაც მან, მართლაც რომ ძეგლი დაუდგა სამსონ თოფურიას.

ეს წიგნი ჩემთვის ძალიან ღირებულია იმიტომაც, რომ საბოლოოდ გამოკვეთა ავტორის ინდივიდუალური სტილი, რომლის ძირითადი ნიშნებიც აკაკიზე დაწერილ ბიოგრაფიულ რომანში გამოჩნდა. ჩვენ გვახსოვს ფრანგი მოაზროვნის ფრაზა: „სტილი — ეს თვითონ ადამიანია“. მაშინ მწერალზე რაღა უნდა ითქვას? თუ მწერალს საკუთარი სტილი არა აქვს, მწერალიც არ არის.

მიხარია, რომ დღეს, ელგუჯას წიგნის განხილვისას, შემიძლია, ამ თემაზე თამამად ვისაუბრო. მას უკვე აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი ხელწერა, რომლითაც არავის ჰგავს. მწერალს აქვს უფლება, მიბაძოს... მხოლოდ საკუთარ თავს. აკაკი წერეთელი და ვახტანგ გურამიშვილი ისევე მისეირნობენ მუშტაიდის ბაღში, როგორც სამსონ თოფურია და ნიკო ხიზანიშვილი — ყინვით გალიგვებულ ოდესის ქუჩებში. ისინი არაფრით ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ ...ჰგვანან კიდევ, რადგან ერთი მწერლის პერსონაჟები არიან. ერთი მხატვრის დახატული პორტრეტებიც ხომ ასევე ჰგავს ერთმანეთს, იმის მიუხედავად, რომ სრულიად განსხვავდება. მწერალი კი, უპირველესად, მხატვარი უნდა იყოს...

ბატონმა ლევანმა აღნიშნა, ავტორი მხოლოდ ქრონიკას კი არ წერს, ბელეტრისტული პასაჟებიც მრავლად გვხვდება. ჩემთვის სწორედ ეს ბელეტრისტული პასაჟებია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. ბიოგრაფიული მონაცემების თავმოყრას ბევრი მოახერხებს, მოღვაწის შთამბეჭდავი პორტრეტის შექმნა ართული. ელგუჯა თავბერიძეს ეს სირთულე დაძლეული აქვს...

\* \* \*

როგორც ყოველთვის, ამ ლიტერატურულ შეხვედრასაც გამორჩეულ მუსტს შესძენს **მარინა ტურავას** მოხსენება, რომლითაც ავტორი ელგუჯა თავბერიძის „ნილოსისფერ პერანგს“ მიმოიხილავს და საგანგებოდ შეჩერდება ცალკეულ გამოსხაურებებზე. აი, ამონარიდებიც ამ მოხსენებიდან:

— არიან მკვლევრები, რომელთაც დრო, სხვისი შეფასებების მოსმენა, საზოგადოებრივი აზრი სჭირდებათ წერილის, გამოკვლევის დასაწერად. ამ წერილში შეიძლება ბევრი რამ იყოს ახალი, აქამდე ართქმული, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ავტორი იყოს უკვე აღიარებული, მიღებული... გამოსხაურებას ერთგვარი გამბედელობა უნდა, მისი ავტორი პირველად გამოთქვამს საჯაროდ მოსაზრებას უცნობ მწერალზე, ნიგნზე, თარგმანზე. ეს კი საძნელო საქმეა... ელგუჯა თავბერიძე ყოველთვის მყისიერად აფასებს უცნობ ავტორს, სადებიუტო ნაწარმოებს, თარგმანს... მისი შეფასებები ყოველთვის ზუსტია...

გამოსხაურებაში ძნელია სრულფასოვანი ჰერმენევტიკული კვლევა, ტექსტის „უკეთ გაგების“ („besser zu verstehen“) თვალსაზრისით. ცნობილია, რომ ავტორი, განსაკუთრებით პოეტი, წერის პროცესში ლექსში დებს გაუცნობიერებელ, მის მიერ ბოლომდე გაუგებარ ფრაზებს, აზრებს, მაგრამ ადვილია ამაზე მინიშნება, იმის ხაზგასმა, რომ თანამედროვე მკითხველი განსხვავებულად უნდა კითხულობდეს. მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მომენტი: ტექსტის გაგების დროს ჩნდება საფრთხე, რომ კრიტიკოსი, მკვლევარი არ აჰყვეს ცთუნებას და „ტექსტს ზედმეტი საზრისები არ მიაწეროს“ (კონსტანტინე ბრეგაძე, „ჰერმენევტიკა და მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია“). ელგუჯა თავბერიძე ყოველთვის ფრთხილად, მონინებთიაც კი, ეპყრობა ტექსტს, მისი დამოკიდებულება ყოველთვის ზომიერი და გააზრებულია. კრიტიკოსის გამოსხაურებები ჰერმენევტიკის გაგების პრობლემას მთლიანად უხსნის მკითხველს. ამ ფანრის უმთავრესი დანიშნულებაც ეს არის ალბათ...

მკვლევარი ახერხებს, გამოსხაურებებშიც შეინარჩუნოს საკუთარი პოზიცია — რაზეც უნდა წერდეს, არაბულ თუ ევროპულ პრობლემაზე, ეგზისტენციული თუ მოდერნისტულ საკითხებზე, მისთვის უმთავრესი ეროვნული სატკივარია, სწორედ ქართული სახელმწიფოსა და ცნობიერების კუთხიდან კითხულობს და ხედავს ყველაფერს. ხალიდ ალ ხამისის ეგვიპტის ტაქსისტიები ძალიან ჰგვანან ქართველ კოლეგებს — პოლიტიკის ექსპერტებს, ქვეყნის ბედ-იღბალზე მოფიქრალთ, საკუთარი ოცნების მქონეთ. „ნილოსისფერი პერანგიც“, კრიტიკოსის აზრით, ილიას ცნობილი ფრაზის — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოს“ ეგვიპტური ინტერპრეტაციაა. ყველა ერს ამქვეყნად დამოუკიდებლობა და თავისუფლება სწყურია, ამიტომაც თარგმნა „ევროპული რანგის ნოველა“ (ელგუჯა თავბერიძე) ქართულად ირმა მახარაძემ, ასე ოსტატურად.

„ფინალს ნებისმიერი ფანრის თხზულებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მცირე ზომის ნაწარმოებისათვის — განსაკუთრებით, რამეთუ მათში ხშირად მთავარი სათქმელი აირეკლება ხოლმე“, — ასე იწყება ერთ-ერთი გამოსხაურება. თვითონ ელგუჯა თავბერიძეც ფინალის დიდოსტატია და ეს ყველაზე კარგად „ნილოსისფერ პერანგში“ გამოჩნდა: „მთარგმნელი, ვთქვით, მაია ჯიჯეიშვილია. კარგი მთარგმნელია. ვაი, იმათ, ვისაც კარგი არასაკმარისი ეპითეტი ჰგონიათ,“ „ნებისმიერი ნიგნის შედგენა არჩევანია. ამბობ, არჩევანი მეო და იმ ნამს არავინ გეპასუხება, არადანი მეო, გამოვა ნიგნი, გამორჩეულიან არადანის წამომყვირებლებიც“...

ელგუჯა თავბერიძე გაბრიელ ჯაბუმანურის ერთ პირად ბართასაც ეხმაურება, რომელიც პოეტს ირაკლი აბაშიძისთვის მიუწერია. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წერილია, იგი ასე სრულდება: „არ იხატება პორტრეტი?! ეპოქასაც ხომ თვალნათლივ ხედავთ“. მე მგონია, რომ ეს სიტყვები მთელი ამ ნიგნის პოსტსკრიპტუმად გამოდგება, თითქმის ყველა გამოსხაურებაში სხვადასხვა კუთხით, რაკურსით, ფერით, მონასმით იხატება ეპოქა და ადამიანთა, პერსონაჟთა პორტრეტები. ერთ-ერთ გამოსხაურებაში კითხულობთ: „მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, რას წერდნენ, როგორი სულისკვეთებით უდგებოდა დამპყრობელი ქვეყნის შვილი, ერთი გამოჩენილი ინტელიგენტი აქაობისა“ („თბილისური ციგზამთარი“). თითქმის საუკუნენახევრის წინ საქართველოში მსახურობდა რუსი ჩინოვნიკი ანდრეი ბეკეტოვი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა უქართველებოდ უნდოდა, სწორედ მისი მისამართით ამბობს ამ სიტყვებს ნიგნის ავტორი. ეროვნული ცნობიერებისა და მახსოვრობის შენარჩუნება უმთავრესი ფუნქციაა ქართული ლიტერატურისა, რაც კიდევ ერთხელ მკაფიოდ არის ხაზგასმული ნიგნში. ელგუჯა თავბერიძე მაჯის შემატყვევებარია ქართული მწერლობისა...

კრებულში უწვრილეს დეტალებამდე ყველაფერი გათვლილი, ბუნებრივია, ბოლო გამოსხაურებაც სრულიად გააზრებულად ასრულებს ნიგნს — „კულტურული ტრავმის ნახსენებები“ გერმანიაში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი კრიტიკოსის ელენე ჩხაიძის კრიტიკულ რეფლექსიაზე მოგვითხრობს. პოსტსაბჭოთა საქართველოში მიმდინარე მოვლენები არაფრით ჰგავს ჰოლოკოსტს, რომელმაც უცხოეთში გააჩინა „კულტურული ტრავმის“ ფენომენი. თუმცა ქართველებიც ვერ გადავურჩით ამ ტრავმას. სწორედ ამ თვალსაზრისით არის შესწავლილი ოთარ ჩხეიძის ოთხი რომანი: „არტიტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“, „ბერმუდის სამკუთხედი“ და „2001 წელი“.

„ნილოსისფერი პერანგი“ — საინტერესო, პოეტური, მაგრამ, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი სათაურია, თუმცა კრიტიკოსი აქაც არ გვტოვებს ჩვენი ვარაუდების ანაბრა და კიდევ უფრო დამაჯერებლად გვეტყვის: „ნილოსისფერი პერანგიც სხვა არაფერია, თუ არა ეგვიპტის თავბრუდამხვევი სიყვარული, ისევე ნილოსისფერი პერანგი...“ სამშობლოს სიყვარული ყველაზე მეტად გაერთიანებს უცხოეთს, გადამთიელთან, მაგრამ შენაირ ბედში მყოფ ერთად...

„ნილოსისფერი პერანგი“ კარგი ნიგნია.

ვაი, იმათ, ვისაც კარგი არასაკმარისი ეპითეტი ჰგონიათ. გამოსხაურებების ფანრის აუცილებლობაზე რომ ისაუბრებს **ადა ნემსაძე**, მის სპეციფიკასაც შეეხება, ზუსტად რომ განუსაზღვრავს როსტომ ჩხეიძეს ნიგნის წინასიტყვაობისადმი:

— გამოსხაურებას უნდა ეტყობოდეს პირველი შთაბეჭდილების კვალი, რომელიც არამც და არამც არ უარყოფს სიღრმესა და სტილურ დახვეწილობას, მოქნილობას, გაბედულებას და სრული თავისუფლება და შეუზღუდაობა განხილვის ობიექტის არჩევაში.

ალსანიშნავია ისიც, რომ თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სალიტერატურო კრიტიკა ანალიზისათვის ძირითადად მსუყე ლუკმას ელოდება ხოლმე, მნიშვნელოვან მოვლენას — პოეტურ თუ პროზაულ კრებულს. ამ ფონზე, როგორც ბატონი როსტომი აღნიშნავს, „მცირეფორმიანი ფანრები საგაზეთო-საჟურნალო პუბლიკაციისაა გერად თუ სულაც ობლად გრძობენ თავს თუნდაც მკრთალი აღნიშვნის მოლოდინში“.

ამიტომაც მიგვანია, რომ გამოსხაურებების ფანრს, როგორც გზამკვლევსა და გეზის მიმცემს, შესაფერისი ყურადღება უნდა მივაგოთ ყველამ, ვინც თანამედროვე ლიტერატურის პრობლემებზე ვმუშაობთ, მითუმეტეს, რომ ბატონი ელგუჯა თავბერიძის სახით ამის მაგალითი უკვე გვაქვს.

ქალბატონმა ადამ თავის მოხსენებაში ისიც აღნიშნა, რომ „ნილოსისფერი პერანგის“ უბრალო გადათვალისწინებაც კი საკმარისია კრიტიკოსის ლიტერატურული გემოვნების გასაგებად. ნიგნს კი ამკარად ეტყობა, რომ ავტორს საგულდაგულად

აქვს შერჩეული მასალა. იგი ობიექტურად აფასებს ყველა ქართველი თუ არაქართველი შემოქმედის თუ მთარგმნელის ნაღვანს, რაც ასევე იშვიათობაა დღეს ცამდე აყვანილი ხოტბის პირობებსა და „რა მაგარიას“ ძახილში და ცალკეულ გამოხმაურებებს გამორჩეულადაც რომ მიმოიხილავს, იტყვის:

— ბატონი ელგუჯა თავბერიძე თანამედროვე ლიტერატურულ პროცესს მართლაც რომ „ცხელ კვალში“ უდგას. „ნილოსისფერი პერანგი“ კი გემოვნებიანი კრიტიკოსის მახვილი თვალით შემჩნეული პრობლემეტიკის ზუსტი, სხარტი და ემოციური შეფასებაა, როგორც ამას ჟანრის კანონი მოითხოვსო.

\* \* \*

ოდესური თოვლიანი ზამთრიდან გვაცნობს ავტორი სამსონ თოფურიას, მალალს, მხარბუქიანს ფართო შუბლითა და მოელვარე თვალებით. ამ ახალგაზრდას თავიდან ისტორიო-ფილოლოგიის შესწავლა სურს, მაგრამ ერთ-ერთ პროფესორთან ურთიერთობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, იგი იცვლის პროფესიას და ბუნებისმეტყველებას შეისწავლის.

— დასანანია, რომ მისი ფილოლოგიური ასპარეზი არ შედგა, — ეს თამარელა ნონორია, — რადგან აქაც ისეთივე საინტერესო და მრავალმხრივი მოღვაწე იქნებოდა, როგორ ექიმად და ორგანიზატორადაც მოგვევლინა.

ამ ბიოგრაფიული რომანის ცენტრალური ფიგურა სამსონ თოფურიაა, ვისი სიქველე და რაინდობა მხოლოდ გამორჩეული ადამიანობით არ ამოიწურებოდა. ღვთისგან იყო გამოგზავნილი დედამიწაზე, ვით მოსე, რომელმაც გზადაბნეული თვისტომნი უდაბნოდან გამოიყვანა. სამსონმაც ასევე ბიბლიური პერსონაჟებით, სამსონივით, გოლიათური ძალა და ენერჯია გამოიჩინა და „თავისი ზნეობის წყალობით“ ქუთაისში ისეთი საავადმყოფო-სამკურნალო დააფუძნა, რომლის ბადალი არ მოიძებნებოდა მაშინდელ კავკასიაში. ყოველივე მეცნიერების მხრივ უნაკლოდ იყო მოწყობილი, ერთ კაცს კი არა, კაცთა კრებულს გაუჭირდებოდა ყველაფრის მოგვარება-მოხერხებაო, — წერდა მაშინდელი „ივერია“.

განსაკუთრებით საინტერესოა მეხუთე თავი, „AKAKI TRES BIEN“, რომელიც სამსონის მიერ სულმნათი აკაკის მკურნალობასა და ექიმ-პაციენტის დამოკიდებულებას წარმოაჩენს. მოულოდნელი იყო რომანის გვერდებზე ქუთაისელი პედაგოგისა და პოეტის დომენტი თომაშვილის გამოჩენა, რომელსაც ავადმყოფობით მისუსტებული აკაკის ნაკარნახევის ჩამწერად მოიხსენიებს თვით მიტროფანე ლალიძე. სასიამოვნო საკითხავია აკაკისა და დომენტის ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთობის ამბავი. „სამ დღეს გაგრძელებულა აკაკის კარნახი და დომენტი თომაშვილისგან ჩაწერა ნაკარნახევისა“. აკაკის სასთუმალზე თავი მალლა ეჭირა და „კრებულს“ ტექსტებს აწერიებდა ახალგაზრდა პოეტს.

დომენტი თომაშვილი გახლდათ პროფესორ აკაკი ხინთიბიძის სიმამრი; მის ოჯახში ხშირად გამოიგონია აქ ღირსეული ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ისტორია, მაგრამ მისი და აკაკის ამ ურთიერთობის შესახებ არაფერი მსმენოდა... აკაკის ცხოვრების ახალი ეპიზოდების გაცნობა თავისთავად საინტერესოა მკითხველთათვის.

ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანი „ვით უდაბნოში გზადაბნეულებს“ პირველი ცდაა სამსონ თოფურიას გამორჩეულობის კვლევისა. მისი სული მუდმივ აქააო, — 110 წლის წინათ ვკვებებოდა სულმნათი აკაკი ახლა უკვე 160 წლის წინათ დაბადებულ სამსონზე. ამიტომაც სამსონის დაკარძავისას წარმოთქმული ლექსიდან ამონარიდი გახდა ამ ნიგნის სათაური.

სამსონისწაირებს დრო ვერაფერს აკლებს.  
სამსონისწაირებს დრო უფრო სამსონისებურს ხდის.  
ბიბლიური სამსონისებურსო...

აი, აკაკი წერეთელს კი სამსონ თოფურიას უანგარო გარჯა და მცდელობა ბიბლიური იობის ტანჯვასა და მოსე წინას-

წარმეტყველის ღვანლს ახსენებდა და მანანა კვატიას თქმით, სათაურად შერჩეულ სტრიქონში „ვით უდაბნოში გზადაბნეულებს“ სწორედ ეს ალუზია იგრძნობა.

ავტორი დოკუმენტური მასალის მოხმობით შესანიშნავად წარმოადგენს იმ ვითარებას, რომელიც ქუთაისში სამსონ თოფურიას დაბრუნებამდე იყო (რომანის მიხედვით, ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლისას სამსონ თოფურია საქართველოს ამბებს მისთვის გაგზავნილი ქართულ პრესით ეცნობოდა)... დახასიათებულია იმდროინდელი ვითარება, უსუფთაო და ატალახებული, ქალაქი ნავით დაბინძურებული ქუჩებით, სადაც სამხედრო ჰოსპიტალის გარდა, არანაირი სამკურნალო დაწესებულება არ ყოფილა. მხოლოდ თბილისში ფუნქციონირებდა მიხეილის საავადმყოფო.

ასეთ გარემოში გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა სამსონ თოფურიას წამოწყებას, რომელიც წარმატებით მიუყვანია ბოლომდე, იგი რკინიგზის გაყვანის პერიპეტებშიც ჩართულა და ილიასთვის უთხოვია, წერილი გაეგზავნა სენატორ ერისტოვთან ქუთაისში რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია და სამსონი პეტერბურგს გამგზავრებულა, პირადად შეხვედრია გზათა მინისტრ ხილკოვს, მაგრამ ქუთათურთა მცდელობა ფუჭი აღმოჩენილა — რკინიგზის სამმართველოს ინჟინრებს მხარი არ დაუჭერიათ ამ პროექტისათვის.

— ნიგნში მრავალ ისტორიულ პირს შეხვედებით, განსაკუთრებული ადგილი აკაკისა და სამსონ თოფურიას ურთიერთობას ეძღვნება. პოემა „ავადმყოფის ჩვენება“ პოეტს, ზოგი ვერსიით, სწორედ სამსონ თოფურიას საავადმყოფოში დაუწერია და 1898 წელს „აკაკის თვითურ კრებულში“ დაუბეჭდავს... ამ პოემაში ნახსენები „დიდი მკურნალი“ სწორედ სამსონ თოფურია გახლდათ, რომლის მცდელობით, აკაკი გადარჩენილა.

ელგუჯა თავბერიძეს საგულდაგულოდ აღუწუხხავს სამსონ თოფურიას ქველმოქმედებისა და მისი სამედიცინო თუ მენეჯერული საქმიანობის მრავალი ფაქტი, საზოგადოებრივი მოღვაწეობის დეტალები. ავტორი მეტად საინტერესო და მიმზიდველ თხრობას ხშირად დოკუმენტური მასალით ამყარებს. ყოველივე ამის შედეგად მკითხველის თვალწინ იკვეთება მონუმენტური ხატი დიდი პიროვნებისა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და სიცოცხლეც მოყვასთა სამსხვერპლოზე უანგაროდ მიიტანა. ელგუჯა თავბერიძემ კი ოსტატობით გამოკვეთა სამსონ თოფურიას ეს ღვანლი.

— მერედა, როგორ არის ეს ღვანლი უკვდავყოფილი და ის საავადმყოფო თუ არსებობს კიდევო? — ამით შეხვედრაზე ჯემალ ფოცხვერია დაინტერესდა, რაზეც ელგუჯა თავბერიძემ უპასუხა, რომ საავადმყოფოს მცირედი ნაწილი დღესაც არსებობს:

— თუმცა ითვლება, რომ ფაქტობრივად აღარაფერია დარჩენილი სამსონ თოფურიას შექმნილიდან. მისი შენობები 1936 წელს კომუნისტებმა მთლიანად გადააკეთეს, ნაწილში ფიზიოთერაპიული საავადმყოფო დარჩა, რომელიც სამსონ ფირცხალავას სახელს ატარებდა. მოგვიანებით ის შეისყიდეს და სამედიცინო სასწავლებელი ფუნქციონირებდა. დღეს კი ნაწილში კვლავ ფიზიოთერაპიული საავადმყოფოა, ნაწილში კი — სამედიცინო კოლეჯი.

სამუხაროდ, აღარ არსებობს არც საავადმყოფოს არქივი. რამდენჯერმე გაჩენილი ხანძრის შემდეგ, 1926 წელს, არქივის ბოლო ნაწილიც საბოლოოდ იმსხვერპლა ცეცხლმა.

რაც შეეხება თვითონ სამსონ თოფურიას, 2002 წელს აღეძარით საკითხი სამსონ თოფურიას გადასვენების შესახებ. თავიდან მთავარანგელოზის ეკლესიის სასაფლაოზე იყო დაკრძალული; როცა დაანგრიეს, ზოგი ბაგრატიის შეფერდებაზე გადაასვენეს, ზოგი საფიჩხიის სასაფლაოზე. საფიჩხიიდან სამსონ თოფურია მწვანეყვავილას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეთ. ის ძეგლიც, რომელიც იაკობ ნიკოლაძემ შექმნა, დღეს მის საფლავზე დგას.

\* \* \*

ქუთაისელებზე ბევრ რამეს ამბობენ. ამასაც, იმასაც. მაგრამ არის რაღაც, რაც საერთო აქვს ყველა ქუთაისელს — თითოეული მათგანი გარკვეულწილად რაღაცის მოწინააღმდეგეა; თითოეულ მათგანში დევს რაღაც მემბოხის. ანეკდოტიც არსებობს ასეთი, კარგად რომ გამოხატავს მათ ბუნებასა და ხასიათს: ამ ქალაქის ყველა მცხოვრებმა იცის, რასაც ნიშნავს თეთრი ხიდიდან გადახტომა — მას შემდეგ, რაც როინმა დაინია, თეთრ ქვებსავე დაეხეთქებოდა. ჰოდა, გამორჩეულად ერთი ფენომენი კაცი, რომელიც ამტკიცებს, ნებისმიერს გადავანტუნებ თეთრი ხიდიდანო. და კიდევ: გამოივლის ებრაელი, ფული გადამივარდაო, — ეტყვის და გადახტება ისიც. მერე სომეხი გადაეშვება ოქროთი სავსე ჩემოდნის გამო. და აი, მოდის ქუთაისელი — კაი ნაქიფიერი, ლილინ-ლილინით მოაბიჯებს ჯიბეში ხელუბრალოები. შეაჩერებს ეს უცნაური კაცი და: — გაიგე, გორბაჩოვს თეთრი ხიდიდან გადახტომა აუკრძალავსო! — რას ჰქვია აუკრძალავსო?! ვინ კითხავს გორბაჩოვსო?! — და გადაეშვება თავით. ეს ანეკდოტიც ელგუჯა თავბერიძემ გაიხსენა შეხვედრაზე, ქუთაისელთა ხასიათის წარმოსაჩენად, რათა მერე ესეც ეთქვა: — სამსონ თოფურიაც ერთი ქუთაისელი კაცი იყო, — და ამით აეხსნა ის შუუპოვრობა, ისეთ საქმეებთან შეჭიდება და ისეთი რამეების გაკეთება, წარმოუდგენელიც რომ იყო ამ ქალაქისათვის იმ დროს, შერეკილობასაც რომ ჰგავდა, რაკი შერეკილობა ქუთაისში დაუძლეველად შეჭიდებასაც ნიშნავს. — ბატონმა ლევანმა კარგად განსაზღვრა სამსონ თოფურის ცხოვრების აზრი — რომანტიკოს ადამიანს ბევრი რამის მიღწევა შეეძლო. სამსონ თოფურია გამოუსწორებელი მეოცნებე იყო და სწორედ ამ მეოცნებეობით შეძლო ასეთი დიდი საქმეების გაკეთება, რადგან ასჯერ გამოზომავი და ერთხელ გამჭრელი ვერ გაფრინდება ვერასოდეს. და მგონია, რომ ნებისმიერი პროფესიის ადამიანი უნდა იყოს მეოცნებე, მითუმეტეს ექიმი, ვისაც ადამიანის სიცოცხლესთან აქვს საქმე და ყველა შანსი უნდა გამოიყენოს მის გადასარჩენად. სწორედ ამ თემაზე იყო, **თემურ ნადარეიშვილმა** ოთხი არგუმენტი რომ ჩამოთვალა სამსონ თოფურის უტოპისტობის დასტურად და აღნიშნა: — სწორედ ეს გამოარჩევს დიდ ადამიანებს ჩვეულებრივთაგან — როცა შეგიძლია ცარიელ ადგილას დაინახო ის, რაც მერე გამოაგნებელ შთაბეჭდილებებს ტოვებს ყველაზე. მე კი ერთი საიდუმლოც მინდა გაგიმზილოთ: „ჩვენი მწერლობის“ თაოსნობით გამართულ ლიტერატურულ სალონებში იმიტომ დავდივარ, რომ როგორც ფიზიკოსს, მბეზრდება, ასე ვთქვათ, გამრავლების ტაბულის სიმკაცრე და ერთფეროვნება და მოულოდნელობებს ვეძებ თქვენთან. ასეთ მოულოდნელობად მიიჩნია, ალბერ კამიუს ნოველა რომ გაახსენდა შეხვედრაზე, „იონა ანუ მხატვარი მუშაობისას“, რომელშიც კარგად იხატება შემოქმედი ადამიანის დილემა — ხალხში ყოფნა თუ განმარტოება, რაკი რაღაც ღირებულის შესაქმნელად განმარტოება საჭირო; მერე კი პარალელი სამსონ თოფურის პირად ცხოვრებასთან გაავლო, რომელიც, მისაბაძი ნამდვილად არ იყო — მას ოჯახი არ დარჩენია, რადგან პირადი ცხოვრებაც საქვეყნო საქმეების სამსხვერპლოზე მიიტანაო. ელგუჯა თავბერიძემ კი თავის გამოსვლაში ისიც დასძინა, რომ ამ საქვეყნო საქმეებით სამსონ თოფურია არა მხოლოდ XIX საუკუნის ქუთაისს, მთელ ქართულ საზოგადოებას დაანახა, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო იმ დროს ერთი პატარა ქალაქი.

და ამ დანახვას დიდი ამაგი დასდო აკაკიმ. ჩემი რომანისა კი ნაკლიც ვიცი: საერთოდ, როცა ექიმზე წერ, სამედიცინო განათლებაც უნდა გქონდეს, უნდა იცოდეს, რა მეთოდით მკურნალობდა, რა ნაშლებს იყენებდა, რა ხდებოდა იმდროინდელ მედიცინაში, მაგრამ ჩვენთვის ეს ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც იმხანად ქუთაისში ცხოვრობდა ევროპულად მოაზროვნე კაცი, ევროპული დონის საქმეებს რომ იყო შეჭიდებული და აღასრულებდა კიდევ. რაც შეეხება გამოხმაურებებს, მათი დიდი ნაწილი როსტომ ჩხეიძის შეგულიანებით დაინერა და არაერთი შთაბეჭდილება, გაზიარებული პირად თუ სატელეფონო საუბარში, წერილად იქცა. ასე მოიყარა თავი ამ გამოხმაურებებმა, რომლებსაც უფრო მომავალი თაობებისთვის ექნება მნიშვნელობა, რადგან ასეთ პუბლიკაციებში შესაძლოა იმგვარი დეტალები და ნიუანსები აირეკლოს, იმდროინდელ პრესასა და არქივებშიც ვერ მოიძიო, — თქვა ბატონმა ელგუჯამ, ვინც შეხვედრაზე ახალი თხზულებების დასაწერადაც შეაგულიანეს, მას შემდეგ, რაც **ლია რუხაძემ** მადლობა გადაუხადა ამ ბიოგრაფიული რომანებისათვისაც და იმ გამოხმაურებებისთვისაც, ირმა მახარაძისა და ნინო დოლიძის თარგმანებზე რომ გამოაქვეყნა. როსტომ ჩხეიძემ კი შეხვედრის ბოლოს იუმორით დასძინა: — ერთი რამ დანამდვილებით ვიცი — თუკი ელგუჯა თავბერიძე გადანყვეტს, კალამი გვერდით გადადოს, ვეტყვი, რომ ხელისუფლებამ წერა აკრძალა და უკვე დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქუთაისელი კაცის ხასიათს არ უღალატებს და ყველა ამკრძალავის ჯინაზე აუცილებლად ისევ აიღებს კალამს ხელში.



ბიუსტი სამსონ თოფურის სამარეზე საფიჩხის სასაფლაო, ქუთაისი

გურამ ბენაშვილი

# ლიტერატურული ვიტრაჟები

ლიტერატურული პროცესებისათვის, როგორც ანომალია, თანმდევია ეპიგონობა, სტანდარტები, ტრადიციები... თუმცა, რა თქმა უნდა ისინი არასოდეს განაპირობებდნენ მის სტრატეგიასა და დისკურსს, ამიტომაც ეფემერული იყო მათი „გამოყენების“ ხანგრძლივობა...

ეროვნული ლიტერატურის პოტენცია, მხოლოდ იმ შემთხვევაშია კრეატიული, თუ იგი საკუთარი გონის, ფსიქიკისა და ენის სტიქიაშია ნაწრთობი...

„მსოფლიო ლიტერატურა“, როგორც უნივერსალური ცნება, გოეთეს ეკუთვნის და მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაციონალური ლიტერატურების იგნორირებისა თუ დაძლევის იდეა ძალზედ სუბიექტური იყო, მან მაინც ძლიერი იმპულსი მისცა ესოდენ პოპულარულ კომპარატივისტული კვლევების მეთოდოლოგიას...

ლიტერატურათა ურთიერთზემოქმედების პროცესები არსებითად მათ უნარებსა და ესთეტიკურ ვექტორებზე „ვრცელდება“, თუმცა, მხატვრული ცნობიერებისა და წარმოსახვების მუტაციები, მისივე იმანენტური მოთხოვნილებაა, რომელიც სხვათა გავლენებზე შეიძლება მხოლოდ დააჩქაროს...

და მაინც, არც უნარები და არც მიმართულებანი არ განსაზღვრავენ ეროვნული ლიტერატურის სუბსტანციას, მის თავისთავადობასა და კულტურას... მისი იდენტობის „მაპროვოცირებელი“, კვლავ და კვლავ მისივე ეროვნული წიაღი, სულიერი კინოტაციებით პირობადებული ის ცნობიერებაა, რომელიც დასაბამს მშობლიური ზედროული რეალობიდან იღებს და მისივე ლანდშაფტის, წარსულისა და აწმყოს, ისტორიისა და მარადისობის „შედევია“...

ეს არსებითი ინგრედიენტები უნდა აქციოს ლიტერატორმა იმ მეგააქცენტებად, რომელმაც უნდა განსაზღვროს მისი ანალიტიკური ნარატივის არსი და სულისკვეთება... შეძლოს და თავი დააღწიოს „გლობალური სქემებისა და კონცეპტების“ მაცდუნებელ ტყვეობას და გაიაზროს ეროვნული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში ისე და იმგვარად, რომ არ შელახოს მისი სუბსტანცია და არ დააკნინოს მხოლოდ მისთვის ორგანიული **MODUS VIVENDI**...

არავისთვისაა საიდუმლო, რომ სრული იზოლაციიდან თავისდასხნა „ისურვა“ თვით ისეთმა კონსერვატიული ქვეყნის ლიტერატორმა, როგორც ინგლისური ლიტერატურა იყო...

ნუ ვიგულისხმებთ თუნდაც ადრეულ პერიოდებს, როცა ომებისა და უცხოელთა ინვაზიების დროს, უმაგალითო დიფუზიის შედეგად ყალიბდებოდა ინგლისელი ერი და მისი ენა, რომელშიც დღესაც მრავლად იპოვება უძველესი კულტურების — ანგლო-საქსების, რომაელ-ლათინთა, ვიკინგების, ნორმანებისა და სხვათა ენის დანაშრევები...

ლაპარაკია გაცილებით გვიანდელ ხანაზე, როცა ინგლისელებს უკვე შქონდათ დიდი პოეზია, ჰყავდათ ჩოსერი, მოგვიანებით სპენსერი, შექსპირი და სხვა...

სიმპტომურია, რომ ჩოსერის შემოქმედების პირველი პერიოდი „ფრანგული“ იყო, მეორე — „იტალიური“... მთელი ფრთა კლასიკოსებისა „პეტრარკისტებად“ ინოვდებოდნენ და არამხოლოდ თარგმნიდნენ დიდ იტალიელს, არამედ ნერგავდნენ „პეტრარკიზმის“ თემებს, მოტივებსა თუ ესთეტიკურ „აქსესუარებს“... მასზე დაყრდნობით ანხორციელებდნენ ინგლისური ლექსწყობის რეფორმას, ქმნიდნენ რენესანსულ ლირიკას...

ყოველივე ეს ისტორიული რეალობაა, თუმცა იქნებოდა ნონსენსი, პოეზიის ეს გვიანები ეპიგონებად გამოეცხადებინათ...

ალბათ, სრულიად ბუნებრივია, რომ ქართველებიც დიდ ინტერესს იჩენდნენ უცხოური კულტურისადმი, იქნებ იმიტომაც, რომ საკუთარ კულტურულ ტრადიციებზე მყარად მდგარი, არ ემინოდათ უცხო კულტურებთან უსახური ასიმილაციისა... „სპარსთა ენისა სიტყობიან მასურვა მუსიკობანი“-ო. — ბრძანა თეიმურაზ პირველმა, ანუ იმან, ვინც მთელი თავისი ტანჯული სიცოცხლე სპარსთა ექსპანსიასთან ბრძოლას შეაღია...

„ქართული კულტურის დიდი მოღვაწენი აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურათა სამანებზე იდგნენ. მუდამ სინთეზურ გზას ეძიებდნენ. ქართული სიტყვის, ფერწერისა და ხუროთმოძღვრების დიდოსტატები კარგად იცნობდნენ, როგორც ირანის, ისე საბერძნეთისა და ბიზანტიის კულტურულ საუფრევებს... ისინი არასოდეს არ კმაყოფილდებოდნენ რეცეფციული აღქმით, პირიქით, ახალ სიტყვას ეუბნებოდნენ თავიანთ თანადროულ მსოფლიოს“ (კონსტანტინე გამსახურდია).

ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა, ცხადია, ბიზანტიური რიტორიკულ-სქოლასტიკური უნივერსუმის ჰიპოსტასია, მაგრამ ისიც სიმპტომურია, რომ პირველად სწორედ მასში გაცხადდა ეროვნული მხატვრული ცნობიერების განსაცვიფრებელი შესაძლებლობები და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მისდა ლიტერატურული ენის ფორმირება...

ალბათ ისიც სიმპტომურია, რომ ჩვენი ეროვნული ჰაგიოგრაფიის აღქმისას ნაკლებად ვიცნობიერებთ მხატვრული ლიტერატურისათვის ორგანიულ ისეთ კარდინალურ მეგაპრობლემას, როგორიც ადამიანის ეროვნულ-ფილოსოფიური კონცეფციაა...

ნონსენსია ირწმუნო ანალიტიკოსთა კრიტიკული რეფლექსიები ისეთი კარდინალური პრობლემის მიმართ, როგორც ჰაგიოგრაფიულ ქმნილებათა პოეტიკა... ისტორიული კონტექსტებისა და კულტურული ალუზიების გაუთვალისწინებლობის შედეგია მოსაზრებათა თუნდაც ამგვარი „შლიეფი“: „პერსონაჟი თითქოსდა დაცლილია ადამიანური განცდებისაგან, წარმოდგენილია, როგორც განყენებული იდეის კონკრეტული ხორცშესხმა და არა თავისთავად ადამიანი“, „ჰაგიოგრაფიული მწერლობის ძირითადი ამოსავალი პრინციპი ასეთია: ლიტერატურამ უნდა ასახოს მხოლოდ და მხოლოდ იდეალური ადამიანი“, „წმინდანი არის განსხეულებული მსოფლმხედველობა“, „იდეალი სინამდვილედ არის გაცნობიერებული ქართულ ჰაგიოგრაფიაში“, „უძველესი ქართული ლიტერატურის ძეგლების მიხედვით, ადამიანი იხატება არა ისეთი, როგორიც იყო, არამედ ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო“, „ჰაგიოგრაფიული თხზულებათა პერსონაჟები სახე-იდებია და არა სახე-ხასიათები“...

არადა, ალბათ, გავვიჭირდება ქართულ პროზაში ისეთი დინამიური და ცხოველი სახე-ხასიათების მოძიება, როგორებიც შუშანიკი, აბო თუ გრიგოლ ხანძთელია... ვნებათა სიმძაფრით, გრძობათა ბუნებრივი გრადაციებით და საკუთარი ადამიანური ხვედრის ფილოსოფიური განსჯის დინამიზით, ისინი ვერაფრით აღიქმებიან მხოლოდ „დედალურ“ ანუ ხელოვნურ (სიმულაკრულ) სახე-სიმბოლოებად...

კვლავ ანგარიშგასაწევია კონსტანტინე გამსახურდიას მოსაზრება, რომ ეს ძეგლები სავსებით ორიგინალურნი არიან მსოფლიო ჰაგიოგრაფიაში, და რომ ისინი „ძირეულად განსხვავდებიან როგორც ბიზანტიური, ისე ლათინურ-რომაული ტიპის ჰაგიოგრაფიისაგან“...

ქრისტიანული სუბსტანციით აღბეჭდილი ადამიანის ცხოვრებისა და ღწვის, ფიქრისა და ვნებათაღელვის პანორამა ქართული ჰაგიოგრაფია და ამიტომაც იგი დიდი ეროვნული საერო მწერლობის სულიერი, მორალური და ესთეტიკური წინამორბედი...

რუსთველოლოგიურ პრობლემათა კვლევას მრავალი ქართველი მეცნიერის მოღვაწეობა მიეძღვნა და მნიშვნელოვანი მიღწევებითაც დაგვირგვინდა... თუმცა, მაინც ნეგაციად აღიქმება ის, ან ალბათ უკვე სამუდამოდ „ჩავლილი“ პოლემიკა, პოემის „სპარსულობას“ რომ უკავშირდებოდა და იგი მისი ავტორის „გულწრფელი აღიარების“ გამოძახილადაც მიიჩნეოდა...

შესაძლოა ამ „დელიკატური ცდომილების“ ერთი მაპროვოცირებელთაგანი იმ ოდენ დიდი ლიტერატორის ერთობ „შთამავგონებელი“ მოსაზრებაც ყოფილიყო, რომლის „გაუკუღმართებული“ აღქმა მავანთათვის ოდიოზური „აღმორჩინის“ სათავედ იქცა... „რუსთაველის პოემის არაკი კერძოთ, არც ქართულია და არც სპარსული. არსებითად უფრო ზოგადია და მთელ იმ დროინდელს კულტურისასანს კაცობრიობას ეკუთვნის, არაბუთიდან დანწყებული ირლანდიამდე და სკანდინავიიდან დანწყებული სიცილიამდე. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო საუკუნეების მგოსნების თავმოყვარეობის საგანს სრულიადაც გადაჭრებულად ორიგინალობა არ შეადგენდა... იმდროინდელი მგოსნები ერთსა და იმავე გამარჯვებულს და დამარცხებულს სიყვარულს უგალობდნენ. ტრისტანისა და იზოლდას, ოკასენისა და ნიკოლეტის, ლეილასი და მეჯუნის, ნესტან დარეჯანისა და ტარიელის და სხვა ამ გვარი რომანტიული ტყუპების ამბები თავი-



სუფლად ხალხიდან ხალხში დასეირნობდნენ და დაუბრკოლებლივ ერთი მგოსნის ხელიდან მეორე მგოსნის სულში გადადიოდნენ... დიდი თავისებურება იქნებოდა, თუ რომელიმე მათგანი ამ მორაოდ ამბავს რაიმე უმნიშვნელო წერილმანს შეჰმატებდა...

პიროვნება ნაკლებ განკერძოებული იყო, შემომქმედი ადამიანი უფრო ახლო იდგა დიდს საკაცობრიო გონებრივ აუზთან და იქ ეძებდა შთაგონების წყაროს. ეს გარემოება აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, როცა იმ შორეული ეპოქის მგოსნების პირად ორიგინალობაზე ვმსჯელობთ...

ამ ტიპურ საშუალო საუკუნოებრივ მწერლებს შორის ყველაზე თავისებური ჩვენი შოთა რუსთაველია თუ განუმეორებელი სიუჟეტის შეთხზვით არა, ყოველ შემთხვევაში ზნეობრივი მსოფლმხედველობის სიღრმითა და მხატვრული სახეების სიცოცხლით“ (გერონტი ქიქოძე).

ფრიად სიმპტომურია, რომ ესპანელებმა არა და არ „დაუჯერეს“ სერვანტესს, რომ მისი გენიალური ქმნილება არაბული ამბავი იყო და რომ ის, მხოლოდ „მოიპოვებდა“ არაბი ავტორის ჩანაწერთა ფრაგმენტებს და აქვეყნებდა მას... მეტი დამაჯერებლობისათვის მან რომანში არაბი ავტორის კონკრეტული ვინაობაც კი ვაამჟღავნა და არაერთხელ... მაინც არ დაუჯერეს, რადგან კარგად მოეხსენებოდათ შუასაუკუნეების ერთობ პიკანტური, თუმცე საკმაოდ პოპულარული ლიტერატურული მისტიფიკაციის ტრადიცია და ამ ტრადიციის „თვალთმაქცური ოინები“...

არსებითი კი ის არის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დროის აქსიომატური ჩარჩოებიდან „ამოიზიდული“ რეალობის მეტაფორაა... დროის ესთეტიკური ვნებისა და ჟინის გამოხატულებაა...

უძველესი ეპოსის ფიზიკურად ძლევამოსილი ადამიანისა და სულიერად აღმატებული ქრისტიანული იდეალის საკრალურმა სუბლიმაციამ, ამ პოემამი შერაჰმონიული, მყარი იდენტობით აღბეჭდილი, მოქმედი და მოაზროვნე პიროვნებათა მთელი გალერეა, რომელთა ეკზისტენციური კრედაა — „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან“ და „არა ვიქ, ცოდნა რას მარგებს, ვეფხოსოფოსთა ბრძნობისა!..“

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც გენიალური ეპიკური „ნარატივი“, როგორც უზენაესი ეროვნული სულიერების საუნჯე და განუმეორებელი ეპოქის უდიდესი „თეატრი“, რომლის ავანსცენა სიცოცხლის ვნებით „ატანილი“ მომავლის ადამიანებითაა გასხვივსებული...

ამ ნივთა-ნივნის „ქმნას“ თითქოს „ხელი შეაშველაო“ ცამ და დედაშინამ, უხსოვარმა წარსულმა და ანმყომ, ისტორიამ და მარადისობამ... შეაშველა, ვითარცა ერის სულიერი „გაზაფხულის“ მაცნესა და რეპრეზენტატორს...

ამგვარი სულიერი მემკვიდრეობის მიმართ მაინც უფრო მეტის მოწინააღმდეგეობა და სიფრთხილი უნდა განიხილავდნენ ჩვენი „ახალი ფორმაციის“ ინტელექტუალები, ჩვენი კლასიკური მემკვიდრეობის მიმართ ნილილისტურად განწყობილი პერსონები...

არ გვალაპარაკებს, ზოგიერთ შემთხვევაში, უაზრო და უსაფუძვლოდ გაზვიადებული ეროვნული ღირსების გრძნობა... უკანასკნელმა წლებმაც კარგად დაგვანახა ჩვენს გონსა და სულს ღრმად აღბეჭდილი შემზარავი „ლაქები“... თუმცე იმის წინააღმდეგი ვარ, რომ „შხამიანი“ ფესვი გაიდგას ეროვნული კლასიკისა და მოღვაწეთა აუგად ხსენების ტენდენციამ... და ამით ჩვენი არასრულფასოვნების კომპლექსის დანერგვამ...

წონსენსია „ახალი ტალღის“ უაპელაციო განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მწერალი, მხოლოდ ჩვენთან — საქართველოში ყოფილა თურმე აღიარებული ერისკაცად და ელიტარულ მონსტრად, და რომ ცივილიზებული ქვეყნისა და საზოგადოებისათვის ამგვარი ანომალია წარმოუდგენელი ყოფილა...

ამ „ყველაფრისმოდენ“ მსაჯულთ კარგად უნდა მოეხსენებოდეთ, რომ მწერლის პროვიდენციულ პერსონად და სულიერების სიმბოლოდ აღქმა, მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში არ განხორციელებულა და ანალოგიებით საკმაოდ მიდარაია თუნდაც ევროპული სოციალ-კულტურული რეალობა...

ისტორიულმა პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ამგვარ „იერარქიულ სელექციას“ ჰუმანური საზოგადოებისა და კულტურული აღმავლობის ატმოსფერო დაუმკვიდრებია ქვეყანაში და ამიტომაც, მადლიერებით იხსენებდნენ ამ ნეტარ ჟამთა „იდეოლოგებს“...

ამ „გამაღიზიანებელი“ პრობლემატიკით შეწუხებულია და საამშვიდებლად, ვაჟა-ფშაველას ერთი პოეტური შეგონება „იკმარებდა“: „ახ რა ცუდია, რა ცუდი გზაარეულად მსჯელობა, ცეცხლმოდებულის ერისა თავისვე თავის მტერობა! დიდხანს იცოცხ-

ლებს ჩვენშია ნეტავ ასეთი ხელობა?..“ და კიდევ — „გაღმა გასვლისა მსურველთა უკულმა მიგვეყავს ბორანი, გაგვიბატონდა მგოსანო, სირეგვე შეუწონარი“... ასე შესწიოდა იგი ილიას აჩრდილს და თითქოს დღევანდელ დღესაც გულისხმობდა, ერის უიღბლო მომავლის მწუხარე წინასწარმეტყველი...

ფსევდოგალანტური ნილილიზმით კოეცობა, ის შინაგანი იმპულსია, სასიამოვნოდ რომ „აღაგზნებს“ მავანთა კვაზიმემოქმედებით პოტენციას...

აპრიორია, რომ „აგრესიული“ კონსერვატიზმი და გაქვავებული ლირებრივი ორიენტაციებით რეფლექსირება, ისეთივე სინოლენგა, როგორც ანარქისტული ინსტინქტებით იმპულსირებული დეკონსტრუქტივიზმი...

დღეს, მხოლოდ ირონიული ღიმილის მომგვრელია ქართული სიმბოლისტების, ანუ ე.წ. „ციხფერყანელთა“ ლიტერატურული მანიფესტები, ის თავანწყვეტილი და ოდიოზური მონოდებიანი, ის ბუნდოვანი და მხოლოდ აბსტრაქტულ ხილვებს „შეკედლებული“ ვიზიონები — ძველის მსხვერვისა და გონით მიუნვდომელი „ახლის“ დამკვიდრებისა და უცილობო დაკანონების აუცილებლობას რომ ქადაგებს...

შემოქმედებით ორიგინალობისაკენ სწრაფვა ხელოვანის იდენტობის გამოხატულება და თვითრეალიზაციის აქტის ინგრედიენტია, თუმცე იგი არ უნდა წარმოადგენდეს წარსულის სრული იგნორირებისა თუ სარკასტული მიმართების მაპროვიცირებელს...

მხოლოდ ასე, აგრესიული სიახლის პრეტენზიით შემოდის ჩვენში, ამორფული, სკაბრეზითა და უსახური სემანტიკური რეზუსებით აღბეჭდილი ე.წ. ლიტერატურული ტექსტები, რომელთა მიმართ ან სრულიად ნეიტრალური უნდა იყო, ან უზომოდ აღმფოთებული...

ლიტერატურული „თეატრის“ ავანსცენას, არა ერთი თვითკმყოფილი და გაპოპულარებული „ნოვატორი“ ახსოვს, რომელთაგან სამახსოვროდაც კი აღარაფერი დარჩენილა...

რამ განაპირობა ამ გაუკულმართებული ტენდენციის „დიალექტიკა“, შორს მიმავალი თემაა და მასზე დეტალურად აღარ შევჩერდები...

„ხელოვნების ყველა საშუალება და პირობა, დღეს მხოლოდ პაროდისათვის არის გამოსადეგი“-ო, წერდა თომას მანი...

ჩვენი სოციალ-კულტურული სივრცის ონტოლოგიური კონტექსტია თითქოს აქ ნაგულისხმევი... ანუ ის, რა უნივერსალურ სიმახიჯეებსაც ირეკლავს ჩვენს ირგვლივ უმიზნოდ აფორიაქებული სიმულაციური ყოფიერება, სრულიად გაბერებული მაღალ ღირებულებათა შესაქმნელად...

ამგვარი სურეალისტური დროის პაროდირების და მისი, ფანტასმაგორიული მხატვრული რეალობით ჩანაცვლების გენიალური მაესტრო — ჯეიმს ჯოისი, ასე განუმარტავდა წარმოსახვით „რეციპიენტს“, ახალი პოეტიკის, ზოგადად კი მსოფლშეგრძნების ფორმას, „მაგრამ თქვენ უკვე აღარ შეგიძლიათ რეალობის წვდომა — ზუსტად ისევე, როგორც მე; თქვენ ატყობთ, რომ ამ სამყაროში უკვე აღარ შეგიძლიათ მოძრაობა ათასწლოვანი კულტურებით გაბრწყინებული კრიტიკიუმების შესაბამისად, ამასვე ვამჩნევ მე... და, აი, ამიტომაც მე გიბრუნებთ რსატო სამყაროს, რომელიც სხვა შემთხვევაში სვთაებრივი, მარადიული და მიუნვდომელი იქნებოდა“...

ევროპული მოდერნის ამ კლასიკურ მოდულაციებში, წარსულის მსუბუქი და რაღაც იდუმალი ნოსტალგია, იმ აქტუალურ ალტერნატივად სუბლიმირდება, რომელმაც თავისიდან უნდა შავს კულტურის ფილოსოფიის სრულიად ახალი კონტექსტები, სამყაროს განზომილებათა არალოგოცენტრული დისკურსი, ცხოვრებისა და ხელოვნების შესხვედრის ახალი ჰორიზონტები და ამ ქაოტურ ნიაღში ჩაკარგული, დაშლილი-დაქუცმაცებული ადამიანის ტრაგიკული ხატი...

რამდენად ლოგიკურია, უახლესი ქართული ლიტერატურული „ნოვაციების“ შეფასებისას წარსულით აპელირება, ანუ ევროპული კლასიკის და განსაკუთრებით მოდერნიზმის „ბიბლიის“ ავტორის „შენუხება“, ძნელი სათქმელია, რადგან დიამეტრალურად აცდენილია „მათი“ და „ჩვენი“ დღევანდლობის გზა-ბილიკები...

არადა, კონცეპტუალურ პრიზმაში აღქმული ჯოისისა და სხვა ცნობილ მოდერნისტთა ტექსტები, სწორედ რომ პროვოცირებდნენ მომავლის კულტურულ პარადიგმებს, კერძოდ პოსტმოდერნიზმის ესთეტიკის მეგაპრინციპებს: ინტერტექსტუალობასა თუ ინტერმედიალობას, ციტატურობასა თუ ავტორემი-

ნისცენციულობას, პაროდირებასა თუ თამაშს „შენით“ და „სხვისით“...

პროგნოზირებდნენ, მაგრამ არა იმ ნეგატიური მოდიფიკაციებით, რამაც ჩვენში სრულიად დამცრო და დაკინა თვით ცნება „პოსტმოდერნიზმისა“... აქცია რა იგი კულტურული ცნობიერების მიღმა არსებულ კვაზილიტერატურულ კონსტრუქტად, სახელთა მაძიებლების „საიმედო“ თავშესაფრად...

\*\*\*

„ლიტერატურული საქმიანობა ერთადერთადანია, ჭოჭმანის გარეშე უფლებას რომ გვაძლევს ვიყოთ ღარიბი“... ჟიულ რენარს ამ „აღმოჩენას“ ისტორიული თუ პირადი გამოცდილებანი კარნახობდა...

აშკარა თუ ფარული მონივნება, გონიერ სოციუმს მწერლის მიმართ ყოველთვის ქონდა... ეროვნული სულიერების სიმბოლოდ ევლინებოდნენ ისინი თავის ქვეყანას და ამ რწმენით შინაგანად ამალგებულნი, უფრო ხშირად, ნაკლებად იხილებოდნენ მატერიალური კეთილდღეობის „სიტუაციებით“...

განმარტოებულნი და უქონელნი, თუმცა ამაყნი და ღირსეულნი გასცლიან ამ ნუთისოფელს...

აი, ბევრისათვის „რომანტიკულ საკითხავად“ წარმოგვინილი ის შუქ-ჩრდილებით აღბეჭდილი სინამდვილე მათზე, ვინც ჭეშმარიტ შემოქმედად აღბეჭდა ეროვნულ კულტურულ ცნობიერებას...

ჩაბარდა თუ არა წარსულს მათ მიმართ თანარძნობისა და კეთილგანწყობის ტრადიციული კულტურა...

ირგვლივ მყარად ჩამომდგარი ტოტალური გულგრილობის ატმოსფერო, შლის და ანადგურებს ტრადიციული ეთიკისა და მორალის ნაკვალევს... და მათ შორის მწერლისადმი საზოგადოების დამოკიდებულების თვით ინერციასაც კი...

რას წარმოიდგენდა ბრწყინვალე ფრანგი მწერალი, თუ მის ამ „მიგებას“ იმედგაცრუება ელოდა... თუმცა, ის ალბათ მწერლის მეტ-ნაკლებად ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრებასა და მოღვაწეობას გულისხმობდა...

რამდენადაა ნორმალური ჩვენი ქვეყანა, ეს კითხვა გროშებზე გაცილებით მეტად ანუხებით უპოვარ, თუმცა მაინც სამშობლოს ბედზე დაფიქრებულ ჭეშმარიტ სიტყვის ხელოვანი...

\*\*\*

„ლიტერატურულ ასპარეზზე, ბოლოს და ბოლოს, იქამდე მივლენ, რომ მწერლებს ფულს გადაუხდიან იმაში, რომ აღარ წერონ“... თომას კარლილის ამ პიკანტური „ნათელხილვის სუსხი“ ემუქრება თუ არა ჩვენს ლიტერატურულ თანამედროვეობას და მის მეტ-ნაკლებად პომპეზურ „ავანსცენას“, ამას სიმულაციური აქტივობით აღბეჭდილი დრო-ჟამი, ანუ „გლობალური ცოდნა-აზროვნებით“ დათრგუნული მორალური იმპერატივების „ძალთახმევა“ დაგვანახვებს...

სხვა ნეგატიურ სიმპტომებთან ერთად, „ახალთა“ თავანყვეტილი სკაბრეზი თუ უხამსობა, ბრიყვთა და თავხედთა ეს „საიმედო იარაღი“ თუ იქნება ალბათ მაპროვოცირებელი ჩვენში, ინგლისელი სწავლულის ვარაუდის რეალიზაციისა...

ყდაში მოქცეული და წიგნად აკინძული ყოველი ტექსტი ლიტერატურა არაა და ეს ოდენ მხოლოდ მკითხველის, ანუ მომხმარებლის უფლების, მისი გემოვნებისა და ინტელექტის პრობლემად იქცა...

არა და „ლიტერატურული ფაქტის“ შეფასება, მისი ღირსების გათვალისწინებით, ისევ ლიტერატორმა უნდა მოახდინოს, რადგან შესაძლოა რომელიმე „ვარსკვლავებიჭუნას“ ოდიოზურ „ჩანაწერს“ ისეთი ფონი შეექმნას, რომ მავანთაგან კულტურულ ფაქტადაც კი შეირაცხოს...

დაღეს, ესოდენ მომრავლებული ეპატაჟური, „ოპუსები“, ახალგაზრდული ბუნებისათვის დამახასიათებელი თავმონობაა და თვითდამკვიდრების ინსტინქტი უფროა, ვიდრე თვითგამოხატვისა...



ტერენტი გრანელი

იყო დრო, როცა ფუტურისტების „საქციელი“ ყველას აშფოთებდა და განარისხებდა, თუმცა მათი ნამოქმედარი ლიტერატურული ცხოვრების ღირსსახსოვარ ფურცლად ჩაინერა... არა ვარ დარწმუნებული, რომ თანამედროვე „ახალგაზრდების“ შემთხვევაშიც იგივე განმეორდეს...

ნუ წარმოიდგენთ, რომ დღეს „აღზევებული“ განაღდებული აქვთ მწერლის „გრძელვადიანი“ სახელი... შემთხვევათა გამო მრავალნი მოქცეულან ატორტმანებული ტალღის ქიმზე, თუმცა ბოლოს მათგან მხოლოდ ქაფილა დარჩენილა...

სამწუხაროდ, ჩვენს კარზე დაჩოქილმა აქლემმა, მატერიალური სიდუხჭირის გარდა, ის კატაკლიზმებიც გამოიწვია, რომლებიც არა მხოლოდ გარეხდომილებათა რიგს განეკუთვნება, არამედ ადამიანის შინაგან სამყაროსაც მოიცავს... მესმის, რომ ძნელია იმ მითოლოგიური საბურველიდან გამოსვლა, რასაც წარსული ქვეა, თუმცა ამ „გამოსვლას“, ანუ ევოლუციის „სიმამაცეს“ არ უნდა შეეწიროს საუკუნეებს გამოტანჯული სულიერი და მორალური იდენტობა...

რადგან წარსულის გამოებით, სახვალიო ფიქრი ვერა და ვერ აყვავდება...

### ტერენტი გრანელი

ტერენტი გრანელის ფენომენის მიმართ სრულიად ლოგიკურად დამკვიდრდა რომანტიკული რეფლექსიებით გაჯერებული აღქმის აპოლოგეტური დისკურსი...

რთულია ონტოლოგიური წვდომის ობიექტად აქციო ესოდენ კამერული, დროის ბრუტალური კონტექსტებიდან ამოზიდული და ოდენ მხოლოდ საკუთარი სულის ვიბრაციებსა თუ ვიტალურ მოთხოვნილებებზე პროეცირებული მედიტაციები...

საუკუნის ერთობ კონტრასტული პანორამა მაპროვოცირებელი მთელი რიგი ანალიტიკური ცდომილებებისა, კულტურულ მოვლენათა თუ მოცემულობათა ოდიოზური ჭვრეტისა და აქედან გამომდინარე, მცდარი შეფასებებისა...

გრანელის შემოქმედებითი რეპერტუარის „ობიექტური კორელატის“ აღქმა, თვალსაჩინოდ წარმოაჩენს სულიერ მისწრაფებათა კონტურებსა და პარადიგმებს, ირაციონალური „ლაჟვარდებით“ შთაგონებულ კადენციებსა თუ „რექვიემთა“ მწუხარე განწყობილებებს...

სადა, დეკორატიული ფიგურებისაგან მეტნაკლებად განრიდებული ლირიკული მონოლოგები, უზენაესი საკრალური ვნებებითა და სულის თავისუფალი ყოფიერების წყურვილითაა აღბეჭდილი...

განცდის ინტენსივობითა და დრამატიზმის სიმძაფრით, იგი „დავითიანის“ გენიალური ავტორის ადვებია...

თუმცა, თვით რომანტიკოსებიც კმარა იმის წარმოსადგენად, თუ რა ორგანიული იყო ქართული პოეტური ცნობიერებისათვის ქრისტიანული მსოფლგანცდის კონოტაციები, მისი ფილოსოფიური თუ მორალური იმპერატივები და რა თქმა უნდა ესქატოლოგიური აზროვნების ტრადიციები...

ალბათ, ფრიად სიმპტომურია გრანელის გატაცება გალაკტიონითა და „ცისფერყანელთა“ ესთეტიკური ძიებებით, ეპოქის იმ სულიერი აქტივობით, რომელიც ქართული პოეტური კულტურის „გადახალისებასა“ თუ ახლებურ რეალიზაციას ისახავდა მიზნად...

ეს ყოველივე ერთობ მაპროვოცირებელია წარმოვიდგინოთ იგი სიმბოლისტური სკოლის წარმომადგენლად, მისი ეს-

თეტიკისა და იდეოლოგიის აპოლოგეტად და იმ კონცეპტუალური პროგრამის განმასახიერებლად, რომელიც ეპოქის უკანასკნელ მონუმენტურ სტილად იქნა აღიარებული...

და, მაინც, მიუხედავად იმისა, რომ მის ლირიკულ ტექსტებში მეტ-ნაკლები ინტენსივობით ვლინდება სიმბოლიზმისა და კერძოდ, გალაკტიონის გავლენა, აპელირება გრანელის სიმბოლისტურ ორიენტაციაზე სრული ნონსენსია, რადგან სიმბოლიზმი, როგორც ევროპული მოდერნისტული ლიტერატურული სკოლა, თავისი მკაცრად განსაზღვრული ესთეტიკური თუ მსოფლმხედველობრივი პროექციებით, კრისტალიზებულ სისტემას წარმოადგენდა და განცალკევებული იყო თვით მისგან პროვოცირებულ მოდერნისტული პრაქტიკებიდანაც კი...

ასე რომ, რეალობასთან არაადაპტირება და ბუნტარულ-მელანქოლიური ლირიკული მონოლოგები, რა ნატიფი სტილითაც არ უნდა ყოფილიყო აღბეჭდილი, ვერ იქნებოდა გარანტი სიმბოლისტად სახელდებისა...

და ეს არასოდეს ყოფილა შემოქმედის ღირსების ერთადერთი კატეგორია...

ტერენტი გრანელი შინაგან სულიერ იმპულსებს „მიყურადებული“ ვიზიონერია... ინტროსპექციისა მისთვის ის უნივერსალური წიაღი და ინსტანციაა, რომლის ამოუნურავმა პოეტენციამ შეითვისა და აღამაღლა იგი...

გაბატონებულ იდეოლოგიურ დოგმებს განრიდებული და მატერიალური იმპულსებისა თუ ნატურალისტური წარმოდგენებისადმი ანტაგონისტურად განწყობილი, იგი, ღამეული ხილვებით შთაგონებული ტანჯულის ვნებებს უკმევედა გუნდურებს...

მან, იშვიათი სულიერებით მეტყველმა მარტოსულმა, კიდევ ერთხელ ამცნო თანამედროვეთ ფანტასმაგორიულ ხილვათა განუმეორებელი მშვენიერებანი... საკუთარ არსებაში აღმოცენებულ შეგრძნებათა სიღრმე და მასშტაბები, მინიერი ყოფიერების ამაოებანი და შორეული სამოთხეების ლანდურობა... ანუ ყოველივე ის, რისკენაც ასე დაუინებით ილტვოდნენ ჭეშმარიტი ღვთაებრივი სუნთქვით შთაგონებული შემოქმედის...

ის, რომ „პოეტი, ოდენ მწუხრის საკრალიზაციაა“ (მორის ბლანში), და რომ მის არსებაში სუფევს სკეფსისის აჩრდილი, არასოდეს ქცეულა პოლემიკის საგნად...

მხოლოდ სიმძიმით აღბეჭდილი ზმანებანი და მისი მკაფიო კონტურები წარმოადგენენ გრანელის ლირიკის არებით პოსტულატებს „ჩემი სული სიზმარია, ბედზე დარდი მიაგატოვე და მე ასე მიხარია სიჩუმე და სიმარტოვე, დღესაც ბაღში ვიმალები, როგორც თეთრი მღუმარება; და მიზიდავს გრიგალივით სიჩუმე და მწუხარება...“

სიმპტომურია, რომ დრო და დრო, იგი რეალობასთან გაუცხოების იმ ზღვარს აღწევდა, რომლის იქით, მხოლოდ აუტისტური ცნობიერების „უფსკრულია“... „შენ მიდიდი ნისლიან გზაზე, და კანკალებდა რტოები ვაზის, გველივით გდევდა ცრემლების ზღვაზე, მკვდარი დღეების ცისფერი ხაზი... გესმოდა ზარის ხმა უდაბნოდან და განვალებდა თოვლი და ქარი“...

პოეტის მითოპოეტური მსოფლგანცდის სემანტიკურ აურად დამკვიდრდა ლოცვის მელოდოურ პასაჟებად გაცხადებული მიუსაფრობისა და ტრაგიკული მოლოდინის პათოსი — „...შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ; წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია?!“

თუმც, ჰქონდა პოზიტიურ შეგრძნებათა მოლოდინის ინსტინქტიც, იმედისა და სასოებათა ეფემერული ზმანებანიც... სამწუხაროდ, ამ წამიერ „ხიბლს“ საგულდაგულოდ ასამარებდა ღრმა შეგონება იმისა, რომ ცხოვრება, ვითარცა უდიდესი თვალთმაქცი, იმეტებს გაცილებით ცოტას, ვიდრე გაირდება...

ამ მცირედით „კმაყოფილი“ სჭერებდა ამქვეყნიური მშვენიერების მისთვის მიუღწეველ „საგანძურთ“... საბედისწერო მოლოდინის შიში და კრთომა ახლდა თვით ამ წამიერი განცდით ტკბობას — „რა ვქნა, ცხოვრებას ვერ ვულალატე, მივალ, მაცვია თეთრი ხალათი, ასე მწვავს ბედი, მე ასე ვიარ და მიკავია დამჭკნარი ია, გაზაფხულია და ჩუმი დღეა, ისევ ქარია და ისევ მზეა...“

ედგარ პოსი და მეტერლინკის, ნოვალისისა და ლეოპარდის, ბართაშვილისა და ვაჟას სულიერი შთამომავალი, „არტისტული ყვავილების“ და „დაისების“ სურნელითაც იბრუნებდა ტანჯულ სულს...

ცხოვრების დრამატიზმით დამაშვრალს, შემოქმედებით „სიმინფის“ თვალსაზრისით ბევრი არაფერი დაუკარგავს... პირიქით, სწორედ მარტოსულობიდან და ესოდენ დუხჭირი ყოფიერებიდან იმპულსირებულმა შთაგონებამ „გამოძერწა“ და კლასიკურ მოცემულობად აქცია ამ ჭეშმარიტი თვითნაბადი ტალანტის შინაგანი პოეტენცია...

საუკუნის ტანჯული სულის სიმბოლოდ წარსდგა იგი მომავლის წინაშე... და, კიდევ ერთხელ დავგარწმუნა იმ ჭეშმარიტებაში, რომ „პოეტი იწყება იქ, სადაც მთავრდება ადამიანი... რომ ერთის ბედი ადამიანური გზაა, ბედისწერა მეორისა კი გამოგონება არარსებულისა“ (ორტეგა-ი-გასეტი).

გრანელის ფენომენი მხოლოდ ამ კონტექსტშია წარმოსადგენი...

მასზე ამბობდნენ, პოეზიასა და ცხოვრებაში მცირედითაც კმაყოფილდებოდაო...

მისი შემოქმედებითი ხატისა და ფსიქოტიპის ანალიტიკა დავგარწმუნებდა, რომ **Memento Mori**-ს ავტორი ფართო დიაპაზონის ვიზიონერი იყო და იგი კლასიკური პოეზიის მორალური თუ ესთეტიკური კატეგორიებით აზროვნებდა...

საგულისხმოა, რომ მისი სახელი სახვით ხელოვნებასთანაც ასოცირდება... საუბარია იმ გრაფიკულ ჩანახატებზე, რომელნიც პოეტის შინაგანი ინსტინქტებითაა მოდელირებული... ხელოვნათგან ეს ნეოპრიმიტივისტული „ქმნილებები“ შეფასდა, როგორც ქართული კულტურის მაგისტრალური იდეის გამოვლინებანი, როგორც კოსმიურ ხილვებთან და წარმოსახვებთან ასოცირებული ქართული „ავანგარდის“ პლასტიკური ნოვაციები...

დიდი სურვილი მაქვს ვირწმუნო პროფესიონალთა მოსაზრებანი, თუმც, არც ის მაინცდება, რომ „მოდერნის“ ესთეტიკა და მსოფლმხედვა, სახვით ხელოვნებასთან ღრმად განდობილთა პრივილეგიაა, დიდი გამოცდილებიდან აღორძინებული სიზნეა, კლასიკური კულტურის ჰიპოსტასია და არავითარ შემთხვევაში არაცნობიერი, სტიქიური წარმოსახვის შედეგი...

პარალელები კანდინსკის, პიკასოს, მალევიჩის, მიროსა თუ შაგალის კომპოზიციებთან, ძალზედ მაღალი განსჯის სფეროა და უფრო ფართო პროფესიული კვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს მომავალში...

და ბოლოს: ტერენტი გრანელის ამქვეყნიური „ოდისეა“, საუკუნის ბესტიარულ გამოწვევათა ალტერნატივა იყო თითქოს...

ალტერნატივა, რომელსაც ლირიკული თრთოლვის იმპულსებით უნდა „დაემწყურვალებინა“ დრო-ჟამის სისასტიკით დაჩლუნგებული ადამიანი, რათა აღმოეჩინა რეალობის „ჯურღმულბეში“ ორიენტაციის თუნდაც ემოციური შესაძლებლობები...

მან შეძლო საკვირველი მხატვრული ძალით აეღვარებინა და დაუინყარი გაეხადა სრულიად უპრეტენზიო, მშვიდ ცხოვრებაზე ოცნებით ნეტარი, გრაციოზული ჟესტითა და მსუბუქი ფარფატით აღბეჭდილი სულის გრადაციები...

თვით ლირიკული მონოლოგების კრისტალური სისადავეა „გზავნილი“ მათი უჩვეულოდ ამაღლებული სულიერებისა და გარანტი მომავლის ჰუმანიტარულ კონტექსტებში გენერიებისა...

ლადო ასათიანი

ამაღლებული და სათუთი ფიქრის „საგანია“ ლადო ასათიანის ცხოვრებაცა და შემოქმედებაც...

რა იყო მისი ხანმოკლე სიცოცხლე, თუ არა თხემითტერფამდე რომანტიკული ჭაბუკის ლირიკულ მონოლოგებად „თქმული“ სიცოცხლით ტკობის ნოსტალგიაცა და სოფლის სამდურავიც, კეთილგონიერებით ძლეული სასონარკვეთაცა და სამშობლოს „ხატის“ აპოლოგიაც...

შთამბეჭდავი და მრავლისმეტყველია პოეტის ოდენ კრეატიული სულის „კარდიოგრამა“...

დიდი, რომანტიკული ეპოქებისათვის ჩვეული სემანტიკური რეგისტრები სახიერდებიან მასში...

ისტორიული თუ კულტურული პლასტიკიდან იმპულსირებული კონოტაციები, რომელთაგან „მრავალი“ მხოლოდ სტერეოტიპულ აღმოჩენასლა წარმოადგენდა, ლადო ასათიანის წარმოსახვათა მოდულაციებმა იმ ელვარებით აღბეჭდეს, რომელთაც დიდი პოეზიის ნიმუშებად აქციეს ისინი...

სიმპტომურია, რომ რეალობა მისთვის იყო არა მხოლოდ ბუნება, ქალაქი თუ ყოფითი სამყარო, არამედ თვით პოეზიაც, თავისი სუბსტანციური კონტექსტებით... ამიტომაცა მისი პოეტური მსოფლმერძნება აღბეჭდილი წარსულის ალუზიებითა და რემინისცენციებით...

თუმც ეს ყოველივე არ გამოხატავდა გავლენათა მოძღვრებას და იგი უფრო იდუმალი „კარნახი“ იყო წინაპართა სულიერი გამოცდილებისა...

ლადო ასათიანის აღქმა სულიერი ტრადიციებისა სრულიად უნიკალურია... იგი შეიმეცნებდა მას, როგორც „მატირცას“, როგორც შემოქმედებით სანყის, „ითხოვდა“ რა მისგან არა გათელილსა თუ კარგად ნაცნობ „ბილიკებს“, არამედ ბიძგსა და იმპულსებს სტატიურობიდან თავდახსნისა, მომავლისაკენ სვლისა და ინდივიდუალურ ძიებათა ძალთახმევისა...

ამიტომაცა ესოდენ თვალსაჩინო მისი პოეტური ტალანტის სიმნიფისაკენ ძლევაგამოსილი სვლა...

სვლა თვით საკუთარი საზღვრებიდან გასვლისა და თავისუფალი „სივრცეებით“ სულის ავსებისა...

ფიქრთა და ემოციათა ჰარმონიით, მიღწეულია მკითხველში აღძრული მოლოდინის სრული რეალიზაცია, მისი ესთეტიკური იდენტიფიკაცია... როცა პოეტური სახეები მაგიურ ძალეგამოსილებას იძენენ და მარადიულ სულიერ საუნჯედ მკვიდრდებიან მის ცნობიერებაში...

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ლადო ასათიანის ქმნილებათა შორის არ იპოვება ლექსი, რომელიც მოჩვენებითი გალანტურობით და ლინგვისტური სიმულაციებით მოიწონებდა თავს...

მისი ლირიკა ანალიტიკურ შემეცნებაზე პროეცირებული პარტიტურაა, რომელიც სტიყვათა უფუნქციო „მატირისაგან“ და აქედან გამომდინარე ცდომილებათაგან ათავისუფლებს ტექსტს, ანიჭებს რა მას დრო-სივრცეში აქტუალური ყოფიერების სტატუსსა თუ უფლებას...

ლორკასეული „დეუნდვა“ მისი პოეზიის იმპულსიცა და სუბსტანციაც... იგი იმ კატეგორიის სულიერი ღირებულებათა, რომელიც გატყვევებს და იმავ დროს გათავისუფლებს...

კრეატიული მიზანსწრაფვით გამჭვალავს და სახელებს არქმევს ადამიანურ ინსტინქტებსა და მისი ყოფიერების თანმდევ, ამოუხსნელ და მოუხელთებელ „ფანტომებს“...

საგულისხმოა, რომ მისმა სულიერმა წიაღმა დაიტია და გაიშინავა მწუხარებისა და აღტაცების, იმედისა და სკეფსი-



ლადო ასათიანი

სის, სინანულისა და რწმენის ანტინომიები...

არსებითი და სიმპტომურია ისიც, რომ მას გულწრფელად სწამდა საკრალური უფლებამოსილება პოეზიისა...

ღრმა და შთამაგონებელია პათეტიკურ განსჯათა მოტივაციები, ზოგადად კი, სახისმეტყველების უშურველი ფერადოვნება... პოეტური ტექსტების ეროვნული „არმატი“ და ლალი სიხასხასე...

სულით სხეულზე ამაღლებული, იგი მშვენიერებისა და საკუთარ არსებაში გამძლავრებული რწმენის რეალიზაციაზე ოცნებობდა...

ოცნებობდა და იღვწოდა იმ ინფერნალური ყოფიერების სუფევის ჟამს, რომელიც ადამიანს ავინყებდა საკუთარ იდენტობას, უკარგავდა სიხარულისა და ბედნიერების გულწრფელი განცდის თვით უნარსაც კი...

ის, რა თქმა უნდა, არ იყო და ვერც იქნებოდა ავად ამხედრებული იდეოლოგიური უკუნიეთის მანათობელი „ვარსკვლავი“...

შემოქმედისათვის ჩვეული ეს საზოგადოებრივი როლი მისმა დროებამ კარგახნით დააღუმა და დაასამარა კიდევც...

თუმც, მან შეძლო ეროვნული სულის გამომხატველ იმგვარ „საგალობელთა“ შექმნა, ლირიკულ შედევრთა იმგვარი ადამიანური ვნებებით აღბეჭდვა და ქართულ პოეზიაში იმ განმაკეთილშობილებელ თრთოლვათა დამკვიდრება, რომელთა გარეშეც სრულიად წარმოუდგენელია ქართული პოეზია.

ლადო ასათიანის, ამ უმძიმესი სენით შეპყრობილი ჭაბუკის ლირიკული მედიტაციები ილუსტრაციაა იმ მაგიური ჭეშმარიტებისა, რომ არის შემოქმედის ყოფიერებაში „ჟამი“, როცა იგი კიდევ უფრო მეტია, ვიდრე ადამიანი და რომ სიცოცხლის უსაზღვროებათა ონტოლოგიური წვდომა და გათვალსაჩინოება, არ არის ოდენ მხოლოდ ხანგრძლივი და თავგადასავლებით მდიდარი სიცოცხლის „წყალობა“...

გოეთეს ცნობილი მეტაფიზიკური კონცეპტი — შემოქმედის „ანტიციპაციური“ შემეცნების, ანუ გენეტიკურად თანმდევი ცოდნის არსებობისა, ლადო ასათიანის შემთხვევაშიც სრულიად „ლეგტიმურია“...

თავისუფალი აზროვნებითა და ინსტინქტებით აღბეჭდილი და პოეზიასთან ღრმად განდობილის საკრალური უფლებით სხივმოსილი, ის მისთვის განკუთვნილ მცირედი სიცოცხლის აპოლოგეტობამდეც კი მაღლდებდა...

მადლიერი იყო იმისაც, რომ პოეზიით შთაგონებულმა შეიცნო და დაიგემოვნა წუთისოფლის იდუმალ სიტკობებათა „აფერადებული ლაჟვარდები“, ფიროსმანისეული ის სურეალისტური ლანდშაფტები, რომელთა „დანახვასა“ და განცდას, ჩვეულებრივ მოკვდავთა ათი სიცოცხლეც არ ყოფნის...

საკუთარი სიმაღლით ძლიერი, უჟამობისაგან „პყრობილი“ და მანაც უსაზღვროდ თავისუფალი გაუყვავა იგი მარადისობის „ვარდისფერ გზას“...

მისი რაფინირებული კლასიკური პოეზია, იმ ეროვნულ სულიერ ფასეულობათა რანგში წარმოიდგინება, რომელთა მიმართ უმწეოა დრო-ჟამთა ახირებანი თუ კაპრიზები...

დროის უმკაცრესი რეგლამენტაციებისგან სრულიად თავისუფალი სააზროვნო სივრცითა თუ მისი წარმოსახვის პოტენციით, სუბსტანციათა უმდიდრესი პალიტრითა თუ მეტაფორული რეპერტუარით, ლადო ასათიანის პოეზია, ერის სულიერი თანამგზავრის უფლებამოსიებით სდგება მომავლის წინაშე...

დიდი პოეზიით „განებიერებული“ XX საუკუნე მისი ბრწყინვალე შედევრებითაც მოიწონებს თავს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნათელა არველაძე

## ბუნების ნებიერი, ერის რჩეული

ვახტანგ ჭაბუკიანი ჩემი თაობის მელომანთა კერპი გახლდათ. ჩვენ მისი ხელოვნებისა და პიროვნული ხიბლის გულწრფელი, გულიანი, გულმხურვალე ტრფიალნი ვიყავით. მან არამარტო მოგვაჯადოვა, დაგვაკავშირა თეატრთან და ერთმანეთთან, არამედ გვაზიარა მაღალი რანგის ხელოვნებას, ამით კი გემოვნება გაგვიფაქიზა, აღზარდა ჩვენში ხელოვნებით ტკობის კულტურა და ჩამოგვიყალიბა შეფასების კრიტერიუმი, ჩემთვის, როგორც კრიტიკოსისათვის, ათვლის საზომი ბატონი ვახტანგის ოსტატობა გახდა, შესაძლოა ამიტომაც მკაცრად ვაფასებდი დრამატული თეატრის შემოქმედთა ხელოვნებას.

ყოველ მის გამოჩენას სცენაზე ოვაციით ვეგებებოდით და აღვზნეული ტაშით ვაცილებდით. თუ თვითონ არ ცეკვავდა და თბილისს იმყოფებოდა, საბალეტო დასის სპექტაკლს დარბაზის ბოლო რიგის შუა სავარძლიდან უყურებდა, მისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანის, ეთერ ჭაბუკიანის თანხლებით. იმ დღეს ჩემთვის ორი სანახაობა იმართებოდა — სცენაზე და ბატონი ვახტანგის პირისახეზე. საცეკვაო მთელი პარტიტურა იკითხებოდა მის თვალზე, ღიმილსა, ყვრილობის მოძრაობასა თუ დამუხტულ სხეულზე. ზოგჯერ წინ წამოწეული, ერთიანად დამუხტული, თითქოს სცენაზე გაჭრას ლამობდა, მის სულში ბობოქრობდა ტერპსიქორა! მის სამსხვერპლოზე კი მხოლოდ მოგიზგიზე ცეკვის ოსტატობა გამოჰქონდა თავად და ამასვე ითხოვდა კოლეგებისაგან, ახალგაზრდა მონაფთავან, ბედნიერება მქონდა ახლოს გავცნობოდი მას. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სურვილი მქონდა თეატრის ისტორიის კურსი წამეკითხა რომელიმე სასწავლებელში. შემთხვევამ ბატონ ვახტანგთან მიმიყვანა. მის კაბინეტში ვისხედით. საბალეტო სასწავლებელი უკვე ახალ შენობაში იყო განთავსებული, მაშინდელ პლენხანოვის პროსპექტზე. ძალიან მოკლედ ჩამოვაცალიბე ჩემი პოზიცია: დაკანონებული სწავლება გულისხმობდა უცხოური, რუსული და ქართული თეატრის ისტორიის ცალ-ცალკე გაცნობას. მე კი შევთავაზე თეატრის ისტორიის მთლიანი კურსის წაკითხვა ეპოქების მიხედვით ისე, როგორც განვითარდა ერთიანი დინება — მსოფლიო თეატრის ისტორია, თავისი შენაკადური სისტემით.

ბატონი ვახტანგი ყურადღებით მისმენდა, ახლა მის პირისახეზე მხოლოდ ამ პრობლემის არსის გაცნობიერების სურვილი იკითხებოდა, თან დაჰყურებდა თაბახის ფურცელს, სადაც ჩახაზული მქონდა არსებული მოთხოვნა და ჩემეული პრინციპი. პაუზის შემდეგ ორიოდ წინადადებით გამომიტანა დადებითი „განაჩენი“: „საინტერესოა, დაარღვიეთ კანონი, მე ვიქნები თქვენი მხარდამჭერი, ვფიქრობ, ბალეტის ისტორიაც ასე უნდა იკითხებოდეს. თუ რამე დაგჭირდებათ, მიმსახურეთ. ჩვენ ხომ ვიცნობთ ერთმანეთს“.

არ მეგონა, თუ ვახსოვდა იმ გუნდის წევრი რომ ვიყავი, რომელიც სპექტაკლის შემდეგ ოპერის თეატრის პატარა სკვერში უმართავდა გულთბილ შეხვედრას. ...მასთან საქმიანი ურთიერთობა იოლი გახლდათ!

ჯგუფს, რომელსაც თეატრის ისტორიას ვუკითხავდი, ჩემამდე ბატონი ვახტანგის ვაკვეთილი ჰქონდა. ზოგჯერ იმდენად შედიოდა ცეკვის აზარტში, რომ დროის შეგრძნე-

ბას კარგავდა. ასეთ დროს ფეხაკრეფით შევდიოდი დიდ სარეპეტიციო დარბაზში და იქვე, კართან ჩამოვჯდებოდი სკამზე. ვუყურებდი, როგორ ამეცადინებდა ახალგაზრდა მოცეკვავეთა გუნდს. კარნახობდა მოძრაობებს, ყოველ ილეთს საგულდაგულოდ ხეინდა, ისევ კარნახობდა, ისევ ამეორებინებდა, ისევ ხეინდა... ერთხელ შევესწარი სასწაულს: დიდხანს ამეორებინებდა ვაჟებს ნახტომსა და ბრუნს, კარნახობდა, მკაცრად ტუქსავდა, ისევ და ისევ... მერე გადაიხსნა მოსაცმელი, სამუშაო კოსტუმში გამოწყობილი გაიჭრა დარბაზის შუაგულისკენ და მუსიკის თანხლებით თვითონ შეასრულა ილეთი, მერე „ირმის ნახტომის“ დარად გაკვეთა სივრცე, მერე ტაქტს აყოლილი ბრუნით, მიჯრილი სიმწყობრით ააბრიალა დარბაზი. თავშეკავება გაჭირდა და... უნებურად ყველამ შემოვკარით ტაში, აღფრთოვანების შეძახილით შევყურებდით ბუნების სასწაულს — ჭაბუკიანის ჩამოქნილ სხეულს, რომელზეც ყოველი კუნთი, ყოველი ძარღვი, მოკაშკაშე თვალები, გამაოგნებელი ღიმილი, არტისტული შემართება სულის ყიჟინად იქცა და პატარა დარბაზში უკიდევანო ცეკვის ჭიაკოკონა ააბრიალა! ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ბედნიერებას თავის სახელს ვარქმევ — ბედნიერებაა ბუნების ამ დღესასწაულს ჭვრეტდე!

ყოველი წლის 27 თებერვალს, დილით ქორეოგრაფიული სასწავლებლის სტუდენტობა, მასწავლებლები და ადმინისტრაცია ვიკრიბებოდით. თითოეულს ყვავილების პატარა თაიგული გვეჭირა, უმეტესად იები — გაზაფხულის მოახლოების ნიშანი. კარისკაცი გვაფრთხილებდა — მოვიდაო. ჩვენ ორ რიგად ვმკრივდებოდით, სტუდენტები კიბეზე იდგნენ. შემოდიოდა ბატონი ვახტანგი, შემკრთალი შეავლებდა თვალს ვესტიბიულს, სრულ სიჩუმეში დანთქმულ თანამშრომლებს და... იხუვლებდა შენობა, ტაშითა და ოვაციით გრგვინავდნენ ახალგაზრდები, პედაგოგები, თანამშრომლები. ბატონი ვახტანგი თავს მდაბლად გვიკრავდა, ჰაეროვან კოცნას გვიგზავნიდა, წინ მიწევდა და მთელი გუნდი ყვავილების „ნოხს უგებდა“ გაზადრულ ხელოვანს. მერე კიბის პირველ სავარზე შემდგარს, ახალგაზრდები ფეხქვეშ უგებდნენ ყვავილების „ხალიჩას“, ტაში გრიალებდა, შეძახილები ქუხდა...

მერე ყველანი ვიკრიბებოდით სამასწავლებლოში, იჭრებოდა ლამაზი, დიდი ტორტი, ვსვამდით დიდოსტატის სადღეგრძელოს, ვეფერებოდით, ვკოცნიდით და მასთან ურთიერთობის სიხარულის საზღაურს გულწრფელი სიტყვებით ვუხდიდით, უხვად იღვრებოდა სიხარულის ცრემლიც. ბალღვით ხარობდა ბატონი ვახტანგი და მისი გულგახსნილი გრძნობა სიხალისით იფრქვეოდა ირგვლივ. იმ წუთებში სილამაზისა და სილაზათის ბალნარად გადაქცეული დარბაზი, სიამაყეს ასხივებდა, რა შეძლება ხელოვანის ალალ სიყვარულს, გულწრფელ აღტაცებას, განუყოფელ თავყვანისცემას!

სალამოს კი „დონ კიხოტის“ მაყურებლები ოვაციით ვხვდებოდით ჩვენს კერპს. ფეხზე ამდგარი, მადლიერი, სიხალისის ნეტარებით აღვსილი დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს და ვერ ელეოდა სცენაზე ამაყად მდგარ იუბილარს. მისი ყოველი გამოსვლა სცენაზე დღესასწაულს ბადებდა, მაგრამ ასეთ სალამოს ბატონი ვახტანგის ამაღლებული არტისტიზმით, სულის აღმტაცი სანახაობით, მისი ცეკვის მშვენიერებით მონუსხული მაყურებელი აზანზარებდა დარბაზს და ვერ ელეოდა სცენაზე მდგარ დიდებულებას.

პარტიტიდან, ლოჟებიდან, იარუსებიდან ცვიოდა ყვავილები: ქრიზანთემები, კამელიები, ეძქელები, გვირილები, ყოჩივარდები, მიხაკები, იები და სიყვარულის სიმბოლო — მენამული ვარდები. იუბილარი ყვავილების ტბაში კდემამოსილი იდგა და გამაოგნებელი ღიმილით აჯილდოვებდა თავის მაყურებელს. მერე კი დღესასწაული პატარა სკვერში

გრძელდებოდა. თაყვანისმცემლებით ალყაშემორტყმული ხელოვანი ღიმილის შუქში ხვევდა ნეტარებით აღვსილ ახალგაზრდებს.

საერთო-სახალხო თაყვანისცემას იძიდა შემოქმედი თავისი უბადლო ცეკვის საზღაურად. ხალხი კი შეუცდომელია თავის არჩევანში, მით უფრო როცა ელვარე ხელოვნება ზეაღმტაც ვნებათაღელვას ბადებს.

მთლიანი, ძლიერი, შეუვალი პიროვნება გახლდათ ვახტანგ ჭაბუკიანი. ეროვნულ კულტურას მთელი შეგნებით მსახურებდა და გამოხატავდა ეროვნული კულტურის ხელშეუხებ არსს, ორგანულად გამოსახავდა ეროვნული ხასიათის საერთო ნიშანსაც და ინდივიდუალურ განუმეორებლობასაც. მასში ერთიანდებოდა ჩვენი შეხედულება რაინდობის ინსტიტუტზე, სიყვარულის მგზნებარე ტრუბადურზე, სილამაზის მეხოტბეზე, პროფესიონალიზმის ყოვლისმომცველობაზე. ვახტანგ ჭაბუკიანი ლეგენდად იქცა სიცოცხლეშივე. ამიტომაც ჩვენც შეგვიძლია იაპონელეზებით ვალიაოთ იგი ეროვნული საგანძურის სიმბოლოდ.


ბალეტისთვის გაჩენილმა მოცეკვავემ მამაკაცის პარტიის შესრულებაზე პოეზიის მაღალი რანგის გამოხატულებად აქცია; ლექსის ტკბილხმოვანება, მუსიკის მგრძობელობა უებრო ვნებიანობით „თარგმნა“ საბალეტო ხელოვნების ენაზე; სრბოლას, ნაბიჯს, ნახტომს, ბრუნს გრაფიკული სიზუსტე, ქანდაკების სიმკვეთრე და ფერწერის მრავალფეროვნება შესძინა. ხელოვნების ყოველი სახეობა გრაციოზული ილეთით გამოხატა.

ჩამოქნილი სხეულითა და ცეკვის მომნუსხველობით ამაღლებულ სანახაობას ქმნიდა. მთელი არსებით ერწყმოდა ჰანგს და მოძრაობით მთელი სისრულით გამოხატავდა მუსიკის ჰაეროვნებას, მასში ჩაქსოვილ აზრსა და გრძობას. ამ ყოველივეს ხილულს ხდიდა უზადო მოძრაობით, დახვეწილი ილეთით, სხეულის სახიერებით. ასე იქმნებოდა სიცოცხლის, სიყვარულის, მშვენიერების ხელთუქმნელი ძეგლი. შესაძლოა ჩვენი საუკუნის ქართული კულტურის სიმბოლოდ მივიჩნიოთ ეს ძეგლი. ისიც ფაქტია, რომ მაღლიერმა მასწავლებელმა ჭაბუკიანს სიცოცხლეშივე აუგო ძეგლი, კდემამოსილი ტრფობით გამოარჩია და უკვდავების დიადემით შეამკო.

ჭაბუკიანი ერის რჩეული, ბუნების ნებიერი, განგების ხელდასხმული ხელოვანი გახლდათ. რა ჯილდო, პრემია, ორდენი თუ მედალი შეეტოლება ერის სიყვარულს, ტერპსიქორას გამორჩევას, ბუნების გულუხვობას. მისი ცეკვის დავინყება შეუძლებელია! ის დარჩა, როგორც ჯერაც დაუპყრობელი მწვერვალი, როგორც ხელშეუხები სიდაიდა.

ყველა ეპითეტი, დითირამბი, ქართულ ენაში არსებული აღმატებულების გამოხატველი სიტყვათა კონა უძღურიც კია გამოხატოს ის, რასაც ტერპსიქორასგან ხელდასხმული ჭაბუკიანის ცეკვა ჰქვია. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც ყველაზე მაღალი რანგის ხოტბაც კი სრულად ვერ გამოხატავს და გაგრძობინებს იმას, რასაც ჭაბუკიანის ფენომენი ჰქვია. ადამიანის სხეულისა და პლასტიკის ეს სწორუპოვარი ძეგლი, ჩვეულებრივ ადამიანურ ენაზე გამოთქმულ ახსნას, ანალიზს არ ექვემდებარება, რადგანაც ბუნების ხელგაშლილობის ნაყოფია, შეუდარებელი და სრულქმნილი ბუნების სიუხვით ნაძერწი ქანდაკებაა. ასე მგონია, ბუნებამ შეჯიბრში გამოიწვია ყველა დროის მოქანდაკენი — ფიდაისიც, მიქელანჯელოც, როდენიც... დაამარცხა ისინი, როდესაც ხელის ერთი მოსმით ჩამოქნა ჭაბუკიანის ნატიფი სხეული, აპოლონმა შთაბერა მას სული, ხოლო მესამეტეხმა ზევსმა დაანათლა ძალოვანება. ბუნებისა და ღმერთების რჩეულს მართლაც რას დააკლებს დროის ქროლა!..

XX საუკუნის ქართულ სინამდვილეს ორი კამკაშა ვარსკვლავი, ორი გამორჩეული მნათობი ამშვენებს: გალაკტიონი და ჭაბუკიანი. პოეტი 1921 წელს რომ იტყვის „ეს საუკუნე მეფისტოფელი!..“ ის უკვე გენიოსია. ამავე პერიოდში ხელოვანი სასცენო კვარცხლბეკზედ პიროვნულ და ეროვნულ ღირსებას რომ აღმართავს — ის უკვე გენიოსია. ვახტანგ ჭაბუკიანმა XX საუკუნის ინკვიზიტორთა რისხვის პირობებში ჰარმონიული, ღირსეული, რაინდული სულისკვეთების ადამიანი აღამალა სასცენო ფიცარნაგზე. მან პიროვნებათა გაუფასურების დროებას სცენიდან გადმოაფრქვა ადამიანის გენიის ამაყი სულისკვეთება. ამით აღორძინების ეპოქის ტიტანები შეგვახსენა; ხოლო ცეკვის ენა რუსთაველის, დანტეს, შექსპირის სიტყვის რანგში, მიქელანჯელოს ფერწერისა და ქანდაკების რანგში, მოცარტისა და ბეთჰოვენის მუსიკის რანგში აღამალა. ვახტანგ ჭაბუკიანი მათი ორდენის კავალერია და ნებისმიერი სხვა ნოდება რა მოსატანია ამ ხარისხთან.



ვახტანგ ჭაბუკიანი (ბაიადერა) იმრე კალმანის ოპერეტიდან „ბაიადერა“

ვახტანგ ჭაბუკიანმა მამაკაცის საცეკვაო პარტია ბალერინისას გაუტოლა და სრულყოფილებიანი პარტნიორობით, თვით საბალეტო ხელოვნების ჰორიზონტი განავრცო. ვახტანგ ჭაბუკიანმა პლასტიკის ენაზე სრულყოფილად გამოთქვა ყველა ადამიანური აზრი, ვნება, მისწრაფება, მან თავისი შეუდარებელი ნახტომით, ჰაერში თავისუფალი აჭრით, ორმხრივი ბრუნით სასცენო სივრცე გრანდიოზულ სანახაობად აქცია. ვახტანგ ჭაბუკიანმა შექმნა ეროვნული ბალეტი, ეროვნული საბალეტო სკოლა. მან აღზარდა, ჩამოაყალიბა და დახვეწა თაობათა გემოვნება და პროფესიული თვითშეგნება. მან პირველმა გააცნო უცხოეთს ქართული სამემსრულებლო ხელოვნება.

ის მზად აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, შეგნებულად დადგა ეროვნული ხელისუფლების მხარეზე, ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების უმძიმეს დროს. ვახტანგ ჭაბუკიანი ქეშმარიტად ეროვნული მოღვაწე გახლდათ და სრულიად დამსახურებულად მიუჩინა მას ქართველმა ერმა სამუდამო განსასვენებლად მთაწმინდის პანთეონი, მამა დავითის წმინდა საფარე, ილია ჭავჭავაძის ფერხითი.

თვითმხილველებს დიდხანს ემახსოვრებათ, ხოლო ახალ თაობებს ლეგენდად გადაეცემა, როგორ შემოენთებოდა ვახტანგ ჭაბუკიანი სცენაზე, დახვეწილი ილეთითა და თავბრუდამხვევი ბრუნით როგორ ალაგზნებდა დარბაზს, ტრიუმფატორის ბრწყინვალეობით, როგორი სიღარბისილით იღებდა მონუსხული მასწავლებლის ოვაციას. ჭაბუკიანმა იცოდა საკუთარი თავის ფასი! ჩვენ ესეც გვხიბლავდა სწორუპოვარ ცეკვასთან ერ-



თად. გლოვაც, ტანჯვაც, სიხარულიც გამორჩეულად ჰქონდა განცდილი. გარეგნულ სიმკაცრესა და მიუკარებლობაში მაინც ვლინდებოდა, რა ვნებათაღელვა ბობოქრობდა მის სულში.

თვითონაც ვიყავი მონმე მისი სულისშემძვრელი გლოვისა, როცა დაკარგა ყველაზე ძვირფასი დისნული, ეთერ ჭაბუკიანი. მაშინ გატყდა მისი ძლიერი სული და კარგახანს დაკარგა ცხოვრების ხალისი. იმის მონმეც ვიყავი, როგორი მეფური ღირსებით გაუმკლავდა ფარისეველთა შემოტევას, ერთი ავანტიურისტი უღირს ინტრიგას. მაშინ გავაცნობიერე სილაღე და სიბრძნე ერთი ხალხური სიმღერისა: „მუმლი მუხასა...“ რადგანაც თვალწინ მედგა ჩინებული მაგალითი — მუმლი ვერაფერს აკლებდა შინაგანად თავისუფალ, მთლიან, ღირსიულ პიროვნებას. ის სხვა პლანეტაზე მეუფებდა, ის დაუმარცხებელი იყო.

ვასტანგ ჭაბუკიანმა თვითვე შექმნა საკუთარი ბედისწერა, საკუთარი შემოქმედებითი ბიოგრაფია, ცხოვრების წესი, თავისი ანწყო და მომავალი. ის ისეთ კვარცხლბეკზე ამალდა, რომლის დალაშქვრას ათეული წლები დასჭირდება. ის შინაგანად თავისუფალი პიროვნება გახლდათ, შეუვალიცა და მიუნვდომელიც. მის განსჯასა და შეფასებას ჩვეულებრივი ადამიანური საწყაოთი ვერ შეძლებდი. უმძიმეს სახელმწიფო ტერორის ხანაშიც კი თავისი თავის უფალი გახლდათ. ღმერთების რჩეულს ამქვეყნიური ადამიანური სიავე და უფუნერება ვერას აკლებდა. ის ქედუხრელი იყო!..

ჭაბუკიანი ცეკვავდა და გრძნული მუხტით აღვსილი დარბაზი გაოგნებული შეჰყურებდა სცენას; იმ წუთებში იგრძნობოდა, რომ ტერაპიორა ნებვირობდა ოლიმპოს მთაზე! იმ წუთებში ვრწმუნდებოდით, რომ ადამიანის თვალშეუდგამ შესაძლებლობას, მშვენიერებას, ნიჭისა და ოსტატობის დიდებულებას შეუძლია თავდავიწყებამდე მიიყვანოს მაცურებელი.

ჭაბუკიანი ცეკვავს! ცა განისხნა თითქოს! ზებუნებრივი სხივით ატორტმანდა სცენა. ამაღლებული მშვენიერება განსხეულდა ძებორციელში, მიქელანჯელოს დავითი შეირხა თითქოს! დიონისე და აპოლონი დახვეწებულან თითქოს და მათი შეთანხმებით თვით ღვთიური ჰარმონია ჩასახლებულა მოცეკვავის ჩამოქნილ სხეულში. მისი ნატიფი, ელევაციისათვის შექმნილი, ალვის ხის სადარი ტანი თავისთავად არის ბუნების ხელთუქმნილი ძეგლი, ბუნების ნიჭიერება და ხელგაშლილობის ნიშანი! ბუნებამ ყველა ოსტატი, ყველა მოქანდაკე შეჯიბრში გამოიწვია და... შექმნა სრულყოფილების ბრწყინვალეობა!..

ჭაბუკიანი ცეკვავს! დედამინა გაირღვა! თითქოს მისი ნიალიდან ამოიფრქვა რაღაც უცხო და უცნაური, ფრთააშლილი და კენტავრით ელდად მოვარდნილი, ტერაკოტისფერი ვნებათაღელვა! ეს არ არის პარტიტურით დადგენილი ილეთის, ნახტომის, ორმაგი ბრუნის შესრულება. ეს თვით ღვთიური კადლია, ზმანება და ნეტარებაა. გენი, ჯიმი, ინდივიდუალური მოდის ნიშანი ყოვის მარმარილოსაგან ნაკვეთ სხეულში, მერე იშლება ყოველი კუნთის კრთომა და ფეთქვა; მერე — მაჭრის დუღილი, ჩანჩქერის თქეში, მზის ნათება ცის კაბადონზე, დაბინდული მთვარის ციალი; მერე განრისხებული მეხთამტეხის ელვა და გრგვინვა; მერე — უზენაესი სინატიფით რხევა და კლომა; მერე — მარადიული სიყვარულით მგზნებარება, სიხარულით აღმაფრენა, ბედნიერების ყიჟინი და მთელი სამყაროს გასაოგნებლად აღმოსკდარი სიყვარულის ოდა — თავბრუდამხვევი როკვა. და... აღარ იცი, ამ ენითგამოუთქმელი ნეტარების მიმნიჭებელი ძებორციელი იყო თუ ლურჯი ზმანება მხოლოდ...!

ჭაბუკიანი ცეკვავს! ცეცხლი გიზგიზებს რიტმში, ტემპერამენტში, ცეკვის სტიქიაში, ტერაპიორა ლაღობს ოლიმპოს მთაზე! ახლა ხომ ღმერთების საკადრისი, სადიდებელი დითირამბი, საკრალური რიტუალი სრულდება დედამინაზე. მომაჯადოებლად როკავს დიდოსტატი!.. საცეკვაო ენის უნივერსალობას ვარდისფერ ოცნებაში გადაჰყავხარ და განაშ ხელოვანის ძლევათაღელვებისა...!

ჭაბუკიანი ცეკვავს! გვირგვინოსანი არტისტი შემოენთება მოედანზე! ის მეამბოხეა! ზღაპრული პრინცი და ქართველი მზეჭაბუკიც გრძნული ძალით იბრძვიან, ბობოქრობენ, ბორტებს ამარცხებენ, რაინდულად უყვართ, ტრფიალის ტრუბადურები არიან! ჰაეროვან, ზღაპრულ, პოეტურ მშვენიერებას — ნარნარ ბალერინას ჭაბუკიანმა კდემამოსილი, ძლიერი, ნატიფი და თავადაც ზღაპრული მშვენიერება დაუყენა გვერდით. ის სწორუპოვარი პარტნიორი იყო, მან აამალა არა მარტო კლასიკური ბალეტის ხელოვნება, არამედ მასშტაბური გახდა მამაკაცის პარტია და თვით ბალეტის პოეტური მგზნებარება.

ჭაბუკიანი ცეკვავს! ელიტარული და, ამავე დროს, ერთგვარი ხელოვნების ესპერანტო მან კიდეც უფრო მიმზიდველი, ხელშესახები, საყოველთაო, ამასთანავე, ამაღლებული განცდით წარმოადგინა; ყოველი ილეთის, მოძრაობის, ნახტომის, ბრუნის სახიერება მეტყველი გახდა, სიტყვის ძალოვანებას გაუტოლა; არტისტული ბრწყინვალეობა შესძინა მამაკაცის პარტიას; რაინდული შემართება და ტრფიალის სინაზე გააერთიანა; არტისტული არისტოკრატიზმით, გააზრებულად და ორგანულად წარმოაჩინა სევდა თუ ალტიკინება, ტანჯვა თუ ბედნიერება, ადამიანური ვნებათაღელვის ყოველი ნიუანსი.

ჭაბუკიანი ცეკვავდა! ალტაცების ნიშნად მძვინვარებდა დარბაზი, ყვავილების ჩანჩქერი იფრქვეოდა პარტერიდან, ლოჟებიდან, იარუსებიდან... მაცურებელი ვერ ელეოდა სცენის მშვენიერებას. ის იდგა რამპასთან, თვალეზი უბრწყინავდნენ, პირისახეზე ნეტარი ღიმლის ნათელი დასთამაშებდა. მან იცოდა გამაოგნებელი ოსტატობით რომ შეასრულა საბალეტო პარტია. არა, კი არ შეასრულა, არამედ შექმნა ცეკვით გამოსახული სრულყოფილება... თვითონაც ბედნიერი იყო! მაცურებლისა და დიდოსტატის ასეთი ამაღლებული ერთიანობა იმის ნიშანიც გახლდათ, რომ შემოქმედმა აღზარდა თავისი მაცურებელი, მათში აღმოაცენა ღვთიური ცეცხლისა, ნათელისა და გარინდების, ბობოქრობისა და იდუმალების შთანთქმის უნარი. მაცურებელი მოგიზგიზე ოვაციით მადლიერებას გამოთქვამდა, დიდოსტატი — ბედნიერებას. ასეთი მადლიერებისა და აღიარების სიყვარულისა და სიხალისის შერწყმა იშვიათად იბადებოდა. ის გრძნობდა, მან იცოდა, ბედნიერებას რომ ასხივებდა და უშურველად უნანილებდა თითოეულს გულის სითბოსა და სინაზეს. ეს არტისტიზმის, პიროვნული კულტურის, შემოქმედებითი სიმნიფის სხვა რანგია, უმაღლესი მწვერვალის დალაშქვრის ტოლფასია, კოსმოსის უკიდევანო სივრცეში გაჭრის უნარია, აპოლონისა და დიონისეს თანახმიერებით წარმოქმნილი ხელოვნება!

ჭაბუკიანი დიდხანს, დიდხანს, დიდხანს იდგა რამპასთან, თვითონაც ვერ ელეოდა მაცურებლის მგზნებარე ოვაციას... დიდების შარავანდედი დაჰნათოდა, კდემით, დახვეწილი ეტიკეტით გვეთხოვებოდა... ის ყოველი ფარდის ახდას შეჰხაროდა, როგორც ცისკრის ვარსკვლავს და ცეკვავდა ისე, თითქოს ეს ერთადერთი საღამო ჰქონდა, რომ გამოეთქვა, გამოეხატა, გადმოეფრქვია ვულკანური სიძლიერის ლავა სიყვარულისა, სათნოებისა, მადლიერებისა. მისი ცეკვა თვითვე იყო სტიქია, ბუნების სასწაული და კიჟინი ადამიანის შესაძლებლობის უსასრულობისა.

დიდხანს გრძელდებოდა ეს ნეტარება. მარმარილოს უზადო ქანდაკება იდგა შუქმოფენილ სცენაზე, ნირვანას ტალღა ატორტმანებდა დარბაზს, ტრიუმფატორი იდგა სცენაზე! ღვთიური ღიმლი დასთამაშებდა სანდომიან პირისახეზე. პოეზია, მუსიკა, ფერწერა, ქანდაკება, როკვა ერთიანად გიზგიზებდა სცენაზე... ის იდგა, გვილიმოდა და თვითონაც ნეტარებდა!

ჭაბუკიანი იდგა სცენაზე, ჭაბუკიანი ცეკვავდა!..  
ჭაბუკიანი ჩემი თაობის მელომანთა ხელშეუხები კერპი იყო!..

ნანა კუცია

# იკანკლელი

(ემზარ კვიციანიშვილის „სამსახეობა თამაზ ჩხენკელისა“)

იკანკლელი თურმე ქვევრსაც  
გახეთქავს ბრჯღალით, მაგარია ისე.  
იკანკლელი ჰქვია ვარდის ფესვსო...  
თამაზ ჩხენკელი

ემზარ კვიციანიშვილის „სამსახეობა თამაზ ჩხენკელისა“ (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, „ჩვენი მწერლობა“, 2015, რედაქტორი — როსტომ ჩხეიძე) ცრემლივით გამჭვირვალე, ცრემლივით მსუბუქი და მძიმე წიგნია, „პოეტის სულის შემაკრთობელი სიღრმის“ ამრეკლავი და შუქად გარდამტეხი.

თანამედროვეობის გამორჩეულ მოაზროვნეზე თანამედროვეობის გამორჩეული მოაზროვნის მოსაზრება ყოველთვის საინტერესოა, მით უფრო, თუ მთხრობელი პოეტია, ადამიანეთს „ერთი ცრემლით აღმატებული.“

სადაფოვნის (ცრემლის) და ღვინისფრის (სისხლის) გამაა წიგნის ფერი, „გემოც“ — მაღალ, უნათლეს სივრცეებთან ზიარებისა.

„მარიოტა“ და „მშვენიერი მძლევალი“, „ბჰაგავატგიტა“ და „ინდური ლოტოსი“ ირეკლავენ მთარგმნელს, მაგრამ „სამსახეობას“ სხვა ხიბლი აქვს — მოაზროვნის პიროვნულ პორტრეტს იუნჯებს და სტრიქონთა შორის ისევე ამოიღანდება პროტოტიპ-პროტაგონისტის სულიერი აბრისი, როგორც ლევან ცუცქერიძის გრაფიკულ ფრესკაზე, ყდაზე გატანილზე — გარეგნობითაც გამორჩეული რჩეულის გამჭვირვალე (პორტრეტი თამაზ ჩხენკელის უნივერსიტეტელი მეგობრის, თინა კობალაძის თხოვნით შეუქმნია მხატვარს).

ემზარ კვიციანიშვილის დახვეწილი ინტელექტუალური ესეისტიკა მაინც პოეტური ნიშბით გვირგვინდება, „ნონფიქშენიც“ „ფიქშენის“ სინატიფით აღიბეჭდება და მკითხველი ნებისად მიჰყვება მშვენიერების საუფლოში ჩინებულ მთხრობელს. ერთი ამოსუნთქვით იკითხება ჯიბის წიგნების სერიით გამოცემული მოგონებანი, იმავდროულად სრულფასოვან კვლევადაც რომ აღიქმება.

სათაურშივე აკონკრეტებს მთხრობელი ნარატივის სტრუქტურას — სამსახეობების ხაზგასმით დაკვალიანებული მკითხველი პირველ ნაკვეთში („რაინდული სულის პოეზია“) თამაზ ჩხენკელის ორიგინალური შემოქმედების ემზარ კვიციანიშვილისეულ ანალიზს ეცნობა, მეორე („მხატვრული თარგმანის დიდოსტატი“) მსოფლიო საგანძურის თარგმანების კვლევაა, მესამე კი („ახლოდან დანახული თამაზ ჩხენკელი“) საკუთრივ მოგონებებია, გავიშვებთ, საოცარი პოეტური შუქით განათებული.

„სამსახეობის“ პირველ ხრტილში, ექსპოზიციამდევე აღინიშნება უარსებითესი — „თამაზ ჩხენკელს სიცოცხლეში ერთი ლექსიც რომ არ დაენერა, მთელი მისი არსება და შეუზღუდავი ბუნება პოეზიის შესაგრძობად იყო მომართული, თამაზის ცხოვრება თავად იყო პოეზია.“ ზემოთქმული არც პოეტური ლიცენციაა, არც ჰიპერბოლა — კონსტატირებაა ფაქტისა. მოაზროვნის მოკრძალებული ბუნებითა და პიროვნული პერფექციონიზმით ხსნის ემზარ კვიციანიშვილი, რომ ორიგინალური პოეზიისა მხოლოდ ორი კრებული გამოიცა — „მზებუდობა“ (1980) და „სარკითა და სახითა“ (2002).

„ქართული „გიტანჯალი“ რომ არა, ჩვენი დღევანდელი ვერლიბრი საერთოდ სალექსო ფორმის გარეშე დარჩებოდაო“, ბრწყინვალე პოეტის, დავით წერეთლის მოსაზრებას იმონებებს ემზარ კვიციანიშვილი თამაზ ჩხენკელის შემოქმედების პოეტური სტრუქტურის კვლევისას და დასძენს, რომ „გიტანჯალის“ თარგმანზე „დაშლილი თითხმეტმარცვლიანი, ოთხ- და ხუთმარცვლოვან მუხლედთა თავისუფალი მონაცვლეობა“ მოაზროვნემ თავის ადრეულ, ორმოციანი წლების ლექსებშივე მოსინჯა.

ლექსთა მთავარ ღირსებად „სულისშემხუთავ დროში სამაგალითო თავისთავადობის, მეობის წმინდად შენარჩუნების, საქართველოს ტრაგიკული წარსულის სიყვარულის“ დაუფარავი წარმოჩენა კონსტატირდება. სოლოლაკში სტუმრობისას მესსიერებაში ჩარჩენილ სტრიქონს — „გამოდის ღამე უფლისციხის ტალანებიდან“ — უნატიფეს ხილვად აქცევს მთხრობლის წარმოსახვა — „მზის ჩასვლის შემდეგ ხავერდით დაფენილ, მრუმედ დაფერილ ხრიოკ, გარინდულ გორაკებად ქართლისა“... პოეტზე უკეთ ვინ წაიკითხავს და გაიგებს პოეტს...

სიყვარულითა და აღტაცებით ამოკრებილი სტრიქონები: „მეცარი ტაროსით მონადქეუული უფლისწულები“, „მთვარის კრისტალი, გრილი და წმინდა ჰაერის ჭვირი — რალაც უცნაურ ხილვებით სავსე“, „მზე მილულავდა გოლეულით ავსებულ თვალს“, „სახლში დაგხვდება ნანატრი შვება, მიფარებული ძველ აბაჟურებს“, „დეუ ფუს ჭრიჭინა... — ციდან ჩამოვარდნილი ვარსკვლავის პანანინა მუმი“ მთხრობელსაც უიდემალეს განწყობაზე აყენებს, „დაუნანვერებელი მედიტაციებისთვის“ განაწყობს და, მშრალი კვლევის ნაცვლად, პოეტურის პოეტურსავე პერიფრაზს ვიღებთ — ანალიზთაგან უკეთესს.

ამონარიდები ემზარ კვიციანიშვილისეული ნარატივიდან („საგნებში გამოვლენილი კანონზომიერება“, „ბალის აკაციის ტოტებში დაბუდებული ჭრიჭინას ხმა“, „ბროლივით მონკრიალე, მაგიური სტრიქონები“, „ძველი საუკუნეების მოგვისა თუ სენაკში ღამისმთევველი ბერის გაუტეხელი ნება“...) ნათელი დასტურია, როგორი კრძალვით, მონინებით უნდა იკითხო მაღალი პოეზია, გაბეზდინერდე სხვისთვის გადახსნილი მარადისობის ანამქვერვების სინათლით, რაც უკვე შენიცაა, რაკი შენიანს გაეცხადა.

ლაკონიურ-ლაპიდარული ანალიზის შესანიშნავ ნიმუშად აღიქმება თამაზ ჩხენკელის ლექსის „სურო ჩემს ეზოში“ ემზარ კვიციანიშვილისეული აღქმა: „დაუფლებია წარმოსახვას გულის ფორმის ნიდაგ ზურმუხტისფერი, უცნაურად დაძარღვეული სუროს ფოთლები, რომელთა „ჩრდილში შემკრთალი ბავშვის სიცილსა ჰგავს იასამნების ჩვილი სიმწვანე.“ სურო [პოეტს] ქვესკნელის პირქუშ მცენარედ ჰყავს წარმოდგენილი, რომელიც მაშინ იწყებს აყვავებას, როცა ირგვლივ ყველაფერი დამქანარია. მითოლოგიის უბადლო მცოდნეს არ ავინწყდება, რომ უშორეს წარსულში სუროს ღმერთების გაუზუნარ გვირგვინად წნავდნენ („ოსირისს, ატისს, დიონისეს უკვდავება მოჰქონდათ შენთვის“), ტყუილად როდი ეუბნება აგურის ნესტიან კედელზე მუქად გაბურდულსა და ნაბზარებში კლანჭებრასობილს: „უკულმა წირავს შენი ქურუმი და შენი მზეც უკულმა ბრუნავს... შვეთია შენი სამზეო...“

წუხს პოეტი, პოეტისავე მესაიდუმლე, ანალიზისას არაერთი ჩინებული ლექსი გამოვტოვეო, თუმც თავს მართებულად ინუგეშებს, რომ თამაზ ჩხენკელის პოეზიის „განუმეორებელი მადლი და მომხიბვლელობა“ შეუჩნეველი არ დარჩენია.

„მხატვრული თარგმანის დიდოსტატი“ „სამსახეობის“ პასაჟთაგან ყველაზე მოცულობითია.

მეორე ნაკვეთის კითხვისას ნონა კუპრეიშვილის მიერ ბაჩანა ბრეგვაძეზე თქმული გვაგონდებოდა გამუდმებით: „ყოველდღიურობის დამანგრეველი ზეგავლენისაგან, ამოვებისაგან — მთელი თავისი ატრიბუტიკით — დღევანდელ საქართველოში არავინა ისე საიმედოდ დაცული, როგორც

ბატონი ბაჩანა ბრეგვაძე. მის ჯავშანს კაცობრიობის უმაღლესი გონი ჰქვია“ *[სიტყვის დევუსტაცია, 2013, 499]*.

თარგმნისას (ინდური აღქმით, „ფოთლიდან ფოთოლზე ნამის გადაცურებისას“) სწორედ „კაცობრიობის უმაღლეს გონს“ მიეახლებოდა თამაზ ჩხენკელი, „ბევრს და ხელამოდ თარგმნიდაო“, მოხდენილად შენიშნავს ემზარ კვიციანიშვილი. „მარიოტას“ წინასიტყვაობაში მთარგმნელი ეტიამბლის აზრს დაიდასტურებდა, „ნამდვილად მხოლოდ ის წაგვიკითხავს, რაც გვითარგმნიდაო“, და აღნიშნავდა, რომ სურდა წარმოეჩინა „დროსა და სივრცეში განფენილ, დიდად განსხვავებულ ცივილიზაციასთან და კულტურათა ნიაღვრე ალმოცენებულ პოეტური სამყაროების სუბსტანციური ერთიანობა“ *[მარიოტა, თბ., 1986, 6]*.

ემზარ კვიციანიშვილი ერთგვარი ნეტარებითაც ჰყვება თამაზ ჩხენკელის მთარგმნელობითი მემკვიდრეობის არსებით თავისებურებებზე, დანვრდებით მიმოიხილავს ძირითად ასპექტებს ამ უმდიდრესი საგანძურისა — ტანის ეპოქის (618-907) უდიდესი პოეტის, ბო ძიუ-ის მემკვიდრეობიდან ვიდრე „ვერცხლის საუკუნის“ რუს პოეტებამდის...

პოეტურ კვლევებაში გამოწვევით ანალიზდება არა მხოლოდ ცალკეული ნიმუშები უნატიფესი ჩინური თუ იაპონური პოეზიისა, მრავალი საგულისხმო ფაქტიც კონსტატირდება, მაგალითად, ის, რომ მურასაკი სიკიბუს „გენძი-მონოგატარი“ სულაც ბო-ძიუ-ის სტრიქონებითაა ინსპირირებულ-გაჯერებული. მკვლევარ-ნარატორს არც 1956 წელს გამოცემული თარგმანის ვიზუალის აღნიშვნა გამორჩება — სამუდამოდ დაგამახსოვრებინებს ბო ძიუ-ის წიგნის გარეკანის შავ ფონზე ნითლად გაკლაკნილი ბამბუკის წვრილ ტოტს — ელგუჯა ბერძენიშვილის ნატიფი სულიერების კიდევ ერთ დასტურს *[„სჯობს აღინეროს მოძრაობა, ან ტოტის ჩრდილი. დაე, ხე ამის მიხედვით წარმოიდგინონო“, ნავანოს სემინარზე უთქვამს ფოლკნერს (გულის ჭიდილი საკუთარ თავთან, საუბრები, პაატა და როსტომ ჩხეიძეების თარგმანი, 1999, 71)]*. საგანგებოდაა აღნიშნული მეტრიც — გამოჩენილი რუსი სინოლოგის, ეიდლინის ურითიმო ლექსის პრინციპთა გაზიარება, ქართული პოეზიის კუთვნილებად ქცევა (მესამე ნაკვეთში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ „სანდო მეცნიერული ბნკარედით ბევრად უფრო გამართლებულია ჩინური პოეზიის თარგმნა, ვიდრე ურთულესი ჩინური ენის შესწავლა შეგვძლებინებს“). ემზარ კვიციანიშვილი სიყვარულითა და სინანულით ამოწერს თამაზ ჩხენკელის სიყვარულის მეგობრის, ნადრევად დაღუპული კარლო ქილარჯიანის წინასიტყვაობასაც, რომლის კვინტესენციად გაიჟღერებს ამონარიდი: „სულიერ განწყობილებათა უფაქიზესი ნიუანსებისა და პეიზაჟის მინიატურული დეტალების დახატვაში ბო ძიუ ი-ს ბადალი არა ჰყავს... მონუმენტური შეიძლება იყოს მხოლოდ განწყობა“.

გემოვნებით შერჩეულ მედიტაციურ ლექსებზე აზრის გამოთქმისას მრავალგზის კონსტატირდება აზრი, რომ „ყოველგვარი სურვილი გეკარგება, გამოზომილად, მომჭირნედ ნათქვამს რაიმე დაამატო. გასაშიფრავი აქ არაფერია და, რასაც თვალს სუნთქვამეკრული, მღელვარედ ჩააყოლებ, სამუდამოდ გამახსოვრდება.“ უზუსტესი და ლაკონური რეზიუმეა.

თარგმანში მსუბუქ ორონიასთან შეზავებულ ლირიზმსაც აფიქსირებს პოეტი-მკვლევრის ფაქიზი სმენა, „კლასიკურ სისადავესთან ბედნიერად შეზამებულ ენითუთქმელ იდუმალებას“, ახარებს, აბედნიერებს ცნობილ ენიგმათა ხილვა უჩვეულო, უცვთვ კონტექსტში (მაგალითად, მოლაღურის ეპითეტად „ენამრავლის“ შერჩევა), თითქოს თვითონაც გაეჯობებოდა ბრწყინვალე მთარგმნელს პოეტური ეტიუდების თხზვაში (განა, კომენტარზე მეტად, უფაქიზეს აკვარელად არ აღიქმება შთაბეჭდილებები: „სიზმარს გვაგონებს შორეულ სავანეში ნაგვიანევი გაზაფხულის თვალისმომჭრელად აბრიალება“, „დაცვილი ყვავილთა ველი“ ან „ფოთოლცვენის ჟამის ღამე-

ული პეიზაჟი“?) თვითმკმარ პოეტურ ვიზიონად აღიქმება კომენტარიც: „შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ცვრის ბროლივით წვეთებსა და ეზოს პატარ-პატარა გუბებში უთვალავგზის ირეკლება ღამის კაშკაშა მნათობი, რაც დაუჯერებელ სილამაზეს ქმნის“; სხვაგან სხვა არსებით დაკვირვებასაც შემოგვთავაზებს — „პოეტი წელიწადის დროთა პერსონიფიცირებას ახდენსო“ და მერამდენედ რწმუნდება, რომ პოეზიაზე სწორედ განდობილები — თავად პოეტები უნდა წერდნენ.

ლექსთა სათაურებსაც კრძალვით ამოწერს, როგორც უნატიფესი პოეტური სულისთქმის დასტურს („გოდოლი, საიდანაც გამგებრებულთ უმზერენ“, „ძველი სახლი“, „ეზოში, ცრილოვან ღამით“...), საინტერესო პარალელებს დაძებნის ლი ბოსა და დუ ფუს გადასახლება და ოვიდიუს ნაზონის ექსორიას შორის, მიაყურადებს დაოსურ ლოცვანთან განმარტოებული პოეტის ტკივილს, ლექსად დანურულს...

პოეტი-მკვლევარი ვან ვეის, ლი ბოსა და დუ ფუს თუ ძველი იაპონიისა და კორეის უნაზესი პოეზიის თამაზ ჩხენკელისეული ბრწყინვალე თარგმანებიდან (კრებული „ძველი ჩინური, იაპონური, კორეული პოეზია“) მხოლოდ სამიოდე ხოკუს ამოწერს დანაწებით მთარგმნელის კონგენიალურობის დასტურად:

„ო, კალიების მდევნელო ჩემო, ან რა უცნაურ ქვეყანაში შეიკობენია?!“

„ჰა, მთელი დღეა წყალზე დაფრენს და იჭერს თავის ლანდს ნემსიყლაპია...“

„ჰოი, განგებავ უმონყალო!“

ამ დიდებული მუზარადის ქვეშ ახლა პატარა მწერი ჭრინებს.“

საგულისხმოა, რომ რეზო ინანიშვილიც სულის საღებუნად მეორე ხოკუს ამოწერს თავის მინიატურაში „ბზიფის შესართავი“ *[პატარა ბიჭი გოლგოთაზე, 1989, 160]*.


ჩინური საგანძურის თამაზ ჩხენკელისეული თარგმანების უკეთეს შეფასებად ემზარ კვიციანიშვილი ფრიდონ ხალვაშის ლაკონურ ციტატას დაიმონებს, „გეგონება, ჩინელი ჩვენებულებად წერდაო“.

თამაზ ჩხენკელის მთარგმნელობითი მემკვიდრეობის გვირგვინად ემზარ კვიციანიშვილი მართებულად მიიჩნევს ხუთასგვერდიან „ინდურ ლოტოსს“ (2006), რომელიც მოიცავს რაბინდრანათ თაგორის „გიტანჯალის“, „თამილურ ჰიმნებს“, „ბენგალისა“, „ნალადიარს“... პოეტი-მკვლევარი ამოწერს უნატიფესი საგალობლების კონგენიალურ თარგმანებს, იგემოვნებს და ტკბება სიტყვით, მთარგმნელობითი ოსტატობის, მეტიც, დიდოსტატობის ნიმუშებად ამოწერს ფრაზა-კონსტრუქციებს („სიტყვა საგალობლად ვერ მოვაქციე“, „ნისლმეზურვილი ვერ განმჭვრიტა შენმა შუქმა, ვერ შემაზავა შენს ნათელთან“...), წერილთა კრებულ „ბენგალის“ შთაბეჭდილებებს ორტეგა ი-გასეგის ესპანური ესეებით აღძრულ ემოციებს ადარებს, მოჯადოებულაა პანია ჩიტის სიკვდილის მისტერიული აღქმით, აოცებს „ბუნდოვანი მოგონებანი, როდესაც დედამინა და ადამიანი ერთ მთლიანობას წარმოადგენდნენ.“ ინდოელი ბრძენის სამყარო „გველისმჭამელისა“ და ქართული ხალხური ზღაპრის, „მინა თავისას მოითხოვს“ საკრალურ, იდუმალ სივრცეებს მოაგონებს, ქრონოტოპოსის ილუზორულობის დასტურად სპარსულ ზღაპარს მოიხმობს, „გიტანჯალში“ კონსტატირებულს, ასევე — სვამი ვივეკანანდას ესეის „მაია და თავისუფლება“

საპირწონედ „მონოტონური და განთხეული პროზისა“ თაგორი „ზომის ვინრო კალაპოტს“ დამორჩილებულ პოეზიას წარმოსახავს და ეს კონტრასტი რელიეფურად წარმოჩნდება „სამსახეობის“ პასაჟებში. საგანგებოდ ამოუწერია ემზარ კვიციანიშვილს ციტატა „ინდურ ლოტოსში“ წარმოდგენილი დიალოგიდან თაგორსა და აინშტაინს შორის: „აბსოლუტური ჭეშმარიტება მხოლოდ პიროვნების უსასრულობა-

ში დანთქმის გზით შეიმეცნება. ასეთი ჭეშმარიტება არ შეიძლება მეცნიერებას განეკუთვნებოდეს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს პოეტი-მკვლევარი „ინდურ ლოტოს-შივე“ ფიქსირებულ აზრს ვივეკანანდასი, რომ „ყოველ ერს, ყოველ ცალკეულ ადამიანს, სიცოცხლის საფუძვლად უდევს ერთადერთი თემა, ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემო ჰარმონიის ყველა ბგერა იკრიბება. თუკი ერი მას უკუაგდებს, უკუაგდებს საკუთარი ცხოველმყოფლობის პრინციპს, საუკუნეთა მიერ გადმოცემულ გეზს, ეს ერი კვდება.“ ქართველებმა უნდა გავისიგრძეგანოთ, რომელია ჩვენი „ცენტრალური ბგერა“, თავორის ჩხენკელისეული თარგმანით ინსპირირებული, არსებითს ჩაულრმავდება „სამსახეობის“ ავტორი.



„უპანიშადებისა“ და „ბჰაგავატგიტას“ ნერუსეული კომენტარები „სამაგალითოდ“ ცხადდება და სამაგალითოა მათი თამაზ ჩხენკელისეული თარგმანიც. ცალკე პასაჟად ჩნდება ინდური ბჰაქტიზმისა და მუსლიმანური სუფიზმის ტრადიციების ბენარესელი ქაბირისეული სინთეზიც, „რომლის ნიაღშიც უმციურესი განსხვავების ნიშანწყალიც წარხოცილია.“

„ინდური ლოტოსიდანა“ ამონერილი „ბჰაგავატგიტას“ უნივერსალურობის დვრიტა — „ნინსვლის გზა ტანჯვისა და თავის დათრგუნვის გზაა.“

გიტას თვრამეტი თავის ერთგვარი კონსპექტი თუ სინოპსისი „სამსახეობის“ მეორე ნაკვეთშია წარმოდგენილი, ხაზგასმულია თარგმანის „ზომიერად არქაიზებული ენა“ და საერთო მხატვრულ ქსოვილს „ბედნიერად მორგებულ-მისადაგებული რუსთველისეული კონსტრუქციები.“ ორიგინალის სიტყვათა ქართულ თარგმანში შენარჩუნებაც დედნისეული სურნელის დასაუზუნებელ ხერხად მიუჩნევა პოეტ-მკვლევარს.

თარგმანის ლაპიდარულობის დასტურად მოხმობილი უამრავი მაგალითიდან ერთ-ერთს ამოვწერთ:

„ათასთა შორის ერთი თუ იპოვება სრულყოფის მონადინე; მონადინეთა და ზიარებულთა შორის ერთი თუ იპოვება ჩემი მეცნაური...“

მე ვარ წესი მსხვერპლშენივრისა, მე ვარ მსხვერპლი, მე ვარ ზედაში, წინაპართათვის შეწირული, მე ვარ ფესვი და მანტრა...“

მეორე ნაკვეთის ბოლოს ემზარ კვიციანიშვილი მოკლედ მიმოიხილავს მოაზროვნის უვრცეს სამთარგმნელო არეალს (პუშკინის „მცირე ტრაგედიები“, ბლოკის, პასტერნაკის, ახმატოვას, ცვეტაევის ლექსები, მიცკევიჩის „ყირიმული სონეტები“) და ასკვნის, რომ „თამაზ ჩხენკელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის სრულად, ამომწურავად შეფასება მომავლის საქმეა.“

„სამსახეობის“ უკანასკნელი, მესამე თავი („ახლოდან დანახული თამაზ ჩხენკელი“) ლოგიკურად ებმის პირველ ორ ნაკვეთს, ნათლად წარმოაჩენს, როგორ „ჰგავს“ გამორჩეული პიროვნება თავისსავ შემოქმედებას, როგორ იმეორებს ფიზიკური ეგზისტენცია სულიერ ნიაღსვლებს.

კიდევ ერთხელ ჩამოითვლება თამაზ ჩხენკელისეული ფოლიანტები: „ტრაგიკული ნიღბები“ თუ „წერილები ვაჟაზე“, „მწვანე ბივრიტი“ თუ „ცხოვრების მთავარი ნიგნი“ (დეფინიცია ემზარ კვიციანიშვილისეულია) — „ლაზარე, გამოვედ გარე!“

„მწვანე ბივრიტი“ მოხაზული აბრისები გრიგოლ რობაქიძისა, შალვა ნუცუბიძისა, კონსტანტინე გამსახურდიასი, გიორგი ლეონიძისა, პავლე ინგოროყვასი, სიმონ ჩიქოვანისა, ტიცინა ტაბიძისა, სერგო ქობულაძისა, დენა შენგელაიასი, ლადო მესხიშ-

ვილისა, ბიძინა ნანიშვილისა, სიმონ სხირტლადისა, ოთარ ჩხეიძისა, ზურაბ კაკაბაძისა, ჭაბუა ამირეჯიბისა, გურამ ასათიანისა, სარგის ცაიშვილისა, არჩილ სულაკაურისა, რევაზ თვარაძისა, ოტია პაჭკორიასი, გივი მალულარიასი, აკაკი ბაქრაძისა, ოთარ ჭელიძისა, შოთა ჩანტლაძისა, გივი გეგეჭკორისა, დავით ჭყონიასი, ვერა თევზაძე-გაბლიანისა ნათლად ადასტურებს, „რა განძი გვექონია, რა მხნე, რა მდიდარი“, რა დაუმარცხებელი იყო სულიერად სხვის გოდლოში ძალადრამუნებული ქვეყანა.

ჭაბუა ამირეჯიბზე თქმული თავად თამაზ ჩხენკელზეც განივრცობა — „ბიოლოგიურ-რასიული გამძლეობა, უდრეკობა, წინაპართა მეომრული კასტის მიერ აკუმულირებული ძალის აფეთქება, ქართულ სიტყვაში განსახიერებული“...

ჭაბუა ამირეჯიბის დაწინებითვე სამთავისის ტაძარს წვეულს, ლომის ბარელიეფის მზირალს, უფიქრია თამაზ ჩხენკელს, „მსგავსი მსგავსისკენ მიისწრაფისო“ და ამ ენიგმაშიც ცნაურდება თაობის უკეთეს წარმომადგენელთა სულიერება.

მერაბ ფირანიშვილის მიერ ძველი სალოცავის ალაგას ახალი საყდრის აგებაც ენიგმურ ქმედებად აღიქმება და ემზარ კვიციანიშვილი გაიმეორებს თამაზ ჩხენკელისეულ, უზუსტეს შეფასებას მამულიშვილური ღვაწლისა — „ახალი თვალი გაუხსნა დაბრმავებულ პეიზაჟს.“

„ვარდის ფესვს იკანკლავი ჰქვია, ქვას გახეთქავს ბრჯღალითო“ — ლექსის სტრიქონად უქცევია გურიაში გივი ძნელაძის დედის მიერ თქმული პოეტ-მოაზროვნეს. თეითონაც იკანკლავს ჰგავდა, „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქის“ მშვენიერების მსახურებით განმქარვებელი და ასეთადაც იხატება „სამსახეობაში.“

„სიამოვნებით ვიგონებ მყოფდრო, ჭერმალალ ბინას სოლოლაკში“, სევედიანი სიყვარულით ჰყვება გარდაცვლილ მეგობარზე ემზარ კვიციანიშვილი, იგონებს ხილიანის ბინაში კარზე გაკრულ რეპროდუქციას ვან გოგისა „ოვერის პეიზაჟი ნანვიმარზე“, თემურ მაღლაფერიძის სახსოვარს, და მესხიერების სარკეში ისევე რეფლექსირდება გენით, გონით, გარეგნობით გამორჩეული მოაზროვნის პორტრეტი, როგორც ველასკესის „მენინების“ სარკეში არისტოკრატიული ოჯახი — ერთგვარი ორმაგი, ლამის პოსტმოდერნისტული კოდირებით.

მესხიერება იუნჯებს აბრისს ლალი, უშურველი, ლამაზი კაცისა, რომელსაც არაფერი ენანებოდა „სულით ტოლთათვის“ — ემზარ კვიციანიშვილს ანდრეი ბელის რარიტეტულ კრებულს უსახსოვრებდა, ანა კალანდაძეს — ფარარის „იესოს ცხოვრებას“, ორთაჭალის ციხეში, რისკის ფასად, მოინახულებდა ოტია პაჭკორიას, შესანიშნავი პროზაიკოსის, მაკა გოგუაძის რომანს, „ერზაცი ისევ ხუმრობს“ ჩაულრმავებოდა, პროფესიონალთათვის ნიშნული თავმდაბლობით იტყოდა, „ზოგიერთ ეპიზოდში ისეთი უღრმესი პლასტები და ხვეულებია, ინდური ფილოსოფიისა და რელიგიის ჩემეული ცოდნა არ ეყოფაო“, მეგობარს გადანახულ ათლარიანს აჩუქებდა, გამოუხსნორებელი რომანტიკოსი კი პურისათვის ნაჩუქარი ათლარიანი ნამებაში მოკლული პოეტის, კლიუევის წიგნს შეიძინდა ბუკინისტთან...

ლალი და უშურველი იყო ტრაპეზიც — „მცირედითა სამვებლითა ფრიად იშვებდისო“, აგრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში კონსტატირებულს მიმსგავსებული — ღვინითა და შემწვარი ბადრიჯნით, ხანაც ოსტატურად შექმნილი ლობიოთი უმასპინძლებდა განდობილთ კეთილი მასპინძელი. ან რა მწარედ და ლალად ხუმრობდნენ, პოეზიის ნამდვილი სახელი „ჩამოფასებული საქონელიაო...“ ლალი იყო რჩეული სამსახურ-

მიც — იყო შაშვი მაგალობელის“ გმირივით თუ შეივლიდა ინ-სტიტუტში, მაგრამ სავალდებულო წლიურ თემად ნაუცბათევე „ხალტურას“ კი არა, უმაღლესი სინჯის მეცნიერულ ნაშრომებს აბარებდაო — ესეც „სამსახეობის“ პასაჟია...

კითხულობ ამ საოცარ ტექსტს და ხედები, რომ „საქმე დროში როდი, თავად ჩვენშია“ (დოსტოვესკი), რომ სულის-შემხუთავ საბჭოურ სივრცეშიც კი ერის საუკეთესო შვილები არასოდეს მოქცეულან საბჭოელებად. დასტურად გიორგი ლეონიძის თხოვნაც იკმარებდა თამაზ ჩხენკელისადმი, „ხანდახან მაინც გამოჩნდი სამსახურში, ხალხს ნუ ამოლაპარაკებ, შენზე ნაკლები რომანტიკოსი და მეოცნებე არც მე ვარო“, ან ირაკლი აბაშიძის ალალი გაოცებაც, ხილიანზე თამაზ ჩხენკელის სამუშაოდ განმარტობის ამბავი რომ შეუტყვია, „გენიოსი ყოფილხარ, რანაირად მოახერხე, ბიჭო, მაგო“...

ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა ამგვარი განდობილებით, დახვეწილი, რაფინირებული ადამიანებით, „დარღვეულ დროთა კავშირს“ რომ კრავდნენ მაღალი აქ-მყოფობით, „სხვა საუკუნის გვიანი მგზავრებით“ ადასტურებდნენ ნარუჯალ ღირებულებათა მარადიულობას, გულმოკლულნი რომ შეიკრიბნენ ნოემბრის თვეში გარდაცვლილი მეგობრის ძვალთშესალაგთან, დამწუხრებულნი და უნუგეშონი. ერთად დაიტირეს „დაღუპული ადონისი“ თუ „შავი ზღვის გაყიდული თუ გაუქმებული ფლოტის ადმირალი“ (ემზარ კვიციანიშვილისეული ასოციაციები) ჭაბუა ამირეჯიბმა, ელგუჯა და მერაბ ბერძენიშვილებმა, ლანა ლოლობერიძემ, ზაირა არსენიშვილმა, ზურაბ ნიჟარაძემ, გოგი ოჩიაურმა, შალვა კვინიტრაძემ, ნოდარ ცერცვაძემ, გურამ ბარნოვმა, დიტო წვერაგამ, რამაზ პატარიძემ, ნოდარ ებრაღიძემ, ჯანსუღ ჩარკვიანიძე, ვახტანგ ჯავახიძემ, ზურაბ კიკნაძემ, მანანა გიგინიშვილმა, გივი შაჰნაზარმა, ზაჩანა ბრეგვაძემ, გურამ გოგიაშვილმა, დათო წერეთიანიძე, თორნიკე კოპალეიშვილმა, გენო კალანდიამ, თამაზ ნივნივაძემ, ვიქტორ რცხილაძემ, გურამ ბენაშვილმა, თამაზ ტყემალაძემ, თეიმურაზ დოიაშვილმა, ლევან ბრეგვაძემ, გია ალიბეგაშვილმა, როსტომ ჩხეიძემ, გია ჯოხაძემ, მერაბ ლალანიძემ, ანდრო ბედუკაძემ, უჩა შერაზადაშვილმა, ანდრო ბუაჩიძემ, მაკა ჯოხაძემ...

ივანე ამირხანაშვილის გამოსათხოვარ სიტყვაში ერთგვარად რეზიუმირდება თამაზ ჩხენკელის უსამანო ღვანლი და ამადაც დაიდასტურებს ციტატას ემზარ კვიციანიშვილი „სამსახეობაში“: „ალარ არის დრო, როცა თამაზ ჩხენკელი ჩვენთან იყო. მთელი ეპოქა, მთელი თაობის გამოცდილება იგულისხმება ამ დროში, რომელიც იმითაც არის უნიკალური, რომ გამეორებას არ ექვემდებარება.“

სიყვარულითა და სილბოთი იგონებს ემზარ კვიციანიშვილი თამაზ ჩხენკელის უღამაზეს „პოეტურ ახირებას“ — ნითელ-ყვითელი ფოთლებით გადაჭრელებული ეზოს დაგვის უფლებას არ აძლევდა მეუბოვეს, ასე უნდა დარჩესო (ამ პასაჟს საგანგებოდ ამონერს წინასიტყვაობაში როსტომ ჩხეიძე, როგორც პიროვნების სულიერების უკეთეს დასტურს, და სინანულით იმასაც დასძენს, თამაზ ჩხენკელს ავტობიოგრაფიული თხზულება არ დარჩენიაო)...

უყვარდა ბივრიტის (ხასხასა მოლის) ფერიც — აკი იმ ქვეყნის მკვიდრი იყო, რომელიც „გვაქვს უთვალავი ფერთა“...

ემზარ კვიციანიშვილი დიდი პატივისცემით მოიხსენიებს მოაზროვნის ღირსეულ ოჯახს — „იდეალურ, ყოველმხრივ ხელშემწყობ, თავშენიერულ ნათელეს — ლილი გოგიასა და ქალიშვილებს, გვანცასა და ნათიას“, წარმოაჩენს სილუეტებს იმ ადამიანებისაც, ოდესმე რომ გადაუკვეთიათ თამაზ ჩხენკელის ნათელი გზასავალი. ისიც კონსტატირებულია, რომ ოჯახმა „თიბისი ბანკის“ თანადგომით 2013 წელს გამოსცა თარგმნილ პუბლიცისტურ წერილთა კრებული „თვალსაწიერი“ ...

[ერთი მოკრძალებული შენიშვნაც — უნათლეს წიგნში ერთადერთ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, ავტორისადმი

ჩვენი უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის მიუხედავად — ვფიქრობთ, ვინც უნდა ყოფილიყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი, თუ ის ეროვნულ იდეას უერთგულებდა, იმპერია ისეთსავე განაჩენს გამოუტანდა, როგორც გამორჩეულ მამულიშვილსა და ინტელექტუალს — ზვიად გამსახურდიას — აუცილებლად შეუსევდა რომელიმე „ტრიუმფირატს“ და ყბადალებულ „მეხუთე კოლონასაც“, რომელთა მოძიებაც, სამწუხაროდ, ჩვენში ყოველთვის ძალზე იოლია].

ხომ ასეთი გამჭვირვალე და ნათელი წიგნია „სამსახეობა თამაზ ჩხენკელისა“, ავტორი მაინც გრიგოლ ორბელიანივით წუხს, „ან ის, რაცა ვთქვი, რადა ვთქვი, თუ რაც მიხდოდა, ვერა ვთქვიო“, ეცოტავება „ინტელექტის“ ძალისხმევით გამოცემული „ასი ლექსის“ საკუთარი წინასიტყვაობაც, ლექსი-რეკვიემიც („ადონისის დაღუპვა“), „თანმიმდევრობა ვერ დავიცავიო“, ლამაზად ფორიაქობს „სამსახეობის“ თხზვისას, მაგრამ სულ სხვაა მადლიერი მკითხველის განცდა და ემოცია — ნათელ სევდას, ბივრიტისფერ თუ ძონისფერ მელანქოლიას ტოვებს სულში უმშვენიერესი წიგნი, ჩინებული ნიმუში, როგორ უნდა ელაციცებოდეს კულტურული ქვეყანა თავის უკეთეს შვილთა ხსოვნას, რა მშვენიერია, როცა წანისლულ ღირებულებათა ჟამსაც გახსოვს მთავარი, ემსახურები, ენირები და ბედნიერი ხარ.

„სამსახეობა“ სიყვარულის წიგნია, მზისფერი რეკვიემი მზისფერი სულისთვის, მზისფერივე სულის ნათხზი, თითქოს მზა სცენარიც მშვენიერი დოკუმენტური ფილმისათვის, ახალთაობას რომ ჭეშმარიტი მამულიშვილის სილუეტს წარმოუჩენს და მარადი-ულს შეახსენებს - „განწირულის სულის-კვეთება“ არასოდეს ჩაივლის „ცუდათ“, იკანკლავი ქვასაც გახეთქს ყველაზე უღმერთო ჟამსაც, ყველაზე „მონსტრუოზულ“ (ბროდსკი) სახელმწიფოშიც კი...

**კონკურსი**

**ჟურნალი „ჩვენი მხერლობა“ და აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ქალაქ თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს თემაზე**

**„მზით დაფარილნი“ (პრი და ეროვნული გმირი)**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ყველა საჯარო და კერძო სკოლის VII - XII კლასის მოსწავლეს და უცხოეთში მცხოვრებ „საკვირაო სკოლის“ მსმენელს.

საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილი იყოს გამოკვლევა (10 ნაბეჭდი გვერდი), ესე, ვიდეოფილმი, ლექსი, მოთხრობა (არა უმეტეს 10 გვერდისა), ფოტოალბომი...

კონკურსი ჩატარდება ორ ტურად: სასკოლო ტური-მარტში, დასკვნითი ტური-მაისში.

დასკვნით ტურზე მასალის წარმოდგენის ბოლო ვადაა 15 აპრილი. ნაშრომს უნდა ახლდეს წარმოდგენის (სკოლის, პედაგოგის, კლუბის...) რეცენზია-რეკომენდაცია.

**დანვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: ნუგზარ მოლაშვილი**

**ტელ: 2 53 43 10, მობ: 551 33 03 53, 577 388439 ელ. ფოსტა: nugzarmoli@gmail.com**

ამ წლის 19 თებერვალს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნის სახლში „ლიგამუსი“ გამომცემლობა „ინტელექტის“ ინიციატივით (გამომცემლობის დირექტორი, ნობელის პრემიის ლაურეატების საგამომცემლო პროექტის ავტორი **პანკაძე კუდავა**; „ინტელექტისა“ და „არტანუჯის“ საგამომცემლო პროექტთა კოორდინატორი და მთავარი რედაქტორი **ზვინაძე კვარაცხელია**) გაიმართა პრეზენტაცია ჩინელი ნობელიანტი მწერლის **მო იენის** წიგნისა „**ლვინის ქვეყანა**“ (მთარგმნელები **ალექსანდრა ლატარია და ანზორ აბაშანაძე**, რედაქტორი **პანტაან ბახტაძე**).

ვახტანგ ბახტაძე

## მო იენის „ლვინის ქვეყანა“: გენიალური მორალიტი

ეს წიგნი „ინტელექტმა“ გამოსცა, ერთ-ერთმა საუკეთესო გამომცემლობამ საქართველოში. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ის გამოირჩევა მრავალფეროვანი, საჭირო, სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა გამოცემით, თანაც მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. სასიხარულოა ისიც, რომ მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა და სიძნელეებისა, გამომცემლობა კვლავ აქტიურად აგრძელებს თავის მოღვაწეობას და გვჯერა, მომავალშიც ბევრჯერ გაახარებს მკითხველებს ახალ-ახალი და საჭირო წიგნებით.

ახლა რაც შეეხება „ლვინის ქვეყანას“.

როდესაც ჩინეთზე ჩამოვარდება საუბარი, პირველ რიგში ის სტერეოტიპები გვახსენდება, რაც თანამედროვე ჩინეთის შესახებაა დამკვიდრებული. კერძოდ, რომ: ის არის კომუნისტური ქვეყანა; რომ იქ მოხდა კულტურული რევოლუცია, რასაც უამრავი ნეგატიური მოვლენა მოჰყვა, და სხვა და სხვა.

ამ ნეგატიურ სტერეოტიპთა საპირწონეს ჩინეთის უმდიდრესი და უძველესი კულტურა წარმოადგენს. ამ საპირწონეზე ძვეს გამორჩენილი ჩინელი მწერლის, 2012 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის მო იენის შემოქმედებაც, კერძოდ, რომანი „ლვინის ქვეყანა“, რომელიც დაწერილია 1992 წელს.

ჰერმან ჰესე უძველესი ჩინური ლიტერატურის შესახებ ამბობს: „ოცდაათზე ცოტა მეტი წლისა ვიყავი, როდესაც გავიგე, რომ არსებობს მშვენიერი ჩინური ლიტერატურა და განსაკუთრებული, ჩინური განსტოება ადამიანური მოდგმისა და სულისა, რომელიც ჩემთვის ძვირფასი და საყვარელი გახდა, იგი ჩემთვის იქცა სულიერ თავშესაფრად და მეორე სამშობლოდ.“

გერმანელი მწერლის ეს შეფასება უმდიდრესი და უძველესი ჩინური კულტურის შესახებ გვახსენდება, როდესაც მო იენის ამ უაღრესად საინტერესო რომანს ვკითხულობთ, თუმცა ის თანამედროვე ჩინეთს ეხება.

„ლვინის ქვეყანა“ მოიცავს ერთმანეთთან ღრმა კანონზომიერებით დაკავშირებულ დღევანდლობას, ისტორიას, ლეგენდებს, ხალხურ ზღაპრებს, საერთოდ, ქვეყნის კულტურის თითქმის ყველა გამოვლინებას. ალბათ, ყველა ქვეყანაში, ჩვენთანაც, საქართველოში, ყველა ადამიანი, მათ შორის მწერალიც, თავისი ქვეყნის ისტორიის, კულტურის ქვეცნობიერი მატარებელია. უმეტესად ეს ღრმა კავშირი გაუცნობიერებელია, მაგრამ ნამდვილად არსებობს. და ეს ღრმა კავშირი მო იენთან განსაკუთრებული რელიეფურობითა და ოსტატურად არის განხორციელებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ რომანის ძალზე ფანტასმაგორული და აბსურდული პასაჟებიც ისეთი რეალისტური შტრიხებითაა გადმოცემული, თითქოს XIX საუკუნის ევროპულ რომანს კითხულობდე.

იაპონელი მწერალი კენძაბურო ოე მის შესახებ წერს:

„თანამედროვე ჩინეთის გამოჩენილი მწერლის მო იენის ყველა რომანმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა მთელ მსოფლიოში. ყოველ მის რომანში კარგად ჩანს მისი გამორჩეული ნიჭის სიღრმე და თვალსაჩინოა.“

„ლვინის ქვეყანა“ არა უბრალოდ გასაოცარი ნაწარმოებია, არამედ ახალი შემოქმედებითი სტილის ნიმუშს წარმოადგენს, რომლის მიღწევაც არც ისე ადვილია ჩვენს დროში.

მო იენის ამ სტილისათვის დამახასიათებელია არაჩვეულებრივი, ორიგინალური ხატოვანება, უსაზღვრო წარმოსახვა, გადაჯაჭვული მითოლოგიასთან, და თხრობის სხვადასხვა ფორმის ოსტატური ფლობა.

„ლვინის ქვეყანა“ — ესაა მორალიტი, იგავი, ისტორიული ალეგორია და აბსურდის ლიტერატურის შედევრი ერთად აღებული.

ღრმა ფილოსოფიური და პოლიტიკური მხრეტქესტით ეს რომანი არა მხოლოდ ჩინეთის პრობლემებს ეხება და არა მხოლოდ ჩინური კულტურის კუთვნილებათა, არამედ მთელი კაცობრიობისა.“

ერთი კრიტიკოსი წერს: „ლვინის ქვეყანა — რომელი ქვეყანაა ეს? რა თქმა უნდა, მო იენი ჩინეთზე წერს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ალექტავთ ეს რომანი პირდაპირი მნიშვნელობით: ყველაფერი სიმბოლურია პირველიდან უკანასკნელ სიტყვამდე. თუ უბრალოდ ნაიკითხავ და თავს არ შეინუხებ ტექსტის გაშიფრვით, გეგონება, რომ კითხულობ რალაც ბოღვას, ჰალუცინოგენურ სინამდვილეს.“

მოიყვან კიდევ ერთი კრიტიკოსის აზრს: „ლვინის ქვეყანა“ მკითხველს ატყვევებს თავისი გენიალური ბურლესკით, გროტესკული ფორმებით, უნიკალური სტილითა და ნიჭით. ესაა გენიალური მორალიტი, რომელიც აბსურდის პრიზმაში გვიჩვენებს არა მხოლოდ თანამედროვე კომუნისტური ჩინეთის, არამედ დანარჩენი კაცობრიობის რეალიტებს. ხატოვანი მეტაფორებით შემკული სიმბოლოები მთელ ტექსტს გასდევს, ხოლო მისი სარკასტულია ჭეშმარიტად შედევრულია.“

ჩინელი კრიტიკოსი ი ნიხუა მო იენს უწოდებს „ერთ-ერთ ყველაზე კრეატიულ და ძალიან ნაყოფიერ ჩინელ მწერალს“, რომლის ნარმატების საიდუმლოც ისაა, რომ: „ყოველივე უხეშსა და მიწიერს გარდაქმნის რალაც ძალიან დახვეწილად და ნატიფად, იმ ლირიკული სიხარულის მისაღწევად, რომლითაც გამსჭვალულია მისი ნაწარმოებები.“

მო იენის ეს წიგნი დასტურია იმისა, რომ ჭეშმარიტი ლიტერატურა ყოველთვის იმარჯვებს ადრე თუ გვიან. ის გამოქვეყნებისთანავე აუკრძალავთ ჩინეთში, მაგრამ რომანს ისეთი დიდი პოპულარობა მოუპოვებია, რომ ჩინეთის სახელმწიფო იდეოლოგიის ხელმძღვანელები იძულებული გამხდარან, დაეთმოთ და წიგნის აკრძალვაზე ხელი აეღოთ.

ნობელის პრემია სამ ჩინელ მწერალს აქვს მიანიჭებული, რომელთაგან ორს ნობელის პრემია მიენიჭა ლიტერატურის დარგში, ერთს კი მშვიდობის დარგში.

მწერალ გო შინ-ჯიანს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა 2000 წელს. იგი ჩინეთიდან იყო ემიგრირებული საფრანგეთში.

მეორე მწერალს, ლიუ სიაობოს, ნობელის პრემია მშვიდობის დარგში მიენიჭა 2010 წელს. მწერალი იმუამად ციხეში იმყოფებოდა და ჩინეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, ციხიდან გამოეშვათ და ემიგრაციაში გაესტუმრებინათ, ისიც საფრანგეთში. ამუამად ცნობილი ჩინელი დისიდენტი და ნობელიანტი პარიზში ცხოვრობს.

მო იენს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია 2012 წელს მიენიჭა. იგი პირველი ნობელიანტი მწერალია, რომელიც ჩინეთში ცხოვრობს.

მართალია, მო იენი ჩინეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეა და ლოიალური დამოკიდებულება აქვს ხელისუფლებასთან, მაგრამ მისი ფსევდონიმი „მო იენი“, რომელიც ნიშნავს „ჩუმად იყავი“, მონიშნავს მის ირონიულ პოზიციას (მისი ნამდვილი სახელია გუან მოე). ამ რომანიდან ჩანს, იგი სრულებით არაა ჩუმად.

იმედია, გამომცემლობა მო იენის სხვა ნაწარმოებებითაც დაინტერესდება.



თამარ კახნიაშვილი

# ოთარ ჩხეიძის შესანდობარი

მე, თამარ კახნიაშვილი ასული კახნიაშვილი დავიბადე 1992 წლის 18 თებერვალს, მცხეთაში. ამჟამად ვცხოვრობ მცხეთის რ/ნ სოფელ ლისში. 2010 წელს დავაბრუნე თბილისის 126-ე საჯარო სკოლა და იმავე წელს ჩავაბარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით. ოთხი სასწავლო წლის განმავლობაში ვიყავი პრეზიდენტის სტიპენდიის მფლობელი და მივიღე მონაწილეობა სხვადასხვა კვლევაში, პროექტსა და კონფერენციაში.

2013 წელს ვიყავი „ოსუ დესპანის“ მონაწილე, რაც გულისხმობდა საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცნობას. 2013 წელსვე ჩავერთე და წარმატებით დავასრულე პროექტი „სტუდენტური თვითმმართველობა საქართველოში“, (პროექტის ხელმძღვანელი Foundation Open Society Institute (FOSI), განმარტებული ორგანიზაცია „ანასელი“). 2013-14 წლებში სტაჟირება გავიარე როგორც მთარგმნელმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში.

2014 წელს მოვიპოვე პირველი ადგილი ოსუ შექსპირის შემსწავლელი ცენტრისა და ბრიტანეთის საბჭოს მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ კონფერენციაზე „ქართული შექსპირიანა“-წაკითხული მოხსენებისთვის „ჰამლეტი რუსთაველის თეატრის სცენაზე.“ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოხსენება დაინერა რუსთაველის თეატრის არქივში ჩატარებული 5-თვიანი კვლევის საფუძველზე და — როგორც გამარჯვებული — ბრიტანეთის საბჭოსა და ოსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელშეწყობით გავემგზავრე დიდ ბრიტანეთში, კერძოდ ოქსფორდში, რომლის ბიბლიოთეკებშიც მოვარგე მასალები ჩემი მომავალი სამაგისტრო ნაშრომისთვის „ჰამლეტის რეცეფციები თანამედროვე ლიტერატურაში“.

2014 წელს მონაწილეობა მივიღე ოსუ 74-ე საუნივერსიტეტო კონფერენციაში და მოვიპოვე პირველი ადგილი მოხსენებისთვის „ანტიკონიური დაპირისპირებები ინგლისურ და ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში“, რისთვისაც დამაჯილდოვეს უნივერსიტეტის დიპლომით.

2014 წელს წითელ დიპლომზე დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მივიღე ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, დამტებული სპეციალობით-მედიავოლიკა. იმავე 2014 წელს ჩავაბარე მაგისტრატურაზე ამავე უნივერსიტეტში ინგლისური ლიტერატურის განხრით, რადგან ჩემი ინტერესები ყოველთვის უკავშირდებოდა ლიტერატურას. შესაბამისად, მოღვაწეობას განვაგრძობ კიდევ ამ სფეროში-ვარ ოსუ ლიტერატურული კლუბის წევრი, რომლის ხელმძღვანელიც გახლავთ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი დავით მაზიაშვილი და აქტიურად ვარ ჩართული შექსპირის შემსწავლელი ცენტრის მუშაობაში, რომელსაც უძღვება პროფესორი მანანა გელაშვილი. ამჟამად სტაჟირებას გავდივარ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტშიც.

2015 წლის იანვარში მოვიპოვე მეორე ადგილი ოსუ შექსპირის შემსწავლელი ცენტრისა და ბრიტანეთის საბჭოს მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ კონფერენციაზე — „შექსპირის იდიომები“-წაკითხული მოხსენებისთვის „Shakespearean Idiomnet“.

ბედნიერია ადამიანი, რომლის პროფესია და გატაცებაც ერთმანეთს ემთხვევა. ვფიქრობ, გამიმართლა, რომ ლიტერატურულ სივრცეში მიწვევს საქმიანობა, რადგან ჩემი გატაცება სწორედ ლიტერატურაა — კრიტიკა, ესეებისა და სტატეების წერა და თარგმნა. ასევე, მიყვარს თეატრი და კლასიკური მუსიკა.

ხშირად გაიგონებთ, მწერლობამ საკუთარი თავი ამოწურა, ყველა გამომსახველობითი ხერხი მოძველდა და ახალი აღარაფერი იქმნებაო. მეც ასე მეგონა, სანამ ოთარ ჩხეიძეს არ შევუსახლდი შემოქმედებაში... ჰო, შევუსახლდი, რადგან თავშესაფრად მომეკლინა-მშობლიურ თავშესაფრად, რომელმაც მთელი სიმძაფრით განმაცდევინა ის, თუ რას ნიშნავს იყო ქართველი, გქონდეს საკუთარი მინა და ზეცა...დიახ, სწორედ მინიდან ზეცამდეა გაჭიმული მისი სიტყვა და მინაზე მდგარ მკითხველსაც ცამდე უღლის ამ სიტყვის ყრუანტელი, თითქოს თავად იყოს სამშობლო, ერთ სხეულში შენივთებული. რა წარმოშობს ამ დალოცვილ გრძობას? რა თქმა უნდა ფორმისა და შინაარსის ჰარმონია, რამეთუ ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელია.

ოთარ ჩხეიძის „შესანდობარნი“ კითხვას რომ დაიწყებთ, პირველად სწორედ მწერლის განსხვავებული სტილი მოგხვდებათ თვალში-თუ როგორ წარმართავს იგი თხრობას სკივრიდან ამოღებული და მტვერგადაცლილი, ზეპირსიტყვიერებაში ბოროლისგან დახსნილი სიტყვების გამოყენებით. მისი წინადადებაები ხელიხელჩაკიდებულნი მიიწვევენ წერტილისაკენ და ამ ფორმაშიც კი ჩანს ოთარ ჩხეიძის ჰუმანური ბუნება-წერის ტექნიკაშიც კი სიყვარულია ჩაქსოვილი, სიტყვები ერთმანეთს ეჭიდებიან, ეხმარებიან, ელოდებიან, რომ გზა გააგრძელონ, სულს არ მოგათქმევიანებენ, ისე გაგაქანებენ ისტორიულ წარსულში, წარსულში, რომელიც მუდამ თან გვდევს, წარსულში, რომელიც აუცილებლად განმეორდება. დიახ, განმეორდება. თავის დროზე ებრაელებმაც თქვეს: არაფერია ახალი ამ მზისქვეშეთშიო, და ოთარ ჩხეიძემაც გადმოაქართულა, „არ არის არაფერი ახალი, რაც რო ძველი არა ყოფილა“. და ის წერს, წერს ძველზე და ახალზე. იმაზეც, რაც მომავალში მოხდება.

აქ სიტყვები საკუთარ თავზეც ჰყვებიან, ჰყვებიან იმ დიდ კულტურაზე, ქართველმა ერმა რომ შექმნა-ენა ხომ მთელი მატანია. „ანბანი იმიტომ გამოუგონებიათ, დავინყვას რომ მორეოდნენ“-ო, ამბობს მწერალი. „ენა ერის სისხლი, ჯიბი და ჯილაგი. წარმომავლობა, რაც ისტორიას დაავიწყდა, ენას ახსოვს“-ამატებს ოტია იოსელიანი. რუსთველს უთქვამს, „გველსა ხვერელითა ამოიყვანა ენა ტკბილად მოუბარო“-ენას ერის ბნელეთიდან ამოთრევაც შეუძლია. ტყუილად კი არ დაუყენებია იგი ილიას მამულისა და სარწმუნოების გვერდით, მან იცოდა, რომ ენა ძალაა, ნებისმიერ იარაღზე ძლიერი ძალა, ძალა, რომელიც ერის ისტორიას, ტრადიციებს, მსოფლმხედველობას თაობებს გადასცემს. ენა დროის მანქანაა-გადამალეთ ამა თუ იმ ეპოქაში დაწერილი წიგნი და იმ ეპოქის სულისკვეთებაც თვალწინ წიგნის ფურცლებივით გადაგვშლებაო.

გადამალეთ ოთარ ჩხეიძის წიგნი და იგრძნობთ რა ხდებოდა მეოცე საუკუნის საქართველოში. იგრძნობთ, როგორ ღვარცოფივით მიედინებოდა ისტორია და როგორ ითხოვდა შემწეობას ნიაღვარში ჩართული ერთი-სწორედ იმ სიტყვებივით, ერთმანეთს რომ ეჭიდებიან, რათა მორევში არ ამოჰყონ თავი.

მისი თხრობა დაძაბულია, ხანდახან ნერვიულიც, სევდიანი, მაგრამ არა უიმედო... თითქოს ამ დაძაბულობით გაიძულეს შენც განიცადო, გტკიოდეს, იდარდო, იგრძნო. „იგრძნო“-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ შეგრძნების გარეშე ვერაფერს შეიყვარებ. ამიტომაც სიყვარული ბრმა, ამიტომაც არასრულყოფილი ისტორიის სახელმძღვანელოებიდან მიღებული ცოდნა. სიმღერაცა გვაქვს-„მე ხომ გულით ვიხედები, გული ჩემი თვალუბაო“, გულით ხედავდა ოთარ ჩხეიძეც. ამიტომ არ ჰგავს მისი შესანდობარნი იმ ბანალურ ქება-დღეობას, ხშირად რომ გაიგონებთ დიდი ადამიანების შესახებ: „ის უდიდესი პოეტი იყო“, „მისი ბრწყინვალე ნაშრომები დღესაც დიდ მონონებას იმსახურებს“, და ა.შ. მსგავსი შეფასებები მხოლოდ გონებასთან მიდის, გულამდე კი ვერ აღწევს... სხვა საქმეა, როცა შენს თვალწინ იმ პიროვნებათა ფსიქოლოგიური პორტრეტი იკვეთება, რომლებმაც ქართველი ერის „მოზაიკას“ ახალი ფერები შემატეს. და შენ გრძნობ, რომ არსებობდნენ სამშობლოსთვის და თითოეული ჩვენგანისთვის მებრძოლი ადამიანები, რომ მათი ბრძოლა არ ყოფილა ამაო, თუნდაც იმიტომ, რომ დღეს, როგორც მკითხველს, როგორც თანამომავალს და შთამომავალს გულში მწვდება მათი ნატანჯი ცხოვრების ამბავი.

„შესანდობარნი“ პოეზიაა, პროზად დაწერილი პოეზია-საგალობელსაც ჰგავს, დატირებასაც, სადიდებლად აღვლენილ ლოცვასაც... ეს იმიტომ, რომ

სიღრმისეულად ქართულია. დააკვირდით ქართულ ხალხურ სიმღერებს-თითქოს საუკუნეების სიღრმიდან მობუზუნებენ და იმავდროულად აქვე ჩაგვესმის მათი მელოდია, აქვე მშობლიურ ხეებთან, ვენახთან... სევდა მოცემულობაში გვაქვს, ჩვენს ისტორიას დაღად დანწევია, წითელ ხაზად გასდევს... თუმცა სევდა არაა მთავარი, მთავარი აქ ზნეობრივ გმირთა ნარმოჩენაა, რომელთა გარეშეც ერი იფიტება. „მიზანი ის დიდი ჭუმანიზმი იყო მწერლობა რო გამოსთხოვებოდა, და რო უნდა მიპზრუნებოდა ბოლოსდაბოლოსა,“ ეს ის ანტიკური ჭუმანიზმი, ძველ ბერძნებს თითოეულ გმირსა და ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულზე ისტორიებს რომ აწერიებდა მომავალი თაობებისთვის. რადგან სიტყვამ მოიტანა, ამასაც ვიტყვი:

ერთხელ ანტიკური ლიტერატურის ლექციაზე ქალბატონმა მანანა ფხაკაძემ ივანე ჯავახიშვილი ახსენა. ბევრი რამ მქონდა უნივერსიტეტის დამარსებელზე მანამდე წაკითხული და თითქმის ყველაფერი დამავიწყდა. ქალბატონ მანანას სიტყვები კი დღემდე მახსოვს-პირველი კორპუსის მთავარი შესასვლელის აღმართის რომ შეუყვებოდა, ქუდს იხდიდაო. მაშინ მივხვდი, რა დიდი ადამიანი ყოფილა... „ამბავია ყველაფერი, ცხოვრება ამბავია. კაციც იქა ჩანს და კაცობაცა“, ამბობს ოთარ ჩხეიძე და ჰყვება თავისი საუკუნის ამბებს, საუკუნისა, როცა „დროც ნადირობდა, კაციც ნადირობდა და ბედიც ნადირობდა“. ერთი სიტყვით, მაშინაც „ნადირობის სეზონი“ ყოფილა. „ერი მოეცვა ფალსიფიკაციასა. ადამიანი ფალსიფიცირებულიყო“, მაგრამ „ქვეყანა ისე არ ნახდებოდა, არ შერჩენოდა რო ალალი კაცი, შენ პოვნა თქვი!“ იპოვნა კიდევ და შესანდობარნიც უთხრა მათ ხსოვნას.

ბავშვობით იწყება „შესანდობარნი“, ბავშვობის გახსენებით. ყველანი ხომ ბავშვობიდან მოვიდვართ, ადგილიდან, სადაც ვიბადებით, ადგილიდან, რომელსაც ბუმერანგით ვუბრუნდებით სიცოცხლის ბოლოს. ერთკლე ტატიშვილიც დაბრუნდა, დაბრუნდა და იცნო ბებერმა კაკლის ხემ. მაშინ ჰკითხა საკუთარ თავს, იქნებ უკეთესი ყოფილიყო არ ავჰყოლოდი ზარატუსტრასაო, იქნებ არ ღირდა ეს ცხოვრება დავიდარაბადაო. მაგრამ მჯერა, პასუხიც ექნებოდა „ღირდა“. ღირდა თუნდაც იმიტომ, რომ დღეს ერთეულები, მაგრამ მაინც ვხედავთ უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსის 313-ე აუდიტორიისთან მდგარი ერთკლე ტატიშვილის ლანდს და მისი დანატოვარი გვეკვებავს.

გალაკტიონი კი მუდამ ბავშვად დარჩა. ბავშვად, რომლისთვისაც აუტანელია დარბაზში გამოკეტვა და ქება-დიდების მოსმენა საკუთარ თავზე მაშინ, როცა გარეთ მთვარე დაცურავს და ხეები შრიალებენ. და ის გარბის, ტყეს მისცემს თავს, გულზე მიიკრავს ცვრიან ბალახებსა და ყვავილებს...სამშობლოს დარდთან ერთად. და დადის გალაკტიონი, დადის, წუხს და ენანება...

ენანებოდათ ნაავდრალი, დაფლეთილი სამშობლო და ამიტომაც იტანჯებოდნენ მასთან ერთად, დოქებს წვეთხვეთობით ავებოდნენ, რომ მშვიდად შეერთებოდნენ მარადისობას და აქაც დაეტოვებინათ წყალში შედგმული ჭურჭელი. დატოვეს კიდევ, როცა ჩვენს შვილებს აღარც პური ყოფნით და აღარც სანახაობა, მათ სანაღებთან გიორგი ლეონიძე ჩნდება, ნოდარ დუმბაძე ჩნდება. ერთხელ ქალბატონმა თინათინ დოლიძემ სტუდენტებს გვკითხა: როგორი შვილები გინდათ გყავდეთო. ზოგმა — ჭკვიანიო, ზოგმა ძლიერიო, ზოგმა ნიჭიერი და მშრომელიო. გვისმინა გვისმინა და გაკვირვებულმა დაგვიმატა კითხვაზე კითხვა: „ხალხო, არავის გინდათ თქვენი შვილი კეთილი იყოს?“ და მივხვდი, რატომ უნდა ვიკითხოთ გიორგი ლეონიძე. როგორც ოთარ ჩხეიძე იტყვოდა, „ყველა თავისი სიკეთითა დას“, ამიტომ ძვირფასია ყველა ის ადამიანი, რომელიც დოქის ავსებას გვასწავლის.

რადგან ბავშვებით დავიწყე და ბავშვებითვე გავაგრძელე, ისიც უნდა ვთქვა, რომ ბავშვს და ერს ერთი რამ აქვთ საერთო-მათ სიყალბეს ვერ შეაპარებ. ერია, სწორ შეფასებას რომ აკეთებს. ამიტომ გამოაცხადა სიმონ ჩიქოვანმა სიყალბე ლიტერატურის, ერის მსახურის ერთადერთ მტრად და ამიტომაც გამოაძევეს იგი მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან. სიყალბე იყო კომუნიზმის საკვები-ომის დროს ზამთრის სიცივით დამზრალი მსახი-

ობები სცენაზე ზაფხულს თამაშობდნენ, ომში წასვლა სწყუროდა შალვა ხერხეულიძის პერსონაჟს, სიხარულით მიიჩქაროდა ფრონტზე. განა ეს სიყალბე არ არის? აქილევსი რომ აქილევსია, მასაც ემინოდა ომისა, ქალის კაბა გადაიცვა, რომ ტროში არ წასულიყო და არც ჰომეროსს დაუმალავს მისი ეს ადამიანური სისუსტე. საბჭოთა მოქალაქეები კი თურმე არად აგდებდნენ ადამიანურ სისუსტეებს. „ჟამი ისეთი იდგა, სიზმარსაც რო ვერ მოჰყვებოდი. იდეენობადა იდეალიზმი. სიზმრებიდანაც იდეენობადა. მარტო ლეონი კი არა ერი მოეცვა ფალსიფიკაციასა“, იგონებს ოთარ ჩხეიძე. ერთ-ერთი იყო რევაზ ნათაძე იმ ადამიანთაგან, რომელსაც აიძულებდნენ ექადავა ის, რისიც არ სწამდა. უბრძანეს უარყო მასწავლებლის (დიმიტრი უზნაძის) მოძღვრება, ფსიქოლოგიაში მატერიალისტური საწყისები ეძებნა. რატომ? იმიტომ რომ რამდენადაც სიყალბე ჰკვებავდა კომუნიზმს, იმდენად ხელს უშლიდა სულიერი უშლიდა ხელს კომუნიზმის მშენებლობაში. თუმცა, საბედნიეროდ, სიყალბე დიდხანს ვერა ძლებს, რადგან მარადიულობას ვერ უმკლავდება. მარადიულობა კი ის არის, რაც ერის ხსოვნაში ყოველგვარი წნეხის მიუხედავად ცოცხლობს.

„რახანა ცოცხლობს ადამიანი, ცოცხლობს ერთი წუთისთვისო“—ამბობს კვანკვალა და თამარ ჭავჭავაძეს იხსენებს. ადამიანს, რომლის სულგრძელობამაც ეს სიტყვები წარმოათქმევინა. ხშირად მინახავს, თუ როგორ მეგობრულად ესაუბრებიან უნივერსიტეტის პროფესორები დამლაგებლებს და ვხვდები, რომ ადამიანურობა პიროვნებებს შორის არსებულ ყველანაირ პროფესიულ, თანამდებობრივ თუ კლასობრივ ბარიკადს აქრობს.

„სუქტაკლის დასრულების შემდეგ თამარმა ხელი ჩამკიდა და წინ წამომაყენა. შემეშინდა, ვაითუ ჩამოინგრეს ჭერი და ჩემი ბედნიერება ჩაიტანოსო“—იხსენებს რიგითი მსახიობი, რომლისთვისაც ეს მომენტი ერთადერთი ნათელი წერტილი აღმოჩნდა ცხოვრებაში, თამარ ჭავჭავაძე კი-სათაყვანებელი ადამიანი. „მე ჰო ურწმუნო დროის შვილი ვარ: რო აღარა სწამს ადამიანს ადამიანი. არც ღმერთი სწამს. რწმენა მხოლოდ ადამიანია. სხვა დანარჩენი ბოძავა მხოლოდა. რწმენა ხელია. ხელი გადარჩენისა. გამოწვდილი ხელი“—ეუბნება ერთ-ერთ შესანდობარში შერგლის ზღვის კლანჭებისგან დახსნილი ქალი. ეს გამოწვდილი ხელია სწორედ, ღმერთს რომ ვეძახით — განსხეულულ ღმერთს. ადამიანი ადამიანისთვის მგელია, მაგრამ ღმერთიც შეიძლება იყოს, რადგან „ხან კაცი ღმერთსაც ემსგავსის“.

ეს ის გამოწვდილი ხელია, მტრობას რომ ავინყებს წარსულით შეპყრობილ ისტორიკოსსა და აწმყოთი მოსულდგმულე ბუნებისმეტყველს. „სოროებშია ისტორია, ისტორია იქიდან მოდის. მაგას ისტორია ციხე ჰგონია, ეს ხო დღევანდლობაა“—ამბობს ბუნებისმეტყველი და კლდეზე გადაჩეხილი ისტორიკოსი ნანგრევებიდან ამოჰყავს. დახს, ისტორია დღევანდლობაა, წარსული მუდამ თან გვდევს და ამიტომაც ვკითხოვთ დღეს ოთარ ჩხეიძეს, ამიტომ ამოგვყავს უფსკრულებიდან წარსულის აჩრდილები-მათ გარეშე აწმყოს ვერ ვმართავთ.

ულმობლობა რომ ადამიანს გენში აქვს, ამაზე არ დავობენ გერონტი ქიქოძე და ლეო ქიაჩელი, თუმცა ისიც იციან, რომ ცხოველზე აღმატებულს ადამიანს სწორედ ლობობიერების გამოჩენა ხდის. მართლაც, „ნაყოფი გონებისა ხშირად ბუნებას არ უთავსდება“. სწუხს გერონტი, სწუხს, რომ მაინც ულმობლები არიან თუნდაც იმ პირობებშია მიმართ, რომლებსაც ლხინში მიირთმევენ. ნა-



ავდრალ სამშობლოში ღვინოც კი ცოდვად მიაჩნიათ, რადგან მათთვის „არ არსებობს ჭეშმარიტება ზოგადი, ჭეშმარიტება არსებობს ქართული“ და ეს ქართული ჭეშმარიტება ისაა, რომ ხარები დაგვიხოცეს და რქებილა შეგვატოვეს ხელთ, რათა მოგვეჭყადა და ძველი დიდების ნაშთად შემოგვენახა, მასზედ გველოცა.

„მარად აღდგენა მშვენიერისა ერის ძალღონეა და თავისებურება ერისა“-ო ამბობს ავტორი და დიდ ქართველთა ცხოვრების პატარ-პატარა ამბებს კინძავს, რათა გულზე ამულეტად ჩამოგვეკიდოს. ამულეტად, რომელიც სწორედ იმ მშვენიერების აღდგენაში გვეხმარება, ერს რომ ძალღონეს ჰმატებს.

სურავის ეგონება, რომ მსგავსი ძალღონე ქვეყანას მხოლოდ აშკარა წინების ქვეშ ყოფნისას სჭირდება. ჩვენი ტაძრების გუმბათები დღესაც მორღვეულია და თავზე უცხო კულტურები გვანვიძს, როგორც მაშინ, მეოცე საუკუნეში (და არა მარტო). „ვიდექით განუწუნლნი, რო არ ვიცოდით თუ რაი გველონა“, იხსენებს ოთარ ჩხეიძე. იხსენებს, თუ როგორ შეაფარეს თავი თავსხმა წვიმის დროს მან და მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან გათავისუფლებულმა სიმონ ჩიქოვანმა კუმურდოს ტაძარს. ტაძარს, რომელსაც კედლები კი მყარი ჰქონდა, მაგრამ მასში ისევე წვიმდა, როგორც გარეთ — „ჯანდაბას ცა, გუმბათი მორღვეულიყო“ — ცა თავზე ემხოზოდან საკუთარ ტაძარში, მაგრამ ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდათ მტერთან შედარებით — თუნდაც ჭერმორღვეულ, მაგრამ საკუთარ კედლებში ერჩივნათ გამკლავებოდნენ ავდარს.

ის ბრძოლა, რომელიც „შესანდობარნის“ გამირებმა წუთისოფლის უკულმართობას გამოუცხადეს, ახლო პერსპექტივით ნამდვილი თავქარიანობა იყო. შორი პერსპექტივით კი თავადაც ვხედავთ, რომ თურმე ფატალურ უბედურებასთან ბრძოლა აუცილებელი ყოფილა. თავად ოთარ ჩხეიძესაც გასცინებია, ვახტანგ ქარსელაძეს რომ უთქვამს ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატისთვის გოგონებს ვეძებო. ფანატიზმად შეურაცხავს მისი სწრაფვა ქართული სპორტის აღორძინებისკენ. მაშინ მართლაც ძნელი იყო დაჯერება, დღესაც კი ძნელია ირწმუნო, რომ ერთ ადამიანს საშვილიშვილო საქმის გაკეთება შეუძლია, მაგრამ თუ ისტორიას თვალს გადაავლებთ, მიხვდებით, რომ რწმენა და სიყვარული ადამიანს გასაოცარ ძალას ჰმატებს და სასწაულებს ახდენს. რალა შორს წავიდე და თვალწინ მაქვს მაგალითი, თუ როგორ შეინარჩუნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქალბატონმა მანანა გელაშვილმა ინგლისური ლიტერატურის სწავლების ტრადიცია.

სიყვარული თუ არა, აბა, რა არის ის ძალა, მერცხალს რომ სამშობლოში აბრუნებს, მერცხალს, რომელიც ერთი წამითაც არ უშინდება უამრავი ხიფათით სასვე გზას. ეს ინსტიქტური სიყვარულია. ნამდვილი საოცრება კი გაცნობიერებული და თავგანწირული სიყვარულია, შალვა დადიანს რომ ალაფრთოვანებდა თურმე. თვლიდან არ გადასდიოდა ევროპიდან დაბრუნებული ახალგაზრდის სახე, რომელსაც ეჩვენებოდა, რომ ბურბურებდა სამერცხული, თავისი ბუდე, თავისი სამშობლო. მისი ალი იზიდავდა და ჩამოვიდა კიდეც, თავისი ნებით გაუდგა ჯოჯოხეთის გზას, რადგან სხვაგვარად არ შეეძლო. „თავის განირვაც რო სირეგენეა თუ არას არგია შენს სამშობლოსა“, ამბობს ოთარ ჩხეიძე, თუმცა ისიც კარგად იცის, რომ ეს „სირეგენეც“ ხანდახან მეტად დასაფასებელია, დავინყებთ კი — დანაშაული.

სამშობლოსთვის რომ ერგო, იმიტომაც შეეგება პაოლო იაშვილი თბილისში შემოსულ რუსულ ჯარს. მაშინ „სირეგენე“ არ ეპატიებოდა, არც ზოჭუმურობა იქნებოდა გასამართლებელი საბუთი იმისთვის, რომ მოჩვენებითი მორჩილება არ გამოეცხადებინა მტრისთვის. იცოდა, რომ ეს დროებითი იყო, რომ თავისუფლების სული სამშობლოს თავზე ტრიალებდა, სწორედ მისი დაუბეჭდავი პოეზიასავით და ტილოზე გამოუსახველი ცისფერი ფერივით, რომელიც ჰაერში გაფანტულ ბგერებს „ც ი ს ფ ე რ ი“ ვერც კი უტოლდებოდა; „ჩვენი დრო მოვა, ჩვენი დრო წინ არის“ — ასე პასუხობდა პაოლო „სლესრებს“, „სუსლის ინჟინრებს“. სიცოცხლით ხომ აჯობა, სიკვდილითაც აჯობა მედროვეებს — მარადიულ „ცისა ფერს“ შეუერთდა მისი სული და პოეზია.

„ზამთარი ვარდასა დააზრობს, ფურცელი ჩამოსცივია...“ აკი ჩამოსცივიდა კიდეც, ნარჩევი ფურცლები დასცივიდა საქართველოს სამოცდაათწლიანი ზამთრის დროს: „ის ხალხი აღარ არის. მაინც არის ის, რაც უნდა იყოს — ჩვენი მიწაა, ჩვენი ცაა, სწრაფვაა მიწიდან ცამდისა“ — ამბობს ოთარ ჩხეიძე. და ეს სწრაფვაა, შესანდობარს რომ ამოათქმევინებს, ეს სწრაფვაა, ზნეობრივ გმირებს რომ ახატვინებს. იცის მწერალმა, იცის, რომ „ცხოვრება ომია, დანარჩენი სამზადისია ომისა“ და ერს ზნეობრივი გმირები ორივე შემთხვევაში საკვებით სჭირდება.

დღეს მსოფლიოში გლობალური ომია, შენიღბული ომი, რომელიც აქამდე არსებულ ომებზე ბევრად სამიზნია — ეს კულტურული ომია. ჩვენს გუმბათმორღვეულ სამშობლოში უცხო კულტურები გვანვიძს და ჩვენი ერთადერთი იარაღი საკუთარი იდენტობის დასაცავად ის კედლებია, რომლებზეც ჩვენი სულიერი წინამძღოლნი ისეთ ნარწერებს გვიტოვებენ, როგორც „შესანდობარნისა“.

ელჩინ ეფენდიევი აზერბაიჯანის სახალხო მწერალი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თანამედროვე აზერბაიჯანული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა. დაიბადა 1943 წლის 13 მაისს, ბაქოში, XX საუკუნის აზერბაიჯანული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენლის ილიას ეფენდიევის ოჯახში. პირველი მოთხრობა 16 წლისამ გამოაქვეყნა. მისი პირველი ნივნი სათაურით „ათას ერთი ღამიდან ერთ-ერთი“ 1965 წელს დაიბეჭდა. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, თურქულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, არაბულ, ჩინურ, სპარსულ, პოლონურ და სხვა ენებზე.

ელჩინ ეფენდიევი

## ავტოავარია პარიზში

*შაჰრაბანუ ხანუმი — განა ჰათამხან ალა და შაჰრაბანუ ხანუმი მომკვდარან, რომ ერთმა ფრანგმა შაჰბაზი შეაგულიანოს და პარიზში წაიყვანოს!..*

*მუსიე ჟორდანი — დიმაჟ პარიზ! მონ დიო! მონ დიო!*

მ.ფ. ახუნდოვი

**„ბოტანიკოს მუსიე ჟორდანისა და ცნობილი ჯადოქრის — მასთალი შაჰის ამბავი“**

არეული რამეები ესიზმრებოდა ბატონ ქერიმს. დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ ხალხს ხედავდა. თანაც დედ-მამას ან ახლობელ ადამიანებს კი არა, ძველ მეზობლებს, სკოლის ოცდახუთი წლის წინანდელ დირექტორს, ცოლის შორეულ ნათესავებს და წერილს უწინდელი ქმრებისგან ერთ-ერთს. ყველანი მუყერილიყვნენ და საზამთროს მიირთმევდნენ. ის საზამთრო კი ისეთი უშველებელი რამ იყო, რომ თითო ნაჭერი ერთი ნავისოდენა მაინც იქნებოდა და, ის დიდი ხნის წინათ მიცვალებულებიც ამ ნაჭერზე წამოსკუპებულები დიდ-დიდ ლუკმებს ატეხდნენ. ხელების, ფეხების საზამთროს წვენი მოთხვრა-მოთხვრით ჭამდნენ; საზამთრო ჩამნითლებულიყო და სიზმარში ამ სიმნითლის მზირალმა ბატონმა ქერიმმა იგრძნო, რომ ვილაცამ ტყვია გაისროლა — თოფის ხმა ჩაესმა, შემდეგ კვლავ მოესმა და თვალეები გაახილა. მიხვდა რომ სიზმარში იყო, მაგრამ გასროლის ხმა კიდევ რომ გაიგონა, ლოგინზე წამოჯდა და, ისევე რომ განმეორდა, სასწრაფოდ წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

ბატონი ქერიმის საცხოვრებელი ძველი ორსართულიანი ბინის წინ პატარა სკვერი იყო. დილით ადრე პენსიონერები შემოსასვლელში მდებარე კიოსკიდან გაზეთს ყიდულობდნენ და ამ სკვერში კითხულობდნენ.

შემდეგ დედებს, ბებებს, ძიძებს ბავშვები მოჰყავდათ აქ და საბავშვო ეტლები ძელსკამების წინ პიანინოს კლავიშებივით ენწყობდნენ გვერდიგვერდ. შუადღის შემდეგ ისევ პენსიონერები გამოჩნდებოდნენ და ნარდისა და დომინოს თამაშს აჩაღებდნენ. მერე ლამდებოდა, სკვერი უკაცრიელდებოდა, სინყნარე ისადგურებდა არემარეში. შემდეგ ისევ თენდებოდა და ყველაფერი იმავე სიზუსტით მეორდებოდა.

ბატონმა ქერიმმა სკვერში გაიხედა და ნახა, რომ ვილაც კაცი თოფმომარჯვებული დამდგარა და რალაცას უმიზნებს, ხოლო მის გვერდით მდგომს ხელზე დიდი ხელთათმანები წამოუცვამს და, სიმათელე ითქვას, ამის შემყურე ბატონ ქერიმს ჯერ შეეშინდა, რადგან თავის სიცოცხლეში ხელთოფიან კაცს პირველად ხედავდა და თან ეს კაცი, დილას თენებისთვის ნესიერად რომ არც მიეტანებინა, რალაცას იღებდა მიზანში და ისროდა. ერთი პირობა ბატონ ქერიმს მოეჩვენა, კინოს იღებენო. ერთხელ, ათი წლის წინათ, ამ სკვერში კინო გადაეღოთ, მაგრამ ახლა არც ამ სკვერსა და არც ახლომახლო ქუჩებში ამ ორის გარდა სხვა არავინ და არაფერი ილანდებოდა მათგან ცოტათი მოშორებით, ზედ ქუჩაზე გაჩერებული პატარა ფურგონიანი მანქანის გამოკლებით. ვინ იყვნენ ესენი, ქურდები?

თოფის დამმინებელმა ისევ გაისროლა და ამჯერად ბატონი ქერიმის სმენას ტყვიის ზუზუნთან ერთად ძაღლის ნკავნკავიც მისწვდა, თან შენიშნა, რომ იმ ვეებახელთათმანთან კაცმა ზეითუნის ხეებთან მიიბრინა და იქვე გამოტილი მონკმუტუნე ძაღლს ყურებში ჩასჭიდა ხელები, ასნია და მანქანის ფურგონში შეაგდო.

ბატონი ქერიმი მიხვდა, რომ ეს ორი კაცი ქალაქს უპატრონო, ავადმყოფი ძაღლებისგან წმენდდა. ალბათ ბაქოს სანიტარიის განყოფილებიდან იყვნენ. თუმცა რაც უნდა ავადმყოფი და უპატრონო იყოს, დილაუთენია საცოდავი ძაღლების ასე დახოცვამ ბატონ ქერიმზე ცუდად იმოქმედა. ის კი არადა, კინალამ ერთი-ორი უკმაყოფილო სიტყვის მიყვირებაც განიზრახა, მაგრამ მერე გაიფიქრა, რომ ქვეყნად ყველა რალაც ხელობის პატრონია და ძაღლების მოკვლაც ამათი საქმეა. მერე ისიც გაივლო გონებაში, რომ შესაძლოა იმ ხელთოფიანის გასროლილი ტყვია სულაც არაა ტყვია, საძილე ნამალია – ძაღლებს აძინებენ და მერე მიჰყავთ.

იმ ორმა კაცმა სკვერი გულდასმით მიმოათვალიერა, ყურადღებით დააცქერდნენ ყოველ კუთხე-კუნჭულს და იმ სიშორეზე ბატონმა ქერიმმა მათ თვალეში აშკარა სიხარბე შენიშნა. ალბათ გასამრჯელოს მიყვანილი ძაღლების ოდენობის შესაბამისად იღებენო – გაიფიქრა; თათმანთან ხელთათმანები მოიძრო, თოფიანმა თოფი კაბინაში შედო, მერე მანქანა დაქოქეს და წავიდნენ.

ბატონი ქერიმი ერთხანს ფანჯარას შერჩა და სკვერს დაუნყო თვალთვლება — მოპირდაპირე ორსართულიან სახლებს გახედა - ყველას ეძინა. აგვისტოს იმ ახალგათენებულ დილას ჯერ არავინ წამომდგარიყო. სკვერის წინ, ქუჩების გადაკვეთაზე ხილ-ბოსტნეულის ჯიხურიც ცარიელი იყო და საზამთროები ჯიხურის გვერდით რკინის გალიაში შეენყოთ და გალიის კარზეც დიდი რკინის ბოქლომი დაედოთ.

უცებ ბატონ ქერიმს მოეჩვენა, რომ საზამთროები ტუსაღები იყვნენ და საკუთარი განაფიქრი არ მოენონა, რადგან უაზრო ლაპარაკი და უაზრო ფიქრი არ უყვარდა. მთქნარება-მთქნარებით ბალნიანი მკერდი მოიფხანა და გაიფიქრა, ნეტა როგორ მოხდა, რომ გასროლის ხმაზე მის გარდა არავის გამოლოცებია?

ამ სახლებში მოზინადრეთაგან ყველას იცნობდა. შემოხვდომისას ზოგს მოიკითხავდა, ზოგს ზეზეულად ესალმებოდა, ზოგიერთსაც, განსაკუთრებით კი მოგვიანებით გადმოსულებს, შორიდან იცნობდა, მაგრამ უკლებლივ ყველა იცოდა, რადგან ბატონი ქერიმი ამ სახლში დაბადებულიყო და თავის სიცოცხლეში სხვაგან არასოდეს ეცხოვრა: მხოლოდ ერთხელ — ჩვიდმეტი წლის წინათ, ზაფხულში თავისი ოჯახი ერთი

თვით ნალჩიკში წაეყვანა და ერთხელაც, ცხრა წლის წინათ, თორმეტი დღით შუშას სანატორიაში.

ბატონმა ქერიმმა თვალეები სკვერს მოაცილა და ოთახის კედელზე ჩამოკიდებულ საათს შეხედა — ეს კედლის საათი სკოლაში მისი პედაგოგიური მოღვაწეობის ოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად ეჩუქებინათ და ეს საჩუქარი ბატონი ქერიმის სიცოცხლეში ერთადერთი ჯილდო იყო — ექვს ოცი წუთი აკლდა და ბატონი ქერიმი მიხვდა, რომ ლოგინში ხელახლა შებრუნებას აზრი აღარ ჰქონდა, ამიტომაც წყნარი ნაბიჯებით სამზარეულოსკენ გაემართა.



ბატონი ქერიმის ოჯახს ორი ოთახი, შუშაბანდი, სამზარეულო ეკავა და, როცა ბატონი ქერიმი მეორე ოთახს ჰკვეთდა, წამიერად ადგილზე გაშეშდა: შარგიასთან თავის ხის პატარა სანოლში მნოლარე ჩვილს გაღვიძებოდა, თვალეები გაეხილა და ეგრევე უტყვე-უთქმელად ბატონ ქერიმს უცქერდა. პირველი შემთხვევა იყო, რომ ბატონი ქერიმი ბავშვს ასე მდუმარეს და სერიოზულს ხედავდა.

შარგია ბატონი ქერიმის უფროსი ასული იყო და ეს პატარაც მისი ბიჭი ვახლდათ ე.ი. ბატონი ქერიმის შვილიშვილი, თანაც ძალიან მტირალა. ექვსი თვე იყო, რაც ქვეყანას მოვლენოდა, მაგრამ ამ ექვს თვეში დღე არ გამოეუტოვებინა, რომ მღვიძარს არ ეტირა. ახლა ჩვილის ასე გაღვიძებულის და არმტირალის შემყურე ბატონი ქერიმი ცოტათი აღელდა კიდევაც. რა დილა იყო ეს, რომ თენდებოდა?

ბატონი ქერიმი, ბუნებრივია, მორწმუნე არ ყოფილა. ბედისწერისა და მისთანანის არ ჯჯეროდა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში დილაუთენია წელანდელმა თოფმა, საზამთროების ტუსაღებად მიჩნევამ და ახლა ბავშვის მიერ ბატონი ქერიმის ასე ყურადღებით თვალთვლება კაცის გულს რალაცნაირი წრიალი შეუჩინა, მოადარდინა.

ბატონმა ქერიმმა სამზარეულოში გაზი ანთო, ჩაიდანია აავსო და შედგა, მერე იმავე წყნარი ნაბიჯებით სანოლ ოთახში შებრუნდა და ჩაცმას შეუდგა. ბატონი ქერიმის მეუღლე ზაპრასაც, მეორე ქალიშვილ ზულეინასაც და ვაჟ ჰამლეტსაც ეძინათ და მართალია, ამ სახლში მასზე უწინ არავინ იღვიძებდა, მაგრამ ბატონი ქერიმი მაინც ძალიან ადრე იყო ამდგარი. ყოველთვის, შვიდს თხუთმეტი რომ აკლდა, ფეხზე იყო. კოსტიუმს ჯაგრისით ასუფთავებდა, ფეხსაცმელს აპრიალებდა, სახლის ჯამაათის წამოდგომამდე გადიოდა და დლიურ პურს, კეფირს, არაჟანს, გაზეთებს ყიდულობდა, მერე საუზმობდა და სკოლაში მიდიოდა; საერთოდ, ამ სახლის საყიდლები ათა-ბაბადან ბატონ ქერიმს ებარა.

ბატონი ქერიმი საშუალო კლასებში გეოგრაფიას ასწავლიდა და ახლა ზაფხულის არდადეგების გამო სკოლაში არ წავიდოდა, თუმცა მაინც ოცდათხუთმეტწლიანი ჩვევის ძალით იგივე ლურჯი კალათა აიღო და იმავე წყნარი ნაბიჯებით სახლიდან ქუჩაში გავიდა; პატარამაც წელანდელი დაკვირვებული თვალეებით ბატონი ქერიმი გარეთ გააცილა.

ქალაქი სრულიად ცარიელი იყო. მხოლოდ მეეზოვე გვიდა ქუჩას და ბატონ ქერიმს მოჰკრა თუ არა თვალე, მონივნებით მისვალმა. ბატონმა ქერიმმა სალაში ჩამოართვა და გზა გააგრძელა. ეს მეეზოვე უკვე რამდენი წელი იყო, რომ დილაობით ამ ქუჩას, სკვერს გვიდა, ასუფთავებდა და ღვთისგან ნაბო-

ძებ ყოველ ცისმარე დღეს ბატონი ქერიმი მისთვის შემხვედ-რი პირველი ადამიანი იყო.

რა თქმა უნდა მალაზიები, გაზეთის კოსკები დაკეტილი დახვდა და ამიტომაც ბატონმა ქერიმმა ლურჯი კალათის ქნევა-ქნევით ზღვისპირა ბულვარისაკენ გასწია და ასეთ უკაცრიელ ქუჩებში გაბიჯებისას მოეჩვენა თითქოს აქამდე უცნობ, უნახავ ქალაქში იმყოფებოდა; მართალია ბატონმა ქერიმმა რაც კი დუნიაზე ქალაქები იყო, მათი, სულ ცოტა, ოთხმოცდაათი პროცენტის სახელი ზეპირად იცოდა და ბაქოს მთელ ქუჩებს, ჩინებს, ის კი არაა, სხვადასხვა სახლებსაც (მიკრორაიონების გამოკლებით) კარგად იცნობდა, მაგრამ ახლა შაბათი იყო და ახალგათენებულზე ბაქოს ცარიელ ქუჩებში გავლისას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს სრულებით უცხო ქალაქშია, რომლის მოსახლეობაც მხოლოდ მეზოვეებისაგან შედგება.

სკოლაში ბავშვებმა ბატონ ქერიმს „კალათა“ შეარქვეს ე.ი. მასწავლებელი კალათა ქერიმი, რადგან მათში შიშისა და კრძალვის აღმძვრელ ბატონ ქერიმს ქალაქში შემთხვევით გადაყრისას ხელში კალათით ან ხორცის მალაზიის რიგში მდგომს, ან კვერცხის ანდა სხვა რამის მყიდველს ხედავდნენ. კლასიდან კლასში გადასვლისას, სწავლის დასრულებისას და ხელახლა სკოლაში დაბრუნებისას ბავშვებმა ყურადღება მი-აქციეს, რომ ეს კალათა ყოველთვის ლურჯი ფერისაა და მეტსახელს წინ სიტყვა „ლურჯი“ მიუმატეს ე.ი. მასწავლებელი ლურჯი კალათა ქერიმი. შემდეგ ამ შერქმეულ სახე-ლებს „ძველიც“ დაურთეს და საბოლოოდ „მასწავლებელი ძველი ლურჯი კალათა ქერიმი“ გამოვიდა.

ამ შერქმეული სახელების ამბავი ბატონ ქერიმსაც მიუვი-და და ამან იგი სრულებითაც არ შეანუხა, არ გააბრაზა, რად-გან ბატონმა ქერიმმა გაიფიქრა, არაუშავს, აი როცა თვითონ-იც გაიზრდებიან და ხელში კალათას აიღებენ, მაშინ მიხვდებ-ნანო. მაგრამ აქ ერთი, ბატონი ქერიმი ბაიბურშიც რომ არ იყო, ისეთი რამეც ხდებოდა — ერთმანეთში ბატონ ქერიმს მასწავლებლებიც ძველ ლურჯ კალათას ეძახდნენ (რა თქმა უნდა მორიდების გამო პირადად ასე არ მიმართავდნენ).

ბულვარშიც არავინ ჭაჭანებდა, ბატონი ქერიმის გარდა არავინ მოჩანდა, მაგრამ სანაპიროს გასწვრივ ზღვის ზედა-პირზე მოფარფატი თოლიები მრავლობდნენ — ზოგჯერ ქვე-მით ეშვებოდნენ და წყალს ჩაუნისკარტებდნენ. ჩიტების ხი-ვილი ბულვარის ამ უკაცრიელობაში ისე ნათლად ისმინებო-და, თითქოს ჩვეულებრივი ხივილი კი არ იყო, არამედ ჩიტები რაღაცას ამბობდნენ, ლაპარაკობდნენ. თუმცა ბატონი ქერი-მი წარმოსახვით სამყაროს გამოკიდებული ადამიანი სულაც არ გახლდათ და ახლა მალაზიაში არაჟნის იქნება-არიქნებას საკითხი გაცილებით მეტად აღელვებდა; უცვებ ბატონი ქერი-მი ჩიტებზე, უფრო სწორად, ქალაქის სანიტარიის განყოფი-ლებაზე განრისხდა. ქალაქის მთელი სიბინძურის ზღვაში ჩა-დინებას ყურადღებას რომ არ აქცევენ, თოლიებიც ამის გამო დაეძებნენ საკვებს აქ.

ბატონმა ქერიმმა ცარიელი კალათის ქნევა-ქნევით სანა-პიროს გასწვრივ გაბიჯებისას გადაწყვიტა, რომ დღეს ან ხვალ დილით უსათუოდ ქალაქის სანიტარული მდგომარეო-ბის შესახებ ბაქოს საბჭოს წერილს მისწერდა და იმ წერილის პირველი წინადადებების მოხაზვასაც შეუდგა გონებაში. ეს იყო და წელანდელი თოფის მსროლელი და ძაღლის მზიდავი ის ორი კაცი, მერე კი თვალგახელილად მწოლარე და უხმოდ მზირალი ბავშვიც გაახსენდა.

შარგიას ქმარი — სალმანი — ფიზიკით იყო დაკავებული. ნიჭიერი მეცნიერი, ამბობდნენ. თუმცა ეს ნიჭი არც სახლი იყო და არც მანქანა. სალმანიც ბატონი ქერიმის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და თუკი მართლაც ამქვეყნად ბედის მსგავსი რამ არსებობდა, ის სწორედ შარგიას არ გაუმართლ-და; მართალია სალმანი მსმელი, მოტანტალე, ბუზღუნა კაცი არ ყოფილა, დილით სამსახურში მიდიოდა და საღამოს ბრუნ-

დებოდა შინ, შარგია შაბათ-კვირას კინოში დაჰყავდა, ბულ-ვარზე პატიჟებდა სასეირნოდ, ერთხელ შუველანში მეყვავი-ლეობის ფერმაშიც კი წაიყვანა, მაგრამ სალმანს ზედ ნაცვა-მი კოსტიუმის გარდა არაფერი ებადა და სკოლის დასრულე-ბის შემდეგ ყარაბაღში, სოფელში დატოვებული ნათესავების მეტი არავინ ჰყავდა. შარგია ორი წლის წინათ — როგორ შეხ-ვდნენ, სად გაიცნეს ერთმანეთი ღმერთმა უწყის — სალმანს გაჰყვა ცოლად, რადგან... (აქ ბატონმა ქერიმმა ბულვარზე სიარულის შეუწყვეტლად ერთ-ბორჯერ ჩაახველა), რადგან შარგიას მთხოველი არ ჰყავდა.

სალმანი ახლა ბაქოში არ იყო, პარიზში იმყოფებოდა. იმ ინსტიტუტს, სადაც სალმანი მუშაობდა, ფრანგ მეცნიე-რებთან ჰქონდა კავშირი და სალმანიც სტაჟირებისთვის ექვსი თვით გაემგათ პარიზში. ექვსი თვის შემდეგ კი უკვე ფრანგი მეცნიერი ჩამოვიდოდა ბაქოში. ბატონი ქერიმი ხვდებოდა, სალმანი გამორჩეული რომ არ ყოფილიყო, პარიზში არ გაუშ-ვებდნენ, მაგრამ იგი იმდენად უთქმელი, დუმილით მოცული ადამიანი გახლდათ, რომ სიძის პარიზში გამგზავრება ბატონი ქერიმის ოჯახში ისეთ დიდ ამბავად არ ჩაითვალა.

ავისიტოს იმ დილას სანაპიროზე ცარიელი ლურჯი კალა-თის ქანავით მიმავალ ბატონ ქერიმს უეცრად პარიზში სალ-მანის ყოფნა, მისი იმ დიდ და უცხო ქალაქში ცხოვრება ეუც-ნაურა. გულში აღძრული ამ გრძნობის სიმხურვალისგან მცი-რე ხანს შეჩერდა, წითლად მოღუღუნე ჰორიზონტს გახედა და ჰორიზონტის ასეთი სინითლე, ცის ასეთი სისუფთავე და სილურჯე, ზღვის ამგვარი სიწყნარე და სიფართოვე, თოლი-ების ბულვარის გასწვრივ ფრენაც და მათი ჟივილ-ხივილიც კი მოეწონა ბატონ ქერიმს, ბუნების პეიზაჟით მოიხიბლა.

ბულვარზე შეყოვნების გამო მალაზიებში რიგში ჩადგომა მოუწია, ხილ-ბოსტნეულის ჯიხრითან კი გადაწყვიტა საზამ-თროც ეყიდა და კარგა ხნის შერჩევის შემდეგ ზირის ერთი კარგი საზამთრო აიღო. მერე გაზეთის კოსკთან ჩადგა რიგ-ში და რადიო-ტელევიზიის პროგრამა შეიძინა, რის გამოც შინ ჩვეულებრივზე გვიან მივიდა.

კარი ნურიდე ხანუმმა გაულო და ბატონი ქერიმი სისხამ დი-ლით თავის სახლში ნურიდე ხანუმის ხილვისას, მისი სერიოზუ-ლი სახისთვის თვალის შევლებისას მიხვდა, რომ რაღაც მოხდა.

ნურიდე ხანუმი ბატონი ქერიმის მოპირდაპირე ბინაში ცხოვრობდა.

ერთ ხელში ზირის დიდი საზამთროთი, ხოლო მეორეში ლურჯი კალათით მდგარმა ბატონმა ქერიმმა დის — რო-გორც ყოველთვის — გაჰუდრული, შეღებილი, მონესრიგე-ბული სახისთვის თვალმოუცილებლად იკითხა:  
— რა მოხდა?

ნურიდე ხანუმმა კაცით დაბოხებული ხმით:  
— არაფერი- უთხრა — ნუ გეშინია, შემოდი.

ბატონმა ქერიმმა შეაბიჯა და ზაჰრაც, ზულეხაც, ჰამ-ლეტიც ფეხზემდგომელა დახვდა. შარგიაც შინ იყო, პატა-რასთან იჯდა და თავი ჩაელუნა — ეტყობა ჩუმ-ჩუმად ტირო-და. ყოველ შემთხვევაში, სახლში მყოფთა სალ-სალამათად ხილვამ ბატონი ქერიმი დაამშვიდა და, ეგებ აბდულა მოკე-დაო, გაიფიქრა. მაგრამ ნურიდე ხანუმის ჩვეული გამომეტყ-ველება სხვა რამეზე მიანიშნებდა — ნურიდე ხანუმი ქმრის დამკარგავ ქალს არ ჰგავდა.

— სალმანი ავტოავარიაში მოჰყვა — თქვა ნურიდე ხა-ნუმმა და შარგიამაც ტირილს უმატა.

— სალმანი დაბრუნდა კი პარიზიდან? — იკითხა ბატონ-მა ქერიმმა.

ნურიდე ხანუმმა ძმას თვალეში მკაცრად ჩახედა:  
— განა პარიზში ავტომობილები არ დადიან?

ნურიდე ხანუმი თავისზე ორი წლით უმცროსი ძმით ყო-ველთვის ამყობდა და თავის ქმრისთვის ბატონ ქერიმს მა-გალითად სახავდა. მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ თა-

ვის მკაცრ და ბასრ მზერას ძმის თვალებში ჩაასობდა ხოლმე და ამ დროს ბატონი ქერიმი თავისი ერთი მონაფეთაგანივით იბნეოდა; შემდეგ ნურიდე ხანუმმა ტელეგრამა გაუწოდა ძმას და ბატონი ქერიმი ტელეგრამიანად ფანჯარასთან მივიდა, რათა შუქი უკეთ დასცემოდა და კითხვას შეუდგა: ტელეგრამაში მართლაც წერდნენ, რომ სალმანი პარიზში ავტოავარიაში მოჰყვა, ახლა საავადმყოფოშია. მაგრამ იმასაც იტყობინებოდნენ, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა.

— მერე რა? — თქვა ბატონმა ქერიმმა — წერენ, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. პარიზის ექიმების ხელში სალმანის გამოჯანმრთელება წყლის სმასავით... იმასავით რამეა.

უცნაური ის იყო, რომ ცოტა ხნის წინათ ნურიდე ხანუმამაც სწორედ ეს უთხრა ზაჰრას. როცა ზაჰრამ ტელეგრამა მიიღო, ბულვარში მიმავალი ბატონი ქერიმი გონებაში ბაქოს საბჭოს წერილს სწერდა. და ზაჰრაც მრავალ წელთა მანძილზე დაჩვეული დღეების იგივეობა როგორც კი პატარაზე ირღვეოდა, ანუ როცა კი რაღაც გაუთვალისწინებელი იჩენდა თავს, მაშინვე იბნეოდა, არ იცოდა თუ რა ექნა. ამიტომ ყურმილი აიღო და ნურიდე ხანუმს დაურეკა, რადგან კვლავაც დავთრები არეოდა და ტელეგრამა ტელეფონშივე ნაუკითხა. ნურიდე ხანუმამაც იმის გამო, რომ დილის ვარჯიში მოულოდნელად შეუწყდა, უკმაყოფილოდ იგივე სიტყვები უთხრა: „მერე რა? თვითონ იწერებიან, რომ სახიფათო არაფერია. პარიზელ ექიმებს ენდე, სალმანისთვის მისწრებაა ახლა. უწინდელზეც კარგად შეაკეთებენ“. ნურიდე ხანუმი შემდეგ კვლავ დილის ვარჯიშს მიუბრუნდა, მაგრამ ამჯერად თვითონვე მიატოვა და ზაჰრას დაურეკა: „აბა ერთხელ კიდევ წამიკითხე ის ტელეგრამაო“ — უთხრა. მერე სასწრაფოდ ჩაიცვა და ძმის სახლში მივიდა. ახლა ბატონმა ქერიმამაც იგივე აზრი გამოთქვა.

ნურიდე ხანუმი ოთახში ერთადერთ რბილ სავარძელში ჩაესვენა:

— ბოლო, ბოლო ნაწილი წაიკითხე- უთხრა.

ბატონმა ქერიმმა ტელეგრამის კითხვა გააგრძელა. იწერებოდნენ, რომ სალმანის უახლოეს ნათესავთაგან ერთერთს პარიზში ჩასვლა შეეძლო და მთელ ხარჯებს იმ ავტომობილის კუთვნილი კომპანია კისრულობდა, რომელიმე სალმანი იჯდა. ბატონმა ქერიმმა ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ კვლავაც დას გახედა. თავდაპირველად ვერ ისაზრა თუ რა ელონა, ამ ამბისადმი რა დამოკიდებულება გაემჟღავნებინა, და უცებ ბრაზი მოერია:

— რა უსირცხვილობაა! სალ-სალამათი კაცი საავადმყოფოში ჩააგდეს და ახლა ფულს გეთავაზობენ.

მართალია ბატონმა ქერიმმა ასე კი თქვა, მაგრამ ისიც იგრძნო, რომ არც მის სიტყვებს და არც გაგულისებას არავისზე უმოქმედია; ბატონი ქერიმის მზერა ხის პატარა სანოლში ბავშვს მისწვდა: პატარას თვალები გახელილი ჰქონდა, თუმცა არ ტიროდა და ბატონმა ქერიმმა კინალამ იკითხა, რა სჭირს ამას, რატომ არ ტირისო? მაგრამ არაფერი უკითხავს და შარგიას შეხედა. შარგია ჩუმ-ჩუმად ტიროდა, მალიმალ ცხვირსაც ისრუტინდა, თუმცა ხმას არ იღებდა და ბატონმა ქერიმმა გაიფიქრა, მართალი უთქვამთ, ქმარი და ცოლი ერთი ცომით არიან მოზელები. შარგიაც თავისი ქმარივით ბეჩავი იყო.

ნურიდე ხანუმს ბატონი ქერიმის შარგიასკენ გახედვა არ გამოჰპარვია და:

— არა, შარგია ვერ წავა — უთხრა — თოთო ბავშვი ჰყავს. ზულეიხამაც სასწრაფოდ დაუდასტურა:

— ჰო, შარგია ვერ წავა. მე რომ წავიდე, კარგი იქნება, რაც საჭიროა, გავაკეთებ!

შარგიამ აქ ზღუქუნი ამოუშვა, მაგრამ არა იმიტომ, რომ თოთო, ძალიან მტირალა ბავშვი ჰყავდა და ამის გამო პარიზში ვერ



მხატვარი ქეთევან აქუბარდია

წავიდოდა, არამედ იმიტომ, რომ ყველამ და მათ შორის შარგიამაც კარგად იცოდა თუ როგორ ვერ იტანდა სალმანს ზულეიხა და თავისი დის სალმანივით უგერგილო, უნაირო, ჩაუცმელ-დაუხურავ, ჩემ კაცზე გათხოვების გამო დაქალებისა რცხვენოდა.

ჰამლეტს ზულეიხას სიტყვები ეწყინა, შუშაბანდის ღია ფანჯარასთან მივიდა და სახლში მყოფებს ზურგი შეაქცია; ჰამლეტი ასაკით შარგიაზეც უფროსი იყო და ზულეიხაზეც, მაგრამ შინ უფროსად მას მაინც არავინ მიიჩნევდა და ჰამლეტს ისლა დარჩენოდა, პროტესტის ნიშნად გაბუტულიყო.

ნურიდე ხანუმმა თქვა:

— უფროსთან უმცროსს ხმა არ ამოელება. ჩვენ — ნურიდე ხანუმმა ხელით ბატონ ქერიმზე ანიშნა — ჩვენ იმ ცხონებულებთან კრინტსაც არ ვძრავდით.

ნურიდე ხანუმი „იმ ცხონებულებში“ დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ მშობლებს გულისხმობდა და, სინამდვილეში ნურიდე ხანუმი მშობლებთან თავიანთ ურთიერთობებზე იმდენ ნაირგვარ ამბავს ჰყვებოდა და იმდენ მაგალითს მიმართავდა, რომ ბატონი ქერიმი ანი დედ-მამას როგორებიც იყვნენ, ისე კი არა, ნურიდე ხანუმის მაგალითების, მოგონებების მიხედვით წარმოიდგენდა ხოლმე.

ზულეიხამ მამიდას გაჯავრებით გახედა, რადგან ამ სახლში მას საკუთარი თავი ყველაზე ჭკვიანად და სხარტად მიჩნდა. ახლაც მიხვდა, რომ ნურიდე ხანუმს სურდა შემთხვევით ესარგებლა და პარიზში თვითონ წასულიყო.

ჰამლეტი შუშაბანდის ღია ფანჯარას მოსცილდა და შუაგულ ოთახში შედგა. მამიდას დააცქერდა, დედ-მამას გახედა, ზულეიხას და შარგიას შეხედა, ხის პატარა სანოლში საკუთარ ხელებთან მოთამაშე პატარას უყურა და სიმწრისაგან მოგუდული ხმით:

— ყველგან პატივს მცემენ ამ სახლის გარდა! — თქვა, ცოტათი ხმა აუთრთოლდა, სწრაფი ნაბიჯებით ოთახი გადაკვეთა, ბინის კარი გამოალო და ზურგსუკან გაიჭახუნა.

ბატონი ქერიმი ახალგაზრდობისას თეატრში „ჰამლეტის“ საყურებლად წასულიყო და იმ დაუფინყარი სპექტაკლის ზეგავლენით ერთადერთი ვაჟისთვის ჰამლეტი დაერქმია. ნურიდე ხანუმმა თავის ძმისწულს ზურგსუკან დაუფარავი დაცინვით გახედა, რადგან ჰამლეტი ოცდაათს გადაცილებული კი იყო, მაგრამ ჯერ ხელი არაფრისთვის მოეკიდა. საშუალო სკოლის მო-



ნაფეხსავით სამომავლოდ ნაირ-ნაირ გეგმებს აწყობდა, ხან სცენარს წერდა და დილიდან საღამომდე ამ სცენარის ეშხით იყო ატაცებული, ხან აეროპორტში ეწყობოდა სამუშაოდ და გამოჩენილ მებაჟეობაზე ოცნებობდა, ხანაც დღეობით ბიბლიოთეკაში იჯდა და ფილოსოფოსთა, განსაკუთრებით კი ფოიერბახისა და ჰეგელის, თხზულებებს კითხულობდა. თან სქელ-სქელი რვეულების შევსებით ჰეგელთან მიმართებაში ფოიერბახის უპირატესობას ამტკიცებდა და ფილოსოფოსობას ნატრობდა.

ნურიდე ხანუმმა:

— საჭიროა დავსხდეთ და ავზომ-დავზომოთო — თქვა — ავზომ-დავზომილი კაბა უფრო ფართე იქნება.

II

ბატონი ქერიმი იმ მკითხველთაგანი იყო, გაზეთს თავიდან ბოლომდე, ნაწერის გამოუტოვებლად რომ კითხულობენ და ახლაც შუშაბანდში თავი გაზეთში ჰქონდა ჩარგული.

ნურიდე ხანუმი დილისაქეთია ძმასთან იყო და სამზარეულოში ჰაერისა და გაზის სიმზურვალისაგან გაოფლილ ზაჰრას ვაზის ფოთლის ტოლმის მომზადებაში ეხმარებოდა. ზუღეისა დიდ ოთახში, დივანზე წამონოლილი დღიურს კითხულობდა. ეს დღიური მისთვის ტრამვასის პარკში მასთან ერთად მომუშავე დაქალს მიეცა. დღიური ძალიან ლამაზი კალიგრაფიით იყო შესრულებული, არშიები ყვავილებით, ბულბულებით, ორივე მხრიდან ისარგაყრილი გულებით იყო მოხაზული და ზუღეისას დაქალსაც ესენი ფანქრებით მოეფერადა. დღიური უდროოდ შეწყვეტილ სიყვარულს ეხებოდა, ბიჭების მუხანათობაზე მოუთხრობდა. თუმცა ზუღეისა გონების მოკრებას მაინც ვერ ახერხებდა, დღიურს მთლიანად ვერ მისცემოდა, ერთიანად ვერ განეცადა, რადგან წამდაუნუმ რაღაცის მომიზეზებით სამზარეულოში გადიოდა, რათა ენახა თუ რას ლაპარაკობდა ნურიდე ხანუმი.

ნურიდე ხანუმი ხმადაბლა არაფერს ამბობდა, რადგან ბატონი ქერიმისა სჯეროდა ნურიდე ხანუმს და ახლაც ენდობოდა; მართალია, თავის სახლშიც არ წასულა, შეეშინდა რომ მის არყოფნაში ზუღეისას აურზაური არ აეტეხა და პარიზში წასვლის ამბავი უმისოდ არ გადაწყვეტილიყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, სჯეროდა ნურიდე ხანუმს თავისი ძმისა და იცოდა, რომ თავი-ბოლო პარიზში თვითონ წავიდოდა.

აბდულა მეორე ოთახში თვლემდა, ზოგჯერ მაგიდაზე ტელეგრამას გახედავდა, ჩაილიმილებდა, თავს გაიქნევდა და ხელახლა ჩაყვინთავდა. აბდულა დალაქად მუშაობდა. ნურიდე ხანუმის მეოთხე ქმარი იყო. მაგრამ უწინდელ ქმრებზე ერთგული გამომდგარიყო და არსად გაპარულიყო. ზუსტად 16 წელია ერთად ცხოვრობდნენ. ნურიდე ხანუმს შინ დაერეკა და აბდულა ეხმო. აბდულაც დილისაქეთია ყვინთვა-ყვინთვით სადილს უცდიდა და თან სხვადასხვა საბაბს ეძებდა, რომ სადილის შემდეგ როგორმე დატყუილიყო, რადგან სათვალის კოლოფში ხუთი მანეთი ჩაემალა და, აქედან როგორმე რომ გაეღწია, დღეს სიცოცხლე გაუმშვენიერდებოდა.

ზუღეისა აბდულას როცა ჩაუვლიდა, ყოველ ჯერზე ცდილობდა ჰაერი არ ჩაესუნთქა, რადგან როგორც ყოველთვის, აბდულას ახლაც იაფფასიანი სუნამოს სუნი უდიოდა, რომელიც იმ დღიურში განცდილი გრძობების, ფანქრებით შეფერადებული ნახატების შემდეგ ზუღეისაზე ძლიერ ცუდად მოქმედებდა.

აბდულას საკუთარი ვირეშმაკობანი გააჩნდა, რაც მხოლოდ ნურიდე ხანუმს მოეხსენებოდა. აბდულას სუნამოს სუნი იმიტომ კი არ უდიოდა, რომ დალაქი იყო — ეს თავისთავად — არამედ იმიტომ, რომ დილაობით პირზე სუნამოს შესსურებით ცდილობდა რაღაც მანქანებით გადახუზული არყის სუნი ჩაეხმო.

შარგია შუშაბანდის ბოლოში იჯდა და ბავშვს ძუძუს აწოვებდა და ბავშვიც თავის ექვსთვიანი არსებობის მანძილზე პირველად იყო ასე სერიოზულად — არ ტიროდა, და როცა კი ბატონი ქერიმის მზერა ბავშვს მისწვდებოდა, კაცს უკვირდა ეს.

ავგისტოს იმ დღისით სიცხე თანდათან იმატებდა და ნაშუადღევითვის ბაქოში უკვე ისეთი ხვატი იდგა, სუნთქვა ჭირდა. უცებ ბატონ ქერიმს ლამაზი, მთებში ასვეტილი ქალაქი შუშა გაახსენდა და მის წარმოდგენაში იელვა, იჭექა, დაჰქუხა და ისეთმა კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა, რომ კაცს გაზეთიანი ხელი დაუბოძდა, ჩამოუვარდა, თვალი სხვაგან მაცქერალი გაუხდა და ბატონ ქერიმს გონებაში გაჰკრა — ნეტა პარიზში თუ წვიმსო?

რა თქმა უნდა, ბატონმა ქერიმმა დასავლეთ ევროპისა და, მათ შორის, საფრანგეთის კლიმატური პირობებისა კარგად უწყოდა, მაგრამ ახლა პარიზი მისთვის რაღაცნაირად ფარულ და იმავდროულად ადამიანის უცნაურად ხალასი გრძობებით აღმვსებ ქალაქად ქცეულიყო.

ნურიდე ხანუმმა თქვა, სადილი მზადააო. ზუღეისა მაგიდაზე თეფშების დალაგებას შეუდგა. ბატონ ქერიმსაც შიოდა, თუმცა გულის სიღრმეში არ სურდა, რომ სადილის მზადება დამთავრებულიყო, არ სურდა სუფრას შემოსხდომოდნენ, არ სურდა ახლახან კოკისპირულად დამშენ წვიმას გასცლოდა; ბატონმა ქერიმმა იცოდა, რომ შინ ეს სიმშვიდე დროებითი იყო, იცოდა, ყველას გონება სხვაგან რომ უქროდა და საცაა სერიოზული საუბარი დაიწყებოდა.

ამ დროს კარზე ზარის ხმა გაისმა, ჰამლეტი აჩქარებით შემოვიდა შინ. სახლში მყოფთ სათითაოდ გადახედა, შემდეგ აბდულას მიუახლოვდა და ჩურჩულით ჰკითხა რაღაც. მანაც თავი უარის ნიშნად გადაიქნია და მხოლოდ ამის მერე მიუჯდა ჰამლეტიც სუფრას.

ყველა მაგიდასთან იჯდა და ვაზის ფოთლის ტოლმას მიერთმევდა. მხოლოდ ბავშვი იწვა ხის პატარა საწოლში და საკუთარი ხელების თამაშის ცქერით გართულიყო. თან ისეთი გაკვირვებით აჰყურებდა თავის პანია ხელებს, გეგონებოდა მათი ყურებით იწყებს სამყაროს აღმოჩენასო.

არავინ ძრავდა ხმა-კრინტს. თეფშებზე დანა-ჩანგლის წკარუნილა ისმოდა. აბდულამ ერთი-ორჯერ ხმადაბლა ჩაახველა. ზუღეისამ პირი იბრუნა და ჰაერს შეუბერა, რათა აბდულასაგან მოფრქვეული სუნი არ მოეშვა; ზუღეისა ტოლმას ჭამდა, არაფერს ამბობდა — მომენტს უცდიდა და თან იმ ლამაზ დღიურში აღწერილი ბობოქარი სასიყვარულო გრძობების სამყაროში ვერაფრით შედიოდა, მოუსვენრად იყო.

ყოველ შემთხვევაში ნურიდე ხანუმი მაინც ნურიდე ხანუმი იყო და ღვთისმშობელიც მან დაარღვია:

— აფსუს, შარგიას ბავშვი ჰყავს... ასეა, დედობასაც ათასი საზრუნავი გააჩნია...

მამიდას ამჯერად ზუღეისამ გახედა ფარული სიძულვილით, რადგან ნურიდე ხანუმს თავისი უწინდელი ერთ-ერთი რომელიღაც ქმრისგან გოგო ჰყავდა და ის გოგო სავარაუდოდ ახლა ყაზანში ცხოვრობდა; არც ნურიდე ხანუმის, არც ბატონი ქერიმის ოჯახში მასზე არ ლაპარაკობდნენ. ისიც არ იწერებოდა, ბაქოში არ ჩამოდიოდა და საერთოდაც, ნურიდე ხანუმსაც და ბატონი ქერიმის ოჯახსაც ისე ეჭირა თავი, თითქოს ის გოგო ქვეყნად არც კი არსებობდა. მოკლედ, იმ გოგოს ამბავი ღვთის საიდუმლოებასავით რამ იყო.

ნურიდე ხანუმმა განაგრძო:

— შარგია პარიზში ვერ წავა...

— პარიზში მე წავალ! — ესეც ზუღეისამ თქვა.

შარგიას თვალები აუცრემლდა, მაგრამ უწინდებურად არაფერი თქვა.

ნურიდე ხანუმმა გაჯავრებით შეხედა ზუღეისას, შემდეგ კი ბატონ ქერიმს — რატომ არაფერს ამბობო? რასაკვირველია, საბოლოო მსჯავრი ბატონი ქერიმისა იყო და მაგიდის გარშემო მსხდომთაც შესანიშნავად იცოდნენ, რომ ბატონი ქერიმი ნურიდე ხანუმის სასარგებლოდ ამოიღებდა ხმას.

მართალია ბატონ ქერიმს გაზეთები გადაეღო, მაგიდას მისჯდომოდა და ვაზის ფოთლის ტოლმას მიერთმევდა, მაგრამ

ჯერ კიდევ იმ შხაპუნა წვიმისგან, იმ უცაბედი წვიმისგან ვერ გამოვლენია და ყველაზე უცნაური ის იყო, და ბატონი ქერიმიც გრძობდა ამას, რომ სინამდვილეში მას ამ წვიმისგან გამოვლენვა სულაც არ სურდა; თავის სიცოცხლეში ბატონ ქერიმს ასეთი რამე არ დამართნია; ბატონი ქერიმი ყოველთვის სიცხეს სიცხედ, სიცივეს კი სიცივედ იღებდა და წვიმის საჭიროება არასოდეს ეგრძნო, ფუჭ ოცნებათა სამყაროს არასოდეს გამოჰკიდებოდა, მაგრამ ახლა უეცრად იჭექა, იელვა და დაუშვა. ხოლო იმ წვიმის სიგრილემ გული ამგვარი ახალი გრძობებით ამოუპირთავა. ბატონმა ქერიმმა არ იცოდა თუ რა იყო ეს ახალი გრძობები, რისი თქმა ენადათ, ან რა სურდათ, ვერ გაეგო, მაგრამ ახალს და ხალასსაც განიცდიდა იმავდროულად, რომელსაც რალაცნაირი სევდაც ახლდა თან, უკვე ჩავლილ სიცოცხლეზე, ცხოვრების ერთფეროვანებაზე მეტყველი სევდა.

ბატონმა ქერიმმა პირი ცოლისკენ მიიბრუნა:

— შენ რას იტყვი?

ბატონი ქერიმის ეს კითხვა ძალიან მოულოდნელი იყო, რადგან უგრძელეს წელთა მანძილზე ამ სახლში დაჩვეულებულნი ვინ, რომ ზაპრა გათენებებიდან-დაღამებამდე ფეხზე უნდა იდგეს, საქმელი მოამზადოს, ჯამ-ჭურჭელი განმინდოს, ტანსაცმელი გარეცხოს, ზაფხულში მურაბა გააკეთოს, ბადრიჯანი ჩადოს ძმარში, ფართლელი დაანაფტალინოს, ზამთარში ცომეული მოამზადოს და, ბუნებრივია, ზაპრას სერიოზულ საქმეებში ჩარევის გასაქანი არ ჰქონდა; უფრო სწორად, სერიოზულ საქმეებში ჩარევის სურვილიც კი არ გააჩნდა და ამ მხრივ შარგაივც დედას დამსგავსებოდა; მაგრამ ზაპრას პასუხი ბატონი ქერიმის კითხვაზეც მოულოდნელი აღმოჩნდა:

— ღმერთმანი, ქერიმ, ეგებ მე თვითონ წავიდე?

ბატონ ქერიმს გაოცებისაგან თვალები გადმოეკარკლა:

— რა?

— ჰო რა... წავალ და ჩასაცმელ-დასახურავს ჩამოვიტან თქვენთვის...

ზუღიხამ ველარ მოითმინა:

— კი მაგრამ შენ მოდისა გაგეგება რამე?

— რატომ არ გამეგება?

ბატონმა ქერიმმა წელანდელი გაოცებით:

— შენ მარტოდმარტო ადგები და აქედან პარიზში წახვალ? — იკითხა.

— მეერ რა მოხდა, ქერიმ, ჩემს სიცოცხლეში მეც სადღაც წავალ რა...

წურვიდე ხანუმი ზაპრას მოულოდნელი პასუხის შემდეგ ახლალა მოვიდა გონს და გაჯავრებით გაანყვეტირა:

— რატომ სიცოცხლეში ერთხელ! განა იმხელა ნალჩიკში არ იყავი?

ბატონმა ქერიმმა ცოლს თვალი მოარიდა.

პარიზში ნეტა მართლა მოდის წვიმა?

ჰამლეტმა მლელვარების დაოკება-დაოკებით, შინ მოსვლის შემდეგ პირველად თქვა ხმამალა:

— იცით კი რას ლაპარაკობთ? რა, პარიზში გამგზავრება თქვენ მაშტალაში წასვლა ხომ არ გგონიათ? პარიზი პარიზია, პარიზი! იქ წამსვლელს გამოცდილება უნდა ჰქონდეს, ერთხელ საზღვარგარეთ მაინც უნდა იყოს წამყოფი.

აბდულა დილიდან მთელ ამ გადასიტყვ-გადმოსიტყვებებს ყურადღებას არ აქცევდა. ეს ერთი ჰქონდა საფიქრალად, თუ რისი მოსაბაბებით გამძვრალიყო, სათვალის კოლოფი გაეხსნა, ამ მშვენიერ ქვეყანაზე თავისუფლად ენავარდა, გააზატე-ბულიყო, ყელი ჩაესველებინა და მერე 40 წელიწადს მასთან ერთად მომუშავე მარტიროსისთვის ნარდში მოეგო. მაგრამ ჰამლეტის სიტყვები, რომ მოესმა, ჯერ თითქოს ყურებს არ დაუჯერა, მერე ნახა, რომ ყველამ, მათ შორის წურვიდე ხანუმამაც მას დაუწყო ცქერა და მკერდი გამოებერა აბდულას, წელში გასწორდა, გაიმართა, შეეცადა უეცრად მოხეთქილი და

სხეულის ამათროლები მლელვარება დაეფარა; საქმე ის იყო, რომ აგვისტოს იმ ცხელ დღეს ბატონ ქერიმანთასას სუფრის გარშემო მსხდომთაგან არცერთი არცერთხელ საზღვარგარეთ არ იყო წამყოფი და ამ კუთხით არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა, გარდა აბდულასი, ისიც იმიტომ, რომ ომის დროს ავსტრიის გასათავისუფლებლად ებრძოლა და ამაზე თვითონ კი არა, ყოველთვის წურვიდე ხანუმი ჰყვებოდა.

რა თქმა უნდა, აბდულა ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ასე დაფასდებოდა, მისი გამოცდილება ასეთი ძვირფასი შეიქნებოდა. აბდულა სრულებით დარწმუნებული გახლდათ, რომ პარიზში წურვიდე ხანუმი წავიდოდა. ყველა დანარჩენი ფუჭი ლაპარაკი იყო და სინამდვილეში, გულის სიღრმეში აბდულას წურვიდე ხანუმის წასვლა უხაროდა კიდევაც, რადგან რაც უნდა იყოს, ათ-თხუთმეტ დღეს მარტო ყოფნა მოუწევდა, ათ-თხუთმეტ დღეს ამ ამო ქვეყანაზე თავისუფლად ისუნთქებდა, ბაქოში გემოზე იცხოვრებდა. პარიზში წასვლა თუ მოუწევდა, აბდულა ამას ფიქრადაც ვერ გაიჭაჭანებდა და ახლა დილიდან მოფიქრებული, აწონ-დანონილი საბაბებიც გადაავიწყდა, სათვალის კოლოფში ჩადებული ხუთიანიც, ოსტატი მარტიროსისთვის ნარდში მორიგი ხელის მოგების აზარტიც და აბდულას მკერდი სიხარულით აეგვსო, რადგან საკუთარ თვალში ამალელებულიყო.

ბატონი ქერიმი ცოლის სიტყვების მერე, ახლა შვილის ნათქვამზე გაოცდა, შემდეგ „სასმელზე გადამკვდარ“ აბდულას შეხედა, მაგრამ სიღინჯე არ დაკარგა და წყნარად იკითხა:

— რისი თქმა გინდა?

— იმის თქმა მინდა... — ჰამლეტი წელ-წელა წამოწითლდა — კარგი იქნება თუ ფერიდე წავა!

— ვინ?

— ფერიდე! ამ სფეროში მას გამოცდილება აქვს! შარმან... შარმან ბულგარეთში იყო ტურისტად.

ბატონი ქერიმი ვერაფერს მიხვდა:

— ფერიდე ვინლაა?

ჰამლეტი კიდევ უფრო განითლდა. ზუღიხამ თქვა:

— ხუთი წელია ამას ფერიდე უყვარს და დილა-საღამოს მაგის დარდით ვერ არის. ფერიდე კიდე თავს შორს იჭერს. ახლა, ეტყობა, პირობა წამოუყენებია, რათა პარიზში წავიდეს! სახელის გამოცვლაც უნდა ფერიდეზე დარდით...

ბატონმა ქერიმმა გულწრფელად გაიკვირა:

— სახელის რალატომ?

— ფერიდეს არ მოსწონს ამისი სახელი!..

ბატონმა ქერიმმა ვაჟს უყურა, უყურა და:

— მალადეც! — თქვა.

ერთ წუთში აბდულას ცივმა ოფლმა დაასხა და მკერდიდან უხმო კენესა აღმოხდა — შე სულელოო, ამდენი ხანი გიცხოვრია და თავში ჭკუის ნატამალი არა გაქვს, მამალივით კუდი რომ აიბზიკე და მკერდი გამოიბერე, განა არ იცოდი, რომ სოფელი ფლიდია და ცხოვრება მუხთალიო?

ბატონი ქერიმი ამწუთას სიცოცხლეში რომ არ ყოფილა, ისეთ გაორებაში გახლდათ: საკუთარ სახლში მამის დანატოვარ მაგიდას უჯდა, ვაზის ფოთლის ტოლმას შეექცეოდა, საუბარს უძღვებოდა, გაგონილი სიტყვები აოცებდა, მაგრამ იმავე წამს იმ შხაპუნა წვიმას მთლიანად ვერ გამოირიდებოდა და საერთოდ, გამოირიდებაც არ უნდოდა, რადგან ამ წვიმის სიგრილეში რალაც სი-ახლ-ე იყო, რომელიც კაცს თავისკენ დრეკდა და ამ სი-ახლ-ე-შიც რალაცნაირი სიტყვობა ძეგდა.

ბავშვები სკოლას ამთავრებენ, იფანტებიან, ყველა სადღაც მიდის. სკოლაში მათ მაგივრად ახლები მოდიან და ისინიც ძველ ლურჯ კალათას ეძახიან ბატონ ქერიმს.

ბატონმა ქერიმმა ზაპრას, ზუღიხას, ჰამლეტს, შარგიას, წურვიდე ხანუმს, ამ „სასმელზე გადამკვდარ“ აბდულას მოავლო თვალი და უცაბედად გაიფიქრა, რომ ამათგან არცერთს აზრადაც არ მოსვლია ეთქვა, პარიზში შენ წადიო. და ამ უცა-

ბედმა განაფიქრმა კინალამ გული აუჩუყა ბატონ ქერიმს. თუმცა ეგ არაფერი, რადგან მას ეს შემოთავაზება სულაც არ სჭირდებოდა; შემდეგ თვალი ხის პატარა სანოლში თვალბ-თან ხელების მიმტან ბავშვზე გაექცა და კვლავაც გაუკვირ-და, შეილოსან, როგორ მოხდა, რომ ეს ბავშვი ასე გამოსწორ-და, დილიდან ერთხელაც არ უტირიაო.

ნეტა პარიზში წვიმა თუ მოდის?  
ამჯერად ბატონი ქერიმი საკუთარ თავს გაუბრაზდა: ეს რა სულელური კითხვაა, რომ აგიჩემებია? და ბატონი ქერიმი შეირხა, იმ კოკისპირულ წვიმას გამოეცალა, აგვისტოს მზის მცხუნვარებას დაუბრუნდა და კვლავაც უწინდელი ბატონი ქერიმი შეიქნა.

შარგიამ მთელი ამ დროის განმავლობაში პირველად მო-ინდომა რაღაცის თქმა:

- ნეტა საცოდავი სალმანი...
- ბატონმა ქერიმმა მრისხანედ გაანწყვეტინა:  
— რა სალმან-სალმანი აგიტყვია? რა შუაშია აქ სალმანი?  
და მერე თავისი გადამწყვეტი სიტყვა მოაყოლა:  
— პარიზში მე თვითონ წავალ!

ჰამლეტი წამოხტა:  
— კი მაგრამ, მე ხომ... მე ხომ... მე ხომ ფერიდეს შევპირდი?  
ბატონმა ქერიმმა შვილს აღმაცურად ახედა და მხოლოდ ხელის აქნევით და „ჰაი“, „ჰაი“-თ დაკმაყოფილდა.

არც უწინდელ ქმრებს, არც ბატონი ქერიმის ოჯახს, არც უბრალო ნათესავებს, ერთი სიტყვით, ქვეყანაზე ჯერ არ-ცერთ სულიერს ნურიდევ ხანუმის ტირილი არ ენახა. მაგრამ ახლა თვალები ცრემლით ავესო და ტუჩების თრთოლვით:

- კი მაგრამ, შენ ხომ ისედაც იცი მთელი მსოფლიო-თქვა, — ბატონი ქერიმი შეეცადა დისთვის მზერა არ გაესწო-რებინა:

— ერთია ცოდნა, მეორე — საკუთარი თვალებით ნახვა.  
ნურიდევ ხანუმმა არაფერი თქვა, ორი წვეთი ცრემლი გადმოუგორდა სახეზე — ეტყობა ბერდებოდა — წამოდგა და სახლიდან გავიდა. აბდულაც ადგა, ბატონ ქერიმს შეხედა, მხრები გაკვირვების ნიშნად აიჩეჩა და ისიც ნურიდევ ხანუმს გაჰყვა.

ბატონი ქერიმი მიხვდა, რომ ნურიდევ ხანუმი ამ სახლში ფეხის შემომდგმელი აღარ იყო.

ჰამლეტმა კვლავაც მამას, დედას, დებს გადახედა და გამ-წარებულმა იკითხა:

- მე... მე... ფერიდეს რა ვუთხრა ახლა?
- ზულიხამ:  
— ნადი, უთხარი, ბრიყვის ერთი ვააარო! — უთხრა და დიდ ოთახში გავიდა.

III

აგვისტოს იმ დღეს მოსაღამოებულზე ბატონი ქერიმი შუშა-ბანდში იჯდა და ჩაის სვამდა. თან ფიქრობდა, რომ ხვალ დილა-სისხამზე ბაზარში, დუქანში კი არა, პირდაპირ შესაბამის უწყე-ბებში უნდა მივიდეს, რათა გასამგზავრებელი საბუთები მოა-წესრიგოს. ამის გაფიქრებისას სკოლის მასწავლებლები წარმო-უდგა თვალწინ ბატონ ქერიმს და, სიმართლე ითქვას, მათი გან-ცვიფრებული სახეების წარმოდგენისას გულს სიამე მოეფინა.

ზაჰრა სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავდა და თან ფიქ-რობდა, რომ დილით ხალვას გაამზადებს გზისთვის, რადგან ხალვა ისეთი რამეა, არასოდეს რომ არ ფუჭდება და თანაც ნოყიერია. თორემ უცხო ქვეყანაა, რა იცი, რას აჭმევენ. ამ-ბობენ, ფრანგები ლოკოკინას ჭამენ, ის კი არადა, არც სახედ-რის ხორცს თაკილობენო.

ჰამლეტი შინიდან წასულიყო. ეთქვა, საღამოს ჩანთის წა-საღებად დაბრუნდებოდა და საერთოდ, ამ სახლიდან ერ-თხელ და სამუდამოდ წავიდოდა. მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ ცოტა ხნის შემდეგ ჰამლეტი დაბრუნდებოდა,

სამზარეულოში მაგიდას მიუჯდებოდა და ივასშემედა, რად-გან ასე წასული ჰამლეტი მრავალჯერ ენახათ და ყოველთვის მოშიებოსას მობრუნებულიც კარგად ახსოვდათ.

ზულიხა კვლავაც დიდ ოთახში დივანზე წამოწოლილიყო და იმ ლამაზ დღიურს კითხულობდა. ახლა დღიურის შმაგ გრძობა-თა სამყაროს მთელი არსებით მისცემოდა და, როცა ერთ-ერთ გვერდზე ფაქიზად ჩაკერილი კინოს წვეთ ბილეთს მოჰკრა თვა-ლი, თავი ვერ შეიკავა, ერთი-ორჯერ ამოისლუქუნა და ჩუმად იც-რემლა. მისი დაქალი თავის უგულო შეყვარებულთან ბოლოჯერ ამ ბილეთებით წასულიყო კინოში და ეს ბილეთებიც იმ სიყვარუ-ლისგან უკანასკნელ სახსოვრად შემორჩენილიყო.

შარგიას, წელან ვაზის ფოთლის ტოლმას რომ ჭამდნენ, იმ მაგიდაზე შალი გაეფინა და ბავშვის ნაჭრებს აუთოვებდა.

პატარა ხის მომცრო სანოლში ინვა და კვლავაც თვალბ-თან მიტანილი ხელებით იქცევდა თავს.

- ამ დროს კარზე ზარმა დარეკა.  
ბატონმა ქერიმმა კარი გააღო.  
ფოსტალიონი იყო. ბატონ ქერიმს ტელეგრამა გადასცა,  
ქალაქზე ხელი მოაწერინა და წავიდა.

ბატონმა ქერიმმა ტელეგრამა წაიკითხა. მერე ხელახლა ჩაიკითხა.

ტელეგრამა სალმანისგან იყო. ინერებოდა ნუ შენუხდე-ბით, საავადმყოფოდან მალე გამწერენ და ვინმეს პარიზში ჩამოსვლა საჭირო არ არისო.

ზულიხა ზარის ხმაზე დღიურს მოსცილდა და კართან მივიდა. ბატონი ქერიმისთვის არაფერი უკითხავს, ტელეგრა-მა გამოართვა, წაიკითხა და დაასკვნა:

— სულელი სალმანი! მის ადგილას ახლა ყველანი ჩაყვა-ნილი მყავდით პარიზში!

ბატონი ქერიმი ოთახისკენ მიაბიჯებდა და თან ფიქრობ-და, რომ ნეტა ნურიდეს წასვლას დათანხმებოდა, მაგრამ რა ექნა, ხელისგულზე ხომ არ ჰქონდა ნამკითხავები, საიდან ეცოდინებოდა, რომ საქმე ასე შებრუნდებოდა; და აქ ბატონი ქერიმი შვილიშვილის სანოლთან შედგა.

ბავშვი ჯერ საკუთარ ხელებს დააკვირდა, შემდეგ ბატონ ქერიმს, მერე ისევ საკუთარ ხელებს და ერთბაშად ხმამალა-ლი ტირილი მორთო.

ბატონმა ქერიმმა სქელი წარბები შეიჭმუხნა:  
— ჰა, შეუდგა ისევ ყვირილს.

ზულიხამ:  
— აპროტესტებს! — თქვა.

ბატონმა ქერიმმა ისევ შეიჭმუხნა სქელი წარბები:  
— რა პროტესტი, ვის აპროტესტებს?

ზულიხამ:  
— თუ გნებავს, ყველა ჩვენგანს! — მერე გაეცინა — გვაპ-როტესტებს. — და ხელახლა დიდ ოთახში შებრუნდა, რათა იმ დაუგვირგვინებელი სიყვარულის ბოლო სამახსოვრო წვეილი ბილეთი კიდევ ერთხელ შეეთვალაიერებინა.

ბატონმა ქერიმმა შვილის ნათქვამისა ვერა გაიგო რა. ფანჯარასთან მივიდა და სკვერს გახედა. პენსიონერები ისევ ისხდნენ — ზოგი დომინოს თამაშობდა, ზოგიც წარდს. წარ-მოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ დღეს, დილას თენებისთვის რომ არ მიეტანებინა, სანიტრებმა ამ სკვერიდან რამდენი უპატრონო ძაღლი გაათრიეს. მერე ბატონ ქერიმს გაახსენ-და, რომ ქალაქის საბჭოსთვის წერილი ჰქონდა მისაწერი და რომ დღეის საქმე სახვლიოდ გადასადები არ იყო; საწერ-კა-ლამ-ქალაქიდანად მაგიდას მიუჯდა, მაგრამ ბავშვი უკვე მწარედ ჩხაოდა და ბატონ ქერიმს აზრებს უფანტავდა.

ბავშვი ვერ გააჩუმეს, ვიდრე ღამით არ დაიღალა და თვი-თონ არ ჩაეძინა.

ახერბაიჯანულიდან თარგმნა  
ოქტაი ქაჯუშოვია

# ამბავნი შტირლიცისანი

წუთით წარმოიდგინეთ, რომ დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელს ანუ ცეკას პირველ მდივანს (დღეს, ჩვენი მამა-მარჩენალი ამერიკის ყაიდაზე, პრეზიდენტს რომ ვეძახით) ისე მოსწონებოდა სახელგანთქმული ქართული ფილმი „ბაში-აჩუკი“, რომ ეთქვა: ეს გამირთავმირი, უშიში ვითარცა უხორცო და უმნიკვლო ვითარცა წმინდანი, ჭეშმარიტად იმის ღირსია, საბჭოთა კავშირის გამირის წოდება ვუბოძოთო, და უმორჩილესი შუამდგომლობა აღეძრა კრემლის ბატონ-პატრონთა წინაშე.

ღიას, ღიას, საბჭოთა კავშირის გამირობა ფილმში ბაში-აჩუკის როლის ბრწყინვალე შემსრულებელ ოთარ კობერიძეს კი არა, თვით ბაში-აჩუკს უნდა მინიჭებოდა. ხოლო გამირთავმირი იგი, როგორც მოგეხსენებათ, სინამდვილეში არ არსებობდა (არც მეჩვიდმეტე, არც მეოცე საუკუნეში) და დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის უბადლო შემოქმედებითი წარმოსახვის ნაყოფი გახლავთ.

აბა თავად განსაჯეთ, კრემლში ხომ მყისვე დაასკვნდნენ (და სავესებით სამართლიანადაც!), ეს ჩვენი ღვანღმოსილი მარონეტი ჭკუიდან შერყეულაო, და საპატიო პოსტიდან ისე მოაძრობდნენ, როგორც დაგიბარებია.

მაგრამ რაც არ მიეტყვება ხარს, მიეტყვება ბულასაო — ბრძანებს ბრძნული ქართული ანდაზა. მთელი საბჭოთა იმპერიის ხელმძღვანელს ანუ გენსეკს, ცოტა ხნის შემდეგ, ხახვივით შერჩა ანალოგიური გულისნადილი და საბჭოთა კავშირის გამირის წოდებით კინალამ არ დააჯილდოვა... (აბა გამოიცანით, ვინა?)

...1973 წელს მთელი თვალწინდენელი საბჭოეთი უზომოდ აღაფრთოვანა ტელეფილმმა სახელწოდებით „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“, რომელიც ასახავდა საბჭოთა მხვერავის თავგადასავალს ნაციკტურ გერმანიაში 1945 წლის გაზაფხულზე. ეს იყო პოლიკოვნიკის ისაევი, რომელიც შტირლიცის ფსევდონიმით იღვწოდა საიდუმლო ფრონტის მეტრძოლად ჰიტლერელთა მთავარბუნაგის კაკალ გულში.

კომპეტენტური გამოანგარიშებით, თორმეტსერიიანი ტელეფილმის პირველმა ჩვენებამ ტელეეკრანთან მიიზიდა 80 (ოთხმოცი) მილიონი მაყურებელი და ოსტანკინოს ტელესტუდიას მალევე თავს დაატყდა ასი ათასობით წერილი, სადაც დაუყინებთ მოითხოვდნენ (ღიას, ღიას, განა ითხოვდნენ, არამედ მოითხოვდნენ!) „ჩვიდმეტი გაელვებას“ ხელმოეორედ ჩვენებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ტელეფილმის გზა მაყურებელამდე ია-ვარდით როდი ყოფილა მოფენილი. მას შლაგბაუმივით გადაეღობნენ კრემლის მთავარი იდეოლოგი, „რუხ კარდინალად“ წოდებული მიხაილ სუსლოვი (ჩვენს გამარჯვებაში ფაშიზმზე კომუნისტური პარტიის როლი ფილმში არა ჩანსო) და საბჭოთა არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალი ებიშევი (დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის წვლილი ფილმში არა ჩანსო).

სამაგიეროდ ტელეფილმი ძალიან, ძალიან მოეწონათ მრისხანე „კაგებეს“ მაშინდელ თავკაცს (შემდგომში გენსეკი რომ გახდა) იური ანდროპოვს და თავდაცვის მინისტრს — მარშალ გრეჩკოს.

ძალოვნებმა, ბუნებრივია, გადანონეს იდეოლოგები. საქმემ, როგორც ყოველთვის, სძლია სიტყვას. მთავარ ჩეკისტს და მთავარ წითელარმიელს წინ ვინ დაუდგებოდა, რა ძალა გაუმკლავდებოდა?! მათი ვერდიქტი გადამწყვეტი აღმოჩნდა და „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვებას“ მწვანე შუქი აენთა, ხოლო საბჭოთა მოქალაქეთა საყოველთაო ნება-სურვილის საფუძველზე დამკვიდრდა ტრადიცია, რომ ყოველი წლის გაზაფხულზე ტელევიზია იმეორებდა და იმეორებდა შტირლიცის მშფოთვარე თავგადასავალს.

მოხდა ისე, რომ უბერებელმა გენსეკმა ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევმა, პერმანენტული მოუცლელობის გამო, მხოლოდ სამი წლის შემდეგ მოიცალა ამ ტელეფილმის სანახავად. გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ზედიზედ თორმეტივე სერია იხილა და აღტაცებულმა ბრძანა, ამხ. შტირლიცს საბჭოთა კავშირის გამირის წოდება მივანიჭოთო.

შეჰბედეს და მოწინებთ მოახსენეს, ამხ. შტირლიცი სცენარისტ იულიან სემიონოვისა და რეჟისორ ტატიანა ლიონოვას ერთობლივი შრომით შეთხზული პერსონაჟია და ასეთი პერსონა ბუნებაში არ არსებობსო.

მაშინ ამ გასაოცარი ფილმის მშობელნი დააჯილდოვეთო, ბრძანა გენსეკმა და 1976 წელს ტელეფილმს მიანიჭეს სახელმწიფო პრემია, შტირლიცის როლის შემსრულებელ ვიჩესლავ ტიხონოვს — სოციალისტური შრომის გამირის წოდება და რეჟისორ ტატიანა ლიონოვას — ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

კინომცოდნენი წერდნენ, რომ ეს იყო უზადო დოკუმენტური ზღაპარი, რომ ტიხონოვმა შექმნა ბრწყინვალე სახე საბჭოთა მხვერავისა, რომ თავდაჭერილი და ელეგანტური შტირლიცი მოქმედებდა როგორც მოაზროვნე და არა — როგორც ფილმუსტიერი, რომ სამაგალითო გირი მუშტებს როდი იქნედა და მიზანში სროლით როდი ირთობდა თავს, რითაც მკვეთრად განსხვავდებოდა წინამორბედთაგან (ჩაპაევი და სხვ.) თუ უცხოელი კოლეგებისგან (ჯეიმზ ბონდი და სხვ.).

მთელი თორმეტი სერიის განმავლობაში შტირლიცმა ერთადერთი კაცი (პროვოკატორი კლაუსი) გაისტუმრა იმქვეყნად და ერთსაც, გესტაპოელ ჰოლტოფს, კონიაკის ბოთლი ჩაარტყა თავში ანუ მსუბუქი ტრავმა მიაყენა. სამაგიეროდ — რაოდენ დიდოსტატურ და მიზანდასახულ კომბინაციებს აწყობდაო... ერთი სიტყვით მხვერავი — ინტელექტუალი!

ეს მისი დამსახურება გახლდათ, რომ კრემლში დროულად შეიტყვეს ამერიკელ მოკავშირეთა ფარული მცდელობანი ჰიტლერთან სეპარატურულ ზავის დადებისა. და როდესაც ღვთისგან სვიანი აშშ პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი წერილობით საყვედურობს პირსისხლიან კრემლის მბრძანებელს, უკიდურესად აღშფოთებული ვარ თქვენნი ინფორმატორების ქმედებით, თქვენ ასე უსინდისოდ რომ გატყუებენო, ეკრანიდან ჟღერს დინჯი ხმით წარმოთქმული და დოკუმენტურად დადასტურებული პასუხი: „რაც შეეხება ჩემს ინფორმატორებს, მე თქვენ გარნ-მუნებთ, რომ ისინი უაღრესად პატიოსანი და თავმდაბალი ადამიანები არიან, რომლებიც თავიანთ მოვალეობას აკურატულად ასრულებენ და არა აქვთ განზრახვა ვისიმე შეურაცხყოფისა. ეს ადამიანები მრავალგზის გამოგვიცდია საქმეში“.

ასეთი იყო ფასდაუდებელი ჯილდო ტელეფილმის მთავარი გამირისა.

კინომცოდნენი აღნიშნავენ, რომ იულიან სემიონოვმა და ტატიანა ლიონოვამ, ხანგრძლივი აკრძალვის შემდეგ, პირველად გამოიყვანეს სცენაზე სტალინი (ერთი კრიტიკოსის ირონიული შენიშვნით, ხრუშჩოვის ეპოქის კაპიტალურ ნაშრომებში დიდ სამამულო ომზე ჰიტლერის გამოსახულებანი გაცილებით ხშირად გვხვდებოდა, ვიდრე სტალინისა).

იმასაც ამბობენ, რომ კომპოზიტორმა მიქაელ ტარივერდიევმა თავდაპირველად იუარა ამ ტელეფილმისათვის მუსიკის შექმნა თავის ანტისტალინურ შეხედულებათა გამო (თბილისელ, სოლოაკელ ბიჭს ეს ეკადრებოდა?!), მაგრამ ბოლოს დაუთანხმებიათ. ეკრანზე ტარივერდიევის საუცხოო მუსიკა ბრწყინავდა და წუთით სტალინმაც გაიელვაო.

ტელეფილმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირსებად იმას მიიჩნევენ, რომ ნაციტური გერმანიის ათასგზის წყეული ბოლოები კარიკატურულად არ გამოიყურებოდნენ, როგორც ადრე სჩვეოდა საბჭოთა კინოს. ღიას, ბორმანი და კალტენბრუნერი, გერინგი და ჰიმლერი ნაჩვენები იყვნენ, როგორც საქმიანი და გონიერი პიროვნებანი, მუდამ რესპექტუალობას რომ ინარჩუნებდნენ და სასაცილოდ არ გაიხიდიდნენ თავს.

მაყურებელს ლამის მიმზიდველ პერსონებად შეეძლო მიელო შავ ფორმაში გამოჩეკილი ესესელები და ზოგჯერ თანაგ-

რძობაც კი აღძვროდა მათი მისამართით. აგერ ერთ მათგანს ოჯახი ამოუწყდა ამერიკელ მფრინავთა მიერ მშვიდობიანი ქალაქის დაბომბვისას, მეორე გულწრფელად ზრუნავს დაღუპული ამხანაგის ცოლ-შვილზე, ობერმტურმბანფიურერ აისმანს კი ეჭვიც არ ეპარება შტირლიცის კეთილშობილებაში...

**მტერიც და მოყვარეც — ერთნაირი ობიექტურობით, დაუმახინჯებლად და შეულამაზებლად! ეს ძნელად მისაღწევი რამ იყო საბჭოთა სინამდვილეში (და, ვაგლახ, იგივე შეიმჩნევა პოსტსაბჭოთაშიც).**

ტელეფილმის ავტორებს პრესაში ამგვარი ბრალდებაც კი ნაუყენეს: ყოველივე ამას ნაციზმის ესთეტიზაცია ჰქვიაო, ჩვენებური ახალგაზრდული ნეოფაშიზმის დაბადება სწორედ ამ სერიალმა განაპირობაო (და ასე შემდეგ, და ამის მსგავსი...).

უკვე ორმოცი წელია, რაც „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ ხიბლავს დიდსა და პატარას. მაგრამ 2009 წელს მოსკოვში გამოცემული ერთი კრებულის ფურცლებზე მოვარდნილმა ნიაღვარმა კინალამ ნალევა უჭკნობ საბჭოთა ბესტსელერად შერაცხული ტელეფილმი. კრიტიკულ სტატიას სათაურად ჰქონდა: „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება — შეცდომები და აბდუბდანი“.

აღნიშნული წიგნის ტირაჟი, როგორც პოსტსაბჭოთა ხანას შეეფერება, მხოლოდ და მხოლოდ 3 000 ეგზემპლარი გახლავთ. ეს ხომ ზღვაში წვეთია პირველი ჩვენების მხილველ 80 მილიონ მაყურებელთან შედარებით. მაგრამ ამ კრიტიკულ შენიშვნათა განხილვა და განსჯა თავის მნიშვნელობას იძენს რეალობასთან ხელოვნების კავშირისა და მიმართების თვალსაზრისით.

ახლა ინებეთ კრიტიკულ სტატიასი ჩამოთვლილი შეცდომებისა თუ ლაფსუსების თითქმის სრული ნუსხა:

1. შტირლიცის აბაზანაში — საბჭოთა სანტექნიკაა!
2. გესტაპოს შეფის მიუღერის კაბინეტის კედელზე ჰკიდია მრგვალი პლასტმასის საათი „სლავა“, რომლის მასობრივი დამზადებაც მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირში (XX საუკუნის 70-იან წლებში).
3. შტირლიცი მიდის შეხვედრაზე ბორმანთან და ატარებს საბჭოთა წარმოების პლასტმასის შავ სათვალეს, რაც 70-იანი წლების პოდაა. ფილმის პერსონაჟთა ცივილური კოსტუმებიც იმავე პერიოდის საბჭოთა მოდას შეესაბამება.
4. ყველაზე გასაოცარია შტირლიცის ფლომასტერი, რომლითაც ის იწერს ცენტრიდან მიღებულ რადიოგრამებს და მერე ხატავს ოთხ მეგობრულ შარსს (ჰიმლერი, ბორმანი, გებელსი, გერინგი — მათგან რომელია ის, რომელიც ლამობს სეპარატული ზავის დადებას ამერიკელებთან?). საიდან მოხვდა ეს ფლომასტერი შტირლიცის ხელში 1945 წელს? საიდუმლო აღჭურვილობად ცენტრმა გამოუგზავნა? ჩვეულებრივი კალმით წერენ მიუღერიც და ჰიმლერიც. ფლომასტერი სიზმარშიც კი არ უნახავთ.
5. იმ ეპიზოდში, როდესაც შტირლიცს მანქანით მიჰყავს პასტორი შლაგი გერმანია-საბჭოთა კავშირის საზღვრამდე, რადიოში ისმის ედიტ პიაფის ცნობილი სიმღერა „მე არაფერს არა ვნანობ“. პასტორი აღშფოთდება — უხამსი სიმღერა არისო. მისი აღშფოთება სავსებით სამართლიანია. ეს სიმღერა ხომ 15 წლის შემდეგ უნდა შეიქმნას!

6. ტელეფილმში ყველა გერმანელს ნიშნობის ბეჭედი მარჯვენა ხელზე უკეთია (როგორც საბჭოეთში სჩვეოდათ), მაგრამ ნამდვილი გერმანელები ნიშნობის ბეჭედს მარცხენა ხელზე ატარებდნენ.

7. მთლიანად გამოგონილია დოსიეები ამა თუ იმ მაღალჩინოსანზე. ამასთან SS-ის დოკუმენტები იბეჭდებოდა გოთური შრიფტით და არა — ლათინურით.

8. შეცდომებია ჰიტლერის მთავარ დამქაშთა დოსიეებში. კადრს მიღმა ხმა ამბობს გებელსზე: „განათლება საშუალო“. სინამდვილეში, ნაცისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრი იყო ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი. „გერინგი — განათლება საშუალო“. სინამდვილეში, მას დამთავრებული ჰქონდა სამხედრო სასწავლებელი ბერლინში და სამხედრო აკადემია კარლსრუეში.

9. როდესაც გესტაპოს შეფი ჰაინრიხ მიულერი მიაბიჯებს ტალანში, შეეჩეხებიან პოლიტიკური დაზვერვის შეფი ვალტერ შელენბერგი და მისი ხელქვეითი მაქს შტირლიცი. მიუღერს ძალიანაც გაუკვირდება. როგორ არ გაუკვირდებოდა! უშიშროების IV სამმართველო (გესტაპო) და იმავე უშიშროების VI სამმართველო (პოლიტიკური დაზვერვა) ბერლინის სხვადასხვა უბნებში იყო განთავსებული და მათ შორის მანძილი 10 კილომეტრი იქნებოდა.

10. შტირლიცი გამოდის თავისი კაბინეტიდან და შეეყრებიან ჯარისკაცები, რომლებსაც დაპატიმრებული საბჭოთა მზვერავ-ქალის ჩემოდანი რაციით მიაქვთ როლფის კაბინეტში, შტირლიცის კაბინეტის გვერდით. როლფი — გესტაპოა, შტირლიცი — პოლიტიკური დაზვერვა. ისევ ეს 10 კილომეტრი!

11. შტირლიცი აპატიმრებს და დაკითხავს კეტის (საბჭოთა რადისტო), მაგრამ შელენბერგის უწყებას არც დაპატიმრებისა და არც დაკითხვის უფლება არა ჰქონდა გერმანიის ტერიტორიაზე.

12. რასა ჰგავს პროფესიული მომზადება პოლკოვნიკ ისაევისა? საჰაერო განგამის დროს სარგებლობს საერთო არეულობით და სპეცკავშირის სატელეფონო ხაზიდან ურეკავს ბორმანს, ჰიტლერის მოადგილეს. ტელეფონის ყურმილს შიშველი ხელით იღებს! ეტყობა, არაფერი სმენია თითების ანაბეჭდის შესახებ.

13. SS-ის ოფიცრები, ჰიტლერის ბრძანებისამებრ, ვალდე-ბული იყვნენ, რომ 30 წლის ასაკამდე შეერთოთ ცოლი და ელიტური შეილები გაეჩინათ სამშობლოსათვის. ეს მშვენივრად ეცოდინებოდა სცენარისტ იულიან სემიონოვს, მაგრამ ერთი-რა საბჭოთა მზვერავის გერმანელი ცოლი, ამიტომაც იცრუა და SS-ის მთელ სისტემაში ერთადერთ უცოლო კაცად გამოიყვანა შტირლიცი! ესეივს ამას ვინ შეარჩენდა?!

14. შტირლიცი, ნაცისტური პარტიის წევრი 1933 წლიდან, განუწყვეტლივ ეწევა ანტიფაშისტურ მოღვაწეობას. მაშ რა დამსახურებათა გამო გახდა შტანდარტენფიურერი? თუკი პირადად ჰიტლერმა უბოძა რკინის ჯვარი (საბჭოთა კავშირის გმირის ნოდების ანალოგი), ესოდენ მაღალი ჯილდო წილად ერგებოდა მხოლოდ იმ ესეივს, ვისაც ხელები იდაყვამდე სისხლში ექნებოდა ამოსვრილი. მაშასადამე, საბჭოთა მზვერავი...

**ამ იწილო-ბინილოზე არ გეცინებათ? ალბათ ცაბედ მართალი არიან, ვერ შეედავები. რა თქმა უნდა, სასურველია, რომ ნებისმიერ ფილმში ამგვარი ლაფსუსები არა გვხვდებოდეს. მაგრამ რა გაეწყობა, ეს ხომ არ არის მთავარი!** „ჩვიდმეტი გაელვების“ ქომაგნი შეგვახსენებენ, რომ ეს ტელეფილმი სათავგადასავლო ჟანრს მიეკუთვნება ანუ — არც ნეორეალისტური ფილმია და არც ბიოგრაფიული რომანი, შტირლიცის მთელ ასავალ-დასავალს რომ გვაცნობდეს (აკვნიდან პენსიამდე). ეს გახლავთ მხოლოდ და მხოლოდ ერთი საგულისხმო ეპიზოდი მზვერავის ცხოვრებიდან, სადაც გაშუქებულია ფრიად უსიამო ფურცელი ანტიჰიტლერული კოალიციის ისტორიისა.

**ამ ახირებულ კრიტიკოსთა გზას რომ გაყევით, შენიშნული ლაფსუსების ნუსხა შეიძლება კიდევაც გაგვემდიდრებინა. განა გაცნობას არ უნდა ინვეფდეს, ვთქვათ, ის ფაქტი, რომ ნაცისტური გერმანიის თვალსაჩინო ფიგურები ჰიმლერი და შელენბერგი სუფთა რუსულით, უაქცენტოდ, ელაპარაკებიან ერთიმეორეს. ეს უფრო უარესი არაა, ვიდრე საბჭოთა სანტექნიკა შტირლიცის აბაზანაში?** (თავის დროზე, ანეკდოტით დადიოდა ტექსტი შუა აზიის რომელიღაც რესპუბლიკაში დუბლირებული ტელეფილმიდან: „სალამ ალიექუმ, ჰიტლერ-ალა!“ და კვდებოდნენ სიცილით. ოღონდ ასევე სასაცილოდ უნდა მოგვეჩვენოს: „ზდრავია ყელაიუ, გასპაძინ გიტლერ!“).

80 მილიონი მოხიბლული მაყურებლიდან 80 კაცი თუ შეამჩნევდა აღნიშნულ ლაფსუსებს.

თეატრისა და კინოს პირობითობა — ეს ხომ ხელოვნების ანაბანაა.

„გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“, რასაკვირველია, კინემატოგრაფის მწვერვალი არ ყოფილა, მაგრამ სათანადო ადგილი ეჭირა იდეოლოგიურ ასპარეზზე და თავის დანიშნულებას პირნათლად ასრულებდა.